უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი და კანონმდებლობა

Journal DOI: https://doi.org/10.52340/bal

N2. 2023

N2. 2023

www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge

ISSN
2960-9801
(online)

Business & Law

ბიზნესი და კანონმდებლობა

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar

რეცენზირებადი და
რეფერირებადია 2008 წლიდან

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Business & Law

INTERNATIONAL SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the Google schoral international search system

Recensented and
Referenced since 2008

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

გამომცემელი

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო

ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, დავით ჯალაღონია, ირმა დიხამინჯია, ილონა ადამია

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

აბულაძე კოტე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ბედიანაშვილი გივი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **გახოკიძე ჯემალ** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **გრიგალაშვილი ლევანი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **დიხამინჯია ირმა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ელიავა ლია** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **თაკალანძე ლარისა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კაკაშვილი ნატო** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კვარაცხელია დემნა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **კვაშილავა კახა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ლიპარტია ზურაბ** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მამუკა თავხელიძე** - გრიგოლ რობაძიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მექვაბიშვილი ელგუჯა** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპავა ვლადიმერ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპასქუა იური** - მთავარი რედაქტორი, საქართელოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **სილაგაძე ავთანდილ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **საბაური ლევანი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ფუტკარაძე სულიკო** - წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო; **ღავთაძე გიორგი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **შონია ნანა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჩიხლაძე ნიკოლოზ** - ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო; **ცინარიძე რამინ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭითანავა ნოდარ** - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭიჭინაძე ბორის** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ხომერიკი თემურ** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისია, საქრთველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯალაღონია დავით** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯიბუტი მიხეილ** - თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, საქართველო.

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

გრიგოროი ლილია - მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვეთი; **დიომედა ფედერიკო** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **დნესი ვ. ანტონი** - ნორტცენტრალის უნივერსიტეტი, არიზონა, აშშ; **იარვერსი რობინ** - ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია, დიდი ბრიტანეთი; **კარმანსკა ანნა** - ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლა, პოლონეთი; **მაკგი ვ. რობერტ** - აშშ ფაეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ; **ნოვრუზოვი ვაჰიდ ტაპდიგი** - აზერბაიჯანის რესპუბლიკის აუდიტორთა პალატა, აზერბაიჯანი, **ჯონსონი რ. ვინსეტ** - სანტ-მარის უნივერსიტეტი, სანტ-ანტონიო, ტეხასი, აშშ.

PUBLISHER

The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE COUNCIL

Zaur Nachkibia, Yuri Papasqua, Davit Jalaghonia, Irma Dikhaminjia, Ilona Adamia

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Abuladze Kote - Technical University of Georgia, Georgia; **Bedianashvili Givi** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Ghakhokidze Jemal** - Technical University of Georgia, Georgia; **Grigalashvili Levan** - Technical University of Georgia, Georgia; **Dikhaminjia Irma** - Sukhumi State University, Georgia; **Eliava Lia** - National University of Georgia, Georgia; **Takalandze Larisa** - Sukhumi State University, Georgia; **Kakahvili Nato** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Kvaratskhelia Demna** - Technical University of Georgia, Georgia; **Kvashilava Kakha** - Sukhumi State University, Georgia; **Lipartia Zurab** - Sukhumi State University, Georgia; **Mamuka Tavkhelidze** - Grigol Robadzidze State University, Georgia; **Mekvabishvili Elguja** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Yuri Papasqua** - Editor-in-Chief, Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Sakartelo, Sukhumi State University, Georgia; **Silagadze Avtandil** National Academy of Sciences of Georgia, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Sabauri Levan** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Putkaradze Suliko** - St. Tbel Abuseridze University of Education, Georgia; **Ghavtadze Giorgi** - National University of Georgia, Georgia; **Shonia Nana** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Chikhladze Nikoloz** - Kutaisi University, Georgia; **Tsinaridze Ramin** - Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; **Chitanava Nodar** - Georgian Academy of Agriculture, Technical University of Georgia, Georgia; **Chichinadze Boris** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Khomeriki Temur** - Energy and Water Supply Commission of Georgia, National University of Georgia, Georgia; **Jalaghonia Davit** - Sokhumi State University; **Djibouti Mikheil** - Chairman, National Academy of Sciences of Georgia, Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Grigoroi Lilia - Moldovan Academy of Economic Sciences, Moldova; **Diomeda Federico** - European Federation of Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Dnesi V. Anthony** - Northcentral University, Arizona, USA; **Yarvers Robin** - Association of Chartered Accountants of England and Wales, Great Britain; **Karmanska Anna** -Warsaw School of Commerce, Poland; **Mcgee v. Robert** - USA Fayetteville State University, USA; **Novrupjv Vahid Tapdig** - Chamber of Auditors of the Republic of Azerbaijan, Azerbaijan; **Johnson R. Vincent** - Sainte-Marie University, USA.

შინაარსი CONTENT

ნოდარ ჭითანავა
ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები------ 7

Nodar Chitanava
PROBLEMS OF INTEGRATED MANAGEMENT OF NATURAL RESOURCE POTENTIAL ---------- 7

ლავრენტი ჭუმბურიძე, ლევან საბაური, იური პაპასქუა
ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლების
კონცეპტუალური ვექტორები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ----------17

Lavrenti Chumburidze, Levan Sabauri, Iuri Papaskua
CONCEPTUAL VECTORS OF IMPROVING THE QUALITY
OF ACCOUNTING FOR SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES ---------- 17

გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე
თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება ----------25

Guram Abesadze, Nodar Abesadze
FORMATION OF MODERN GEORGIAN POLITICAL CONSCIOUSNESS ---------- 26

ვლადიმერ რევაზის ძე ბასარია, ვლადიმერ ვლადიმერის ძე ბასარია
ნეპოტიზმი, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაკავებელი ფაქტორი -------35

Basaria Vladimir R. Basaria Vladimir V.
NEPOTISM AS A LIMITING FACTOR OF ECONOMIC DEVELOPMENT ---------- 35

ლაშა ბერიძე, რამინ ცინარიძე, ზინაიდა სმუტჩაკი,
ნინო ჯაფარიძე, გიორგი თურმანიძე
რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და საქართველოს საექსპორტო
პოტენციალის ვექტორები ----------40

Lasha Beridze, Ramin Tsinaridze, Zinaida Smutchak, Nino Japaridze,
Giorgi Turmanidze
RUSSIA-UKRAINE CONFLICT AND GEORGIA'S EXPORT POTENTIAL VECTORS ---------- 41

მადონა გელაშვილი
„მწვანე ეკონომიკის" ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონის მაჩვენებელზე------53

Madona Gelashvili
THE INFLUENCE OF "GREEN ECONOMY" FACTORS ON THE POVERTY LEVEL INDICATOR------ 53

ზაზა ტრიპოლსკი
აუდიტორის მიერ კლიენტის გარიგების დადებაზე დათანხმება ---------- 63

Zaza Tripolski
THE AUDITOR'S APPROVAL OF THE CLIENT'S TRANSACTION ---------- 63

თინათინ ჭარხალაშვილი
აღზრდის სტილის გავლენა მოზარდის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ---------- 70

Tinatin Charkhalashvili
THE INFLUENCE OF PARENTING STYLE
ON THE PSYCHO-SOCIAL DEVELOPMENT OF ADOLESCENTS ---------- 70

თინათინ ჭარხალაშვილი, თამარ კაპანაძე
ემოციური ინტელექტი და ლიდერობა ---------- 75

Tinatin Charkhalashvili, Tamar Kapanadze
EMOTIONAL INTELLIGENCE AND LEADERSHIP ---------- 76

დოდო ხომასურიძე
საჩხერის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების
გამოყენების გავლენა რეგიონის ეკონომიკასა და ეკოლოგიაზე ---------- 79

Dodo Khomasuridze
THE INFLUENCE OF THE USE OF NATURAL RESOURCES
OF SACHKHERI MUNICIPALITY ON THE ECONOMY AND ECOLOGY OF THE REGION ---------- 79

ბექა სხირტლაძე, ნინა კოფიანიდი
სოციალური მედია მარკეტინგის როლი ტურიზმსა და
სასტუმრო ინდუსტრიაში ---------- 85

Beka Skhirtladze Nina Kofianidi
THE IMPACT OF SOCIAL MEDIA IN TOURISM
AND HOTEL INDUSTRY (THE CASE OF GEORGIA) ---------- 86

ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ! ---------- 90

ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS! ---------- 91

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.01

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ანალიზი და შემოთავაზებულია ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების რეკომენდაციები.

ავტორის მოსაზრებით, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება რთული პროცესია და ის მიზანშწონილია განვიხილოთ, როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის წარმატებული ფუნქციონირებისთვის სახელმწიფომ, საზოგადოებამ და ბიზნესმა მიზნობრივად, ეტაპობრივად უნდა აამოქმედონ სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური განვითარების არსებული შესაძლებლობები და ამით უზრუნველყონ მაღალეფექტიან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ამ ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის და მესაკუთრის (მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების უდიდესი ნაწილის მფლობელის) სოციალური და ეკონომიკური ეკსკლუზიური როლის სწორად გაცნობიერება.

ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი არასტაბილური (განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი), არასტანდარტული მდგომარეობის შეცვლა მხოლოდ ტრადიციული მიდგომებით, ქრესტომატიულ დოგმებზე დაყრდნობით შეუძლებელია. ქვეყანაში უნდა განხორციელდეს **„გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი“.**

ნაშრომში გადმოცემული და არგუმენტირებულია ამ მოდელის არსი, ნაჩვენებია რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები და იმ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა გავლენით მიიღწევა რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება.

ნოდარ ჭითანავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნრეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
https://orcid.org/0009-0004-5716-0694
E-mail: chitanavanodar@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი, ეფექტიანი ეკონომიკური სისტემა, პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა.

ციტირებისთვის: ჭითანავა ნ., ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No2, 2023 წ. გვ. 7-16.

PROBLEMS OF INTEGRATED MANAGEMENT OF NATURAL RESOURCE POTENTIAL

Nodar Chitanava
Doctor of Economic Sciences, Professor,
Academician of the Academy of Agricultural Sciences of Georgia
https://orcid.org/0009-0004-5716-0694
E-mail: chitanavanodar@gmail.com

ABSTRACT

This article provides a comprehensive analysis of the current utilization of natural resource potential in Georgia and offers recommendations for the efficient and judicious exploitation of the country's natural assets. The author posits that the prudent use of land and other natural resources is an intricate endeavor that ought to be viewed as an integrated system. For this system to operate effectively, there is a pressing need for the state, society, and the business sector to col-

laboratively harness extant avenues for socio-economic and environmental growth. This collaboration will pave the way for a transition to a highly efficacious market economy while fostering a beneficial environment. Achieving this necessitates a profound understanding of the distinct socio-economic role the state plays both as a political actor and as the predominant steward of land and other natural resources. Addressing the existing oscillatory and non-conventional economic landscape in the nation demands a departure from orthodox, dogmatic approaches. In this manner, author advocates for the adoption of a "breakthrough strategy," termed as the mobilization (innovative) model. The complexities and merits of this model are elucidated in the article, highlighting the potential for resource optimization and portraying the factors influencing resource rationalization process.

Key words: natural resources; breakthrough strategy - mobilization (innovative) model; efficient economic system; foresight and strategic planning; regional policy nuances.

For citation: Chitanava N., Problems of integrated management of natural resource potential, Journal "Business and Legislation", No. 2, 2023. p. 7-16.

ძირითადი ტექსტი

შესავალი

სამ ათეულ წელზე მეტია ქვეყანა, მისი ეკონომიკა ყოვლის მომცველი გარდაქმნების (ტრანსფორმაციის) რთულ პროცესშია ჩართული. ცნობილი კრიზისების ყველა ფორმა გამოვცადეთ. ეკონომიკას კვლავაც უჭირს, პანდემიამ გარკვეულწილად შებოჭა განვითარების შესაძლებლობანი. ზოგადად, **გაურკვევლობა,** რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოსათვის გვზღუდავს ორიენტაციის სწორად განსაზღვრაში. სწრაფად ცვალებადი დრო კი ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები (რუსეთ-უკრაინის ომი და სხვ.) ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. **ასეთ ექსტრემალურ პირობებში ნებისმიერმა ქვეყანამ გამოსავალი უნდა ეძებოს, განვითარების საკუთარ სტრატეგიაში საჭირო კორექტივები შეიტანოს, უპირატესობა მიანიჭოს საკუთარი რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას.**

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაოდენობრივი და ხარისხოვანი მახასიათებლებით. ის ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველია.

სამწუხაროდ, მათ არარაციონალურად, არაეფექტიანად ვიყენებთ, უფრო მეტიც, რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი კომპეტენტური სახელმწიფოებრივი რეგულირების მიღმა დარჩა.

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების პერსპექტივა

ქვეყანის ეკონომიკაში, განსაკუთრებით, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებული მოვლენები, **რთულ კვანძებად ჩამოყალიბებულ პრობლემათა ერთობლიობაა,** რომელთა გადაწყვეტა მოკლე პერიოდში შეუძლებელია. ამასთან, არასტანდარტული მეთოდების გამოყენებასთან ერთად, ეტაპობრივ განხორციელებასაც საჭიროებს. ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ პრობლემებს, მიუხედავად, მათი წარმოშობის მიზეზების გაცნობიერებისა, მარტო ვერ გავუმკლავდებით. **საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერაც.** მთავარი ის არის, რომ რთული პრობლემების შესწავლა-ანალიზს, მით უფრო გადაწყვეტას, საგანგებო ღონისძიებათა (მრავალვარიანტულობა) შემუშავება-განხორციელების ინტეგრირებულ პროცესს თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე ჩამოყალიბებული მართვის სისტემები სჭირდება. ახალი რეალობის, საბაზრო პრინციპებზე ჩამოყალიბებული ეკონომიკის ფუნქციონირების ტენდენციების, თავისებურებების გაცნობიერების შესაბამისად იცვლება არსებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები (პარადიგმა).

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების რთული პროცესი მიზანშწონილია განვიხილოთ, როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის წარმატებული ფუნქციონირება არსებითად დამოკიდებულია მასში მონაწილე სუბიექტების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგანპირობებულობის დონეზე, ასევე, გარე და შიდა პირობებზე, სწრაფად ცვალებად მენტალიტეტზე. ანალოგიური პოზიციიდან უნდა შეფასდეს მიმდინარე გარდაქმნების ტენდენციები, ის მიზეზ-ფაქტორებიც, რომლებმაც გარდამავალ ეტაპზე ხელი შეუწყვეს ეკონომიკის ზიგზაგისებურ განვითარებას, ცალკეული (განსაკუთრებით მატერიალური წარმოების) დარგების გაჩანაგებას, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის მოშლას, სამეცნიერო პოტენციალის დაქვეითებას, სოფლების დაცარიელებას, ეკონომიკაში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დეინდუსტრიალიზაციის პროცესების გაღრმავებას, მართვის თანამედროვე ფუნქციების (განსაკუთრებით, სტრატეგიულ დაგეგმვისა და მართვის) იგნორირებას. ამასთან, ახლო წარსულის ნეგატიური ტენდენციების პირუთვნელი ანალიზი იმიტომაც გვჭირდება, რომ ქვეყნის მომავლის განსაზღვრისას ადრე დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთ.

გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო პირობებში ეკონომიკის განვითარების მასშტაბებსა და მიმართულებებს განსაზღვრავს ბიზნესი (საბაზრო სუბიექტები) და სახელმწიფოსთან პარტნიორული ურთიერთობებით ყალიბდება ბიზნეს-სუბიექტების განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, პარამეტრები, რომლებიც საბოლოოდ კრებსითი ფორმით ქვეყნის ეკონომიკის

განვითარების მოტივაციის (ორიენტირი) საფუძველი ხდება.

ქვეყნის განვითარების დღევანდელ, უაღრესად საპასუხისმგებლო (პოსტკოვიდური პერიოდი და მსოფლიოში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესები) ეტაპზე, სახელმწიფო (ხელისუფლება), **საზოგადოება არჩევანის წინაშე დგას: მიზნობრივად, მაქსიმალურად და ეტაპობრივად აამოქმედოს სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების არსებული შესაძლებლობები (პირველ რიგში მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსებისა და ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება) და ამით უზრუნველყონ მაღალეფექტიან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ან ე.წ. კლასიკური, ტრადიციული ფორმით (არსებული არაეფექტიანი საბაზრო მექანიზმებით) გააგრძელონ „ეკონომიკური გარდაქმნების რეგულირება", რაც ხანგრძლივ დროს მოითხოვს და დიდ სოციალურ დანაკარგებს იწვევს.**

მესამე გზა არ არსებობს.

ეროვნულ ეკონომიკაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობრივი პროცესების სახელმწიფოებრივი მართვის (რეგულირების), როგორც სახელმწიფოს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ძირითადი ფაქტორის, სწორად გააზრება და ვითარებაზე მისი პოზიტიური ზემოქმედების რეალური მექანიზმების შერჩევა-ამოქმედება, ე.ი. სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის და მესაკუთრის (მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების უდიდესი ნაწილის მფლობელის) სოციალური და ეკონომიკური ეკსკლუზიური როლის სწორად გაცნობიერება.

რა უდევს საფუძვლად ასეთ დასკვნას? **ჯერ ერთი ის,** რომ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველია. **მეორე,** ქვეყანაში საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების კონფიგურაცია და ამ პროცესში მონაწილე მთავარი სუბიექტების ურთიერთზემოქმედების (ურთიერთგანპირობებულობის) ჩამოყალიბებული სქემის (სახელმწიფო - პოლიტიკური პარტიები - პროფკავშირები - ბიზნესი - არასამთავრობო სტრუქტურები - მეცნიერება - საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები - ეკლესია) სისტემური ანალიზი. დასახელებული სუბიექტები დამკვიდრებული ტრადიციებითა და გამოცდილებით უშუალო გავლენას ახდენენ ქვეყნის, კერძოდ, მისი ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, თუმცა ცალ-ცალკე მოქმედებენ („ნივთი თავისთავად"), ხშირად კი ერთმანეთს უპირისპირდებიან. მოქმედებს პრინციპი - ყველა ერთის წინააღმდეგ. **სწორედ ეს ერთი, უმეტესწილად, ქვეყნის ინტერესებია.** მათი საქმიანობის (ფუნქციების) კოორდინაცია და საქვეყნო მიზნებისათვის კონსოლიდაცია ვერ ხერხდება. როგორც ჩანს, ქვეყნის განვითარებაში აქტიურად (განმსაზღვრელად) მონაწილე სუბიექტების საქმიანობა ვიწრო მიზნობრივი (უწყებრივი) პოზიციებიდან წარიმართება და ერთობლივ სტრატეგიულ ამოცანებზე ორიენტირებულიც არ არის. ამაშიც არის სახელისუფლებო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ზნეობრივი კრიზისის წარმოქმნის, გახანგრძლივებისა და გაღრმავების ხელშემწყობი (მასტიმულირებელი) გარემოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი.

ქვეყნის განვითარების ინტერესები მოითხოვს სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებას.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული სქემიდან სახელმწიფომ და მეცნიერებამ (სხვა სუბიექტების მხარდაჭერით) უნდა უზრუნველყონ ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისა და განხორციელების კოორდინაციის ამოცანების შესრულება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხერხდება ქვეყნის განვითარების უმთავრესი ფაქტორების სწორად განსაზღვრა (შერჩევა), თანმიმდევრულად და კომპლექსურად ამოქმედება.

რატომ სახელმწიფომ? - მხოლოდ მას შეუძლია ქვეყნის განვითარების დაგროვილი გამოცდილება (პოზიტიური, ნეგატიური), საზოგადოების ცოდნის პოტენციალი, მოსახლეობის სოციალური ენერგია, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროგრესული ტენდენციები (სახელმწიფოებრივად გაცნობიერების საფუძველზე არც ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვა, არც ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა) ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისათვის საჭიროა ქვეყნის განვითარების სწორი (ობიექტური) ანალიზი, პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა, სახელმწიფო მშენებლობის, ისტორიული გამოცდილების და ახალგაზრდული ენერგიის (მემკვიდრეობის პრინციპი) ერთდროულად და ეტაპობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ამოქმედება. აღმშენებლობის პროცესი სახელმწიფო სტრატეგიით (საზოგადოების კონსენსუსით) უნდა წარიმართოს.

რატომ მეცნიერებამ? - ქვეყნის განვითარების ყოვლისმომცველი ანალიზი, პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. სწორედ მეცნიერული (ინტეგრირებული) ცოდნა განსაზღვრავს განვითარების მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალურს. მეცნიერება უნდა ასწრებდეს პრაქტიკის (გამოცდილების) განზოგადებას და შესაბამისი ცვლილებები უნდა შეჰქონდეს შემუშავებულ სტრატეგიაში. ესაა მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის ეკსკლუზიური ფუნქცია (როცა თანამედროვე პირობებში ორივე სწორად აცნობიერებს საკუთარ ეკსკლუზიურ როლსა და ადგილს).

ტანდემი: **სახელმწიფო-მეცნიერება,** საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის მრავალმხრივი წინააღმდეგობებით შეჯერებული პროცესის ლიდერის ფუნქციას უნდა ასრულებდეს და არა აწ უკვე განვლილი პერიოდის კრიმინალური ცნობიერებით აღზევებული ზნეობრივი პრინციპების დამთრგუნველი, ქუჩიდან ხელისუფლებაში, ბიზნესსა და მეცნიერებაში დამკვიდრებული, **მენტალურ ცალმხრივობაზე დაფუძნებული მართვის სისტემა.**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის სისტემური ანალიზით დასტურდება, რომ აუცილებელია ტრანსფორმაციული პროცესების შემდგომი ინტენსიფიკაცია, გამოწვევების ადეკვატური საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება, რომლის განხორციელება მიენდობა თანამედროვე

მენეჯმენტის პრინციპებზე ჩამოყალიბებულ მართვის სისტემებს.

ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა (განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი) არასტანდარტულია, ამიტომ ბუნებრივია მისი შეცვლა მხოლოდ სტანდარტული მიდგომებით, ქრესტომატიული დოგმებით ან ეკონომიკური დემოკრატიის უგულებელყოფით გამორიცხულია. ყველაზე სწორად ვთვლით გამოვიდეთ „ჯადოსნური წრიდან" და **განვახორციელოთ „გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი".** მას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის განვითარების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ძალაუფლებისა და ცოდნის კონცენტრაცია, რომელიც ძირითადად ქვეყნის ბუნებრივი, საწარმოო, შრომითი რესურსების, გეოეკონომიკური პოტენციალის და სხვა ფაქტორის (განსაკუთრებით ორგანიზაციულ-მმართველობითი) ეფექტიანი გამოყენებით და სუვერენული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო (ზესახელმწიფოებრივ) ინსტიტუტებს შორის არსებული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით განისაზღვრება.

„გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი" ეფუძნება სტრატეგიული მიზნისა და მისი მიღწევის მთავარი რგოლის შერჩევის პრინციპს, საკვანძო პრობლემების გადაწყვეტის მიზნით რესურსების კონცენტრაციას, ადეკვატური ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას, კერძო სექტორთან სახელმწიფოს პარტნიორობას, მართვის თვისებრივ სრულყოფას და სხვ. ასეთი სტრატეგიის განსაზღვრისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე შრომის საბაზრო, ასევე სახელმწიფოს მონაწილეობით რეგულირებადი დანაწილების, საკუთრების ფორმების პლურალიზმის (მრავალსუბიექტიანობა), საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები, მართვის ფორმებად: სახელმწიფო პროგრამები, ბიზნეს-გეგმები, საერთაშორისო პროექტები, სახელმწიფო ბიუჯეტი, ეკონომიკურ-ადმინისტრაციული და საბაზრო რეგულირების მეთოდები.

„გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი" თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს მოქნილი პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს. ის გვაძლევს საშუალებას ეკონომიკაში რესურსების მაქსიმალური კონცენტრაციით და საზოგადოების ძალისხმევით, ეტაპობრივად თავი დავაღწიოთ ქრონიკულ ჩამორჩენას. ვგულისხმობთ იმას, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაშვებული შეცდომების შედეგად, ეკონომიკური ზრდა საკმარისი არ არის გამოიწვიოს სოციალური სფეროს თვისებრივი ცვლილებები. მხოლოდ 2018 წელს მოხერხდა მშპ-ს რეფორმამდელი 1990 წლის დონის მიღწევა. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენაა მატერიალური წარმოების სფეროში. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საქართველოში 2021 წელს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა 1990 წლის დონეს. ამ დარგებში კვლავწარმოების შეკვეცილ ფორმასთან გვაქვს საქმე. წარმოების ძირითადი ფაქტორები (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) არარაციონალურად და არაეფექტიანად გამოიყენება. ამიტომაა, რომ ეკონომიკა სისტემური კრიზისის ქრონიკული ფაზისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ავლენს და სახელმწიფოს მხრივ სათანადო (დროისა და სივრცის ადეკვატურ) მხარდაჭერას საჭიროებს.

ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ საბაზრო (თანაც სუსტი) მექანიზმებით შეუძლებელია.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი გვაქვს: „ჩამორჩენის წრე" უნდა გავარღვიოთ და დროის გამოწვევებით დასმული ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიულად სწორი მიმართულებები განვსაზღვროთ. საკუთარი და გარე ძალების (საერთაშორისო თანამეგობრობა) მიზანმიმართულად გამოყენებით განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე **(არაეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა)** გადაყვანის მატერიალური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები მოვამზადოთ. ამისათვის ქვეყანაში ხელშემწყობი პირობები შექმნილია. „წრის" გარღვევა არ არის რთული, მაგრამ უფრო რთულია იმის განსაზღვრა, თუ საით წავიდეთ? ქართული ზღაპრებისა არ იყოს - მარჯვნივ წახვალ - გარკვეული სახის საფრთხეა, ასევე მარცხნივაც, ადგილზე გაჩერება აზრს კარგავს, კრიზისის სივრციდან გამოსვლა კი აუცილებელია. სხვა შემთხვევაში გლობალიზაციას უნდა დანებდე, ე.ი. მასში უნდა აითქვიფო, რაც ქვეყნის გაქრობას გამოიწვევს, გლობალიზაციასთან ბრძოლა კი იმავე შედეგებით დასრულდება. დარჩა ერთად-ერთი გზა - გლობალურ პროცესებს უნდა მოვერგოთ. **ამრიგად, გვჭირდება „გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი" - დროებითი ღონისძიებათა სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკის თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადაყვანა. ასეთი სტრატეგია უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკის კრიზისული გარემოდან გამოყვანისა და ევოლუციური (ინოვაციური) პროცესების დაჩქარების ინსტრუმენტი, ანუ, იგი ანტიკრიზისულია და მის აუცილებლობას თავად პრაქტიკა გვთავაზობს.**

საქართველოში საბაზრო პრინციპებზე ეკონომიკის გარდაქმნის გამოცდილებამაც აჩვენა, რომ სახელმწიფო და ბაზარი ანტიპოდები არ არიან. ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, პირიქით, ერთმანეთს ავსებენ ურთიერთმოქმედებით, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით ერთ მთლიანს შეადგენენ. სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის პირობებში „უხილავი ხელისა" და „ხილული ხელის" ურთიერთმოქმედებით იქმნება სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

რა უპირატესობა აქვს „გარღვევის სტრატეგიას"? როგორც აღინიშნა, **მისი სტრატეგიული მიზანი (ანუ მთავარი რგოლის შერჩევის პრინციპი) - დაბალანსებული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაა. მიზნის მიღწევის საშუალებად კი მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, ასევე ინტელექტუალური**

პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება მიიჩნევა. სწორედ ასეთ შემთხვევაში დასახული მიზნის განხორციელებისათვის კონცენტრირებულად უნდა იყოს გამოყენებული ქვეყნის მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი. ასევე გასათვალისწინებელია თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარების რიგი თავისებურებანიც. კერძოდ, ბიზნეს სუბიექტთა ერთობლიობა განსაზღვრავს დარგის (მიკრო დონე), ტერიტორიის (მეზო დონე) და ქვეყნის (მაკრო დონე) სტრუქტურას, პოტენციალს, სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის საფუძვლებს.

„გარღვევის სტრატეგიის" ამოსავალ საწყისად უნდა ავიღოთ „სამუშაო ადგილი" (დასაქმებულის კვალიფიკაციის გათვალისწინებით), წარმოების და შრომის ორგანიზაციის პირველადი დონე. სწორედ აქედან უნდა დაიწყოს განვითარების დაგეგმვა (მაორიენტირებელია საბაზრო და სახელმწიფო ინტერესები, მეწარმის (ფიზიკური თუ იურიდიული პირის) და სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებებიც). ასეთი მიდგომით ჩამოყალიბებული სტრატეგია (გეგმა) უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ფართო ჯგუფების ინტერესების დაცვას. იგულისხმება, რომ განვითარების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობს ათიათასობით დაინტერესებული საბაზრო სუბიექტი, რომლებიც ხელს უწყობენ ერთმანეთთან ურთიერთობების გაღრმავებას, პრობლემების ერთობლივად გააზრებას და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების მოძიებას, არსებული ინფორმაციის (ცოდნის) უშუალოდ გაცვლას, რასაც ცალკე აღებული სუბიექტი სხვა შემთხვევაში ვერც მიაღწევდა. ასეთ პირობებში ყალიბდება ობიექტური საფუძველი - წინასწარ განისაზღვროს განვითარების სწორი მიმართულებები, ეტაპები, შეფასდეს ტენდენციები, საგარეო-ეკონომიკური პოტენციალი, განისაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის შესაბამისი მექანიზმები (სოციალური პარტნიორობის და სხვა ინსტიტუტები). განვითარების ასეთი მიდგომებით ჩამოყალიბებული სცენარი (გეგმა, პროგრამა) მოიცავს ეკონომიკური პროცესების დაგეგმვის მრავალმხრივობის, მრავალვარიანტულობის (კონსენსუსი) შესაძლებლობას და განვითარების მიმართულებების განსაზღვრისას უხეშ შეცდომებს თითქმის გამორიცხავს.

აღნიშნული მოდელით განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინსტრუმენტის - სახელმწიფოს მიზნობრივი პროგრამის ფორმირება-განხორციელება. მაგალითად, შედგეს „2030 წლამდე პერიოდისათვის - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება-მოდერნიზაციის სახელმწიფო პროგრამა", სადაც კომპლექსურად იქნება წარმოდგენილი ღონისძიებათა შესაბამისი სისტემა (ქვეპროგრამები), რომელთა განხორციელებით შეიქმნება არაეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის დაბალანსებულ (ეფექტიან) სისტემაზე თანდათანობით გადასვლის ხელშემწყობი პირობები. პროგრამის მეთოდოლოგიური საფუძველია სტრატეგიული მიზნისა (ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემა) და მისი მიღწევის მთავარი რგოლის (ძირითადად საკუთარი რესურსული პოტენციალის **(ბუნებრივი, საწარმოო, შრომითი, ინტელექტუალური, გეოეკონომიკური, ზნეობრივი და სხვ. რაციონალურად გამოყენება)** შერჩევის, საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად რესურსების კონცენტრაციის პრინციპები. ასეთი სტრატეგიის (პროგრამის) ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვის და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

პროგრამაში პასუხი უნდა გაეცეს სამ მთავარ კითხვას:

პირველი, განვითარების რომელ საფეხურზეა ქვეყანის ეკონომიკა? ამ კითხვაზე პასუხი იმიტომ გვჭირდება, რომ ვიცოდეთ როგორია განვითარების („გარღვევის") სასტარტო ბაზა, თავისებურებანი, ტენდენციები, გამოვლენილი კანონზომიერებანი, საზოგადოების ქცევის წესები (მოტივაცია), გლობალურ პროცესებთან ადაპტირების უნარი და სხვა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას და სტრატეგიულ დაგეგმვას;

მეორე - საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი)? როგორ სიტუაციებში (რისკები) განვითარდება ეკონომიკა? საკმარისი არ არის ვიცოდეთ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები, აუცილებელია გარემო (მეზობელი ქვეყნების) და სხვათა ინტერესების (პოტენციალის) შესწავლა, მათი თანხვედრის თუ დაპირისპირების, მოსალოდნელი გამოწვევებისა და მუქარების პროგნოზირება, რათა კვლევის თანამედროვე მეთოდებით სწორად განისაზღვროს განვითარების მთავარი მიმართულებები;

მესამე - რომელ რესურსებზე ვაპირებთ ორიენტაციას და რა პერიოდულობით ვფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას? ამისათვის აუცილებელია სწორად განისაზღვროს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია, ამოცანები, მისი განხორციელების ფორმები და მექანიზმები, დაფინანსების წყაროები (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, გეოეკონომიკური რესურსები, მმართველობითი მოდელი და სხვ.).

პროგრამაში უნდა განისაზღვროს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის (დარგებისა და ძირითადი სახეობების მიხედვით) რეალური რაოდენობრივი პარამეტრები (ნატურალური მოცულობები, ტემპები), მათი მიღწევის ეტაპები, პოლიტიკური და ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

ეკონომიკური ზრდის დასახულ მიზანს უნდა მიესადაგოს ეკონომიკის საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების მოცემული სიტუაციისათვის მისაღები ფორმები, მეთოდები, რათა მივაღწიოთ მათ კომპლექსურ, მიზანმიმართულ გამოყენებას. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს სტრატეგიულ მიზანს დაქვემდებარებული ამოცანები: როგორი უნდა იყოს ეკონომიკის ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზა, საბიუჯეტო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასწარმოქმნის მექანიზმი, სახელმწიფო ვალების მომსახურების სისტემა, სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი, საინვესტიციო პოლიტიკა, პროგნოზირებისა და ქვეყნის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მექანიზმი, სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, საგარეო-ეკონომიკური

ურთიერთობების რეგულირების მექანიზმი, რეგიონების განვითარების პრინციპები და სხვა.

პროგრამაში დაცული უნდა იყოს ქვეყნის მეგა, მაკრო, მეზა და მიკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკის ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე განხორციელების პრინციპი.

„გარღვევის სტრატეგია-მობილიზაციურ (ინოვაციურ) მოდელში“ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ახალ ფუნქციებს შეიძენს. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდება არსებული მატერიალური რესურსების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური ფაქტორების მიზანმიმართული გამოყენება, სხვადასხვა დონეზე მათი გადანაწილება და კოორდინაცია. ყოველივე ეს ემსახურება ერთ მიზანს - ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას.

ამასთან, მიკროდონეზეც, რომელიც ობიექტურად საბაზრო მექანიზმების გავლენის სფეროს განეკუთვნება, რეალურად შეფასდება რამდენად ადეკვატურია მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რამდენად რაციონალურია რეგულირების მექანიზმების თანაარსებობა, რამდენად ყაირათიანად გამოიყენება არსებული პოტენციალი და ა.შ.

სამწუხაროდ, საქართველოში ეკონომიკის განვითარების მიკრო დონე სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა. ამის მაგალითია მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების, ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა, როცა ასეულ ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა არ მუშავდება, წიაღისეული ეფექტიანად არ გამოიყენება, მეცნიერება განვითარებაში ჩამორჩა. მიკროდონეს ფაქტობრივად „ამშვენებს“ ახლად შეძენილი მენტალიტეტის სიმბოლო - საშოვარზე გადახვეწილი ოჯახის წევრის სიმწრის ოფლით ნაშოვნი ფულის გაფლანგვას შეჩვეულნი ფიზიკურ შრომას თაკილობენ და არც არავინ სთხოვს საკუთარ ოჯახში სარჩო რატომ არ შეაქვს. სწორედ ეს არის შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების და ათასი სხვა დაშვებული შეცდომის შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბებული რეალობა, რომელშიც **სიღარიბე (სიღატაკე) ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად ჩამოყალიბდა (წარმოჩინდა).**

სიღარიბესთან ბრძოლის სხვადასხვა დროს საქართველოში გამოყენებული ფორმები (ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ერთი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა, პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“, „სტრატეგიები“, სიღარიბის მაჩვენებლების ხელოვნურად შემცირება და რიტორიკულ ლოზუნგებს ამოფარებული სხვა დაპირებები, საკმარისი არ აღმოჩნდა. ქვეყანაში შეიქმნა საშიში ვაკუუმი - ერთი მხრივ, „ახალი მდიდრები“ (ისინი, სამწუხაროდ, ცოტანი არიან და ამიტომ აფერხებენ განვითარებას) და მეორე მხრივ, „ახალი ღარიბები“ (სამწუხაროდ, ისინი საზოგადოების დიდი ნაწილია). ამ დროს კი საშუალო ფენის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება.

სიღარიბის დაძლევის ერთადერთი გზა გვაქვს - შევქმნათ ეფექტიანი ეკონომიკური სისტემა (ჩვენს შემთხვევაში „გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელის“ მიზანიც სწორედ ეს არის). ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის (მით უფრო მოდერნიზაციის) ცენტრალური ღერძი თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიებზე გადის. ვხედავთ, რომ დეინდუსტრიალიზაციის პროცესი, თუ იგი არ შევაჩერეთ, უფრო გააღრმავებს დეინტელექტუალიზაციის წანამძღვრების მომზადების არსებულ წინააღმდეგობებს. დღევანდელი ეტაპის ეს თავისებურება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მრეწველობის, ენერგეტიკის განვითარებას განსაკუთრებულ აქტუალურობას ანიჭებს. ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსურ განვითარებას, განსაკუთრებით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება-მოდერნიზაციას სამრეწველო პოტენციალი უნდა დაედოს საფუძვლად.

ქვეყნის ეკონომიკაში აგრარული მეურნეობა მუდამ იქნება მისი საერთო იერსახის სიმბოლო (არაიმდენად ეკონომიკის განვითარებაში მონაწილეობის დონით, არამედ მისი ყველა დარგისაგან გამორჩეული - ექსკლუზიური როლითა და ფუნქციებით). **ისტორიული წარსულის გამოცდილებაც ადასტურებს, რომ აგრარული მეურნეობის ეფექტიანი განვითარება ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უპირობო ფაქტორია, რაც მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მაღალ ორგანიზაციას გულისხმობს. აგრარული მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მიდგომა და ცოდნაზე დაფუძნებული მოვლა სჭირდება.** ჩვენ კი სამრეწველო საფუძველზე ჩამოყალიბებული დარგის მატერიალური და ორგანიზაციული ბაზა მოვშალეთ. ინტენსიურ მიწებს არ ვამუშავებთ. მიწა გაველურდა (თოხი და სხვა ინვენტარი დაჟანგდა, ტრაქტორი ჯართად გაიყიდა), ძირითადად, უცხოეთიდან შემოტანილი პურით ვიკვებებით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარიც კი შემოგვაქვს. ეს იმიტომ ხდება, რომ აგრარულ მეურნეობას დღემდე განვიხილავთ როგორც ბიზნესს (მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას), მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება არაკონკურენტუნარიან ნატურალურ მეურნეობას ეყრდნობა და მას ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი მატერიალური და ორგანიზაციული ბაზა არა აქვს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსული (განსაკუთრებით წიაღისეულის) პოტენციალის ეკონომიკური ზრდის პროცესში ეტაპობრივად ჩართვის ღონისძიებანი თანამედროვე მეცნიერული მიდგომების საფუძველზე და თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

ამრიგად, ახალ პირობებში, ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში ამოსავალი უნდა იყოს უპირატესად ადგილობრივ რესურსებზე ორიენტირებული მატერიალური წარმოების სფერო. აქ შექმნილი დოვლათის ზრდა განაპირობებს ეკონომიკის სხვა დარგების, განსაკუთრებით, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეფექტიან ფუნქციონირებას.

ახლებურ გააზრებას მოითხოვს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.

საქართველოს ეკონომიკა რეგიონულ ეკონომიკათა

ერთიანი მთლიანობითი სისტემაა, რეგიონების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერებათა, სამეურნეო ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ ქვეყნის შიდა რეგიონულ მრავალფეროვნებას, როგორც განვითარების რესურსს, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და მომავალშიც ექნება.

ქართული სოფელი (თემი), რომელსაც დღეს სტატუსიც არ აქვს, დაბა, ქალაქი, რაიონი (ახლა მუნიციპალიტეტი), მხარე, ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც მთელის (ქვეყნის) ნაწილი და თავადაც მთელი მათი შემადგენელი ნაწილების მიმართ ერთიანი გენეტიკური ფესვებით, ტრადიციებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებით, ის ნიშანსვეტია, რომელიც ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს. **სწორედ ამ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ ქართული რეგიონალიზმის ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრის ფილოსოფიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური საწყისი.**

ახალ მოდელში გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში ცხოვრების ბუნებრივი და საწარმოო პირობები არათანაბრადაა განაწილებული. ამიტომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების ამოცანა ისტორიულიც არის და კომპლექსურიც.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა წარიმართოს მიზნობრივად და კომპლექსურად. მათ შორის, მთის რეგიონებს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. **ერის განვითარებაში მთის ფენომენის ისტორიული დანიშნულების (ფუნქციების) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სწორად გაცნობიერება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

ქვეყნის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებების მიმართ ეროვნული ეკონომიკის ადაპტირების პრინციპები (როგორ გეოეკონომიკურ სივრცეში მოუწევს ფუნქციონირება), თავიდან უნდა ავიცდინოთ ახლო პერიოდში მოსალოდნელი საფრთხე, - კრიზისიდან გამოსვლის საბაბით, ამჯერადაც თავს არ მოგვახვიონ ქვეყნის რესურსული პოტენციალის (განსაკუთრებით მიწის რესურსების, სხვა აქტივების) უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების ხელშემწყობი გარიგებები. მწარე გამოცდილებიდან დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

საინვესტიციო პოლიტიკაში წინასწარ შედგენილი პროექტების მიხედვით (ინვესტიციების მოზიდვის სფეროების შერჩევით) უნდა განისაზღვროს სად და რა მოცულობით, როგორი წინაპირობებით და მოსალოდნელი შედეგებით დაბანდდეს ინვესტიციები, რომ შექმნილი აქტივები ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას მაქსიმალურად ხელს **უწყობდეს. ყოველმხრივ წახალისებას საჭიროებს ქვეყნის მოქალაქეთა კაპიტალის ეროვნულ ეკონომიკაში დაბანდების პროცესი.** ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტიულ ფორმებად მიგვაჩნია ერთობლივი საწარმოების, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, გრძელვადიანი იჯარის, ლიზინგის გამოყენება და სხვა.

ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის და მართვის როლის გაძლიერებისა და რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში მიზანშეწონილია შეიქმნას პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის დეპარტამენტი (ან სხვა ფორმით). მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების, ინდიკატიური გეგმების და მათი განხორციელების შესაბამისი ღონისძიებების შედგენა.

თანამედროვე პირობებში სტრატეგიული დაგეგმვის და მართვის უპირატესობა ისაა, რომ განვითარების პროცესის (ეტაპების თავისებურებების გათვალისწინებით) დაგეგმვა ხდება „ქვევიდან" და ეფუძვნება კონსულტაციების, შეთანხმებების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს. ამასთან, ასრულებს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას. **სტრატეგიული დაგეგმვის ამოცანაა მთავრობის მიმდინარე და საშუალო ვადიანი** სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და სტრატეგიის ჩამოყალიბება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების ძიება, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგის და სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაცია.

2006 წელს „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" კანონის გაუქმებით ქვეყანაში უფრო გაღრმავდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან სახელწიფოს თანდათანობით ჩამოცილების პროცესი, რამაც ქვეყნის ისტორიული განვითარების ჩამორჩენა განაპირობა.

სამწუხაროდ, აღნიშნული კანონი გაუქმდა რეფორმატორთა სუბიექტური მოსაზრებებით, როგორც „სოციალიზმის გადმონაშთი". მაშინ, როცა სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამ სტრიქონების ავტორის უშუალო მონაწილეობით) მიერ მომზადებული საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკა 2003 წელს დაამტკიცა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ. მეთოდიკით, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში, ინდიკატური დაგეგმვა განისაზღვრა როგორც განსაკუთრებული, წინასწარ დაგეგმილი წესით კოორდინირებული მეცნიერულ-ანალიტიკური და პროგნოზული დამუშავების სისტემა, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის რეალურ მისაღწევ ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) ჩამოყალიბება და მათი უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ აღნიშნული კანონის გაუქმებამ ქვეყანაში სტრატეგიული დაგეგმვის იგნორირება გამოიწვია. ეს მაშინ, როცა მსოფლიო გამოცდილება, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების ტენდენციები ადასტურებს, რომ ეკონომიკური დაგეგმვა საბჭოური წყობის უშუალო წარმონაქმნი არაა და სახელმწიფოს იერარქიის ყველა დონეზე მართვის აქტიური ინსტრუმენტია, რომელიც შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების, გლობალიზაციის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეგიონალი-

ზაციის ერთიან სივრცეში, ეფუძნება საკუთრების ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმების შეთანწყობილ მოქმედებას, ეკონომიკის განვითარების პროგნოზებს, მრავალვარიანტულობას, განსაზღვრავს მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელთა სისტემის ინდიკატორებს, პრიორიტეტებს, ინტეგრაციული პროცესების მიმართულებებს, პროპორციებს, ტემპებს.

სტრატეგიული (ინდიკატიური) გეგმა ფორმით, შინაარსით კოორდინაციის ყოვლის მომცველი მექანიზმია. განვლილ პერიოდში მისი განსაკუთრებული ფუნქციაც გამოჩნდა: სახელმწიფო და საზოგადოება მუდმივად გრძნობს ქვეყნის განვითარების მაჯისცემას. ინდიკატური გეგმა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების საფუძველია. და ბოლოს, ეკონომიკური დაგეგმვა თვითმიზანი არ არის. **იგი სტრატეგიული მიზნის - მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთ-ერთი, მაგრამ შეუცვლელი საშუალებაა (ინსტრუმენტი). თანამედროვე სახელმწიფოს ექსკლუზიური ფუნქციაც სწორედ ეს არის.**

იმათ საყურადღებოდ, ვინც უგულებელყოფს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობას, შევახსენებთ, რომ გეგმის, პროგნოზირების პროგრამის პროექტები, როგორც დაგეგმვის შედეგად წარმოებული პროდუქცია, არ ყალიბდება, როგორც დირექტიული. ამ სტატუსს მას ანიჭებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილება.

სტრატეგიული დაგეგმვის ამოსავალი საწყისი (ორიენტირი) უნდა იყოს სამუშაო ადგილი და ბაზარი (როგორც წარმოებითი ურთიერთობის მექანიზმი), კონკურენცია („უხილავი ხელი"), როცა ეკონომიკური პროცესის მოქმედების სივრცე განისაზღვრება „ხილული ხელის" (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) მონაწილეობით და მათ შორის, კოორდინაციის ფუნქციები ეკონომიკური მიზანშეწონილობის (საბაზრო ლოგიკა) საფუძველზეა განაწილებული.

„გარღვევის სტრატეგიაზე" მუშაობა განვლილი პერიოდის სიღრმისეულ ანალიზს, შესაბამის დასკვნებს მოითხოვს, ამასთან, რაც მთავარია, ხელისუფლება და ქვეყნის ინტელექტუალური ძალები ამისთვის მზად უნდა იყონ.

საქართველომ ძირითადად 2030 წლამდე უნდა შეძლოს ეფექტიანი (დაბალანსებული) ეკონომიკური სისტემის ფორმირება. ამისათვის შესაბამისი წინაპირობები - პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა (გეოეკონომიკა, საბაზრო მენტალიტეტი, ინტეგრაციული პროცესები, განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი, კერძო სექტორის დომინირებადი მდგომარეობა და ა.შ.) ფაქტობრივად შექმნილია. სამეწარმეო სფეროში რეგისტრირებულ საწარმოთა 99,0%, წარმოებული პროდუქციის 95,6%, ძირითადი კაპიტალის 80%-მდე არასახელმწიფო სექტორშია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 100%, სამრეწველო პროდუქციის 96%, სატრანსპორტო პროდუქციის 60%-მეტი, სამშენებლო პროდუქციის 98-%-ზე მეტი კერძო სექტორში იწარმოება. ასევეა მომსახურების სფეროც (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021 წელი).

ამრიგად, კერძო საკუთრება ეროვნული ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი პირობა გახდა, თუმცა ეკონომიკური სისტემა არაეფექტიანია. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოსთან პარტნიორობის გარეშე ეკონომიკა ეფექტიანი ვერ იქნება. ძლიერი ეკონომიკის გარეშე პოლიტიკური სუვერენიტეტიც კი ფიქციაა. კერძო სექტორის, ბაზრის და სახელმწიფოს თანაარსებობა, პარტნიორული თანამშრომლობა, ინტერესთა თანხვედრა არის ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირების გარანტი. ესაა მთავარი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენივე რეალობის ანალიზიდან.

დღეს საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამი სტრატეგიული რესურსის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას: **მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების პოტენციალი; გეოსტრატეგიული ფაქტორი, როგორც გლობალურ პროცესებთან ადაპტირების ფორმა; ინტელექტუალური პოტენციალი, რომელსაც სამწუხაროდ მილევად ფენომენად თვლიან, მაშინ როცა იგი სიცოცხლისუნარიანია და დროის ცვალებადობასთან ადაპტირებადიც.** ამ რესურსების კომპლექსურად, თანამედროვე მეცნიერული მიდგომების საფუძველზე გამოყენების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა (განვითარება) ისევ შეფერხდება. **ამიტომ აღნიშნული რესურსების ერთობლივად, მიზნობრივად და კომპლექსურად გამოყენება ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს ექსკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციაა.**

განსაკუთრებულ ყურადღებას და მრავალმხრივ ანალიზს საჭიროებს ახალი ნიშან-თვისება, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიძინა თავად ფორმირების პროცესში მყოფმა საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდგომარეობა (ტრასეკა, ენერგეტიკული დერეფანი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, შავი ზღვის პორტები) და შესაბამისად ახალი ფუნქციაც - ქვეყნის ტერიტორიაზე ფორმირებადი საერთაშორისო კაპიტალის შექმნაში მონაწილეობს, რაც პერსპექტივაში მისთვის ევროპისა და აზიის ქვეყნების ინტერესების გადაკვეთაზე, ძლიერ სუბიექტად დამკვიდრების უნიკალური შესაძლებლობა და გეოეკონომიკური უპირატესობაცაა. ახალ სივრცეში წარმოდგენილია როგორც ევროპული, ისე აზიური კომპონენტები, რომლებიც შორეული წარსულის ძლიერ ფესვებზეა აღმოცენებული. ეს კი თვისებრიობაა და ნიშნავს იმას, რომ ქართული ფენომენი ევროაზიულია. დღეს საქართველო დგას ევროპისა და აზიის განსხვავებული ეკონომიკური პარადიგმების (ტენდენციების, თავისებურებანის) გაცნობიერების მიჯნაზე, სადაც საერთო ნიშნები პოლიტიკური და ეკონომიკური მენტალიტეტისა (ინტერესთა ერთობლიობა) განსაზღვრავს თანაარსებობის პრინციპებს (წესებს).

საქართველო მიმზიდველია, როგორც ბუფერული სივრცე. დასავლეთისათვის (აშშ, ევროკავშირი) საქართველო მიმზიდველია და მისაღები მათ ფასეულობებთან (კონსოლიდირებულ ინტერესებთან) სიახლოვის, ხოლო აზიის ქვეყნებისათვის - საერთო (საზიარო) ისტორიული ფესვების: ტრადიციების, შეხედულებათა ტოლერანტობის, წარმოების აზიური წესის და სხვა

გარემოებათა გამო. ამიტომ წინა პლანზეა წამოწეული მისდამი ნდობის (რწმენის) ფაქტორი. ამასთან ერთად ინტეგრაციული პროცესების განვითარების დიდი მასშტაბები (საერთოდ წარმოების აზიური ტენდენციები) გვიჩვენებენ, რომ ცალმხრივად არ უნდა მივუდგეთ გეოეკონომიკური როლის უპირატესობის შეფასებას.

ევროპასთან და აზიასთან ინტეგრაცია არა მხოლოდ საქართველოს სჭირდება, არამედ საქართველო ევროპისა და აზიის ქვეყნების ინტერესების ობიექტია. საქართველო მათთაც სჭირდებათ. ამას ადასტურებს საქართველოს ევრაზიის სივრცეში შუა დერეფნის როლის მზარდი ტენდენციაც. ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ამჟამად ჩინეთიდან ინგლისამდე, საფრანგეთამდე და გერმანიამდე ტვირთის გადატანას სჭირდება 45-62 დღე, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის გზით ეს დრო მცირდება 12-15 დღემდე. ევრაზიულ დერეფანს ემსახურება საზღვაო ტრანსპორტი და პორტები. პერსპექტივაში დიდ როლს შეასრულებს ანაკლიის პორტიც. პერსპექტიულია ენგური-გალის მონაკვეთზე (სივრცეში) ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციით.

გვერდს ვერ ავუვლით პლანეტის უნიკალური რეგიონის - კავკასიის ეკონომიკური სივრცის (ერთიანი ბაზრით) ფორმირებას, საქართველოს ექსკლუზიური როლისა და შესაძლებლობის გამოყენების პერსპექტივას. მოცემულობა ასეთია: მსოფლიოში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური კონიუნქტურა, აზიის ფენომენის მზარდი ხასიათი, რუსეთის, აშშ, ევროკავშირის, ჩინეთის, ინდოეთის, თურქეთის, ირანის, შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების თავისებურებანი, ორიენტირები, შავი ზღვის აუზის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის კომპლექსური ხასიათი, ბუნებრივი და შრომითი რესურსული პოტენციალის აზიაში კონცენტრაციის მასშტაბები საქართველოს უქმნის ხელსაყრელ გარემოს ევრაზიის სივრცეში მანევრირებისათვის. **ეს განვითარების სტრატეგიული რესურსია, რომლის გონივრული გამოყენება ამავდროულად ეროვნული თანხმობის მიღწევისა და სიმტკიცის გარანტიაც იქნება (გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობა, თუკი მათი შერწყმა (კონცენტრაცია) ხდება ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის).**

მოცემულ სიტუაციაში უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეროვნული ეკონომიკის (მთლიანად ევრაზიის ქვეყნების) განვითარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ჩინეთის პროექტთან „ერთი სარტყელი, გზების ინიციატივა", რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ევრაზიის დიდ ნაწილს და აერთიანებს, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებს. ევრაზიის სივრცე მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 60%-მდე (ზრდის დიდი პერსპექტივით). პროექტის საინტერესო მხარეა ის, რომ იგი ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს და შეესაბამება როგორც ჩინეთის, ასევე მონაწილე ქვეყნების ინტერესებს. ამას ადასტურებს საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაც. ამან ასახვა ჰპოვა ივლისში გაფორმებულ ჩინეთ-საქართველოს პარტნიორულ ურთიერთობების დამყარების შესახებ შემუშავებულ დოკუმენტში - ეს ახალი მოვლენა გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ როლთან, რომლის შესრულება მოუწევს ქართულ სახელმწიფოს - მაქსიმალურად გამოიყენოს ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ინტეგრაციის ხელსაყრელი გარემო ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის, რაც გაუადვილებს მას გლობალურ პროცესებთან ადაპტირებას. იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმის გამოყენებით: ეკონომიკური მოდელებით, ინტეგრაციული კავშირების მიზანშეწონილობით, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით და სხვ.

დასკვნა

საქართველოს ბუნებრივი რესურსები ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველია. სამწუხაროდ, მათ არარაციონალურად, არაეფექტიანად ვიყენებთ. რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი კომპეტენტური სახელმწიფოებრივი რეგულირების მიღმა დარჩა.

ეროვნული ეკონომიკის 30 წლიანი ტრანსფორმაციული პროცესების შედეგები გვიჩვენებს, რომ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებული მოვლენები (პროცესები) რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა. მათი გადაწყვეტა მოკლე პერიოდში შეუძლებელია. საჭიროა ინტეგრაციული პროცესების (როგორც რესურსის) რაციონალური გამოყენება. ეს მიიღწევა მხოლოდ თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე ჩამოყალიბებული მართვის სისტემების ფორმირება-გამოყენებით.

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის წარმატებული ფუნქციონირება არსებითად დამოკიდებულია პროცესში ჩართული სუბიექტების ურთიერთმოქმედების და ურთიერთგანპირობებულობის დონეზე, გარე და შიდა პირობებზე, სწრაფად ცვალებად მენტალიტეტზე. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბიზნესისა და სახელმწიფოს პარტნიორული ურთიერთობების სწორად გაცნობიერებას. იმის მიხედვით, თუ როგორ გვაქვს წარმოდგენილი ინტეგრალური რესურსები, არსებითად განისაზღვრება მატერიალური და შრომით რესურსებთან შერწყმული ყველა ბუნებრივი რესურსის კონკრეტული სახეების (ნივთობრივი, ენერგეტიკული და ინფორმაციული) სისტემური ერთობლიობა. ეს სისტემა (ინტეგრალური) ხასიათდება იმით, რომ ერთი შემადგენლის თვისობრივი ცვლილება იწვევს მეტნაკლებად შესამჩნევ რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს.

ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა საბაზრო პრინციპებზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემა არაეფექტიანად ფუნქციონირებს, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ბიზნესის წინაშე ლოგიკურად დგება მისი ეფექტიან საბაზრო ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნის ამოცანა. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა არსებითად დამოკიდებულია სახელმწიფო-მეცნიერების ტანდემის ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ფუნქციონირების უნარზე. ტრანსფორმაციული პროცესების 30 წლიანი გამოცდილების ანალიზით დასტურდება, რომ აუცილებელია გარდაქმნების შემდგომი ინტენსიფიკაცია, გამოწვევების დაძლევის

საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება, რომლის განხორციელება მიენდობა თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე ჩამოყალიბებულ მართვის სისტემებს.

იმისათვის, რომ დავძლიოთ ეკონომიკის განვითარებაში დაშვებული შეცდომებით გამოწვეული ჩამორჩენა, აუცილებელია შევიმუშავთ და განვახორციელოთ „გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი". იგი უნდა დაეფუძნოს სტრატეგიული მიზნისა და მისი მიღწევის მთავარი რგოლის შერჩევის პრინციპს, რესურსების კონცენტრაციას, თანამედროვე მენეჯმენტის ფუნქციების რაციონალურად გამოყენებას, პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის (მართვის) პრინციპებს. ჩვენი აზრით სტრატეგიულ მიზნად უნდა განვსაზღვროთ თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომელსაც ექნება ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების რეჟიმში ფუნქციონირების პოტენციალი.

მიზნის მიღწევის საშუალებად უნდა მივიჩნიოთ - მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების, ასევე ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება.

აღნიშნული მოდელით განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინსტრუმენტის - სახელმწიფოს მიზნობრივი პროგრამის შედგენა-განხორციელება. ამ მიზნით უნდა შედგეს „2030 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება-მოდერნიზაციის სახელმწიფო პროგრამა".

„გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი" უნდა განვიხილოთ როგორც ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და ევოლუციური (ინოვაციური) პროცესების დაჩქარების ინსტრუმენტი, ანუ იგი ანტიკრიზისულია და მის აუცილებლობას თავად პრაქტიკა გვთავაზობს.

საქართველოში საბაზრო პრინციპებზე ეკონომიკის გარდაქმნის გამოცდილებამაც აჩვენა, რომ სახელმწიფო და ბაზარი ანტიპოდები არ არიან. ისინი ერთმანეთს ავსებენ ურთიერთმოქმედებით და ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით ერთ მთლიანს შეადგენენ. ბაზრის „უხილავი" და „ხილული" ხელი ურთიერთმოქმედებით ქმნის მდგრადი განვითარების ხელშემწყობ გარემოს.

ამჟამად, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამი სტრატეგიული რესურსის რაციონალურად, ეფექტიანად და ერთდროულად გამოყენებას. ესენია: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, გეოეკონომიკური ფაქტორი - გლობლურ პროცესებთან ადაპტირების უმნიშვნელოვანესი ფორმა და ინტელექტუალური პოტენციალი, რომელსაც სამწუხაროდ, მილევად ფენომენად თვლიან, თუმცა იგი დღესაც სიცოცხლის უნარიანია და დროის ცვალებადობასთან ადაპტირებადიც. აღნიშნული რესურსების ერთობლივად, მიზნობრივად და კომპლექსურად გამოყენება ქვეყნის განვითარების თანამედროვე პირობებში სახელმწიფო-მეცნიერების (ტანდემის) ეკსკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს.), თბილისი, 1991 წელი;

2. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием, профессиональная и сельскохозяйственная объединенных наций, Рим, 2018 год;

3. ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2015 წელი;

4. ნ. ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი, 2018 წელი;

5. ნ. ჭითანავა, თ. ურუშაძე, Land Reform in the Post-Soviet Space (on the Example of Georgia), Lambert Academic Publishing, 2019;

6. ნ.ჭითანავა. გლობალური გამოწვევები ერთლოლუსიან მსოფლიოში. საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები, თბილისი, 2021 წელი;

7. პ. კოღუაშვილი. კოოპერაცია - სოფლად კრიზისების დაძლევის ეფექტიანი მექანიზმი, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2012 წ. № 6(7), გვ. 37–41;

8. ე. ნაკაიძე საქართველოს მიწის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ., „მეცნიერება", 1997 წელი

9. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული. თბილისი, 2004 წელი;

10. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბილისი, 2005 წელი;

11. საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბილისი, 2016 წელი;

12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, წლიური ანგარიში, 2017 წელი;

13. Европейская экономическая комиссия, Женева – управление земельными ресурсами в Европе, Тенденции развития и основные принципы Организации Объединенных Наций, Нью-Йорк-Женева, 2005 год;

14. Джефф Малган, «Искусство государственной стратегии мобилизация власти и знания во имя всеобщего блага». Москва, 2011 год. Изд. Института Гайдара.

ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლების კონცეპტუალური ვექტორები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.02

ლავრენტი ჭუმბურიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ბაფ აღმასრულებელი დირექტორი,
https://orcid.org/ 0009-0009-5950-2391
E-mail: lavrenti@baf.ge

ლევან საბაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ პროფესორი ბაფ გამგეობის წევრი,
https://orcid.org/ 0000-0002-7980-4268
E-mail: sabaurilevan@gmail.com

იური პაპასქუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
სსუ პროფესორი,
საბფმფ აღმასრულებელი დირექტორი
https://orcid.org/0000-0002-7849-2426
E-mail: papaskuaiuri@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომი ეხება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლების აუცილებლობას - ამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის პერსპექტივას.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ გამოწვევებზე, რომლებიც დარგში განხორციელებული რეფორმების შემდეგ დაგროვილმა გამოცდილებამ გამოკვეთა და შემდგომ დახვეწას, დროის შესაბამისად ახლებურ გადაწყვეტილებებს საჭიროებენ. მათი აზრით, ბუღალტრულ აღრიცხვას, ფუნდამენტური ხარისხობრივი მახასიათებლების უზრუნველყოფასთან ერთად, ეკისრება ხელმძღვანელებისთვის გამოყენებადი ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდება. ბუღალტრული აღრიცხვის შემდგომი განვითარება, უპირველესად, მმართველობის პროცესში გამოსაყენებელი სააღრიცხვო ინფორმაციის ხარისხის ამაღლებაა, რაც ბუღალტრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. დარგში არსებულ პრობლემებს, ყველაზე უკეთ, პროფესიის წარმომადგენლები გრძნობენ და შეუძლიათ მათი გადაწყვეტა.

სტატიაში წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტები და მათგან გამომდინარე პროფესიული გაერთიანებების შეჯერებული საყურადღებო კონცეპტუალური მოსაზრებები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ხარისხის ამაღლებისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტერთა სერტიფიცირება, ბუღალტერთა რეესტრი, ბუღალტერთა ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ბუღალტერთა განგრძობითი სწავლება.

ციტირებისთვის: ჭუმბურიძე ლ, საბაური ლ., პაპასქუა ი., ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლების კონცეპტუალური ვექტორები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No2, 2023 წ. გვ. 17-24.

CONCEPTUAL VECTORS OF IMPROVING THE QUALITY OF ACCOUNTING FOR SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES

Lavrenti Chumburidze
Doctor of Business Administration,
Executive Director of the Gfpaa
https://orcid.org/ 0009-0009-5950-2391
E-mail: lavrenti@baf.ge

Levan Sabauri
Academic Doctor of Economic Sciences,
Professor of TSU, Member of the board of Gfpaa
https://orcid.org/ 0000-0002-7980-4268
E-mail: sabaurilevan@gmail.com

Iuri Papaskua
Academic Doctor of Economic Sciences, SSU
Professor, Executive Director of the Gfaafm
https://orcid.org/0000-0002-7849-2426
E-mail: papaskuaiuri@gmail.com

RESUME

The paper outlines the urgent need to improve accounting quality in Georgia - issues of the field and perspectives to solve problems.

The authors draw attention to the challenges that have been highlighted by the accumulated experience after the reforms implemented in the field and require further refinement and new solutions in accordance with times. According to them, accounting, along with providing fundamental qualitative characteristics, is responsible for timely and complete provision of useful information to managers. The further development of accounting is, first of all, the improvement of the quality of accounting information to be used in the governance process, that requires the implementation of

complex measures for the training and improving qualification of accountants. Professionals are well-aware of existing challenges. Thus, they are more efficient to resolve obstacles of the field then any other individuals.

The article presents the relevant arguments and, based on them, the important conceptual opinions of the professional associations on the necessary measures to improve the quality of accounting and reporting in Georgia.

Key words: certification of accountants, accountant registry, unified qualification requirements of accountants, continuing education for accountants.

For citation: Chumburidze L., Sabauri L., Papaskua I., Conceptual vectors of increasing the quality of accounting for small and medium-sized businesses, Journal "Business and Legislation", No. 2, 2023. p. 17-24.

ძირითადი ტექსტი

შესავალი

გასული საუკუნის 90-იანი წლების ფორმაციული გარდაქმნების ეტაპზე, კერძო საკუთრებით ურთიერთობაზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში დაწყებულმა რეფორმებმა და შემდგომ პერიოდში მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა საქართველოს ეკონომიკას განვითარების ინფორმაციული უზრუნველყოფის ბაზა შეუქმნა. საქართველოში დარგის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, საწარმოთა ზომით კატეგორიებად დაყოფა, ყველა მეწარმე სუბიექტისთვის ფინანსური ანგარიშგების წარმოება და გამოქვეყნება, სდპ, მსხვილი და საშუალო კატეგორიების საწარმოთათვის აუდიტის ჩატარების ვალდებულება, სფეროს რეგულირებისა და მმართველობის ევროპული მოდელი დამკვიდრდა (საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა დ აუდიტის შესახებ", 2016).

ასეთი კარდინალური ცვლილებებით, საქართველომ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებს გაუსწრო და სანიმუშო შედეგებს მიაღწია. თუმცა შემდგომ, რეფორმების შედეგების პრაქტიკასთან ადაპტირებამ, ცნობიერების ამაღლებამ, დაგროვილმა გამოცდილებამ და განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რეგულაციით მოცული ცალკეული დებულებები დასახვეწია, რამდენიმე საკითხი, ვითარების შესაბამისად, ახლებურ აღქმას და საუკეთესო პრაქტიკით ჩანაცვლებას საჭიროებს.

დაკვირვებით და გამოცდილებით გამოვლინდა, რომ ფაქტობრივად, მცირე და საშუალო საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებლობა მთლიანად დაკისრებული აქვს ბუღალტერს ან ბუღალტრული აღრიცხვის განმახორციელებელ პირს. ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის პროცედურები მხოლოდ მათ ორგანიზაციულ უნარზე, კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზეა მინდობილი. ხელმძღვანელობა ნაკლებად ერკვევა და არ შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, მისი მოცულობა თუ ეფექტიანობა, რაც, ცხადია, ნეგატიურად აისახება საწარმოს ფინანსურ მაჩვენებლებსა და მათი გაუმჯობესების მმართველობით გადაწყვეტილებებზე. ამასთან, ბუღალტრის ასეთი „შეუზღუდავი დამოუკიდებლობა" შეცდომების დაშვების, ეთიკური ნორმების დარღვევის თუ კორუფციული გადაცდომების საფრთხეებს აჩენს. გარდა ამისა, უკვე ერთგვარ ჩვეულებად ჩამოყალიბებული ასეთი ვითარება, ერთი მხრივ, ნათლად წარმოაჩენს ბუღალტრის წვლილსა და ადგილს საწარმოს ხელმძღვანელობით იერარქიაში, მეორე მხრივ კი, მიანიშნებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობის უფრო ღრმად გაცნობიერების აუცილებლობაზე. აქედან გამომდინარე, სხვა მრავალთ საკითხთა შორის, დროის გამოწვევებმა აქტუალური გახადა საწარმოს მმართველობისთვის სააღრიცხვო ინფორმაციის გამოყენების ხარისხის გაუმჯობესება, რაშიც უპირველესად, მოიაზრება ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისთვის პროფესიული ორგანიზაციებისგან ბიზნესის თანადგომა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მნიშვნელობის შესახებ საერთო ცნობიერების ამაღლების, კვალიფიციური კადრების მომზადების, სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილების საკითხებში, აგრეთვე ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და მათი განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფის ღონისძიებების ორგანიზება.

ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლება ნიშნავს საწარმოს მმართველობისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციის შესაბამისობის უზრუნველყოფას. ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის შემდგომ განვითარებაში, ფინანსური ანგარიშგების ფუნდამენტური ხარისხობრივი მახასიათებლების (აღქმადობის, საიმედობის, შესაბამისობის, შესადარისობის) განუხრელი დაცვის გარდა, იგულისხმება ხელმძღვანელებისთვის სასარგებლო ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდების, განხილვის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და მათი განხორციელების პრაქტიკის დამკვიდრება.

გამოწვევები, რაც დარგის წინაშე დადგა, ყველაზე უკეთესად, პროფესიის წარმომადგენლებს ესმით. ამ მხრივ, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია (საბფმფ), დარგში განხორციელებული რეფორმების დაწყებიდანვე ჩართულნი არიან. მათ ასევე ერთობლივად შეიმუშავეს წინადადებები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ხარისხის ამაღლებისთვის.



წყარო: (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, 2022)

წარმოდგენელი ნაშრომის მიზანია იდენტიფიცირებულ გამონვევებზე საბოლოო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად და სამოქმედო ნორმატიული აქტის გამოსაცემად ბიზნესის წარმომადგენლებისა და დარგის სპეციალისტებისთვის პროფესიული ორგანიზაციების ხედვების, შეჯერებული კონცეპტუალური მოსაზრებების გაზიარება.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქვეყანაში მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები (მსს ფასს). ყველა შესაბამისი ზომითი კატეგორიის კერძო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია, შეადგინოს ფინანსური ანგარიშგება და გამოსაქვეყნებლად წარადგინოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში. კვლევები გვიჩვენებს, რომ 2021-2022 წლების მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოების ნაწილს აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. ამასთან, წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ანალიზიდან ირკვევა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს მსს ფასს სტანდარტების მოთხოვნებს, რაც აგრეთვე განაპირობებს საწარმოთა მიერ გადასახადების არასწორ გაანგარიშებას. ეს კი ჯარიმებისა და სანქციების სახით, ამძიმებს საწარმოების ფინანსურ დგომარეობას (იხ. ნახაზი).

ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობის, არასათანადოდ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების, მცირე და საშუალო ბიზნესზე 2019-2022 წლებში დარიცხული ჯარიმებისა და საურავების სტატისტიკა მიანიშნებს ამ კომპანიებში დასაქმებული ბუღალტრების სათანადო კომპეტენციის არქონაზე. გარდა ამისა, კანონთან, წესთან ფასს სტანდარტებთან შეუსაბამოდ და არაკვალიფიციურად შედგენილი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია მისი მომხმარებლისთვის არ არის გამჭვირვალე და სანდო, რაც ასეთ კომპანიებს ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვასა და საკრედიტო-ფინანსურ რესურსებზე შეუფერხებელ წვდომაში (იხ. ცხრილი).

არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, ქვეყანაში არსებობს ბუღალტრის პროფესიის მარეგულირებელი, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი, საკანონმდებლო ბაზა: საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“; კანონით აღიარებული და სამოქმედოდ შემოღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის), მათი გამოყენების სახელმძღვანელო აქტები და სხვა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეწარმეო მიმართულების საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული არიან, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ შესაბამისი ზომითი კატეგორიისთვის გათვალისწინებული სტანდარტებით განსაზღვრული წესით.

საწარმოთა მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და დახარვეზების მაჩვენებლები

საწარმოთა კატეგორიები	აქტიურ საწარმოთა რაოდენობა	წარდგენა/ გასაჯაროების მაჩვენებელი	კანონთან და წესთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებული ანგარიშგებების წილი	შემოწმებული ანგარიშგებების დახარვეზების მაჩვენებელი	მიმოხილული ანგარიშგებების წილი
სდპ	135	96%	100%	24%	4%
I კატეგორია	135	87%	100%	25%	
II კატეგორია	650	90%	100%	24%	
III კატეგორია	4,761	94%	- 80%	14%	
IV კატეგორია	91,851	77%	98%	1%	

წყარო: (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგია, 2023)

სუბიექტებმა ბუღალტრული აღრიცხვა შეუძლიათ აწარმოონ „დასაქმებული ბუღალტრის ან პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის მეშვეობით, აგრეთვე საბუღალტრო ფირმის ან აუდიტორული ფირმის მიერ მომსახურების გაწევით“ (საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა დ აუდიტის შესახებ", 2016). თუმცა ამ ვალდებულების შესრულებასა და შემსრულებლის შესახებ უფრო დეტალური რეგულაციები გაწერილი არ არის.

ფაქტობრივად, როგორც კვლევებით დასტურდება, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების მნიშვნელოვან ნაწილს კანონმდებლობით განსაზღვრული მოცულობით ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად წარმართვის კვალიფიკაცია არ გააჩნია. ცალკეულ შემთხვევაში, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმართვა დაკისრებული აქვთ პირებს, რომელთაც პროფესიული განათლება არ მიუღიათ; ან ეს საქმიანობა შეთავსებული აქვთ სხვა შედარებით დაუტვირთავ თანამშრომლებს; ხშირია შემთხვევა, როცა მცირე საწარმოებში ერთი ბუღალტერი ერთდროულად რამდენიმე საწარმოს საგადასახადო დეკლარაციებისა და წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას ითავსებს; ბუღალტრებს ქირაობენ დისტანციური მომსახურებითაც. მათ დოკუმენტაცია დეკლარაციებისა და ფინანსური ანგარიშგებების მომზადების წინ მიეწოდებათ ფიზიკური სახით ანდა ელექტრონულად; ბუღალტრები ტექნიკურ შემსრულებელ პერსონალს მიეკუთვნებიან და მათი სახელფასო ანაზღაურება დამქირავებელთან შეთანხმებით განისაზღვრება.

კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემა, მნიშვნელოვანწილად, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ქვეყანაში არ არსებობს ბუღალტრის შტატში ყოლის ვალდებულება; ტრანზაქციებზე არ მოითხოვება ბუღალტრების ხელმოწერა; არაა შემოღებული ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრები; არაა შემუშავებული და განსაზღვრული ბუღალტრის ზოგადი ფუნქციურ-თანამდებობრივი ინსტრუქციები. ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, ბაზრის აღნიშნულ სეგმენტში დასაქმებულ ბუღალტერს, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ცოდნასთან ერთად, აკისრებენ მმართველობითი აღრიცხვის, საგადასახადო დაბეგვრის, ბიზნესსამართლისა და პროფესიული ეთიკის დაცვის, ფინანსური ანალიზის, ბიუჯეტირების საკითხების წარმართვას, ასევე ითხოვენ მათგან შესაბამისი უნარების გამოვლენას.

კერძო სტრუქტურისთვის საშტატო პოლიტიკასა ან ბიზნესის მართვის საკითხებში ჩარევა საბაზრო ურთიერთობების პრინციპებთან შეუთავსებელია, თუმცა როცა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, რესურსების მოზიდვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, გამჭვირვალობისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების რეალური პერსპექტივა ჩნდება, შესაბამისი რეგულაციების მიღებაზე გადაწყვეტილებები მიზანშეწონილობას უნდა დაექვემდებაროს.

გამოცდილებიდან ცნობილია და სპეციალისტები ადასტურებენ, რომ კვალიფიციურ ბუღალტერს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენის, ფინანსური და საგადასახადო რისკების გამოვლენის, რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ ინფორმაციის მომზადების საკითხებში შემცვლელი არ ჰყავს. ბუღალტერთა კომპეტენციების გამყარება კერძო სექტორისა და საერთო სახელმწიფო ინტერესებში ჰარმონიულად ჯდება.

დასაქმებულთა დინამიკიდან ირკვევა, რომ ბუღალტრის პროფესია კადრების რაოდენობრივ სიმცირეს არ განიცდის, მაგრამ სახეზეა მცირე და საშუალო ბიზნესში სააღრიცხვო საქმისათვის შესაფერისი კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მიუხედავად იმისა, დარგში დასაქმებულ ბუღალტერთა უმრავლესობას, საბაზისო საბუღალტრო განათლების დამადასტურებელი დიპლომების გარდა, გააჩნიათ სხვადასხვა პროგრამებით არაერთი ტრენინგის გავლის შესაბამისი სერტიფიკატები. აქედან, ცხადია, რომ სწავლების ხარისხი და მასში ჩართული პირების დამოკიდებულებაც სიახლეების ათვისებისადმი დაბალია. ასეთი ფორმალური, მოჩვენებითი წარმოდგენებით, ზარალდებიან საკვალიფიკაციო

პროგრამებში მონაწილე ბუღალტრები, მათი დამქირავებლები და, ზოგადად, ბიზნესი.

არსებულ მოცემულობაში მცირე და საშუალო ბიზნესს შესაფერისი კვალიფიკაციის ბუღალტრის არჩევის შესაძლებლობა არ აქვს და შესარჩევად, არც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ბუღალტერთა რეესტრი არსებობს.

მცირე და საშუალო საწარმოების როლი ეკონომიკის განვითარებაში

ევროსტატის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოების წილი ორგანიზებულ ბაზარზე მთელ მსოფლიოში 95-99%-ს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც - 2023 წლის 1 ივლისისთვის მოქმედ სამეწარმეო სუბიექტებს (233 864) შორის მსხვილს მხოლოდ 720 მიეკუთვნება. აქედან, კომერციულ იურიდიულ პირებში მსხვილად ითვლება მხოლოდ 542, საჯარო სამართლის პირია 102, ხოლო დანარჩენთა შორის - 12 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023). მცირე და საშუალო საწარმოები განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებს, სტრუქტურას და მთლიან შიდა პროდუქტს. ისინი ანტიმონოპოლიური ბუნებისაა, რითაც ხელს უწყობენ საბაზრო ეკონომიკას კონკურენტული გარემოს შექმნაში (L Sabauri, 2018).

მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკური რყევებისადმი უფრო მედეგი არიან და საშუალო ფენის ჩამოყალიბების, ბაზარზე კონკურენციაში მონაწილეობის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, კერძო სექტორის გაძლიერების ფუნქციებს წარმატებით ითავსებენ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021).

ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობის პირობებში მიიღება ნორმალური (და არა მონოპოლიური) მოგება. ამავდროულად, მცირე და საშუალო ბიზნესი რეგიონული მიმართულებისაა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის დასაქმებასა და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაში. მცირე და საშუალო საწარმოები აქტიურად აწარმოებენ საგარეო სავაჭრო ოპერაციებს და არიან კაპიტალის ბაზრის მონაწილენი. ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ საჭირო და მოთხოვნადია ბაზრის მონაწილეთათვის. პირველ რიგში, ასეთი ინფორმაცია ესაჭიროება მათ დამფინანსებლებს - ბანკებს, კრედიტორებს და პოტენციურ ინვესტორებს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და საწარმოს პერსპექტივების შესაფასებლად.

ბუღალტრის ადგილი სამეწარმეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის მართვასა და პროფესიული ორგანიზაციების როლი ბუღალტერთა კვალიფიკაციის ფორმირებაში

ეკონომიკაში მცირე და საშუალო საწარმოების წვლილიდან გამომდინარე, იზრდება მოთხოვნა მათი ფინანსური ანგარიშგებისადმი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნებს. ამისთვის ფინანსური ანგარიშგება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას ფუნდამენტური ხარისხობრივი მახასიათებლების - სანდოობის, შესაბამისობის, შესადარისობისა და სამართლიანი წარდგენის დაცვით, რასაც ბუღალტრის პროფესია, ბუღალტერი ემსახურება და ეს საქმე ყველაზე უკეთესად ბუღალტრული აღრიცხვის მცოდნე პირებს ხელეწიფებათ.

2022 წლის მიწურულს, შესაბამის რეგულაციაში არსებული ხარვეზის შევსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის წარმართვის შემსრულებლების საქმიანების მოწესრიგების მიზნით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც 2023 წლის 1 ივლისიდან გათვალისწინებულია **პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრის, საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოების, განგრძობითი განათლების შემოღება. კანონში შესული ცვლილება მოიცავს სულ სამ პუნქტს, რომლის თანახმადაც:**

1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მათ სტრუქტურასა და ფორმას, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხას, მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესსა და მართვის დელეგირების წესს განსაზღვრავს სამსახური.

2. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრისა და საბუღალტრო ფირმისთვის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს განსაზღვრავს სამსახური თავის მიერ დადგენილი წესით.

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული მომსახურების ფარგლებში იწყებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, ვალდებულია საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში (საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა დ აუდიტის შესახებ", 2016).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მისაღებ წესებზე ჯერ კონკრეტული პროექტი არ გამოქვეყნებულა. მაგრამ არსებობს ხედვა, რომელმაც სხვადასხვა ჯგუფებში განსხვავებული მიდგომები და აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ განსხვავებული პოზიციიდან ერთიანი პლატფორმის ჩამოყალიბება და საუკეთესო პარაქტიკის დამკვიდრება. დაუშვებელია ლობისტური ჯგუფების ინტერესების თავსმოხვევა, ან თუნდაც რომელიმე ანგარიშგასაწევი მოსაზრების იგნორირება.

სავსებით ლოგიკურია, რომ პროფესიული ორგანიზაციები, სადაც გაწევრიანებულნი არიან ბუღალტერთა ნაწილი, საერთო მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, აქტიურად არიან ჩართულნი დარგის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მათი დაძლევის ღონისძიებების რეალიზაციაში.

ცხადია, პროფესიულ ორგანიზაციად იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია არასამეწარმეო

(არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. პროფესიული ორგანიზაცია, თავისი მიზნებით, ამოცანებითა და დაკისრებული მისიით, დარგში განხორციელებული რეფორმის ძირითადი ორგანიზაციული შემადგენელია. იგი დიდ როლს ასრულებს აუდიტორთა პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების პროცესში. ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების ხარისხისა და სანდოობის ამაღლების საქმეში თავისი კომპეტენტური სიტყვა პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა თქვას.

პროფესიული ორგანიზაციებისგან ბიზნესის მხარდაჭერა - ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სხვადასხვა ფაქტორებს მოიცავს. მასში მონაწილეობენ ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საერთაშორისო ინსტიტუტები, **ბიზნესი და სამოქალაქო საზოგადოება/პროფესიულ ორგანიზაციები.**

გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის ბიზნესი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია. კომპანიებს შეუძლიათ და ევალებათ კიდეც, მაქსიმალურად მოუფრთხილდნენ გარემოს და საკუთარი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ სუბიექტები, რომლებიც ბიზნესის მართვის სტრატეგიაში მდგრადი განვითარების პრაქტიკას ამკვიდრებენ, კონკურენტებზე უფრო წარმატებულები არიან. ბიზნესმა უნდა გააცნობიეროს მდგრადი განვითარების პოზიტიური შედეგების მნიშვნელობა, რადგან რისკების და შესაძლებლობების ანალიზზე დაყრდნობით, მდგრადობის სტრატეგიაზე მუშაობა ნიშნავს ბიზნესის სხვა კუთხით დანახვას და ისეთი ასპექტების გათვალისწინებას, რასაც ადრე უგულებელყოფდა.

ბიზნესის მდგრადი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს საქმიანობის გაზრდილ გამჭვირვალობას, რაც მოითხოვს შეცვლილ დამოკიდებულებას ფინანსური რისკების შეფასების, აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების, ასევე, გადასახადებთან მიმართებით. ქვეყანაში ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ყველაზე პროდუქტიულია კეთილგანწყობილი, თანამშრომლობის გააქტიურება აღმასრულებელ ხელისუფლებას, ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას/პროფესიულ ორგანიზაციებს შორის (L Sabauri, N Kvatashidze; , 2018).

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ბაფი) და აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას (საბფმფ) აქვთ მზაობა, უფრო მეტად ჩაერთონ ბიზნესის მდგრადი განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებში. ისინი წარმოადგენენ სამოქალაქო სექტორს (პროფესიულ ორგანიზაციებს), ამ მიმართულებით ქვეყანაში საქმიანობას ეწევიან 25 წელზე მეტია და თანამშრომლობის პრაქტიკა აქვთ საერთაშორისო ინსტიტუტებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, ბიზნესთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან. მათი საქმიანობა მთლიანად ეძღვნება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებას, საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

პროფესიული ორგანიზაციებისგან ბიზნესის მხარდაჭერა მოიაზრებს ეკონომიკური სუბიექტებისთვის კვალიფიციური ბუღალტრების მომზადებას, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების ინფორმაციულობისა და აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესების, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სემინარების, თემატური სწავლებების და კონსულტაციების გამართვას, ბუღალტრების რეესტრის წარმოებას.

პროფესიული ორგანიზაციების კონცეპტუალური ხედვა მცირე და საშუალო ბიზნესში ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლებისთვის

მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევები იდენტიფიცირებულია სწორედ პროფესიული ორგანიზაციების (ბაფი, საბფმფ) მიერ. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლის, ინფორმაციის შეგროვების, დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციებისა და სხვა აქტივობების შედეგად, პროფესიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს კონცეპტუალური მოსაზრებები მცირე და საშუალო ბიზნესში ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის ამაღლების შესახებ, რომლებიც ჩვენს მიერ შეჯერდა და თანმიმდევრულად განსახორციელებელ ღონისძიებათა სახით ჩამოყალიბდა. მასში მოცემულია მცირე და საშუალო ბიზნესის **ბუღალტერთა პროფესიული გადამზადებისა და სერტიფიცირების ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები,** რომელიც ეფუძნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტებს, რეკომენდაციებს, პასუხობს აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

საერთო ხედვით, **სერტიფიცირება** ნიშნავს იმის დადასტურებას, რომ კონკრეტული მომენტისათვის ბუღალტერს გააჩნია საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და პროფესიული უნარები.

სერტიფიკატის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია იმ პირობით, რომ სერტიფიცირებული ბუღალტრები პერიოდულად გაივლიან მათი კომპეტენციის შენარჩუნებისათვის საკმარის სწავლებას (განგრძობითი განათლებას).

ღონისძიებებით მოცული ძირითადი საკითხების არსობრივი დატვირთვა თანხვედრაშია პროფესიული ორგანიზაციების მისიასა და საქმიანობის მიზნებთან,

რომელთაგან უმთავრესია: წევრების მაღალკვალიფიციური დონის მიღწევა და შენარჩუნება, საზოგადოებისათვის ხარისხიანი პროფესიული მომსახურების მიწოდება; საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერა და ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრება; ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

გადამზადებისა და სერტიფიცირების პროცესში ბუღალტრების მონაწილეობა ეფუძნება **თავისუფალ არჩევანს და ნებაყოფლობით პრინციპს.**

ღონისძიებათა ჩამონათვალში კონცენტრირებულია შემდეგი მიზნები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა გადამზადების საკვალიფიკაციო პროგრამების ჰარმონიზაცია;
- აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმაში ბუღალტრების სრულფასოვანი ჩართულობა;
- ბუღალტერთა კვალიფიკაციისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლება;
- საგადასახადო დაბეგვრის სფეროში გაცნობიერება და მაღალი საგადასახადო კულტურის დამკვიდრება;
- პროფესიული ეთიკის ნორმების სწავლება და პრაქტიკაში დანერგვა;
- ბუღალტრის პროფესიისადმი ნდობის ატმოსფეროს შექნა;
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სამეწარმეო სუბიექტებისთვის ბიზნესის განვითარებასა და ფინანსური ანგარიშგების სანდოობის გაზრდაში ხელშეწყობა;
- პროფესიული ორგანიზაციების შემდგომი გაძლიერება და განვითარება.

მიზნის მისაღწევად მოიაზრება ღონისძიებათა კომპლექსი და აქივობები, მათ შორის:

- პროფესიის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული/დასაქმების მსურველი ბუღალტრებისათვის ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და ხელმისაწვდომობა;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების/სილაბუსების მომზადება, სახელმძღვანელო და პრაქტიკული ლიტერატურის შექმნა;
- ერთიანი გამოცდების ორგანიზება და მსურველთა სერტიფიცირება;
- სერტიფიცირებულ/კვალიფიციურ ბუღალტერთა ერთიანი (არასახელმწიფო) რეესტრის შექმნა;
- რეესტრში რეგისტრირებული პირებისთვის ყოველწლიური განგრძობითი სწავლების ორგანიზება.
- ანალოგიურ პროექტებში არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და პროფესიული ორგანიზაციების მრავალწლიანი გამოცდილება;
- პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენელთა ინტელექტუალური რესურსი, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები;
- პროფესიული ორგანიზაციების მატერიალური და ფინანსური რესურსები, მათ მიერ მოძიებული გრანტები და შიდა ფინანსური რეზერვები;
- ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელებისათვის საგანგებოდ შექმნილი სამუშაო ჯგუფ(ებ)ი.

მოსალოდნელი შედეგები: დასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდება მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაზრდა და სანდოობის ამაღლება.

შეიქმნება: მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი სტანდარტი; საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პროგრამა, სახელმძღვანელოები შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული მაგალითებით; ერთიანი საგამოცდო/სასერტიფიკაციო პროცესის ცნობარი; სერტიფიცირებულ (კვალიფიციურ) ბუღალტერთა ერთიანი რეესტრი; სერტიფიცირებულ პირთა განგრძობითი სწავლების პროგრამები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც საერთო ძალისხმევიდან ბიზნესს ექნება - ესაა კვალიფიციურ ბუღალტერთა შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

მოთხოვნები საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეთათვის

საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელთა დადასტურებისთვის მათ მოუწევთ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება შემდეგ დისციპლინებში:

- ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება;
- მმართველობითი აღრიცხვა;
- საგადასახადო დაბეგვრა;
- ბიზნესსამართალი;
- პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები და საბუღალტრო პროგრამების გამოყენება.

პროფესიული უნარ-ჩვევების დადასტურება:

სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა შეეძლებათ პროფესიული გამოცდილების მქონე პირებს. მათ მოეთხოვებათ მუშაობის პრაქტიკა არანაკლებ 2 წელი, სერტიფიცირების გამოცდებზე რეგისტრაციის მომენტისთვის.

საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადება

პრეტენდენტები, აღიარებული საკვალიფიკაციო პროგრამის შესაბამისად, სერტიფიცირების გამოცდებისთვის მომზადებას გაივლიან პროფესიულ ორგანიზაციებსა და ტრენინგცენტრებში ან/და მოემზადებიან დამოუკიდებლად.

სასწავლო პროგრამების შესაბამის საკვალიფიკაციო კურსის ხანგრძლივობას დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სწავლების განმახორციელებელი პირები.

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრის წარმოება, რეგისტრაცია

პროფესიული ორგანიზაციები შექმნიან და აწარმოებენ სერტიფიცირებული პირების ერთიან რეესტრს. პირს რეესტრში რეგისტრაციის უფლება ექნება საკვა-

ლიფიკაციო მოთხოვნებისა და პრაქტიკული უნარების დადასტურების შემდეგ. რეესტრში რეგისტრაცია ნებაყოფლობითი იქნება.

რეესტრში რეგისტრაცია შეეძლებათ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც:

- გააჩნიათ შესაბამისი სერტიფიკატი;
- არიან პროფესიული ორგანიზაციის წევრები;
- არ აქვთ დარღვეული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის მოთხოვნები;
- გადიან განგრძობით განათლებას.

ბუღალტერთა გადამზადება/სერტიფიცირების ნორმატიული უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონითა და საერთაშორისო პრაქტიკით, ბუღალტერთა გადამზადება/სერტიფიცირება აღიარებული პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის სფეროა, მიზანშეწონილია:

- ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების კომპეტენციის მოთხოვნების განსაზღვრა მოხდეს პროფესიული ორგანიზაციების მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით/ შეთანხმებით;
- აღნიშნული ნორმები განისაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად ან/ და დადგინდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის კანონქვემდებარე აქტით.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, გვაქვს საფუძველი განვაზოგადოთ ზემოთ განხილული გარემოებები და შევჯერდეთ მასზედ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში რეფორმები უნდა გაგრძელდეს. წარმატებული სტარტის შემდეგ გამოვლენილი ხარვეზები აუცილებელია დაექვემდებაროს გამოსწორებას, ცალკეული საკვანძო საკითხები კი დროის მოთხოვნათა შესაბამისად ახალებურად გადაწყდეს.

საკუთრივ, ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება რეფორმების გაგრძელების ერთ-ერთი შემადგენელია.

პროფესიული ორგანიზაციების ხედვა განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ცნობილია ბიზნესასოციებისთვის. ინფორმირებულია აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

აქ წარმოდგენილი შეჯერებული კონცეპტუალური მოსაზრებები მოიცავს ანგარიშგასაწევ ღონისძიებათა ჩამონათვალსა და აქტივობებს, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემას და განკუთვნილია დაინტერესებული ფართო წრის განხილვაში კონსტრუქციული ჩართვისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. L Sabauri. (2018). Approval and introduction of the international financial reporting standards (IFRS) in Georgia: challenges and perspectives. Journal of Accounting & Marketing, , Volume 7, Issue 2; .

2. L Sabauri, N Kvatashidze; . (2018). Prospects of application of international standards in financial reporting by small and medium-size businesses in Georgia. International Journal of Business Administration, Volume 9, Issue 2; pages 3-22.

3. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2022). https://saras.gov.ge. Retrieved from https://saras.gov.ge/Content/files/SARAS%20AR22-2.pdf.

4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგია. (2023, August 30). saras.gov.ge. Retrieved from saras.gov.ge.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2021). https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf. Retrieved from https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf.

6. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა დ აუდიტის შესახებ". (2016, June 8). https://matsne.gov.ge. Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=15.

7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023, July 1). https://www.geostat.ge. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit.

8. ლიპარტია ზ., ჯალაღონია დ., პაპასქუა ი., შერაზადაშვილი ბ., საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", No1, 2023 წ. გვ. 7-12;

9. ჯალაღონია დ., პაპასქუა ი., ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა" №4, 2017, გვ. 5-9.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება

გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

ნოდარ აბესაძე
სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.03

რ ე ზ ი უ მ ე

თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციამ ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის პრობლემები წინა პლანზე წამოსწია, რომელმაც ერის პოლიტიკური ცნობიერების ახლებური გარდაქმნა მოითხოვა. პოლიტიკური ცნობიერება გადაიქცა ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაციის ღირებულებით პრიორიტეტად, რომელმაც რადიკალურად უნდა გარდაქმნას ერის სახელმწიფოებრივი აზროვნება. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის მდგრადობა და დემოკრატიული ტრანზიცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნაზე. ტრანსფორმაციას განიცდის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება, რომელიც შესაბამის რეაგირებას ახდენს პოლიტიკურ გამოწვევებსა და რისკებზე. ერთიანი ეროვნული პოლიტიკური ცნობიერება სახელმწიფოებრივი ერის განმსაზღვრელი ნიშანია. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზებული ცნობიერება ხელს უშლის ერთიანი სახელმწიფოებრივი ერის ფორმირებას. შესაბამისად, სუსტია პოლიტიკური საზოგადოების ფორმირების პროცესი.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სააზროვნო სივრცე მკვეთრი ირაციონალურობითა და პოლარიზებით გამოირჩევა; ქართულმა პოლიტიკურმა ინტელექტმა ვერ მოახერხა ახალი სიტუაციის შესაბამისად გარდაქმნა; მუდმივი სინდრომი გახდა პოლარიზება და აგრესიული რიტორიკა; ავტორიტარიზმი და ავტოკრატია სახელმწიფოებრივი აზროვნების ირაციონალური ტენდენცია გახდა. ქართული პოლიტიკური ცნობიერება მულტიკულტურული და მულტიკონფესიური თავისებურებებით გამოირჩევა, რომელიც პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას მოითხოვს. პოლიტიკური ცნობიერების რაციონალიზაცია მოითხოვს პოლიტიკური აქტორების განახლებასა და მათი რიტორიკის შეცვლას; ეროვნული პრაგმატიზმი თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის ფორმირების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა გახდა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება თავისი ღირებულებითი ელემენტებით რელიგიურ იდენტობას ემყარება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მართლმადიდებელი ეკლესია გადაიქცა ღირებულებითი პრიორიტეტებისა და პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნის აქტორად.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ცნობიერება, მსოფლიო წესრიგი, პოლიტიკური ტრანზიცია, ეროვნული იდენტობა, სახელმწიფოებრივი ცნობიერება, პოლიტიკური პოლარიზება.

ციტირებისთვის: აბესაძე გ., აბესაძე ნ., თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No 2, 2023 წ. გვ. 25 -34.

FORMATION OF MODERN GEORGIAN POLITICAL CONSCIOUSNESS

Guram Abesadze
Doctor of Political Science, Professor at Sokhumi State University, Head of Policy Science
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

Nodar Abesadze
Doctor of Social Sciences, guest lecturer of Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

SUMMARY

The transformation of the modern world order brought the problems of nationalism and national identity to the fore, which demanded a new transformation of the nation's political consciousness. Political consciousness has turned into a priority with the value of political transformation of national identity, which should radically transform the state thinking of the nation. The stability of the modern Georgian political system and the democratic transition depend to a significant extent on the transformation of political consciousness. National-state consciousness is undergoing a transformation, which responds appropriately to political challenges and risks. A unified national political consciousness is a defining sign of a state nation. Polarized consciousness in the Georgian political space prevents the formation of a single state nation. Consequently, the process of forming a political society is weak.

The modern Georgian political thinking space is characterized by sharp irrationality and polarization; The Georgian political intelligence failed to adapt to the new situation; Polarization and aggressive rhetoric have become a constant syndrome; Authoritarianism and autocracy became an irrational trend of state thinking. Georgian political consciousness is distinguished by multicultural and multi-confessional features, which requires the strengthening of the process of political integration. The rationalization of political consciousness requires updating political actors and changing their rhetoric; National pragmatism has become the most important requirement for the formation of modern Georgian political identity. National-state consciousness with its value elements is based on religious identity. In the Georgian political space, the Orthodox Church has turned into an actor in the transformation of value priorities and political consciousness.

Key words: political awareness, world order, political transition, national identity, state consciousness, political polarization.

For citation: Abesadze G., Abesadze N., Formation of modern Georgian political consciousness, Journal "Business and Legislation", No. 2, 2023. p. 25-34.

შესავალი

თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური ტრანზიცია და სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესი არსებითად არის დამოკიდებული პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნაზე, რომლის რაციონალიზაცია ურთულესი პრობლემა აღმოჩნდა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ვერ მოხერხდა ახალი აზროვნების ფორმირება, რომელიც პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური და ღირებულებითი ტრანზიციის საფუძველი გახდებოდა; შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი შიდაპოლიტიკური ტრანზიციის პროცესი მოკლებულია რაციონალურობასა და პრაგმატულობას, რაც პოლიტიკური პოლარიზების მიზეზი ხდება. ამასთანავე, გლობალურმა გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა და რუსულ-უკრაინული ომით გამოწვეულმა მსოფლიო წესრიგის ცვლილებამ კაცობრიობა ახალი რეალობის წინაშე დააყენა, რომელიც მოითხოვს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ახლებურ გადააზრებასა და ეროვნული პრაგმატული პოლიტიკის გატარებას. ახალმა მსოფლიო წესრიგმა ე.წ. „ჰიბრიდული ომების" გაძლიერება გამოიწვია, რომელსაც გლობალურ ძალთა ბალანსის განმსაზღვრელი თითქმის ყველა ქვეყანა იყენებს; ამ მიმართულებით ფართოდ გამოიყენება ე.წ. „რბილი ძალა", რომელიც ცნობიერების მანიპულირებაზეა მიმართული. პირველ რიგში, „რბილი ძალის" მთელი სისტემა და საინფორმაციო ტექნოლოგიები ცნობიერებაზე ზეწოლასა და ღირებულებითი ორიენტაციების შეცვლას გულისხმობს. ცნობიერებაზე მანიპულირების საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების ფართოდ გამოყენებამ ამ თემის აქტუალუბა მიზანმიმართულ პრაგმატულ მოთხოვნილებად აქცია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნა და მისი კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანა აქტუალური თემა გახდა; ეროვნული კონსოლიდაცია და ერთიანი სახელმიფოებრივი ცნობიერების ფორმირება თანამედროვე ტრანზიციის უპირველეს მოთხოვნად გადაიქცა.

თანამედროვე ეპოქაში ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების წინა პლანზე წამოწევა და მისი გარდაქმნის აუცილებლობა რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა: 1. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ცვლილებამ და გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა წინა პლანზე დააყენა ახალი პოლიტიკური აზროვნების პრიორიტეტულობა, რომელიც ეროვნული პოლიტიკური

ცნობიერების სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და რეინტერპრეტაციას მოითხოვს; 2. პოლიტიკური ტრანზიციის პროცესი თანდათანობით ცვლის ეროვნული ცნობიერების ელემენტებს, რაც სახელმწიფოებრივი იდენტობის განზომილებით პრიორიტეტებს ემყარება; 3. ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის პრიორიტეტულობამ პოლიტიკური ცნობიერების ტრანსფორმაცია მოითხოვა, რომელიც რაციონალური და ირაციონალური ტენდენციების თანაფარდობაზეა აგებული; 4. თანამედროვე ეპოქის ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერების ტრანსფორმაციაში თავისი აქტორული როლი გააძლიერა რელიგიურმა ინსტიტუტებმა, რომლებიც გამოირჩევიან ეროვნული აზროვნების მდგრადი მემკვიდრეობითი და ტრადიციული ელემენტებით. შესაბამისად, ღირებულებითი ტრანსფორმაციის პირობებში თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაში თავისი გამოკვეთილი პოზიციით გამოირჩევა მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ეროვნულ სააზროვნო სივრცეს ტრანსპლანტაციური პროცესებისაგან იცავს და ქართულ იდენტობას ეროვნულ მოდელში ამკვიდრებს.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა და მისი იდენტობის ფორმირება პოლიტიკური ცნობიერების რაციონალიზაციასა და პრაგმატულ გამოყენებაზეა დამოკიდებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლობალური უსაფრთხოების გააზრებას, რომელიც ახალი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების პირობებში დიდი გამოწვევებისა და რისკების წინაშე აყენებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის პრობლემებს. ამასთანავე, შიდაღირებულებით და კულტურულ-იდეოლოგიურ სტაბილურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც პოლიტიკური ცნობიერების საერთო სახელმწიფოებრივ დონეს ემყარება. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის მდგრადობა და დემოკრატიული ტრანზიცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკური ცნობიერების დონესა და მისი ღირებულებითი პრიორიტეტების რაციონალურ და პრაგმატულ ფუნქციონირებაზე. ტრანსფორმაციას განიცდის თვით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება, რომელიც შესაბამის რეაგირებას უნდა ახდენდეს დროის გამოწვევებსა და რისკებზე, განსაზღვრავდეს ღირებულებით პრიორიტეტებს. გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა საფრთხის წინაშე დააყენა სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა და ეროვნული იდენტობის პრობლემები.

თანამედროვე ცვალებად მსოფლიოში, გაიზარდა რა გეოპოლიტიკური და ღირებულებითი ტრანსპლანტაციები, გარკვეულად შეცვალა პოლიტიკური ცნობიერების სტრუქტურა და კრიტერიუმები; პოლიტიკურ ცნობიერებაში თავს იყრის პოლიტიკური აზროვნების ისეთი ელემენტები და სტერეოტიპები, რომლებიც ქმნის პოლიტიკური სივრცის რაციონალურობის პარადიგმებს. პოლიტიკური სისტემის მდგრადობა პოლიტიკური აქტორებისა და განსაკუთრებით პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილური ფუნქციონირებით განისაზღვრება; მართალია, ინსტიტუციური წესრიგი სტრუქტურულ-ფორმალური სივრცეა, რომელიც მდგრადობის ორგანიზაციულ ელემენტებს ქმნის, მაგრამ მას თავისი აზროვნებითი განზომილება აქვს. პოლიტიკურ სისტემაში აზროვნებითი განზომილება ერთიან პოლიტიკურ ცნობიერებად კონცენტრირდება. შეიძლება, ამ განსაზღვრულობას პოლიტიკური ცნობიერების გარკვეული მოდელი ეწოდოს, რომელსაც თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ღირებულებითი პრიორიტეტები და პოლიტიკური განვითარების ტრადიციულ-მენტალური პრინციპები განსაზღვრავს.

ამრიგად, თანამედროვე პოლიტიკური ცნობიერება შეიძლება განისაზღვროს როგორც პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებითი ორიენტაციების, განწყობილებების, აზროვნების წესებისა და ინტელექტუალური პოტენციალის ერთობლიობა, რომელიც გარკვეული პოლიტიკური სისტემის აქტორთა ფუნქციურ მოღვაწეობაში გამოვლინდება და ემსახურება საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესს. პოლიტიკური ცნობიერება ერის თვითმყოფადი აზროვნების წესების ერთობლიობაა, რომელიც მენტალურ-გენეტიკური ნიშნებით ხასიათდება და პოლიტიკურ სივრცეში თავისი ინტელექტუალური პოტენციალით გამოვლინდება; მისი ელემენტები გარკვეულ პოლიტიკურ სისტემაში მდგრადობას ინარჩუნებს, მაგრამ ტრანზიტულ სისტემებში, ღირებულებითი ტრანსფორმაციების შედეგად, პოლარიზების ელემენტებით ხასიათდება.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების მოდელი და ღირებულებითი სტრუქტურა ტრანზიტული პოლიტიკური სივრცის ნიშნებით განისაზღვრება, რომელიც რაციონალურობის ელემენტების ნაკლებობას ნამდვილად განიცდის. დემოკრატიული ტრანზიტი რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ყოველთვის მდგრად საშინაო და საგარეო პირობებში არ მიმდინარეობს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების პრაგმატული განზომილება მხოლოდ რაციონალურისა და ირაციონალურის ნიშნების თანაფარდობის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს. ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით ქართული პოლიტიკური ცნობიერება და ინტელექტი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა და ყველა რეჟიმის პირობებში თავის ძალას ავლენდა. რთული აღმოჩნდა ტოტალიტარული და ავტორიტარული ცნობიერების მენტალური და იდეოლოგიური ნიშნების დაძლევა, რომელიც ირაციონალურობის ერთგვარ სინდრომად გამოვლინდება.

თანამედროვე ავტორიტარიზმი და ავტოკრატია ერთ-ერთი ირაციონალურობის სინდრომია, რომელიც ჩვენი ცნობიერების მუდმივ მოთხოვნილებად იქცა. ავტოკრატის ძიება, ბელადიზმი, ფანატიზმი და კერპთაყვანისმცემლობა სოციუმის პოლიტიკური მონაწილეობისა და აქტიურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად იქცა. ეროვნული პოლიტიკური ცნობიერება მხსნელის ძიებით პროცესშია, რომელიც ჩვენს აზროვნებაში

გარეშე და შიდა გამოწვევებისა და რისკების გამო ვერ დავძლიეთ. ქართული დემოკრატიული პროგრესი აშკარაა, მაგრამ ფასადურობისა და იმიტაციურობის ელემენტები მას მდგრადობის შეგრძნებას უკარგავს. პოლიტიკური პათოლოგიური აზროვნებისაგანაც არ ვართ დაზღვეული, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ლიდერების ავანტიურისტულ მოქმედებებში გამოვლინდება და საზოგადოების ნაწილისაგან პრიორიტეტულ მიმართულებად აღიქმება.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ერთიანი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირება. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა ჩვენი განვითარების ამ ეტაპზე ეს პრობლემა არ უნდა იდგეს. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ერთიანი ეროვნული მეობისა და თვითშემეცნების ერთიან ნიშნებს უნდა მოიცავდეს და ისტორიულ-ღირებულებითი დანიშნულებით განისაზღვრებოდეს. ეს ჩვენს ერს გამოკვეთილი აქვს და ევროატლანტიკურ ღირებულებით სივრცეს ანიჭებს უპირატესობებს. ისტორიული გაუცხოება ამ სივრცესთან დროებითი მოვლენა იყო, რომელიც, მიუხედავად ჰიბრიდული კონფლიქტებისა, მაინც ღირებულებით პრიორიტეტად აღიქმება ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში. ქართული ცნობიერებისათვის ევროატლანტიკური სივრცის მიმზიდველობა თვითგადარჩენისა და გლობალურ სამყაროში თვითდამკვიდრებით განისაზღვრება. ქართული სახელმწიფოსათვის ევროატლანტიკური სივრცე, თავისი ინსტიტუციური წესრიგითა და სახელმწიფოებრივი იდენტობის აზროვნებით ქართული ღირებულებითი ორიენტაციის პრიორიტეტად იქცა.

ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც გლობალური წესრიგის დამახასიათებელი ნიშანი გახდა, ქართული სახელმწიფოსათვის გარკვეული საფრთხეების შემცველია. ეს საფრთხეები ფრთხილ, ლატენტურ და მეტად გაწონასწორებულ მოქმედებებსა და რიტორიკას მოითხოვს, რომელიც პოლიტიკური ცნობიერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეს უნდა ემყარებოდეს. სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივი აზროვნება ჯერჯერობით საერთო ეროვნულ სულისკვეთებად ვერ გადაიქცა. სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებას ძალიან ბევრი ირაციონალური მოვლენა უშლის ხელს. პოლიტიკური ტრანზიციის საერთო სიძნელეებმა ამ სფეროშიც იჩინა თავი. ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, კლანური აზროვნებაა, რომელიც ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს ემყარება და ლოკალური თვითმყოფადი თანაცხოვრებით განისაზღვრება. კლანურმა აზროვნებამ წინა პლანზე მომხმარებლური ფსიქოლოგია წამოსწია, რომელიც თრგუნავს და გასაქანს არ აძლევს სახელმწიფოებრივი აზროვნების პრიორიტეტულ ელემენტებს.

პოლიტიკური ცნობიერების პოლარიზების ერთ-ერთი მიზეზი პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური სტაბილურობის სისუსტეა. ქართული პოლიტიკური სივრცე პოლიტიკური ინსტიტუტების მრავალრიცხოვანი სპექტრითა და ღირებულებითი ორიენტაციებით გამოირჩევა. აქ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ პარტიულ მრავალფეროვნობას, რომელიც თავისი დემოკრატიული სტაბილურობითა და მდგრადობით ძალზე სუსტია. სამწუხაროდ, მათი პოლიტიკური ინტერესები ყოველთვის სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ემთხვევა და კლანურ მოთხოვნილებებს წარმოადგენს. ხშირად, გავლენიანი პოლიტიკური ძალები წინა პლანზე თავიანთ ვიწროკლანურ ეკონომიკურ ინტერესებს აყენებენ, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებთან წინააღმდეგობაში მოდის; საქმე გვაქვს პარტიულ მოდიფიცირებულ ფორმებთან, რომლებიც ვიწროჯგუფური ინტერესების გატარებით არიან დაკავებულნი. პოლიტიკურ სივრცეში ერთმანეთს უპირისპირდება ვიწროკლანური პოლარიზებული ჯგუფების ინტერესები, რომელიც თანხმობაში არ მოდის სახელმწიფოებრივ ცნობიერებასთან. ეს პროცესი ქართული თანამედროვე პოლიტიკური ცნობიერებისათვის პრინციპულ საკითხს წარმოადგენს, რადგანაც სახელმწიფოებრივი ცნობიერება თანდათანობით სუსტდება და დომინანტი ძალების ინტერესებს ემორჩილება. უპირველესად ვგულისხმობთ პოლიტიკურ ოპოზიციურ სპექტრს, რომელიც თავისი ინტელექტუალური პოტენციალით ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს; ინტელექტუალური რესურსების სიმცირე მუდმივი დესტრუქციულობის სინდრომს ზრდის, რომელიც დესტაბილიზაციის მიზეზი ხდება.

პოლარიზებულმა სახელმწიფოებრივმა ცნობიერებამ ქართულ პოლიტკურ სივრცეში ერთი მეტად ირაციონალური სინდრომი დაამკვიდრა, რაც არასტაბილურობის შეგრძნებას იწვევს. სამწუხაროდ, პოლიტიკური აქტორების მოღვაწეობითი სტილი ყოვეთვის ლეგიტიმურობის ფარგლებში არ ჯდება და ექსტრემისტულ მეთოდებს ემყარება. რადიკალური და ექსტრემისტული აზროვნება და, აქედან გამომდინარე, რევოლუციის სინდრომი ჩვენი პოლიტიკური აზროვნების მუდმივ დამახასიათებელ ნიშნად იქცა. დესტრუქციულობის ელემენტები პოლიტიკური ცნობიერებისა და პოლიტიკური სივრცის აქტორების მოღვაწეობითი სტილი გახდა. დემოკრატიის სტაბილურობას ცნობიერების ასეთი გაუცხოებული ფორმები საშიშროების წინაშე აყენებს, რომელიც ხელისუფლების მმართველობითი სტილის ერთგვარ მოდიფიცირებას ახდენს; პოლიტიკური ხელისუფლება კი ცდილობს ავტორიტარული მეთოდებით აღმოფხვრას დესტრუქციულობის გამოვლინებები და შექმნას დემოკრატიის ე.წ. იმიტაციური სივრცე.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება პოლარიზებასთან ერთად, გაუცხოების ელემენტებსაც მოიცავს; ეს ელემენტები მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონით არის განპირებებული; მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უიმედობის, პესიმიზმისა და პოლიტიკური აპათიის პირობებში იმყოფება, რისი გამოვლინებაცაა სახელმწიფოებრივი გაუცხოება. გაუცხოებისა და პოლიტიკური აპათიის საფუძველზე სოციუმი კარგავს სახელმწიფოებრივ აზროვნებას და იქცევა პოლიტიკური პროცესის პასიურ მონაწილედ. ეს რისკების შემცველი გამოწვევაა, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიის სტაბილურობასა და საერთოდ ერი-სახელმწიფოს თვითდამკვიდრების პროცესს.

თანამედროვე ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება მრავალფეროვანი რაციონალური თუ ირაციონალური ფორმებით გამოირჩევა. ერთ-ერთი მათგანი ჩვენს მიერ აღნიშნული პოლიტიკური გაუცხოებისა და აპათიის შედეგია, რომელიც მასობრივი ფსიქოზის სახეს იღებს. მასობრივი ფსიქოზი პათოლოგიური აზროვნების ნიშნებს მოიცავს და პოლიტიკური სივრცის სტაბილურობისათვის საფრთხეს წარმოადგენს. პოლიტიკურ პათოლოგიას ასაზრდოვებს უიმედობისა და პესიმიზმის გამოვლინება, რომელიც ტრანზიტულ პროცესებს თან ახლავს; ეს იწვევს ექსტრემიზმისა და აგრესიულობის გაძლიერებას პოლიტიკურ სივრცეში. მასობრივი ფსიქოზის ფონზე სოციუმი ყოველთვის რაციონალურად ვერ აზროვნებს და პროცესების განვითარების დესტრუქციულობის სცენარს უჭერს მხარს. ასეთი სიტუაცია, დესტრუქციული ლიდერისათვის ერთგვარ ფონს წარმოადგენს, რომელიც თავისი ავტოკრატიული თვისებებითა და ექსტრემისტული სტილით გამოირჩევა. ავტორიტარული მმართველობა მასობრივი ფსიქოზისა და ირაციონალური აზროვნების შედეგია, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეტაპობრივად გამოვლინდება და შიდასახელმწიფოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთ გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ.

ერთიანი ეროვნული პოლიტიკური ცნობიერება სახელმწიფოებრივი ერის განმსაზღვრელი ნიშანია. სახელმწიფოებრივი ერი ერთიან ეროვნულ ცნობიერებასა და თვითცნობიერებას ემყარება და პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალი დონით გამოირჩევა. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზებული ცნობიერება ხელს უშლის ერთიანი სახელმწიფოებრივი ერის ფორმირებას. შესაბამისად სუსტია პოლიტიკური საზოგადოების ფორმირების პროცესი, რომელიც სამოქალაქო კულტურისა და აქტიურობის მაღალ დონეს გულისხმობს. სამოქალაქო კულტურა თავისი შინაგანი სტერეოტიპებით პოლიტიკური ცნობიერების გარკვეულ დონეს ემყარება. ამ გაგებით, ქართული პოლიტიკური ცნობიერების რაციონალიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური ერის ფორმირება, რომლის შეფასებითი კრეტერიუმი სამოქალაქო კულტურისა და პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალი დონეა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა ღირებულებითმა ტრასფორმაციებმა წინა პლაზე წამოსწია სახელმწიფოებრივი ერის შეფასებითი ისეთი ელემენტი, როგორიც არის ეროვნული იდენტობა. ეს კატეგორია თანამედროვე ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთ აქტუალურ თვითმყოფად კრიტერიუმად იქცა. ყოველი ცნობიერება, მითუმეტეს ეროვნული, თავისი თვითმყოფადობითა და თვითშეფასებითი პრიორიტეტებით გამოირჩევა. ეროვნული იდენტობა თანამედროვე ერი-სახელმწიფოების თვითდამკვიდრებისა და სახელმწიფოებრივი გეოპოლიტიკური სივრცის სტაბილურობის გარანტად გადაიქცა. გლობალური წესრიგი დარღვეულია, საერთაშორისო სისტემის ბალანსი მულტიპოლარულობის პირობებში მკვეთრად გამოხატულ წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. გაიზარდა სახელმწიფოთა იმპერიული მისწრაფებები და ამბიციები, რომელიც გლობალური გეოპოლიტიკური გადანაწილების ახალ ფორმებს იძენს. ასეთ სიტუაციაში გაიზარდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის მნიშვნელობა და როლი. ეროვნული იდენტობა ქართული პოლიტიკური ცნობიერების უპირველესი პრაგმატული ღირებულება უნდა გახდეს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების რაციონალურობა ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის გაცნობიერებაშია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრიობის დომინანტური ეროვნული ნიშნების თვითგადარჩენა და გეოპოლიტიკურ სივრცეში სასიცოცხლო ინტერესების დაცვა.

გლობალური პოლიტიკური ცნობიერების ტრანსფორმაციული ტენდენციები, თავისთავად ცხადია, ეროვნული ცნობიერების შეფასებით კრიტერიუმებსაც ცვლის. ეროვნული იდენტობის გაძლიერებამ თვითმყოფადობის რეჟიმში ცხოვრება პრიორიტეტულ ღირებულებად გამოაცხადა და გლობალისტურ აზროვნებას დაუპირისპირდა. გლობალურმა სახელმწიფოებმაც კი რადიკალურად შეიცვალეს თავიანთი პოლიტიკური ცნობიერება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის დაცვა თავიანთი უსაფრთხოების პრიორიტეტად გამოაცხადეს.

გლობალური აზროვნება თავის კრიტერიუმებს კარგავს და წინა პლანზე ეროვნული მეობის პრობლემებს აყენებს, რაც სახელმწიფოებრივი აზროვნების საფუძველი ხდება. გლობალური ტრანსფორმაციის ახალი ფაზა ახლებურ აზროვნებას მოითხოვს, რომელიც ლოკალურ-ეროვნული კულტურულ-ღირებულებითი სივრცეების ამბიციურობის ელემენტებს აძლიერებს. ქართული იდენტობა ჩვენი სახელმწიფოებრივი თვითშენარჩუნების ტოლფასია, რომელიც ზედმეტ ამბიციურ და ექსტრემისტულ მოთხოვნებს გამორიცხავს. თვით თანამედროვე ევროპული ცნობიერებაც კი, რომელიც ლიბერალიზმის ღირებულებითი მაღალი სტანდარტებით გამოირჩევა, ეროვნული იდენტობის პრობლემას წინა პლანზე აყენებს.

თანამედროვე გლობალურმა წესრიგმა ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის პრობლემა აშკარა სინდრომის ფორმად აქცია და ეროვნული თვითგადარჩენის აუცილებელ კრიტერიუმად მიიჩნია. წამყვანი ქვეყნების ლიდერები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ გლობალიზმის უარყოფით შედეგებს და წილა პლანზე ეროვნულ იდენტობას, მის ღირებულებით თვითმყოფადობას აყენებენ. გლობალურმა ტენდენციებმა, რომელსაც თან დაერთო ტოტალური მიგრაციული პროცესები, შეიძლება კულტურულ-ცივილიზაციური სივრცეების თვითმყოფადობა ძირფესვიანად შეცვალოს და მისი ეროვნულ-იდენტული საფუძვლები გაანადგუროს; ამ გაგებით, საფრთხის წინაშეა ქართული იდენტობა, რომელიც ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და თვითგადარჩენის განსაკუთრებული ფორმების ძიებას მოითხოვს. ვფიქრობთ, ქართული პოლიტიკური ცნობიერებისა და თვითცნობიერების ტრანსფორმაცია ამ მიმართულებით აუცილებელია, რაც ჩვენი ეროვნული მეობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გლო-

ბალური კრიტერიუმი უნდა გახდეს.

თანამედროვე ქართული ცნობიერების ირაციონალურ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ ღირებულებითი ტრანსპლანტაციური ტენდენციების გაძლიერება. ქართული ღირებულებითი სივრცე დემოკრატიული ტრანზიტის შესაბამისად გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ უცხოური ელემენტების ავტორიტარულმა დამკვიდრებამ, გაუცხოების ტენდენციები გააძლიერა. ქართული ცნობიერების ღირებულებითი სივრცე და აზროვნების წესი თვიმყოფადია, რომელსაც მეტად გაფრთხილება და პრაგმატული გამოყენება ესაჭიროება. ქართული კულტურულ-ღირებულებითი სივრცე ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია, მაგრამ თავისი ცივილიზაციური ელემენტებით გამოირჩევა; ამასთანავე, ქართული ცნობიერება თავის ინტელექტუალურ ფენომენებს ემყარება, რომლის გამოყენებაც თანამედროვე პირობებში სათანადოდ არ მიმდინარეობს. ეროვნულთან გაუცხოების ტენდენცია იწვევს ცნობიერების გათიშვასა და მემკვიდრეობითი ღირებულებებისადმი დაპირისპირებას. გაუცხოების ტენდენციებმა ქართულ თანამედროვე ცნობიერებას დამოუკიდებლობა დაუკარგა და წინა პლანზე, ტრანსპლანტაციის გამოყენებით, ღირებულებითი სხვადასხვა მოდელების ძიებითი პროცესები წამოსწია. ეს ძიებითი პროცესები რამდენიმე წელიწადია გრძელდება და ზედმეტი უნიფიცირების ფონზე პრაგმატულად უშედეგოდ მთავრდება. შესამჩნევად ეცლება ქართულ ცნობიერებას თავისი თვითმყოფადობის საფუძვლები და ღირებულებითი პოტენციალი, რომელიც ეროვნული ცნობიერების სტერეოტიპებს განსაზღვრავს. გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ლევან სანიკიძე** აღნიშნავდა: **„საოცარია - ილია ჰყავდეს ერს და სხვათა და სხვათა იდეებს და თეორიებს ეპოტინებოდეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის?!... საკუთარი ისტორია, საკუთარი ფესვები ვირწმუნოთ და ამით ჩვენივე თავიც „ჩვენადვე ვიყუდნოთ", როგორც ჩანს, იმპერიათა ზეწოლამ ისე გაგვაუცხოვა საკუთარ ისტორიასა და ეროვნულ ტრადიციებს, რომ „ჩვენადვე ყუდნების" ეს პროცესი ასე სწრაფად და იოლად ვერ განხორციელდება"**.[1]

პოლიტიკური ცნობიერების ისტორიულ-მეხსიერებით ელემენტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული იდენტობისა და პრაგმატიზმის გამოვლენაში. რაციონალიზმისა და პრაგმატიზმის საშუალებით ხდება ეროვნული ისტორიის შეფასება, რომელიც პოლიტიკური ცნობიერების უმნიშვნელოვანესი ღირებულებითი ელემენტია. ქართული თვითმყოფადი ისტორია - ეს იყო მწვავე იდეოლოგიურ-ღირებულებითი ბრძოლაც სახელმწიფოებრივი იდენტობის შესანარჩუნებლად, რომელიც ცნობიერების მთელ სპექტრს განსაზღვრავდა და პრაგმატულობის სტერეოტიპად იქცეოდა. თანამედროვე პოლიტიკურმა რეალობამ ისტორიულ-მემკვიდრეობითი ღირებულებების ერთგვარი გადაფასება გამოიწვია, რასაც პოლიტიკური ელიტის ექსტრემისტულად მოაზროვნე ნაწილიც უწყობდა ხელს. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პერიოდში გამოიკვეთა წარსულის მეხსიერებითი სივრცის მთლიანად ნეგატიურად წარმოდგენის ტენდენციები და მთელი ქართული ინტელექტუალური ფენომენების „ჩარეცხვა", რასაც უაღრესად ირაციონალური შედეგები მოჰყვა. ისტორიის ახლებური გააზრების მცდელობას თან მოჰყვა მთელი თაობების მოღვაწეობის ნეგატიურად წარმოდგენა; ახალი ტრანსპლანტაციური ღირებულებითი სივრცის მოდელები ერის ახალ სახელმწიფოებრივ იდენტობად გამოცხადდა. ისტორიულმა ერთგვარმა ნიჰილიზმმა პოლიტიკური ცნობიერების ისტორიულ-ღირებულებითი სივრცის გაგებაში გარკვეული ვაკუუმი გამოიწვია, რომელსაც ეროვნულობის ირაციონალური შეფასებები მოჰყვა. ზოგჯერ, მკვეთრად შეიმჩნეოდა ქართული თვითმყოფადი ისტორიის შეუფასებლობა და ნიჰილისტური დამოკიდებულება; სამწუხარად, წახალისებული იყვნენ ის ისტორიკოსები, რომლებიც მკვეთრად ნეგატიურად წარმოადგენდნენ ქართულ ისტორიას. საგანმანათლებლო სივრცეებში კი დაიწყეს ისტორიული დისციპლინების შემცირება ან სხვა საგნებთან გაერთიანება. ეს დაემსგავსა აშკარად გამოხატულ ნეობოლშევიკურ და ხუნვეიბინურ ექსტრემისტულ სტილს, რომლითაც ცდილობდნენ ჩაეკლათ ქართული იდენტობა და შეექმნათ ქართველი ადამიანის ახალი ტიპი; გლობალიზმისა და ლიბერალიზმის მოთხოვნით ეროვნული ცნობიერება ითრგუნებოდა და ხელოვნურად უფასურდებოდა. ეს ტენდენციები უსათუოდ გამოსწორებას მოითხოვს, რადგანაც მსოფლიოს ახლებური აზროვნება და გაგება ეროვნულ იდენტობასა და თვითმყოფადობაზე აგებული წესრიგია. ქართული ისტორიის ღირებულებითი და პრაგმატული გააზრება ახალი სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების საფუძველია. **ილია ჭავჭავაძე** აღნიშნავდა, რომ **„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქედან დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან - მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა"**. [2]

პოლიტიკური ცნობიერების განმსაზღვრელ პირობად უნდა მივიჩნიოთ ინტელექტუალური ფენომენის გამოყენება მის განზომილებაში, ე.ი. რამდენად არის იგი ინტელექტუალიზირებული. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ ცნობიერებას ინტელექტუალური ფენომენები თანდათანობით ეცლება და კრიზისულ ეტაპზეა, რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: **პირველი,** განათლების დაბალი დონით, რომელიც გამოწვეულია იმ ჩატარებული, ყოვლად გაუაზრებელი რეფორმებით, რომლებიც ამ სფეროში გატარდა; ფაქტობრივად, მოხდა განათლების სრული დეგრადაცია და ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ქმედებაზე არ არის ორიენტირებული; განათლებამ დაკარგა ინოვაციური, შემოქმედებითი

1 ლ.სანიკიძე. კვლავ ილიას გარეშე...თსუ-ს შრომების კრებული. სადისკუსიო კლუბი „ქართული სახელმწიფო". თსუ., 2003, გვ.13.

2 ილია ჭავჭავაძე. ერი და ისტორია რჩ. ნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987, გვ. 165.

ხასიათი, რომელიც არ ემყარება ქართულ-კულტურულ ღირებულებით ტრადიციებს; საგანმანათლებლო სივრცე მთლიანად მოშლილია და გადაუდებელ სისტემურ ცვლილებებს მოითხოვს. ამ სფეროდან მთელი თაობები გამოდევნეს, წამყვან სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ცენტრებს ეროვნულ-ინტელექტუალური საფუძვლები გამოაცალეს. საგანმანათლებლო სივრცის დეგრადირებული ვაკუუმი ახალ, რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს, რომელიც რაციონალურობასა და ეროვნულ თვითმყოაფდობას უნდა ემყარებოდეს. **მეორე,** ეს გახლავთ, ინტელექტუალური ფენომენების უარყოფა, რომლებიც „ჩარეცხილებისა" და „წითელი ინტელიგენციის" სიაში მოხვდნენ; დაიწყო ინტელექტუალური სივრცეების უარყოფა და ახალი ღირებულებების დამკვიდრება, რაც უცხო ელემენტი იყო ქართული ცნობიერებისათვის. ამას თან მოჰყვა ახალი ინტელექტუალური სივრცეების ფორმირება, რომელიც რადიკალური გამოხდომებით უპირისრირდებოდა ე.წ. ძველი თაობის ინტელექტუალებს. ახალი ინტელექტუალები ეროვნული ცნობიერების გახლეჩის სინდრომს ამკვიდრებენ და ინტელექტუალური ვაკუუმის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ფაქტობრივად, მივიღეთ ინტელექტუალური ვაკუუმი და ნიჰილიზმი, რომლითაც საზოგადოებამ დაკარგა ინტელექტუალური მოთხოვნა და ინტერესი; რაციონალურობა და ინტელექტუალურობა არ აღიქმება ეროვნული ცნობიერების ძირითად ღირებულებით სინდრომად. ინტელექტუალური ავტორიტეტები აღარ წარმოადგენენ ეროვნული ცნობიერების რაციონალურობის განმსაზღვრელ ბირთვს. **მესამე,** მომხმარებლური ფსიქოლოგია პოლიტიკური აზროვნების ძირითადი სინდრომი გახდა, რომელიც გარკვეულ ინსტიტუციურ ფორმებსაც კი იყენებს. აქ მხედველობაში გვაქვს პოლიტიკური ინსტიტუტების ვიწროკლანური ინტერესები, რომელიც მომხმარებლური მისწრაფებებით განისაზღვრება და საერთო ეროვნულ ღირებულებებს უპირისპირდება. პარტიულ-ნომენკლატურული ინტერესები მხოლოდ პირად კეთილდღეობაზეა გათვლილი, რომელსაც დაკარგული აქვს ინტელექტუალურ-ზნეობრივი სახე. მომხმარებლური ფსიქოლოგია საჯარო სინდრომად გადაიქცა და მაფიოზურ-კლანური დაჯგუფებების ჩამოყალიბებისა და მათი გაძლიერების საფუძველი გახდა. **მეოთხე,** მორალური ნორმების დარღვევა და ღირსების შელახვა ეროვნული ცნობიერების ერთგვარ დამახასიათებელ ღირებულებით ნიშნად იქცა; ზნეობრივი დეგრადაციის ნიშნები - აგრესიულობა, სნობიზმი, ცინიზმი და რადიკალიზმი - წამახალისებელი ღირებულება გახდა სოციუმის გარკვეული ნაწილისათვის. ამპარტავნობა და უღირსობა ცხოვრებისეულ გამოყენებით ასპექტად იქცა, რომელიც ერთიანად ანგრევს რაციონალურ კულტურულ-ღირებულებით სივრცეებს.

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი ცდილობს ქართულ ზნეობრივ სივრცეს ისეთი ღირებულებები მოახვიოს თავს, რომლებიც უცხო ელემენტია გენეტიკური მენტალობისათვის; ამით, ცდილობენ თავი წარმოგვიდგინონ ლიბერალურ მოაზროვნეებად და თანამედროვე ინტელექტუალებად, რომლებიც თითქოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უპირველესი დამცველები არიან. სინამდვილეში სახეზე გვაქვს ზნეობრივი დეგრადაციისა და მორალური გაუცხოების ნიშნები. ქართული კულტურულ-ზნეობრივი თვითმყოფადობა თავისი გენეტიკური ნორმებითა და პრინციპებით უნიკალური საგანძურია გლობალურ ღირებულებათა სივრცეში. ამ გაგებით, თანამედროვე ქართული ცნობიერება ინტელექტუალური ფენომენისაკენ შემობრუნებას საჭირობს, რომელიც სახელმწიფოებრივი რაციონალურობისათვის მყარ საფუძვლებს შექმნის.

ინტელექტუალური ელიტის ნაწილია პოლიტიკური ელიტა, რომელიც იღებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და განსაზღვრავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებითი თვითდამკვიდრების პრიორიტეტებს. თანამედროვე პოლიტიკური ელიტა თავისი პროფესიონალური დონითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით არ გამოირჩევა. განსაკუთრებით თვალშისაცემია მათი პოლიტიკურ-ინტელექტუალური მოუმზადებლობა და სიტუაციური ანალიზი. ინტუიცია, პრაგმატული აზროვნება და ლატენტური პროცესების ამოცნობა პოლიტიკური ელიტის განსაკუთრებული თვისება უნდა იყოს. პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში ქართულმა ელიტამ ვერ მოახერხა თვითდამკვიდრება და ეროვნული სახის შენარჩუნება. მათი პოლიტიკური პორტრეტი სახელმწიფოებრივი აქტორის როლის პროფესიონალურად შესრულების იმედებს ვერ იძლევა. პოლიტიკური ელიტა დაყოფილია ცალკეულ ჯგუფებად - სახელისუფლებო და ოპოზიციურ ელიტებად, რომლებიც ძალაუფლების შენარჩუნებისათვის დაპირისპირების უაღრესად აგრესიულ ფორმებს მიმართავენ.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ველი ინსტიტუციური პოლიტიკური აქტორების ნაკლებობას განიცდის; ძალაუფლება მთლიანად კონცენტრირებულია ერთი დომინანტური პარტიის ხელში, რომლის ძალაუფლებრივი ფუნქციონირება ტრადიციული ციკლური პერიოდულობით განისაზღვრება. 8-9 წლიანი ციკლის შემდეგ ელიტური ძალაუფლების მქონე პარტიის როლი ეცემა და სოციუმი ახალი ძალის ძიებითი პროცესებით არის დაკავებული. თანდათანობით ინგრევა ლეგიტიმური წესრიგის ინსტიტუციური ფორმები, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია ირაციონალურობის, აგრესიულობისა და დესტრუქციულობის ელემენტები. „მტრის ხატის" ძიება და დესტრუქციულობის შემოტანა ელიტური ცნობიერების ტრადიციული თვისება გახდა. ამით ინგრევა ერთიანი ქართული ცნობიერება, რომელიც პოლიტიკური ელიტის სუსტი ინტელექტუალი პოტენციალითა და დესტრუქციულობის ელემენტების შემოტანით საფრთხეს უქმნის ერი-სახელმწიფოს იდენტობას.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ინსტიტუციური წესრიგი არ არის სტაბილური, რადგანაც დომინანტი პარტია ტრადიციულად ქმნის პოლიტიკური თამაშის ისეთ მოდელს, რომელიც ავტორიტარულ ცნობიერებას ემყარება. დომინანტური ძალაუფლება ნაკლებად არის დაკავებული თვითშემეცნებითა და ინო-

ვაციური შემოქმედებით; მისთვის „მტრის ხატის" შექმნა მომგებიანი პოლიტიკური სცენარია, რომელიც მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება. პოლიტიკურ სივრცეში ვიღებთ იმიტაციურ და ფასადურ პროცესებს, რომლებიც სოციუმში პოლიტიკური აპათიის საფუძველი ხდება. იმიტაციური და ფასადური ცნობიერება ქმნის მოჩვენებითი კეთილდღეობის სინდრომს, რომელიც აქვეითებს სახელმწიფოებრივი იდენტობის შეგრძნებას. ამას თან ერთვის ისეთი ირაციონალური პროცესი, როგორიც არის წარუმატებლობის წარმატებად წარმოჩენა. ამერიკელი პოლიტოლოგი **ლ. მიტჩელი** აღნიშნავს, რომ **„...თუკი საქართველოში შენარჩუნდება ერთი პარტიის დომინირება, რაც ხდებოდა კიდეც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, მაშინ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ჩიხში შევა... საქართველოში შეიძლება განმეორდეს ერთი პარტიის კონსოლიდაციისა და შემდეგ მისი დაცემის ციკლი. ეს კი ძალიან სამწუხარო იქნება, რადგანაც სწორედ ეს ციკლი უშლის ხელს უკვე 25 წელია საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებას"**. [1]

პოლიტიკური ცნობიერების გარკვეული სეგმენტები იმიტაციურობისა და ფასადურობის შედეგად ინგრევა, გაუცხოების ელემენტები ძლიერდება და საერთო ეროვნული აპათია იზრდება, რასაც თან ერთვის სახელმწიფოებრივი ნიჰილიზმი. ასეთ სიტუაციაში, მასობრივი პოლიტიკური ცნობიერება კარგავს იმედს და ნიჰილიზმის ტყვეობაში ვარდება, რომელიც უპერსპექტივობის საფუძველზე ანგრევს ეროვნულ იდეასა და პატრიოტიზმის ღირებულებით დანიშნულებას აუფასურებს; ეროვნულ იდეას გაუცხოებული და დათრგუნული სოციუმი თვითგადარჩენის ინსტინქტებს აძლიერებს, რომელიც დესტრუქციულობისა და ირაციონალურ-არაცნობიერის მოტივაციებს ემყარება. მასობრივი ცნობიერება უპირისპირდება ელიტურ ცნობიერებას, რომელიც სახელმწიფოებრივი პოლარიზების მიზეზი ხდება. სამწუხაროდ, ასეთი დესტრუქციული ცნობიერება აძლიერებს სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტებს, რომელიც ქართული ცნობიერების თანმხვედრი პარადიგმა გახდა. სახელმწიფოებრივი გაუცხოება საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობასა და ქართული ცნობიერების თავისთავადობას. თანამედროვე სიტუაციაში ძალიან აქტუალური გახდა **ილია ჭავჭავაძის** გაფრთხილება: **„არ ვიცით - რანი ვყოფილვათ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან - და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად"**. [2]

თანამედროვე პოლიტიკური ცნობიერება პოლიტიკური სოციალიზაციის გარკვეულ მოდელს ემყარება, რომელსაც არსებული პოლიტიკური სისტემა ქმნის. ეს არის შემეცნებისა და ინტერიორიზაციის შედეგად მიღებული ღირებულებების, პოზიციების, განწყობილებების, ორიენტაციებისა და სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც ქცევის გარკვეულ მოდელში გამოვლინდება. პოლიტიკური სოციალიზაციის საფუძველი განათლებისა და აღზრდის საერთო ეროვნული სისტემით განისაზღვრება, რომელსაც გარკვეული აგენტები წარმართავენ. პოლიტიკურ სოციალიზაციაში დიდია ოჯახის, პოლიტიკური ინსტიტუტების, ელიტისა და ლიდერის, ინტელექტუალური ავტორიტეტების, ეკლესიისა და სხვა აქტორების როლი, რომლებიც აქტიურ როლს იღებენ საერთო პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში. ქართულ სინამდვილეში პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების ერთიანი კომპლექსური და კოორდინირებული მუშაობა გარკვეულწილად დარღვეულია. სისტემა არ არის მორგებული ეროვნულ-მენტალურ თვითმყოფადობას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს პოლიტიკური დროის მოთხოვნებს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა განათლების სფეროში, რომელიც გამოირჩევა თავისი ექსპერიმენტებითა და წარუმატებლობით. ამასთანავე, იგრძნობა ოჯახის, როგორც აღმზრდელობითი აგენტის როლის დაკნინება, რომელსაც მოხსნილი აქვს პასუხიმგებლობის მოტივაციები. საზოგადოება, რომელიც უცხო, ტრანსპლანტაციური ელემენტებით არის გაჯერებული, ახალგაზრდობის მიმართ მეტ სისტემურ, გაწონაწორებულ და გათვლილ ღირებულებით ზემოქმედებას მოითხოვს. პირდაპირ უნდა ითქვას, ძალიან დაეცა ახალგაზრდობის საერთო განათლებისა და კულტურის დონე; მისი სტილი - გაუცხოება, აპათია, ნიჰილიზმი, სნობიზმი, ცინიზმი და აგრესიულობა - ცნობიერების ერთგვარი პარადიგმა გახდა; ახალგაზრდობა ნიჰილისტურად უყურებს განათლებას, რაც ცხოვრებისეული უპერსპექტივობით არის გამოწვეული. უიმედობა, ნიჰილიზმი და აპათია საერთო ეროვნული ნიშანი გახდა, რომელმაც დათგუნა ინტელექტუალური მოთხოვნილება. ინტელექტუალური პოტენციალი არ აღიქმება ერის გამორჩეულ თვისებად, რომელსაც მარტივი და თავსმოხვეული ეროვნულ იდეას მოკლებული ცნობიერება განსაზღვრავს. გარკვეულწილად, ახალგაზრდობის ნაწილში შესამჩნევი გახდა ეროვნული ნიჰილიზმი, რომელმაც უცხოური ღირებულებებისადმი ზედმეტი მიმბაძველობა გამოიწვია. ევროპული განათლება აუცილებელი და ნამდვილად მისასალმებელია, მითუმეტეს, როდესაც ეროვნული საგანმათლებლო სისტემა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ჯერჯერობით, მოდელების ძიებით პროცესშია. ფაქტიობრივად, მოხდა ახალგაზრდობის გაუცხოება ქართული განათლებისადმი, რამაც ეროვნული ინტელექტის შეუფასებლობა გამოიწვია. ერი კარგავს თავის ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც უცხოეთში ახალგაზრდობის გადინებით არის გამოწვეული. ახალგაზრდობა უცხოური აქტორების ზემოქმედების შედეგად ეროვნულ ღირებულებებს ვეღარ ეგუება, რაც იწვევს საკუთარი იდენტობისადმი დაპირისპირებას.

1 ლ. მიტჩელი. 2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა. http://www.gruzinform.ge/news/31904/kazani-prinimaet-UniK-sooteCestvennikov.html

2 ილია ჭავჭავაძე. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩ. ნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987, გვ.177

ამის შედეგია პოლიტიკური ცნობიერების გახლეჩა, რომელიც თაობათა შორის არის პროვოცირებული. თაობათა შორის არსებული ღირებულებითი ვაკუუმი პოლიტიკური ცნობიერების გახლეჩის მიზეზი ხდება, რომელიც პოლიტიკური ელიტის მიერ ტრანზიციის პროცესში აუცილებელი გამოსასწორებელი პრიორიტეტი უნდა გახდეს.

გლობალური წესრიგის ტრანსფორმაციულმა ტენდენციებმა წინა პლანზე რელიგიური ფაქტორები წამოსწია. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობა თავისი ღირებულებითი ელემენტებით რელიგიურ იდენტობას ემყარება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მართლმადიდებელი ეკლესია გადაიქცა ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელ თანამონაწილედ და პოლიტიკური პროცესის აქტორად. ისტორიულად ქრისტიანულ-რელიგიური ცნობიერება ქართული ეროვნული იდენტობისა და იდეოლოგიის საფუძველი და ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი იყო. ამჟამად, პოლიტიკურ ღირებულებათა გადაფასების პროცესში, როდესაც რადიკალურად იცვლება ეროვნული იდენტობის კრიტერიუმები, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის როლი გამოკვეთილია. ამ შემთხვევაში, შეიძლება რამდენიმე ფაქტორი გამოვყოთ:. 1. გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა და ევროპაში მიგრაციული პროცესების გაძლიერებამ ეროვნული იდენტობის საკითხი წინა პლანზე დააყენა, რამაც ქრისტიანული რელიგიის როლის გაზრდა გამოიწვია; 2. იზრდება პოლიტიკური ისლამის როლი, რომელიც თავისი აგრესიულობითა და ფუნდამენტალისტური არსით პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციას ახდენს; ამიტომ, ქრისტიანული რელიგიურობის გაძლიერებამ აგრესიული ფუნდამენტალიზმი უნდა შეაჩეროს და ქართულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მისი გავრცელება არ დაუშვას; 3. მსოფლიოში მწვავე ღირებულებითი და იდეოლოგიური დაპირისპირებები მიმდინარეობს, რომელიც სარწმუნოებრივ იდენტობას ფართოდ იყენებს; იგულისხმება ე.წ. „რბილი ძალა", რომლის ერთ-ერთი კრიტერიუმი და ღირებულებითი განზომილება რელიგიურობაში გამოიხატება; 4. პოლიტიკური ტრანზიციის სიძნელეებმა ცალკეულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ახალ დემოკრატიებში, ირაციონალური პროცესების ზრდა გამოიწვია; ამ სივრცეში დაიწყო ე.წ. ღირებულებითი და კულტურულ-იდეოლოგიური გადაფასებების პერიოდი, რასაც შედეგად რელიგიური ცნობიერების აღმავლობა მოჰყვა; პოლიტიკურმა აპათიამ რელიგიურობის ერთგვარი რენესანსი გამოიწვია, რომელმაც სივრცითი ღირებულებითი ვაკუუმი შეავსო. თანამედროვე ევროატლანტიკური და მათ შორის აღმოსავლეთ ევროპული კულტურულ-ღირებულებითი იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნა გახდა ქრისტიანული თვითმყოფადობის დაცვა. სარწმუნოებრივი იდენტობა გაგებულია ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის საწყისად.

თანამედროვე ქართული ცნობიერება ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიის აღორძინებისა და დომინანტური პოზიციის გაძლიერებით თანდათანობით ტრანსფორმაციას განიცდის და სარწმუნოებრივი კრიტერიუმებით თავისი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას ცდილობს. ქართული ეკლესია და მისი მეთაური, უწმინდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული პრინციპულობითა და მიზანმიმართული პოზიციით ცდილობს შეინარჩუნოს ეროვნულ-ღირებულებითი სივრცე და იდენტობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. პატრიარქი ექსტრემისტულ ნგრევით პროცესებს ყოველთვის წინ აღუდგა და გარკვეულ სივრცეებში შეაჩერა კიდევაც რადიკალური და გაუცნობიერებელი მოქმედებები. საზოგადოებაში როდესაც შიშისა და უღირსობის სინდრომი იყო და ძალადობა ზეიმობდა, პატრიარქი და ეკლესია პრინციპული პოზიციით გამოდიოდა და თავისი რაციონალური აზროვნებით სოციუმს იმედს უნერგავდა. უწმინდესისა და უნეტარესის პოლიტიკური ალღო და ინტუიცია კომპრომისულ და კონსენსუალურ სტილს ემყარება, რაც გაწონასწორებულობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს; მისი სტილი რაციონალურისა და პრაგმატულობის გამოვლინების მაგალითია, რომელიც პოლიტიკური სივრცის აქტორთა უმრავლესობას რომ გამოევლინა, ბევრ ტრაგიკულ და გეოპოლიტიკურ დანაკარგს ავიცილებდით. ეს არის რაციონალური და სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუში, რომელიც კომპრომისულ ვარიანტებს ეძებს და პროცესებს ეროვნულ პრაგმატულობას ანიჭებს. ქართული ეკლესია დომინანტური ძალაა სახელმწიფოებრივ კონფესიურ სივრცეში, რომელიც ინარჩუნებს ერთგვარ თანამშრომლობით წონასწორობას და აყალიბებს ერთიან ეროვნულ ცნობიერებას. გეოპოლიტიკური გამოწვევები და რისკები ქართული მართლადიდებელი ეკლესიის როლის გაძლიერებას მოითხოვს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** აღნიშნავს, რომ "**განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ**" .[1]

დ ა ს კ ვ ნ ა

თანამედროვე გლობალური პოლიტიკური აზროვნების ტრანსფორმაციამ შეცვალა ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების სტრუქტურა. გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა პოლიტიკური აზროვნების განახლება მოითხოვა, რომელიც გამოკვეთილ ეროვნულ ტენდენციებს უნდა ემყარებოდეს. ერის სასიცოცხლო ინტერესი მკაცრ პრაგმატულ აზროვნებას მოითხოვს, რადგანაც ძლიერდება ცნობიერების მანიპულირების საშუალებები და ფორმები. მძიმე გამოწვევებისა და რისკების წინაშე აღმოჩნდა თანამედროვე ქართული აზროვნება, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით

1 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/740569-sruliad-sakartvelos-katolikos-patriarkis-mcxeta-tbilisis-mtavarepiskoposisa-da-bichvintisa-da-cxum-apxazetis-mitropolit-ilia-ii-is-sashobao-epistole

განიცდის ზეწოლას; 1. გლობალიზაცია და ახალი პოლიტიკური რეალობა მკვეთრად ცვლის პოლიტიკური ცნობიერების სივრცით პრიორიტეტებს, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული იდენტობის გაგებასთან; 2. ქართულმა პოლიტიკურმა ტრანზიციამ კურსი უნიფიცირებულ ტრანსპლანტაციურ პროცესებზე აიღო, რომელმაც ეროვნულ-გენეტიკური და მენტალური ელემენტების ნიველირება მოახდინა. გარკვეული შიდა და გარე ფაქტორები აფერხებს ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის პროცესს, რაც ქართული აზრობრივი და ინტელექტუალური ფენომენების შეუფასებლობას იწვევს. პოლიტიკური აზროვნება მონოპოლიზირებული აქვთ ისეთ პოლიტიკურ აქტორებს, რომლებიც უცხოურ ღირებულებით ელემენტებზე აგებენ თავის აზროვნებას და ქართული ინტელექტუალური ფენომენების ნიჰილისტურ შეფასებას იძლევიან.

პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში თანამედროვე ქართული ცნობიერება ტრანსფორმაციას განიცდის, რაც ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების განმსაზღვრელ განზომილებით პრიორიტეტს წარმოადგენს. თანამედროვე გლობალური ტრანსფორმაციების შედეგად შექმნილი მწვავე გამოწვევებისა და რისკების პირობებში მკვეთრად იცვლება ქართული სააზროვნო სივრცის კრიტერიუმები. ეროვნული კონსოლიდაცია და კულტურულ-ღირებულებითი ინტეგრაცია თანამედროვე პოლიტიკური ტრანზიციის პრიორიტეტული სააზროვნო პარადიგმა გახდა. მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური მონაწილეობით იქმნება ახალი სააზროვნო სივრცე, რომელიც ეროვნულ ინტელექტუალურ ფენომენებსა და ღირებულებით პრიორიტეტებს დაემყარება. პოლიტიკურ სააზროვნო სივრცეში მართლმადიდებლობა გადაიქცა რაციონალურობისა და ეროვნული პრაგმატულობის დამკვიდრებისა და განვითარების ერთ-ერთ გამოკვეთილ აქტორად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე. ერი და ისტორია რჩ. ნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987

2. ილია ჭავჭავაძე. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩ. Nნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/740569-sruliad-sakartvelos-katolikos-patriarkis-mcxeta-tbilisis-mtavarepiskoposisa-da-bichvintisa-da-cxum-apxazetis-mitropolit-ilia-ii-is-sashobao-epistole

3. გ. აბესაძე. პოლიტიკური ცნობიერება და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რაციონალურობა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XVIII. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2018-2019, გვ. 382-393

გ.აბესაძე, ნ.აბესაძე. პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური, რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N3, 2022, გვ..12-17 www.b-k.ge file:///C:/Users/595-424-424%20 Temo/Downloads/12-17.pdf

გ. აბესაძე, ნ. აბესაძე, პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური, რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. N1, 2023, გვ. 71-79 / ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. www.b-k.ge https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/787

4. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური ტრანზიცია და ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეშვიდე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2023, გვ. 80-91

5. გ. აბესაძე, თ. გოგბერაშვილი. პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალურობის პარადიგმები საქართველოში. ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2019

6. ლ. მიტჩელი. 2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა. http://www.gruzinform.ge/news/31904/kazani-prinimaet-UniK-sooteCestvennikov.html

7. ლ. სანიკიძე. კვლავ ილიას გარეშე... თსუ-ს შრომების კრებული. სადისკუსიო კლუბი „ქართული სახელმწიფო“. თსუ., 2003, გვ.11-17

ნეპოტიზმი, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაკავებელი ფაქტორი

ვლადიმერ რევაზის ძე ბასარია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://orcid.org/0009-0007-2091-0617
E-mail: vladimerbasaria@yahoo.com

ვლადიმერ ვლადიმერის ძე ბასარია
წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი
https://orcid.org/0009-0005-9976-6990
E-mail:vladimer.basaria@bk.ru)

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.04

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ნეპოტიზმი, როგორც ეროვნული ეკონომიკისათვის კორუფციის საფრთხის ნაირსახეობა. მასში წარმოდგენილია ნეპოტიზმთან ბრძოლის ინსტრუმენტები და კეთდება აქცენტები მათი გამოყენების ეფექტიანობაზე.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ნეპოტიზმთან ბრძოლის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, აგრეთვე სახელმწიფო უწყებებსა თუ კერძო კომპანიებში თანამდებობების დასაკავებლად ჯანსაღი კონკურენციის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია არგუნენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები კონცენტრირდება მასზედ, რომ ხელისუფლების, საზოგადოების, სამეცნიერო წრეების მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს ადამიანების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: ნეპოტიზმი; კორუფცია; საჯარო სამსახური; საჯარო კონკურსი.

ციტირებისთვის: ბასარია, ვ. რ, ბასარია, ვ. ვ, ნეპოტიზმი, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაკავებელი ფაქტორი, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2023 წ. გვ. 35-39.

NEPOTISM AS A LIMITING FACTOR OF ECONOMIC DEVELOPMENT

Basaria Vladimir R.
Academic Doctor of Economics,
Associate Professor
Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0007-2091-0617
E-mail: vladimerbasaria@yahoo.com

Basaria Vladimir V.
St. Andrew the fist-Called Georgian
University Student of the Faculty
of Business Administration
https://orcid.org/0009-0005-9976-6990
E-mail:vladimer.basaria@bk.ru

ANNOTATION

The paper discusses nepotism as a type of corruption threat to the national economy. It presents tools for fighting nepotism and focuses on the effectiveness of their use.

The author draws attention to the crucial importance of fighting nepotism for the political and economic development of the state, as well as the need to improve the quality of healthy competition for positions in state agencies and private companies.

Argumented conclusions and recommendations are formulated in the paper, focusing on the fact that the government, society, and scientific circles should be constantly concerned about raising the competitiveness of people.

Key words: nepotism; corruption; public service; Public competition.

For citation: Basaria, V.. R, Basaria, V. V., Nepotism as a restraining factor of economic development, “Business and Legislation” magazine, No. 2, 2023. p. 35-39.

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო სამსახურების ხელმძღვანელი პირების მხრიდან საკუთარი ნაცნობ-მეგობრებისა თუ ნათესავების, თანაპარტიელების სამუშაოზე დანიშვნის ტენდენცია ჩვენი ქვეყნისათვის უცხო ნამდვილად არ არის. საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსების გამოცხადებისა და კანდიდატურების განხილვა ხშირად უბრალოდ ფიქციაა. როგორი აუხსნელიც (ან რთულად ასახსნელი) არ უნდა იყოს, პრაქტიკულად ასეთივე მიდგომაა გაბატონებული თვით კერძო სექტორშიც კი.

როგორ აისახება ნეპოტიზმით[1] ცნობილი ეს სოციალური მოვლენა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების საქმიანობის შედეგებზე და მთლიანობაში ეკონომიკის ფუნქციონირებაზე?

ნეპოტიზმი ეკონომიკურ ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ფენომენია, რომელიც ადამიანის მხრიდან საკუთარ ნათესავებსა და ახლობლებზე ზრუნვისადმი ბუნებრივი მიდრეკილებითაა განპირობებული *(Д.М. Сафина. Влияние непотизма и фавортизма на организационное и экономическое развитие. Журнал научных публикаций Дискуссия. 2013. №10. стр. 94).* სოციუმის ასეთი ქცევის ფართო ანალიზი ერთ-ერთმა პირველმა ამერიკელმა სოციოლოგმა ედვარდ ბანფილდმა შემოგვთავაზა თავის ნაშრომში „ჩამორჩენილი საზოგადოების მორალური საფუძვლები“ *(Banfield E.C. The Moral Basis of a Backward Society).* სამხრეთ იტალიის პატარა პროვინციის მაგალითზე მკვლევარი მეტად საინტერესოდ აღწერს, თუ როგორ ახდენს ნეპოტიზმი ისეთი სოციალური მოდელის ფორმირებას, სადაც ადამიანები, რომლებსაც სანდო კავშირ-დამოკიდებულება მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებთან გააჩნიათ, საზოგადოების დანარჩენ წევრებთან ურთიერთობაში სარგებელს ვერ ნახულობენ. ეს ინდივიდები საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებას მხოლოდ მაშინ აფასებენ, როცა ბენეფიციარები თვითონ (მათი ახლობლები) ხდებიან, რასთან დაკავშირებითაც არც ერთი მათგანი საერთო-საზოგადოებრივი ინტერესებით არ ხელმძღვანელობს იქამდე, ვიდრე ამაში უშუალო გამორჩენას არ დაინახავს. საკუთარ ქმედობებში მხოლოდ პიროვნულ სარგებელს მისდევს შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვილი ადგილობრივი ადმინისტრაციაც. შედეგად პროვინციაში ნორმალურ მოვლენად ყალიბდება კორუფცია, ქცევის ზემოაღწერილი მახასიათებლები კი ადმინისტრაციის (ხელისუფლების, სახელმწიფოს) „ოკუპანტად“ აღქმის დამოკიდებულების ფორმირებას განაპირობებს საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს მიმართ მოსახლეობას ოპორტუნისტულად განაწყობს (მაგალითად, „მძარცველის ძარცვის სამართლიანობის“ პრინციპით მართლდება საჯარო რესურსების მიტაცების ფაქტები, აღმიშნულზე დასმენა კი კატეგორიულად მიუღებელ ტონად მიიჩნევა საზოგადოებაში).

ცნობილია, რომ სოციალურ მეცნიერებაში ნეპოტიზმის ორგვარ ბუნებას განასხვავებენ:

- ე.წ. პოზიტიური ნეპოტიზმი გულისხმობს ურთიერთობებს, რომლებიც ნეპოტიარს (ანუ პირს, რომელიც საკუთარ ნათესავებს, ახლობლებსა თუ მეგობრებს სამსახურებრივ მფარველობას უწევს) ისეთი სარგებლის მიღების საშუალებას აძლევს, რომელსაც მოცემულ მომენტში ვერ მიიღებდა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული აუცილებელი ფორმალური პროცედურების უცოდინრობის ან საჭირო შესაძლებლობების (მაგ. ფინანსური უზრუნველყოფის) უქონლობის გამო. მიჩნეულია, რომ პოზიტიური ნეპოტიზმის შემთხვევებში, სწორად წარმოებული ურთიერთობების პირობებში, ნეპოტიარს კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით საზოგადოებრივი სიკეთის გაუმჯობესება შეუძლია ზოგჯერ (როდესაც ხელმძღვანელი სამსახურში მაღალკვალიფიციურ მეგობარს ასაქმებს, ის გარკვეულწილად დარწმუნებულია, რომ ახალი მუშაკი მას არ შეარცხვენს. უფროსის ამგვარი დამოკიდებულება დამატებითი პასუხისმგებლობა ხდება დასაქმებულისათვის, ეს კი მისი შრომის ეფექტიანობის ამაღლებასა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სიკეთის გაუმჯობესებას განაპირობებს);
- ნეგატიური ნეპოტიზმის შემთხვევებში ნეპოტიატი (პირი, რომელიც სარგებელს ნეპოტიარის მეშვეობით მინიჭებული უპირატესობის შედეგად ღებულობს), მართალია, გარკვეულ სარგებელს ღებულობს, მაგრამ მას არ ძალუძს ამ სიკეთის ოპტიმალურად (რაციონალურად, გონივრულად, წინდახედულად) გამოყენება არც საზოგადოებისათვის, და, შეიძლება ითქვას, არც საკუთარი თავისათვის საბოლოო ჯამში.

ნეპოტიზმის ამ ორ სახესხვაობას შორის მკაფიო ზღვარის გავლება პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც მოვლენის კვლევა-ანალიზს საგრძნობლად ართულებს: ზემოთ მოყვანილ მაგალითს თუ მივუბრუნდებით და დავუშვებთ, რომ სამსახურში მოწყობილ იმავე მაღალკვალიფიციურ ნეპოტიატს დაუსჯელობის სინდრომი შეეყრება, ან კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით მაღალი მოლოდინი შეექმნება, ან კიდევ საკუთარ ნაკლოვანებათა კრიტიკა შეელახება, მისი შრომის შედეგი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებაზე დადებითად ნამდვილად არ აისახება - ნეპოტიატის ზემოხსენებული მენტალური ცვლილებები ადრე თუ გვიან გარკვეულ პრობლემებს კოლექტივში უცილობლივ წარმოშობს, ეს კი უარყოფითად აისახება კომპანიის მწარმოებლურობაზე და, შესაბამისად, მთლიანად საზოგადოებრივ სიკეთეზე.

რამდენად სახიფათოა ნეპოტიზმის ნეგატიური გავლენა ცალკეული კომპანიებისათვის, სახელმწიფო უწყებებისა თუ ეკონომიკის რეზულტატურობისათვის მთლიანობაში?

ნეპოტიზმის ორგვაროვანი ბუნების მიუხედავად, ეკონომიკურ მეცნიერებაში ეს ფენომენი ცალსახად ფასდება როგორც კრიზისული შემთხვევების, რყევე-

1 ნეპოტიზმი (ლათ. nepos, ნათ. ბრუნვა nepotis — „შვილიშვილი“, „შთამომავალი“) - მეგობრებისა და ნათესავებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება მათი დამსახურების მიუხედავად.

ბის წარმოშობის ხელშემწყობი მოვლენა - ეკონომიკის მონოპოლისტური სტრუქტურის, მისი არაეფექტიანი რეგულირებისა და კორუფციის კრიტიკულ მასშტაბებს ქვეყნის მეურნეობრიობა ჩამოშლამდე შეუქცევადად მიჰყავს; გაეროს და ევროპული კონვენციები ნეპოტიზმს კორუფციის სახესხვაობად განიხილავენ (თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, კორუფციისაგან განსხვავებით, ნეპოტისტური ურთიერთობების წინაპირობას ხშირად არამატერიალური, მორალურ-ზნეობრივი ხასიათი აქვს[1]). სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ნეპოტიზმის ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენის შესწავლა და ყველა იმ შესაძლო კანონზომიერების გამოვლენა, რომელიც ხსენებული მოვლენის უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად აუცილებელი, მეცნიერულად დასაბუთებული ინსტრუმენტარიუმის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

მაგრამ მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ მსჯელობას. დასაწყისისთვის მიმოვიხილოთ, თუ როგორ აყენებს ზიანს ნეპოტიზმი კერძო სექტორის ეკონომიკურ სუბიექტს - კომპანიას და მის თანამშრომლებს.

პირველი, რაც ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, გახლავთ ის, რომ ნეპოტიზმი უდავოდ აზიანებს კომპანიაში სამართლიანობის განცდას. როდესაც ფირმაში ადგილი აქვს ახლობლებისა თუ ნათესავების დანიშვნას მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიუხედავად, ეს დანარჩენ თანამშრომლებში გაწბილებას იწვევს - ისინი საკუთარ თავს დაუფასებლად და დაჩაგრულად გრძნობენ; გარდა ამისა, ნეპოტიზმი თანამშრომელთა კარიერული ზრდის შესაძლებლობებს აყენებს ზიანს, აქედან გამომდინარე, ანელებს აღნიშნულთან დაკავშირებულ სამოტივაციო მუხტს - თუ მუშაკს არ აქვს ნათესაური ან პირადი (მეგობრული) ურთიერთობა დამსაქმებელთან, ნეპოტისტურ ბიზნეს გარემოში წინსვლა მას საკმაოდ გაურთულდება, რადგან კომპანიაში დაწინაურების საკითხი პირდაპირ არ უკავშირდება დასაქმებულის უნარ-ჩვევებისა თუ პროფესიულ ცოდნა-გამოცდილების ამაღლებას ან შრომის შედეგების გაუმჯობესებას. არაკომპეტენტური ნეპოტიატი, როგორც წესი, სამსახურებრივად რთულად სამართავია; ის ნაკლებად აგებს პასუხს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხზე. სამაგიეროდ ეს პასუხისმგებლობა კოლექტივის სხვა წევრებზე გადანაწილდება ხშირად, რაც მათში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს; ამასთან, ნეპოტიზმი კომპანიაში უმეცრების (უვიცობის, უბირობის), უპატივცემულობის, უზრდელობის ნაყოფებს ისხამს და კოლექტივში არაჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას განაპირობებს. შედეგად კომპანია იწყებს დაშლას, რადგან კონკურენციის ნაკლებობა თანამშრომელთა სპეციალიზაციისა და კომპეტენციის დაქვეითებას, სამუშაოს ჯეროვნად შეუსრულებლობას, მომხმარებელთა უკმაყოფილებას, მწარმოებლურობისა და შემოსავლების შემცირებას, პროფესიონალი მუშა-ხელის გადინებას, დამატებითი დანახარჯების ზრდას იწვევს.

ალბათ, არ არის რთულად წარმოსადგენი იმ ქვეყნის ეკონომიკის სავალალო შედეგების მასშტაბები, რომლის საზოგადოებისათვის ნეპოტიზმი იმდენად ნორმალური, ჩვეულებრივი და მისაღები გარემოებაა, რომ არაპროფესიონალი ნაცნობ-მეგობრების „დასაქმება" საკუთარ ბიზნესშიც კი სასარგებლოდ მიაჩნია. ამასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია Georgetown University-ის ერთ-ერთი კვლევის შედეგები, რომლის თანახმად: აშშ-ში გამოკითხულთა 75% ნეპოტიზმის მოწმე გამხდარა; რესპოდენტთა 23%-ს უღიარებია, რომ თავადაც ხშირად გამოსულა ნეპოტიარის როლში, თუმცა კი (და ეს ყველაზე საინტერესოა) მათი დიდი უმრავლესობა (80%) დათანხმებია მოსაზრებას, რომლის მიხედვით ნეპოტიზი უარყოფითად აისახება კომპანიის პროდუქტიულობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნეპოტიზმისათვის გაცილებით უფრო კომფორტულ გარემოს საჯარო სივრცე წარმოადგენს - სივრცე, რომელშიც კერძომესაკუთრული მუხტი-მოტივაცია არ აწესრიგებს არაეფექტიანი, უსარგებლო, დამაზიანებელი გადაწყვეტილებების მიღების საკითხებს.

სახელმწიფო სექტორში დაბუდებული ნეპოტიზმი არღვევს სამართლებრივი ნორმების ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა საყოველთაო თანასწორობა კანონის წინაშე, მიუკერძოებლობა და ყველა მოქალაქისათვის საჯარო სამსახურისადმი თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობა. ამ ფუნდამენტური პრინციპების დაცვის გარეშე კი, როგორც წესი, ქვეყანაში:

- მატულობს საჯარო თანამდებობების ნაცნობ-მეგობრებისათვის გადაცემის ფაქტები და კლებულობს ხელმძღვანელი პოზიციისათვის კონკურენციული პაექრობის ხარისხი;
- იზრდება საკადრო არაკომპეტენტურობა და კორუფციულ გარიგებათა რაოდენობა;
- ფერხდება ჯანმრთელი და ეფექტიანი ბიზნესის განვითარება და სხვ.

სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ სახელმწიფო უწყებებში არაკომპეტენტური პირების დანიშვნისა და მათი მხრიდან მიზანმიმართული თუ უნებლიე არასწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სიხშირე კომპანიების პროგრესს ამუხრუჭებს, ხელს უშლის საზოგადოების განვითარებას, ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას; ამიტომაა, რომ ნეპოტიზმის გამოვლინების ნებისმიერი ფორმა (ნათესაური, კლანური, ეროვნული, ტერიტორიული, სქესობრივი, პატერნალისტური, ინსტიტუციური და სხვ.) თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში სოციუმისათვის დამაზიანებელ მოვლენად განხილიება.

ზემოაღნიშნულ მტკიცებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) მიერ აშშ-ის 50 ათასზე მეტ კორპორაციაში ჩატარებული კვლევის შედეგებს მოვიშველიებთ:

✓ აშშ-ის ყოველ მესამე კომპანიაში ოჯახური ნეპოტიზმის ფაქტები გამოვლინდა, მათგან ყველაზე მეტი კი (რაც ნიშანდობლივია) მასმედიისა და გამომცემლობის სფეროში დაფიქსირდა;

✓ ყოველ მეოცე ტოპ-მენეჯერს თავის კომპანიაში დასაქმებული ნათესავი ჰყავდა;

1 ეს გარემოებაც მნიშვნელოვნად ართულებს ნეპოტიზმის ბუნების შესწავლის საქმეს.

✓ კომპანიებში, სადაც გავრცელებული იყო ნეპოტიზმი, იმაზე ნაკლები ინვესტიცია ჩაიდო და მნიშვნელოვან კვლევებზე იმაზე ნაკლები სახსრები დაიხარჯა, ვიდრე ეს დანარჩენ ფირმებში მოხდა.

ნეპოტიზმის როგორც კორუფციის ნაირსახეობის მკვეთრად უარყოფით ხასიათზე მიუთითებს მეცნიერ-მკვლევრების კლაუს გრიუნდლერის და ნიკლას პოტრაფკეს (Klaus Gründler, Niklas Potrafke) მიერ აღმოჩენილი მეტად საინტერესო თეორიული კანონზომიერება, რომლის მიხედვით კორუმპირებულობის ინდექსის ერთი ერთეულით ზრდის კვალობაზე (Transparency International's Perception of Corruption Index (CPI)) მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ გრძელვადიან პერიოდში 17%-ით მცირდება.

საბედნიეროდ, ნეპოტიზმთან ბრძოლის მრავალი ხერხი არსებობს, რომლებსაც აქტიურად უნდა მიმართონ როგორც კომპანიების მენეჯერებმა, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებმა. თავს შევიკავებთ მათი აღწერისაგან და ამ თვალსაზრისით ერთი მოკრძალებული რჩევით შემოვიფარგლებით მხოლოდ: საზოგადოებრივად მავნე ნეპოტიზმის მოვლენასთან გამკლავება იმ უმთავრესი ფუნდამენტური პრინციპების დაცვაში უნდა მდგომარეობდეს, როგორიცაა საქმიანი და საოჯახო ურთიერთობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ბიზნესის კანონების პატივისცემა.

სამწუხაროდ, საჟურნალო ფორმატი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ნეპოტიზმის აღმოფხვრასთან (მისი გავლენის შემცირებასთან) დაკავშირებული ღონისძიებების ფართო მიმოხილვის საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ ამ მხრივ მეტად მოკლე, თუმცა, ვფიქრობთ, საგულისხმო ინფორმაციის მოწოდებით შემოვიფარგლებით:

• აშშ-ის კანონმდებლობა პირდაპირ უკრძალავს სახელმწიფო მოხელეებს ნათესავების სამსახურში მოწყობას; კერძო სექტორზე ასეთი შეზღუდვა, მართალია, არ ვრცელდება, თუმცა ამერიკელი (ისევე როგორც ბრიტანელი) დამსაქმებლები საკმაოდ ძვირადღირებული და ხანგრძლივი სასამართლო დავების წარმოებით რისკავენ, თუკი კომპანიაში უპირატესად ნაცნობ-მეგობრებს მიიღებენ სამუშაოდ;

• ჩინეთის ანტიკორუფციული სახელმწიფო სააგენტო მეტად მკაცრ ანტინეპოტისტურ პოლიტიკას ატარებს, განსაკუთრებით იმ არც თუ მცირერიცხოვანი გავლენიანი „ოჯახების" მიმართ, რომლებიც ქვეყნის სამრეწველო სექტორს აკონტროლებენ;

• აი, იტალიასა და ესპანეთში პირადი კავშირების დახმარებით კარიერული წინსვლა, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი მოვლენაა (თუმცა, ცხადია, ნეპოტიზმის გამოვლინებებს იქაც ებრძვიან).

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურებისათვის (და, პრინციპში, კერძო კომპანიებისათვისაც) კონკურენციის წესების დარღვევა უცხო ხილი ნამდვილად არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ დიდი ხანია, რაც სახელმწიფო სამსახურის გამჭირვალე და დამოუკიდებელი სისტემის შექმნის ვალდებულება აიღო, საქმე წინ დიდად არ წასულა. არავის გავაკვირვებთ, თუ ვიტყვით, რომ არც თუ იშვიათად საჯარო სამსახურებში პერსონალის შერჩევა კონკურსის წესების უხეში დარღვევით მიმდინარეობს.

გასაგებია, რომ ნეპოტიზმს ავად თუ კარგად ჩვენთანაც ებრძვიან და ებრძოდნენ ადრეც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მასალას გაგაცნობთ: ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის პერიოდში, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე დანიშვნის კვალობაზე ედუარდ შევარდნაძემ კორუფციისათვის თანამდებობებიდან გაათვისუფლა 20 მინისტრი, რაიკომის 44 მდივანი, ქალაქკომის 3 მდივანი, რაიაღმასკომის 10 თავმჯდომარე და მოადგილე, დააპატიმრა 15 ათასამდე და სამსახურიდან გაუშვა 40 ათასამდე მოხელე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციასა და ნეპოტიზმთან ბრძოლის საქმეში ასეთმა უპრეცედენტოდ მასშტაბურმა ღონისძიებებმა არსებითი შედეგი ვერ გამოიღო (ეს, ალბათ, იმჟამინდელი მმართველობის სისტემურ ნაკლოვანებებს უნდა მივაწეროთ ძირითადად);

ნეპოტიზმსა და კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით ხელისუფლებაში მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა მმართველობის სისტემაში ე.წ. „გუნდურობის" პრინციპი დანერგა, რამაც ძალაუფლების მონოპოლიზებას და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მაღალ და საშუალო ეშელონებში კორუფციული (ნეპოტისტური) ურთიერთობების გაწყვეტის ნაცვლად მათ შენარჩუნება-წახალისებას შეუწყო ხელი (სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქვედა რგოლებში კორუფციასთან გამკლავება მეტ-ნაკლებად წარმატებით განხორციელდა).

მომდევნო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნეპოტიზმის აღმოფხვრა საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია, და რომ მცირე დოზებით ის ყოველთვის იარსებებს. რთულია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას (მით უფრო, რომ ამას პრაქტიკაც ადასტურებს და ნეპოტიზმის სოციალური ბუნების არაერთი თეორიული კვლევაც ამტკიცებს), თუმცა რამდენად გამართლებული იყო ასეთი განცხადების გაკეთება ქვეყნის პირველი პირის მხრიდან, ეს სხვა საკითხია - ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის განმაპირობებელი ეფექტიანი პოლიტიკის გატარება პროფესიონალ, კომპეტენტურ სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ მხოლოდ, ამიტომ ხელისუფლების ამოცანა მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გამუდმებულ ზრუნვაში უნდა მდგომარეობდეს, საზოგადოებას კი ამ გეზის განუხრელობაში მცირეოდენი ეჭვის შეტანის საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

• ნეპოტიზმი მოსახლეობას სახელმწიფოს მიმართ ოპორტუნისტულად განაწყობს;

• სწორად წარმოებული ურთიერთობების პირობებში, ნეპოტიარს კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით ზოგჯერ საზოგადოებრივი სიკეთის გაუმჯობესება შეუძლია;

• მიუხედავად ნეპოტიზმის გარკვეული პოზი-

ტიური თვისებებისა, ეს ფენომენი ცალსახად უნდა შეფასდეს როგორც ეკონომიკური რყევების წარმოშობის ხელშემწყობი მოვლენა, რადგან მონოპოლისტური სტრუქტურის, მისი არაეფექტიანი რეგულირებისა და კორუფციის კრიტიკულ მასშტაბებს ქვეყნის მეურნეობრიობა ჩამოშლამდე შეუქცევადად მიჰყავს;

- კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიუხედავად ახლობლებისა თუ ნათესავების თანამდებობებზე გახშირებული დანიშვნის ფაქტების გამო, თანამშრომლები საკუთარ თავს დაუფასებლად და დაჩაგრულად გრძნობენ; მცირდება თანამშრომელთა კარიერული ზრდის შესაძლებლობები და ეცემა აღნიშნულთან დაკავშირებული სამოტივაციო მუხტი; კოლექტივში იქმნება არაჯანსაღი სამუშაო გარემო; ქვეითდება თანამშრომელთა სპეციალიზაციისა და კომპეტენციის დონე; არაჯეროვნად სრულდება სამუშაო; იზრდება მომხმარებელთა უკმაყოფილება; მცირდება კომპანიის (უწყების) მწარმოებლურობა და შემოსავლები; ადგილი აქვს პროფესიონალი მუშა-ხელის გადინებას, დამატებითი დანახარჯების ზრდას;
- კერძო თუ სახელმწიფო სექტორებში არაკომპეტენტური პირების დანიშვნისა და მათი მხრიდან მიზანმიმართული თუ უნებლიე არასწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სიხშირე ხელს უშლის საზოგადოების განვითარებას, ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, მთლიანობაში ამუხრუჭებს პროგრესს;
- ხელისუფლების, საზოგადოების, სამეცნიერო წრეების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ადამიანების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გამუდმებულ ზრუნვაში უნდა მდგომარეობდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Banfield E.C. The Moral Basis of a Backward Society. New York: Free Press, 1958;

2. Потребительное поведение через призму доверия и ответственности. Исследование Левада-центра по заказу центра макроэкономических исследований Сбербанка. Февраль 2013. (ელექტრონული რესურსი) http://sberbank.ru/common/img/uploaded/files/pdf/press_center/2013/Levada_potreblenie_doverie_i_otvetstvennost_.pdf (дата обращения: 23.09.2013);

3. Комаровская Н.В. Фиаско государства: греческий кризис в контексте теории общественного выбора // Горизонты экономики. 2018. №5;

4. Сафина Д.М. Влияние непотизма и фавортизма на организационное и экономическое развитие. Журнал научных публикаций Дискуссия. 2013. №10;

5. ა. ხიდირბეგიშვილი. საქართველოს ხელისუფლების მთვარი პრობლემები ანუ არათანაბარი შესაძლებობების ქვეყანა. 2017. (ელექტრონული რესურსი) https://sputnik-georgia.ru/20171219/Glavnaja-problema-gruzinskih-vlastej-ili-Strana-neravnyh-vozmozhnostej-238619437.html;

6. ბასარია ვ., ბასარია რ. ეკონომიკის პრინციპები. საქართველოს აკადემიური გამომცემლობა. თბილისი. 2017.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ვექტორები

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.05

ლაშა ბერიძე
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი,
აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი,
წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი, T. 595554141
ORCID ID: http://orcid.org/0009-0007-4733-2212
Lberidze@cu.edu.ge

რამინ ცინარიძე
ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ბათუმი, T. 558210401
ORCID ID: http://orcid.org/0000-0002-0444-9740
ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

ზინაიდა სმუტჩაკი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სასწავლო და სამეცნიერო სახელმწიფო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების
„განათლების მენეჯმენტის უნივერსიტეტის“
მენეჯმენტისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
კიევი, უკრაინა, T. 380675200720
ORCID ID: http://orcid.org/0000-0002-6079-9227
zinulechka@ukr.net

ნინო ჯაფარიძე
ბაკალავრი, ეკონომიკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი, T. 568905200
ORCID ID: https://orcid.org/0009-0001-8582-8485
ninojafaridze124@gmail.com

გიორგი თურმანიძე
ბაკალავრი, ეკონომიკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი, T. 555462264
ORCID ID: https://orcid.org/0009-0006-2472-9690
gturmanidze2112@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების, კონკრეტულად რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები და არსებული მდგომარეობა. ომის ფონზე ქვეყანამ მიიღო რიგი გამოწვევები და უპირატესობები, რომელიც წარმოჩნდა ექსპორტის კუთხით. გამოკვლეულია საქართველოს ტოპ 6 საექსპორტო საქონელი და მისი იმპორტიორი ქვეყნები, აგრეთვე ომის პირობებში თუ როგორ მოახდინა ქვეყანამ ბაზრის დიფერენციაცია და ექსპორტის მოცულობის გაზრდა, გაიტანა საქონელი ისეთ ქვეყნებში, სადაც მანამდე ან არ ჰქონდა ამ დონის მოცულობის ექსპორტი ან საერთოდ არ ანხორციელებდა კონკრეტული საქონლის ექსპორტს.

თანამედროვე რეალობის ანალიზისა და პერსპექტივაში ვექტორების წარმოსაჩენად გამოყენებულია ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემები, მათზე დაყრდნობით შესწავლილია სხვადასხვა ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტის დინამიკაში და აგრეთვე ტოპ 6 საქონლის მოცულობის ზრდის თავისებურებანი. ინდექსების გამოყენებით წარმოჩნდა საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები, ეს ინდექსები იკვლევს საექსპორტო საქონლის კონცენტრაციასა და კონკურენტუნარიანობას მსოფლიო სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, ექსპორტ-იმპორტი, ინდექსი, კონკურენცია, კონცენტრაცია.

JEL classification: ***F10, F14, F51, F52***

ციტირებისთვის: ბერიძე ლ., ცინარიძე რ., სმუტჩაკი ზ., ჯაფარიძე ნ., თურმანიძე გ., რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ვექტორები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, № 2, 2023, გვ. 40- 52.

RUSSIA-UKRAINE CONFLICT AND GEORGIA'S EXPORT POTENTIAL VECTORS

ABSTRACT

The article presents Georgia's export opportunities based on current situation and the background of current events in the world, specifically the Russia-Ukraine war. Due to war, the country faced a number of challenges and advantages that arose in terms of exports. Georgia's top 6 export goods and its importing countries are investigated, as well as how the country differentiated the market and increased the volume of exports during the war, exporting goods to countries that either did not import this level of volume or did not import specific goods at all. National and international statistical data are used to present the vectors in the analysis and perspective of modern reality, based on them, the share of different countries in the export dynamics of Georgia and also the peculiarities of the volume growth of the top 6 goods are studied. Georgia's export opportunities were revealed using indices, these indices examine the concentration and competitiveness of export goods in the world space.

Key words: *foreign trade, export-import, index, competition, concentration.*

JEL classification: ***F10, F14, F51, F52***

For citation: Beridze L., Tsinaridze R., Smutchaki Z., Japaridze N., Turmanidze G., Russia-Ukraine conflict and Georgia's export potential vectors, "Business and Legislation" magazine, No. 2, 2023, p. 40-52.

Lasha Beridze
Doctor of business Administration, Professor,
Faculty of Agricultural Sciences
and Business Administration,
Tbel Abuseridze Teaching University,
Batumi, Georgia, T. 595554141
ORCID ID: http://orcid.org/0009-0007-4733-2212
Lberidze@cu.edu.ge

Ramin Tsinaridze
PhD of Business Administration, Associate Professor,
Faculty of Economics and Business,
Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia, T. 558210401
ORCID ID: http://orcid.org/0000-0002-0444-9740
ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

Zinaida Smutchak,
Doctor of Economic Sciences, Professor,
Educational and Scientific Institute
of Management and Psychology
of State Higher Educational Institution
University of Educational Management
Kiev, Ukraine, T. 380675200720
ORCID ID: http://orcid.org/0000-0002-6079-9227
zinulechka@ukr.net

Nino Japaridze
Bachelor, Economic, Faculty of Economics and Business,
Shota Rustaveli State University,
Georgia, Batumi, T. 568905200
ORCID ID: https://orcid.org/0009-0001-8582-8485
ninojafaridze124@gmail.com

Giorgi Turmanidze
Bachelor, Economic, Faculty of Economics and Business,
Sohota Rustaveli State University,
Georgia, Batumi, T. 555462264
ORCID ID: https://orcid.org/0009-0006-2472-9690
gturmanidze2112@gmail.com

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს ეკონომიკიდან გამომდინარე აქტუალურია ყველა ის საკითხი, რაც საგარეო ვაჭრობას ეხება. განსაკუთრებულ ყურადღების კი ექსპორტი იმსახურებს, ამიტომაც აუცილებელია შესწავლა და იმ პროცესებზე ხაზგასმით ორიენტირება, რომლებიც მას უკავშირდება. უკანასკნელ პერიოდში თვალშისაცემია საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობანი და პოტენციალი, მიუხედავად რეგიონში არსებული პოლიტიკური თუ სამხედრო დაძაბულობისა.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების განხილვას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პრიზმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ისე საწყის ეტაპზე კოვიდ-19-ის პანდემიით და შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ატიპიური კრიზისის შედეგად გამოწვეული არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებისა და პერსპექტივაში მისი მატების თვალსაზრისით. უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის შენარჩუნება მნიშვნელოვანი ფაქტორია საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მაგრამ მასთან ერთად დიდ როლს ასრულებს საგარეო-სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა. აღნიშნული ფაქტორები არსებითად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა სამამულო წარმოების ორიენტაცია, საგარეო ვაჭრობის მოცულობა, ინფლაციის დონე, უცხოური ინვესტიციების ოდენობა და დაბანდების სფეროები და ა.შ. მათი გადახრა საქართველოს ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი პარამეტრებიდან იწვევს ნეგატიურ შედეგებს, რომლებიც აისახება ეკონომიკის არარაციონალურ სტრუქტურაში. ამიტომ საბაზრო ურთიერთობა დამკვიდრება-განვითარების არსებულ ეტაპზე, რომელიც მსოფლიო პანდემიის ფონზე საქართველოში მეტად რთულად და წინააღმდეგობრივად წარიმართა, ძალზე აქტუალურია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული შესწავლა და სათანადო დასკვნების გაკეთება. საგარეო ვაჭრობა გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის აქტიური მოქმედი სფეროა. საქართველოს, რომელსაც გააჩნია პრეტენზია, იყოს დამოუკიდებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ რუკაზე და ითვლებოდეს ყველა ქვეყნისათვის ანგარიშგასაწევ ძალად, ესაჭიროება ისეთი სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებას, ეკონომიკის ეფექტურობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე წარმოჩნდეს საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობანი და პოტენციალი, რომელიც სტატისტიკური და ეკონომიკური კვლევების შედეგად არის გამტკიცებული. ნაშრომში გამოყოფილია რამდენიმე სასაქონლო ჯგუფი, რომლებიც საქართველოს მთლიან ექსპორტში სიდიდით გამოირჩევა და აგრეთვე ხასიათდება ზრდის მაღალი ტემპით. კვლევის ამოცანაა ცალკეულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ იქნეს ჰერფინდალ-ჰირშმანის საბაზრო კონცენტრაციის ინდექსი, შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA) და ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA).

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები. სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია როგორც ცალკეულ მეცნიერთა სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები და გამოცემები, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ექსპორტის შესახებ. კვლევისას გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, კვლევა წარმოებს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ინდექსების გაანგარიშების საფუძველზე.

ლიტერატურის მიმოხილვა. საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. იგი მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც თავის მაჩვენებლებით წინ უსწრებს მსოფლიო წარმოების ზრდას, კაპიტალის მოძრაობას და საერთოდ, საგარეო-ეკონომიკური კავშირების სხვა მიმართულებებს. ეს ტენდენცია კანონზომიერად ჩამოყალიბდა მსოფლიო ეკონომიკაში. სწორედ რომ საგარეო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს, პრაქტიკულად საგარეო ვაჭრობით დაიწყო მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკონომიკაში მიწოდების ჯაჭვის წყვეტა მოხდა, რასაც სასურსათო კრიზისი მოჰყვა, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა ატიპიური კრიზის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს სავაჭრო ბალანსის მუდმივი დეფიციტზე იმპორტირებული საქონლის ინფლაციური ნნეხი მეტ სირთულეებს ქმნის, ფულადი ნაკადების შემოდინების ზრდის ეფექტი ქვეყანაში ერთჯერადია, ამიტომ ამ საომარი კონფლიქტის დასრულების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რუსეთის ეკონომიკისაგან დისტანცირება **[11, გვ. 91].**

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაანალიზების შემდეგ ნათელი ხდება საქართველოს სავაჭრო კავშირების კიდევ უფრო გაღრმავების საჭიროება. ქვეყანამ ეს პროცესი 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებით დაიწყო, საქართველოს აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო საგარეო ვაჭრობაში. ხაზგასასმელია ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო კონფლიქტი „სავაჭრო ომში" გადაიზარდა, მაგრამ საქართველომ მაინც მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის WTO-ში გაწევრიანებას, რუსეთ-საქართველოს შეთანხმების ერთ-ერთი

უპირატესობა ის არის, რომ საქართველომ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ცივილიზებული სამყაროს ნაწილია და არ აპირებს მსოფლიო პრობლემების შექმნას, რათა რუსეთი არ გაწევრიანდეს ვმო-ში საკუთარი კერძო პირების გულისთვის **[8, გვ. 18]**

თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით მეტად აუცილებელია სახელმწიფოს ფუნქციური როლის გაზრდა გარე ეკონომიკურ საქმიანობაში, ქართული პროდუქციის როგორც ევროკავშირის, ისე სხვა ქვეყნების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი ქმედითი ღონისძიებების შესამუშავებლად საჭიროა მასში ჩაერთოს როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე თვით კომპანიები **[1, გვ. 102].**

გლობალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის გააქტიურებას, რამაც თითოეული ქვეყანა საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილე გახადა. კორონავირუსით გამოწვეულმა პროცესებმა - განსაკუთრებით კორონავირუსიის გავრცელების პრევენციისათვის გამიზნულმა ღონისძიებებმა ქვეყნები აიძულა იზოლაციისაკენ წარემართათ თავიანთი პოლიტიკა, რამაც თავისთავად ქვეყნებს შორის გლობალიზაციის თანმდევი ურთიერთთანამშრომლობის ეკონომიკური ჯაჭვის რღვევა გამოიწვია. **Tsinaridze, R. and Tsetskhladze, L** თვლიან, რეექსპორტის საბაჟო პროცედურის გააქტიურებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ ბიზნეს აქტორების განვითარებას, რომლებიც თავად განახორციელებენ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს, მაგალითად ყიდულობენ მსოფლიოს ერთ რეგიონში (აზიაში) სარფიანი გარიგებით საქონელს, შემოაქვთ ქვეყანაში და შემდეგ ყიდიან მას სხვა რომელიმე ქვეყანაში (ევროპაში) მათთვის ხელსაყრელ ფასებში. პოსტკრიზისულ პერიოდში ასეთი ბიზნეს აქტორების სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა ორმაგად მნიშვნელოვანია **[13, გვ. 3].**

Aroshidze, P., et al მიმოიხილეს, რა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საექსპორტო შესაძლებლობანი ევროკავშირის ბაზარზე 2007-2016 წლებში, თვლიან რომ უკრაინის, მიუხედავად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა, ქვეყნის ინვესტიციებსა და ექსპორტზე ინდექსი გაუარესდა. ამის მთავარი მიზეზი დონბასში შეიარაღებული კონფლიქტები და პოლიტიკური კრიზისია. 2014 წლის მონაცემებით, უკრაინის ექსპორტი ევროკავშირში მხოლოდ 5%-ით გაიზარდა. უკრაინის ექსპორტის თითქმის ნახევარი მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულს შეადგენს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქტების, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ნავთობგადამამუშავებელი პროდუქტების ექსპორტი **[10, გვ. 3].**

საგარეო ვაჭრობა გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის აქტიური მოქმედი სფეროა. საქართველოს, რომელსაც გააჩნია პრეტენზია, იყოს დამოუკიდებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ რუკაზე, ესაჭიროება ისეთი სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებას, ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტეგრაციის გაღრმავებას. დამოუკიდებლობის თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში უკრაინა და საქართველო ცდილობდნენ თავიანთი განვითარების ვექტორების განსაზღვრას, როგორც სუვერენული სახელმწიფოები იმავდროულად ცდილობდნენ უფრო ახლოს იყვნენ დასავლურ ინსტიტუტებთან, მათ შორის ევროკავშირთან და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციასთან. საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის სწრაფვა და დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულება რუსეთის უკმაყოფილების სერიოზული მიზეზი იყო და რჩება. იგი სხვადასხვა ბერკეტებით ცდილობს ამ სახელმწიფოების მიერ არჩეული კურსის დისკრედიტაციას, რასაც ჯერ 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი და შემდეგ 2022 წელს რუსეთ-უკრაინის საომარი ქმედებები მოჰყვა **[9, გვ. 244].**

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ნაკადების მონაცემების დინამიკა და ანალიზი წარმოდგენილია DCFTA-ის შემდგომი პერიოდიდან დღემდე, ეკონომიკური რეცესიის პერიოდისათვის, რაც პანდემიის და შემდეგ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შედეგად შეიქმნა, ხაზგასმით წარმოჩენილია სავაჭრო ნაკადების შექმნისა და სავაჭრო ნაკადების გადართვის ეფექტების ინტეგრაცია **[3, გვ. 94].**

ძირითადი ნაწილი

გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან საქართველოს უწევს საერთაშორისო ბაზარზე ასპარეზი, რაც გულისხმობს საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობას. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება თანამედროვე მსოფლიო სახელმწიფოების მთავარი ამოცანაა. დღეისათვის წარმოუდგენელია სუვერენული ქვეყნის არსებობა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და მუდმივად უარყოფითი სავაჭრო სალდო გააჩნია, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დიფერენცირებული საექსპორტო პოტენციალიც გააჩნია - მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსის ფონზე, რომლის ექსპორტსაც ახდენს და სწორედ ტოპ 10 საექსპორტო საქონლის ძირითად ნაწილს ბუნებრივი რესურსები შეადგენს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მტკნარი და მინერალური წყალი, რომელიც ქვეყანას უხვად აქვს და გემური თვისებებითაც გამორჩეულია მსოფლიო მასშტაბით. სამწუხაროდ საგარეო ვაჭრობის დინამიკას თუ დავაკვირდებით, უარყოფითად მზარდია სავაჭრო სალდო. ექსპორტ-იმპორტს შორის აბსოლუტური თანაფარდობა დიდია, თუმცა თანაბარი ზრდის ტემპებით ხასიათდება.

თანამედროვე პერიოდში, „covid-19"-ის შედეგებისა და გლობალიზაციის ახალი ტალღის პირობებში საქართველო, როგორც პატარა და უმეტესწილად მომხმარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის უცხოეთის ქვეყნე-

ბის (მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების) მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარებაზე. გამომდინარე იქედან, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე - საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე - მისი წვლილი მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ სამყაროში მზარდია, რასაც ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ საქართველო მოიაზრება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფნად, ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა შეძლოს ამ სტრატეგიული სივრცის მეტი ეფექტით გამოყენება და სოციალური თუ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა, ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საგარეო ბაზრების უკეთ ათვისება.

საქართველო გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე სატრანზიტო ქვეყნის როლს ითავსებს, რაც რეექსპორტზე აისახება, სწორედ რეექსპორტი შეადგენს ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს. თავად რეექსპორტი კი საქონლის მიხედვით ძირითადად სპილენძის მადანზე მოდის. აღსანიშნავია, რომ იმპორტიორი ქვეყნები სომხეთი და აზერბაიჯანია, რომელთაც არ გააჩნიათ ზღვაზე გასასვლელი და პორტი, ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამოვყოთ მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი.

„ტრანზიტისა და რეექსპორტის, როგორც საბაჟო პროცედურების პოზიტიური დატვირთვა დიდი იქნება პოსტპანდემიური რეაბილიტაციის პერიოდში. მისი გააქტიურებით ჩვენმა ქვეყანამ კიდე უფრო უნდა გაამყაროს საერთაშორისო ეკონომიკური-საბაჟო კავშირები, როგორც სატრანზიტო ჰაბმა. რადგან რეექსპორტი და ტრანზიტი თავისი სპეციფიკით ხელს უწყობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, მომსახურების ექსპორტის ზრდას, კერძოდ ქვეყნებს შორის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას, რაც მეტნაკლებად კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეამცირა“ **[13, გვ. 7].**

ტრადიციული ბაზრების გარდა ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გასაღების ბაზრების დივერსიფიცირება და ახალი ბაზრების ათვისება. DCFTA-ის საწყის ეტაპზე ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. „საწარმოების უმეტესობა ვერ ახერხებს მუდმივად მიაწოდოს დიდი რაოდენობით პროდუქცია ევროკავშირის ბაზრებს და პროდუქციის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გარანტია. უმრავლესობის საწარმოების საშუალებები არ შეესაბამება თანამედროვე წარმოების საჭიროებებს, მათი უმეტესობა მოძველებულია, რაც დიდ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაზე. მიზეზი არა მხოლოდ ხარისხის სერთიფიკატების არარსებობაა, არამედ მათი პროდუქციის დაბალი სტანდარტებიც“ **[10, გვ. 4].**

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მახასიათებლების შესწავლა. ყველა თანხმდება, რომ საექსპორტო სტრატეგიის ჩამოყალიბებაში-განხორციელებაში ჩართული უნდა იყვნენ ადგილობრივი ბიზნეს-სუბიექტები, სახელმწიფო ინსტიტუტები და ექსპორტის განმახორციელებელი პირები. „ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ბაზრის წილი, ფასი, განმასხვავებელი ფაქტორები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დონე, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროდუქციის ხარისხთან, კონკურენციის სიმწვავე, კლიენტთა კონცენტრაცია და იმიჯი. ამ კრიტერიუმებისა და ფასების კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია განვსაზღვროთ ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებლები“ **[1, გვ. 106].**

საქართველოსა და რუსეთს შორის მუდმივი დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, ქვეყანას მაინც მჭიდრო ეკონომიკური კავშირი გააჩნია რუსეთთან. მას საქართველოს ექსპორტში ერთ-ერთი უდიდესი ადგილი უჭირავს, 2021 წელს მისი წილი 14,2%-ს შეადგენდა, 2022 წელს 12,2%-მდე შემცირდა, მიმდინარე წლის მონაცემებით კი 14%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, რუსეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ ექსპორტზე, უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს. საომარი სიტუაციის მეორე მხარეს უკრაინაა, რომელთანაც ქვეყანას ასევე მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნია. 2021 წლის მონაცემებით ქვეყნის ექსპორტის 7,2%-ს შეადგენდა, 2022 წლის მონაცემებით კი - 4,7%-მდე შემცირდა, დღევანდელი მონაცემებით ეს მაჩვენებელი უფრო შემცირებულია **[7, გვ. 7].**

რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში საქართველოს ექსპორტის ზრდის ტემპი უნდა შემცირებულიყო ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის გამო. გარდა ამისა, ამ ომმა მთელი მსოფლიოს ქვეყნის ეკონომიკაზე მოახდინა გავლენა და მათ შორის საქართველოზე, მაგრამ განსხვავებით შემცირებისა, ქვეყნის ექსპორტი პირიქით გაიზარდა, თანაც შესამჩნევი მოცულობით - დაახლოებით 32%-ით.

თუ 2018 წლის მონაცემებით ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.1 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი - (1706.5 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი - (1371.5 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი - (1095.1 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი - (1031.9 მლნ. აშშ დოლარი).

გარკვეული ცვლილებები ფიქსირდება 2019 წლისათვის, ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.4 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო პარტნიორებიდან კვლავ თურქეთი ლიდერობს - (1819.3 მლნ. აშშ დოლარი), შემდეგი პოზიციაზე რუსეთია - (1474.0 მლნ. აშშ დოლარი), მესამე ადგილზე კი ჩინეთმა გადმოინაცვლა - ჩინეთი - (1081.7 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი კი მეოთხეა ათეულში - (1067.4 მლნ. აშშ დოლარი). ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ხდება.

ქვეყნის ექსპორტის ზრდა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფონზე რამდენიმე ფაქტმა გამოიწვია, უმთავრესად ეს არის ის რომ საქართველომ მეტწილად მოახერხა ბაზრის დიფერენციაცია. შესაბამისად რომე-

ლიმე კონკრეტული ქვეყნის თუ ქვეყნების ჯგუფების ეკონომიკაზე ბოლომდე დამოკიდებული აღარ არის. როდესაც რუსეთ-უკრაინას შორის სიტუაცია დაიძაბა, ამ დროს საქართველომ ისარგებლა ამ მომენტით და საკუთარი საქონელი შესთავაზა მსოფლიო ბაზარს, საკუთარი საექსპორტო შესაძლებლობის გარკვეული ნაწილის რეალიზაცია დივერსიფიცირებულ ბაზრებზე სცადა. ექსპორტის წილი ქვეყნების მიხედვით რომ გავანაწილოთ, უდიდესი ნაწილი ჩინეთზე მოდის - 13,4 %, რომელიც არც იმდენად მაღალია, რომ მონოპოლიის საშუალება მიეცეს, რასაც ორივე ქვეყანა სასარგებლოდ იყენებს, ომის ფონზე კი ეს კავშირი უფრო გამყარდა და გაფართოვდა. საქართველო ჩინეთთან ძირითადად მეტალურგიული ნაწარმის ექსპორტს ახორციელებს. შემდეგი საექსპორტო ქვეყნები საქართველოს მეზობელი ქვეყნებია: აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი და სომხეთი, რომელთა წილობრივი მონაწილეობის შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლებია - 11,9%, 11,7%, 8,3% და 9,3% **[6].**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში რეექსპორტსაც ეწევა, ეს შესაძლებლობაა და მისი წილი ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან საავტომობილო ფირმებმა რუსეთის ბაზარი დატოვეს. შესაბამისად საქართველოს გაეზარდა შესაძლებლობა, რომ რეექსპორტი განეხორციელებინა ახალ ან არსებულ ბაზრებზე უფრო ინტენსიურად და დიდი მოცულობით. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საქართველოს საშუალებით უცხოური მანქანების მოცულობა გაიზარდა. ეს მაჩვენებელი თითქმის 50%-ით გაიზარდა, 2021 წელს მისი მოცულობა 496 800 $ (ათასი) იყო, ხოლო 2022 წელს კი - 983 434 $-მდე (ათასი) გაიზარდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პანდემიის დამსახურებაცაა, თუმცა მისი როლი მცირეა, რადგან 2019-2020 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, 2022 წლის მონაცემები ძალიან დიდი ნიშნულითაა გაზრდილი

შემდეგი ქვეყანა, რომელთანაც ექსპორტს ახორციელებს საქართველო, სტატისტიკური მონაცემებით არის აშშ, სადაც ძირითადად შავი ლითონის ექსპორტი ხდება და მისი წილი ქვეყნის ექსპორტში 5,7%-ია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველომ ომის ფონზე გაზარდა როგორც არსებულ ბაზრებზე საექსპორტო საქონლის მოცულობა, ასევე ახალ ბაზრებზეც გავიდა (იგულისხმება ახალი საექსპორტო ქვეყნები), რამაც უფრო გაზარდა ქვეყნის შესაძლებლობები. ამის ნათელ მაგალითია პერუ, სადაც დიდი მოცულობის სასუქის ექსპორტირება მოხდა. ამან გამოიწვია ის, რომ გარდა სასუქისა პერუში სხვადასხვა ტიპის საქონელიც შევიდა, რამაც მასთან მყარი ეკონომიკური თანამშრომლობა წამოსწია წინ. 2021 წელს პერუსთან ექსპორტის წილი 0,4% იყო, თუმცა ომის შემდეგ 2022 წელს 2,6%-მდე გაიზარდა. ომის შედეგად მიღებულ შესაძლებლობებში შეიძლება მოვიაზროთ სამომავლოდ საქართველოს მონაწილეობა უდიდეს პროექტში.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანი გაზისა და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანაა, თუმცა იმის გამო, რომ ევროპული ბაზარი ომამდე და სანქციებამდე რუსეთის ხელში იყო, მეტწილად რუსეთის მიმართ სანქციების ამოქმედებამ აზერბაიჯანს ევროპისკენ გზა გაუხსნა, რაშიც საქართველოს უდიდესი მონაწილეობაც უნდა მოვიაზროთ. გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველოს აძლევს შესაძლებლობას მოგვევლინოს სატრანზიტო ქვეყანად, რომელიც ევროპას მისცემს ენერგოდამოუკიდებლობის შესაძლებლობას. საბოლოოდ ამ საკითხის შეჯამებისას ვნახავთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში საქართველომ სხვა ქვეყნებთან უფრო ინტენსიურად აწარმოა სავაჭრო-ეკონომიკური გარიგებები და ბაზრის დიფერენცირება მოახდინა, რომლის შესახებაც მონაცემები ცხრილშია (იხ. ცხრილი №1.) წარმოდგენილი.

ძირითადი საექსპორტო ქვეყნები 2021-2022 წლებში. ცხრილი 1.

	2021 წლის იანვარი-ოქტომბერი		2022* წლის იანვარი-ოქტომბერი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	3 392 723.8	100.0	4 545 999.3	100.0	34.0
მათ შორის:					
ჩინეთი	520 608.3	15.3	607 464.7	13.4	16.7
აზერბაიჯანი	443 374.4	13.1	541 740.8	11.9	22.2
რუსეთი	481 856.0	14.2	530 304.8	11.7	10.1
სომხეთი	196 413.0	5.8	421 529.6	9.3	114.6
თურქეთი	260 634.3	7.7	379 176.9	8.3	45.5
ბულგარეთი	184 371.7	5.4	346 874.0	7.6	88.1
აშშ	151 240.9	4.5	258 756.0	5.7	71.1
უკრაინა	245 435.2	7.2	212 657.7	4.7	-13.4
ყაზახეთი	72 152.0	2.1	170 555.6	3.8	136.4
პერუ	12 679.0	0.4	118 025.3	2.6	830.9
დანარჩენი ქვეყნები – სულ	823 959.1	24.3	958 914.0	21.1	16.4

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti [5].

იმისათვის რომ საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები განვსაზღვროთ არსებული ვითარების პირობებში, აუცილებელია ეს მაჩვენებელი რიცხობრივად ავსახოთ და დინამიკაში წარმოვადგინოთ. შესაძლებლობების ამ კუთხით წარმოჩენისთვის საჭიროა, კვლევა ჩატარდეს იმის გასაგებად, თუ საქართველოს რა საქონელი გააქვს მსოფლიო ბაზარზე, როგორია მოთხოვნა, რამდენად კონკურენტულია და ასევე როგორია ბაზრის კონცენტრაცია. სწორედ ამის გაგებისთვის და ბაზრის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია სამი ინდექსი, რომელიც გამოყენებულია საქონლის ანალიზის დროს ესენია: HHI, RCA, RXA ინდექსები.

ცხრილი 2.

საქართველოს საექსპორტო ტოპ 10 საქონლის დინამიკა 2019-2023 წლებში

	2019	2020	2021	2022	2023
საქართველოს მთლიანი ექსპორტი	3798394.34	3344474.04	4242653.12	5592764.97	1461529.16
მიწისზედა ტრანსპორტი	793750.47	434833.87	496800.04	983434.82	452060.85
მადნები	666762.23	823977.85	861371.32	1116855.45	222342.21
ალკოჰ./უალკოჰ სასმელები	516843.13	498212.63	599072.79	602481.54	143493.53
შავი ლითონები	354255.54	273212.63	555925.46	516431.18	84818.64
სასუქები	95726.64	72467.39	119915.07	282005.12	55448.81
ატომური რეაქტორები	92084.24	48557.72	99255.98	138023.41	43422.62
საკვ. ვარგისი ნაყოფი და კაკალი	122072.03	171802.84	216810.7	203971.1	39185.53
ტანსაცმელი	65318.37	66589.28	109066.45	139688.47	34990.89
ელექტრული მანქანები	45829.82	35247.73	98886.14	112196.13	30574.8
თამბაქო	69982.85	44064.23	56401.71	97162.94	28740.87

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ, წყარო: (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023)

ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსი, წარმოადგენს ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს, რომლის მიხედვითაც უნდა გავიანგარიშოთ ის თუ, რომელიმე კონკრეტულ საქონელს ხომ არ უჭირავს მონოპოლიური ადგილი, ქვეყნის ექსპორტში და ეს დინამიკაში უნდა წარმოვადგინოთ, ამის გასაგებად შეირჩა საქართველოს ტოპ 10 საექსპორტო საქონელი 5 წლის დინამიკაში **[12].**

HHI ინდექსის გამოსათვლელად, საჭიროა გავიგოთ საქონლის წილი მთლიან ექსპორტში და შემდგომ თითოეული საქონლის წილი უნდა ავიყვანოთ კვადრატში, მათი დაჯამებით კი მიიღება ბაზრის კონცენტრაციის დონე. მაგრამ აქ საჭიროა დონეების დადგენა, ბაზარი შეიძლება იყოს მაღალკონცენტრირებული (HHI>2250), ზომიერად კონცენტრირებული (1250<HHI<2250) და დაბალ კონცენტრირებული (HHI<1250) **[4].**

HHI (2019) = 21^2+18^2+14^2+9^2+3^2+2^2+3^2+2^2+1^2+2^2=**1073** <1250;
HHI (2020) = 13^2+25^2+15^2+8^2+2^2+1^2+5^2+2^2+1^2+1^2=**1119** <1250;
HHI (2021) = 12^2+20^2+14^2+13^2+3^2+2^2+5^2+3^2+2^2+1^2=**961** <1250;
HHI (2022) = 18^2+20^2+14^2+9^2+5^2+2^2+4^2+2^2+2^2+2^2=**983** <1250;
HHI (2023) = 31^2+15^2+10^2+6^2+4^2+3^2+3^2+2^2+2^2+2^2=1250 <**1368**< 2250.

მოცემულმა ინდექსმა აჩვენა, რომ წლების დინამიკაში ბაზარი ინარჩუნებს დაბალ კონცენტრირებულობას. ასევე აჩვენა, რომ რომელიმე ერთ კონკრეტულ საქონელზე არ არის დამოკიდებული, რაც ზრდის საქართველოს შესაძლებლობებს, რომ მრავალი კუთხით გაზარდოს ექსპორტის წილი. ამას საქონლის მრავალფეროვნება განაპირობებს, ომის ფონზე კი მიეცა ამ შესაძლებლობის გამომჟღავნებისა და ბაზრების გაფართოვების შანსი.

ცხრილი 3.

საქართველოს ტოპ 6 საექსპორტო საქონელი, საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით 2018-2022 წლებში

	2018	2019	2020	2021	2022
საქართველოს ექსპორტი	2,538,234	2,699,657	2,554,547	3,291,376	3,887,489
მსოფლიო ექსპორტი	19,334,594,547	18,754,693,906	17,505,850,257	22,145,322,371	24,018,899,027
თამბაქო	1,647 46,051,552	528 45,901,196	173 42,294,281	1,115 44,241,740	1,457 46,027,267
სასუქი	102,561 58,986,865	95,751 59,019,944	72,457 55,284,636	119,910 84,560,642	281,989 123,626,996
მიწისზედა ტრანსპორტი	10,775 1,533,384,525	4,481 1,502,885,923	3,510 1,281,205,061	2,300 1,510,051,573	14,582 1,598,956,327
ალკჰ/უალკჰ სასმელები	435,639 125,325,324	488,088 124,905,095	469,993 119,707,578	569,833 141,127,340	575,113 146,356,553
საკვ.ვარგისი ნაყოფი და კაკალი	78,579 123,926,076	108,705 129,280,198	157,231 133,882,705	201,133 146,213,565	177,984 133,427,985
მადნები	503,776 212,855,756	673,266 237,625,526	854,617 253,287,936	877,027 378,462,715	1,120,288 320,382,477

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ, წყარო: (International Trade Centre, 2023) **[15].**

თუმცა ზემოთ დასმულ კითხვებს ეს ინდექსი ბოლომდე ვერ სცემს პასუხს და ვერ ხსნის საქართველოს ბაზრის შესაძლებლობებს რუსეთ-უკრაინის საომარი კონფლიქტის პირობებში. სწორედ ამიტომ გამოვიყენებთ ბაზრის შედარებითი უპირატესობის ინდექსსა (RCA) და ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსს (RXA). ეს ინდექსები გამოავლენს დინამიკა თუ წლების განმავლობაში, როგორ იცვლებოდა საქონლის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე, იზრდებოდა თუ არა ქართული საქონლის წილი მთლიან ექსპორტში და აქვს თუ არა გავლენა ქვეყნებისთვის მის არსებობა/არარსებობას.

RCA ინდექსი = (საქართველოს საქონლის ექსპორტი / მსოფლიოს საქონლის ექსპორტი) / (საქართველოს მთლიანი ექსპორტი / მსოფლიო მთლიან ექსპორტთან);

RXA ინდექსი = (საქართველოს საქონლის ექსპორტი /მსოფლიოს საქონლის ექსპორტ - საქართველოს საქონლის ექსპორტი) / (საქართველოს მთლიანი ექსპორტი / მსოფლიო მთლიან ექსპორტთან -საქართველოს მთლიანი ექსპორტი) **[2];**

თუ ინდექსი 1-ზე მეტია, მაშინ ის კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ეს ორი ინდექსი საქართველოს შემთხვევაში ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება და ამას გამოთვლებში ჩანს. როდესაც, საქართველოს მონაცემები აკლდება ეს დიდ განსხვავებას არ იძლევა, რადგან საქართველოს პროდუქცია ამდენად მნიშვნელოვანი არაა ბაზრისთვის, მისი წილი მცირეა. თუმცა, RCA-ს მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოს საქონელი კონკურენტუნარიანია, რადგან ის ერთზე მეტია თითოეული საქონლის შემთხვევაში.

ცხრილი 4.

საქართველოს ტოპ 6 საქონლის მიხედვით კონკურენტული უპირატესობის ინდექსების დინამიკა 2018-2022 წ.წ.

RXA	2018	2019	2020	2021	2022
თამბაქო	0.000649	0.000196	0.022198	0.000339	0.000375
სასუქი	0.040406	0.035468	0.028364	0.036432	0.072538
ტრანსპორტი	0.004245	0.00166	0.001374	0.000699	0.003751

ალკოჰოლ და უალკ.სასმ	0.171631	0.180796	0.183983	0.173129	0.147939
კაკალი	0.030958	0.040266	0.061549	0.061109	0.045784
მადნები	0.198475	0.249389	0.334547	0.266462	0.288178
RCA	2018	2019	2020	2021	2022
თამბაქო	0.272429	0.079912	0.028031	0.169569	0.195582
სასუქი	13.24434	11.27057	8.981424	9.54095	14.09298
ტრანსპორტი	0.053527	0.020713	0.018774	0.010248	0.056346
ალკ და უალკ.სასმ	26.47837	27.14685	26.90538	27.16695	24.27867
კაკალი	4.830001	5.841426	8.047908	9.255506	8.241722
მადნები	18.02833	19.68317	23.12205	15.59173	21.60453

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ, წყარო: (International Trade Centre, 2023)**[15].**

ცხრილში მოცემული მაჩვენებლებიდან ჩანს წლებისა და საქონლის დინამიკა, სადაც იკვეთება, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დროს 2022 წელს ყველა ინდექსის მონაცემები გაზრდილია საგრძნობლად. ამ ორ ინდექსს შორის ზემოთ დასმული კითხვებიდან გამომდინარე უფრო საყურადღებოა RXA ინდექსი - ექსპორტის კონკურენტუნარიანობა ომის პირობებში თუ როგორ შეიცვალა და ეს ნამდვილად ასახა ამ ინდექსმა. დიაგრამიდან კი ჩანს, რომ 2022 წელს საქონელი მეტად კონკურენტუნარიანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს წილი გაიზარდა მსოფლიო ექსპორტში, ხოლო სხვა ქვეყნების შემცირდა მეტ წილად.

დიაგრამა 1.



დიაგრამა 2.



შენიშვნა: დიაგრამები აგებულია ავტორების მიერ ჩატარებული გამოთვლების საფუძველზე

მიუხედავად იმისა, რომ 2022 და 2023 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უკრაინა ვერ ხვდება საქართველოს ტოპ 6 სავაჭრო საპარტნიორო ქვეყნების სიაში, უნდა აღინიშნოს უკრაინის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო საპარტნიორო-ორიენტირი ქვეყნის პოტენციალზე, რომელიც ომის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება, ვიდრე ეს რუსეთ-უკრაინის ომამდე იყო, ამასთან, ბოლო დეკადის მიხედვით, უკრაინა საქართველოს სავაჭრო საპარტნიორო ქვეყნების ტოპ 10-ში შედის, შესაბამისად, საინტერესოა, წარმოვადგინოთ მცირე სტატისტიკური ინფორმაცია საქართველო-უკრაინის სავაჭრო ბალანსიდან ბოლო წლების მიხედვით, უფრო კონკრეტულად კი 2022 წლის მონაცემებით უკრაინა უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში ექსპორტის ნაწილში მე-9 ადგილს იჭერს, ხოლო იმპორტის ნაწილში - ათეულის მიღმაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოდან უკრაინაში 2019 წელს 250 923,6 ათასი აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, 2020 წელს - 217 533,4 ათასი აშშ დოლარამდე შემცირდა, 2021 წელს ექსპორტის ზრდა ფიქსირდება - 307 435,7 ათასი აშშ დოლარი, 2022 წელს კი - 232 795,8 ათას აშშ დოლარამდე ჩამოვიდა. 2023 წლის პირველი კვარტალის მიხედვით ექსპორტმა უკრაინაში 22 563,8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტთან შედარებით განსხვავებული ტემპი ფიქსირდება იმპორტის კუთხით. კერძოდ, 2019 წელს უკრაინიდან საქართველოში 415 555,2 ათასი აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა, 2020 წელს - 390 508, 7 ათასი აშშ დოლარამდე შემცირდა, 2021 წელს - 451 827,4 ათას დოლარამდე გაიზარდა, 2022 კი - 285 883,9 ათას დოლარამდე შემცირდა. 2023 წლის პირველი კვარტალის მიხედვით უკრაინიდან იმპორტმა 73 101,4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, რომ საქართველოდან უკრაინაში ექსპორტი და უკრაინიდან საქართველოში იმპორტი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაქსიმალური მნიშვნელობით 2021 წელს იყო.

საქართველოს ტოპ 6 საქონლის მიხედვით უკრაინაში ექსპორტის ნაწილში მსუბუქი ავტომობილები, სპირტიანი სასმელები (ეთილის სპირტი), სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი, მინერალური და მტკნარი წყლები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, ნარჩენები და ჯართი სპილენძისა ლიდერობს, ხოლო უკრაინიდან საქართველოში იმპორტის ნაწილში - სამკურნალო საშუალებები, თამბაქოს ნაწარმი, შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები, კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას, ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან ლიდერობს **[6]**.

მონაცემების სიზუსტისათვის განვიხილოთ უკრაინის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, კერძოდ 2022 წელს უკრაინასა და საქართველოს შორის საქონლით ვაჭრობის მოცულობა 44,9%-ით შემცირდა და 353,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში უკრაინული საქონლის ექსპორტის მოცულობა 42,9%-ით შემცირდა და 249,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უკრაინაში ქართული საქონლის იმპორტის მოცულობა 49,2%-ით შემცირდა და 104,0 მლნ აშშ დოლარით განისა-

ზღვრა. სავაჭრო ბალანი (საქონელი) ამ პერიოდისთვის უკრაინისთვის დადებითია და შეადგენს 145,1 მლნ აშშ დოლარს.

2023 წლის იანვარ-მარტის შედეგების მიხედვით, უკრაინასა და საქართველოს შორის საქონლით ვაჭრობის მოცულობა 22,7%-ით შემცირდა და 82,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში უკრაინული საქონლის ექსპორტის მოცულობა 12,0%-ით შემცირდა და 59,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უკრაინაში ქართული საქონლის იმპორტის მოცულობა 41,6%-ით შემცირდა და 22,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავაჭრო ბალანსი (საქონელი) ბალანსი ამ პერიოდშიც უკრაინისათვის დადებითია და 37,4 მლნ აშშ დოლარია **[14].**

აქვე აღსანიშნავია, რომ უკრაინიდან საქართველოში საქონლის ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობდა შემდეგი სახის პროდუქციის მიწოდება:

- ავტომობილები, ელექტრომობილები - 15,1% (9.0 მლნ აშშ დოლარი);
- მარცვლეული და მზა პროდუქტები - 9,3% (5,5 მლნ აშშ დოლარი);
- ფარმაცევტული პროდუქცია- 9,2% (5,5 მლნ აშშ დოლარი);
- კვების მრეწველობის ნარჩენები და ნარჩენები - 8,8% (5,3 მლნ აშშ დოლარი);
- სხვადასხვა საკვები პროდუქტები, კაკაო - 7,1% (4,2 მლნ აშშ დოლარი);
- ბირთვული რეაქტორები, ქვაბები, მანქანები - 5,5% (3,3 მლნ აშშ დოლარი);

რაც შეეხება საქართველოდან უკრაინაში საქონლის იმპორტის სტრუქტურას, სახეზეა უპირატესად შემდეგი სახის პროდუქციის მიწოდება:

- ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი - 43,4% (9,7 მლნ აშშ დოლარი);
- მინერალური სასუქები, ზეთი, მისი დისტილაციის პროდუქტები – 27,9% (6,3 მლნ დოლარი);
- ბოსტნეული - 9,3% (2,1მლნ დოლარი);
- სპილენძი და სპილენძის ნაწარმი - 4,8% (1,1 მლნ დოლარი);
- საკვები ხილი და თხილი - 3,4% (0,8 მლნ დოლარი);
- ყავა, ჩაი - 2,5% (0,6 მლნ დოლარი) **[16];**

სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზიდან ჩანს, რომ ორი ქვეყნის მონაცემები სრულად იდენტური არაა, რაც მიმდინარე ეტაპზე უკრაინაში არსებული რეალობის გამოძახილია, გასაგებია, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თუ საინვესტიციო თანამშრომლობა საომარი სიტუაციიდან გამომდინარე ვერ პასუხობს ორივე ქვეყნის საჭიროებებს და არ იძლევა ზუსტი დასკვნების გამოტანის საშუალებას. ამავდროულად, ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების პოტენციალი საკმაოდ დიდია და პირველ რიგში მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ტურიზმი, საგარეო ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა.

დასკვნა

შეჯამების სახით მნიშვნელოვანია სამეცნიერო ნაშრომში დასმული საკითხისადმი ანალიზის ჩატარების შემდეგ მდგომარეობის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს ქვეყანას და იმპორტზე არის დამოკიდებული, ექსპორტის მოცულობა უფრო და უფრო იზრდება. ომის ფონზე საქართველომ შეძლო ბაზრების დიფერენციაცია. რადგან რუსეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყანაა, შესაბამისად მისი პოლიტიკური არამდგრადობა საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. საფრთხეს კი სწორედ ის წარმოადგენს, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული მუდმივი ანექსიური პოლიტიკის ფონზე საქართველოს მაინც აქვს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი. ამიტომაც, იმისთვის რომ საქართველომ მიაღწიოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ექსპორტის პოტენციალი ბოლომდე გამოამჟღავნოს, საჭიროა ექსპორტის წილი სხვა ქვეყნების მიმართ გაზარდოს და შეამციროს რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში. სწორედ ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ანალიზი.

თანაც საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ამგვარ ვითარებაში უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, გამომდინარე აქედან, საგარეო ვაჭრობისათვის ხელშეწყობა შესაბამისი პოლიტიკის გატარებით პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისთვის. იგი სხვა წყაროებთან ერთად გვაძლევს ძირითად შესაძლებლობას ქვეყანაში შემოვიდეს უცხოური ვალუტა, რაც თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ამგვარი ვითარებაში მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური აქტორების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვა, რაც დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზების ჭრილში არც ისე აქტიურად განიხილებოდა. ინტერნაციონალიზაცია და საგარეო ვაჭრობა ერთმანეთის შემავსებელი ორი მნიშვნელოვანი პროცესია. თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის თამაშის წესები მოითხოვს ფირმების წარმოებითი პროცესების გააქტიურებას. განვითარებადი ეკონომიკები მომსახურების სექტორიდან ცდილობენ გადაერთონ წარმოებით სექტორზე, რადგან მისგან მიღებული ამონაგები გრძელვადიან პერიოდში სტაბილურია ქვეყნის ეკონომიკისთვის.

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებამ ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მისცა მცირე და საშუალო ბიზნესს გავიდეს საერთო ბაზარზე. ეს ერთის მხრივ არის შესაძლებლობა და მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევა, რათა მოხდეს ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება და საექსპორტო შესაძლებლობების დივერსიფიცირებულ ბაზრებზე უკეთ რეალიზება.

ნაშრომში წარმოდგენილმა განხილვებმა ცხადყო, რომ ბოლო პერიოდში საქართველო მართლაც ახორციელებს ბაზრის დიფერენციაციას - გაზარდა სხვა ქვეყნებთან ექსპორტის წილი, ასევე გეზი ახალი ბაზრების ათვისებისკენ აიღო. ჩვენი ქვეყნის საექსპორტო

შესაძლებლობები წარმოჩნდა რეექსპორტის ნაწილშიც, როგორც აზერბაიჯანზე ვახსენეთ მისი კავშირი ევროპასთან საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი შესაძლებლობაა. განხილულმა ინდექსებმა ცხადყო, რომ საქართველოს საქონელი დაბალ კონცენტრირებულია და აგრეთვე მისი კონკურენტუნარიანობა იზრდება მსოფლიო ბაზარზე, რაც მის შესაძლებლობებს ზრდის, რომ მომავალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება – თანამედ- როვე მსოფლიო სახელმწიფოების მთავარი ამოცანაა. დღეისათვის წარმოუდგენელია სუვერენული ქვეყნის არსებობა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. მაგრამ ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების ზრდის თანამედროვე მიმართულებებიდან შეიძლება გამოვყოთ:

1. აუცილებელია შემცირდეს სანედლეულო საქონლის ექსპორტი ქვეყნიდან და ის ჩანაცვლდეს მზა პროდუქციის გატანით, მაშინ როდესაც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ფონზე გასაღების ბაზრების დივერსიფიცირება მოხდა. მიმდინარე წელს ქვეყნაში 50 000 ტონა თხილის მოსავალი იგეგმება, 2022 წელს ის - 40 000 ტონას შეადგენდა, მაშინ საქართველოს წილი თხილის გლობალურ ბაზარზე 3%-ია, ნედლეულის ერთად საკონდიტრო წარმოების სტიმულირებაც აუცილებელი ხდება.

2. ახლო მომავალში კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს საქართველო-თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი გარკვეული სახეობის საქონელზე თანაბრად უნდა განისაზღვროს;

3. პანდემიის პერიოდის და შემდგომ ეტაპზეც მეტად ცხადი გახდა, რომ პირველადი მოთხოვნილების საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი მეტად უნდა ჩანაცვლდეს ადგილობრივი წარმოებით, რომლის წახალისება სახელმწიფომ სუბსიდირებებითა და დაბალპროცენტიანი სესხებით უნდა უზრუნველყოს, საჭიროა მეტი ჩართულობა და მიზნობრიობა აგრარული სექტორის მიერ უცხოური დონორი ორგანიზაციების მოძიებასა და საერთაშორისო გრანტების მოპოვებაში;

4. პანდემიურ და პოსტკოვიდურ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ძირეული ცვლილებების ფონზე მნიშვნელოვანია საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისუფალი ვაჭრობის დანერგვით მიღებული შანსი და ეფექტურად გააგრძელოს ადგილობრივი წარმოების საქონლის ნომენკლატურის ცვლილებებით ბაზრების ათვისება.

5. ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს იმ მრავალმნიშვნელოვანი თუ კონკრეტული ამოცანების გადაჭრა, რომელიც შემდგომ დასაბამს მოგვცემს სწორი არჩევანის საშუალებას საქონლის ექსპორტ-იმპორტის რეგულირების ფორმების, მეთოდების, მასშტაბების განსაზღვრისა და ორიენტირების საქმეში.

მაშასადამე, მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების ფონზე საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერება, რომელიც ძირითადად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობით შემოიფარგლება და ეკონომიკური ზრდის მზარდი ტემპის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ხდება. ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირებაზე ორიენტირებული პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საწინდარი გახდება, რაც ჩვენ ქვეყანას ინვესტორებისათვის კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის და დივერსიფიცირებულ საერთაშორის ბაზარზე ინტეგრირების წინაპირობა გახდება, რითაც ადგილობრივ კომპანიებს გზა გაეხსნებათ კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქციის ექსპორტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეჩბაია, ბ., მამულაძე გ., აროშიძე პ., მახარაძე ნ., სუქნიშვილი მ., „ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობა და მისი საექსპორტო ბაზრებზე გასვლის სტრატეგიები“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2020, №2, გვ 100-113;

1. ლობჟანიძე, ნ. (2021), (PDF) ქართული მინერალური წყლების ბაზარი და საექსპორტო პოტენციალის შეფასება Georgian mineral water market and export potential assessment (researchgate.net) მოპოვებული: 10.05.2023;

2. ცხომელიძე, ელ., ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეფექტიანობა საქართველოში, ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი, №14, 2022. გვ. 92-99, URL:https://doi.org/10.35945/gb.2022.14.009

3. კონკურენციის სააგენტო, (2014 წლის 30 სექტემბერი). ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:URL:https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0&fbclid=IwAR39UWKSP_i8xjVt8kwFLVz7WdyMwpTcuc0hurqVHR9mZoHqcEe-mopao-U, მოპოვებული: 10.05.2023

4. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). საგარეო ვაჭრობა, URL:https://analytics.nbg.gov.ge/views/External_Trade_GE/sheet0?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no&fbclid=IwAR2s4kPua-3mE5pM0Cig1kbey6oxUk-K7NKlwoI7g96e8l5ag41g4O2qg4U, მოპოვებული: 10.05.2023

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2023 URL: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti, მოპოვებული: 10.05.2023

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022 წლის 11 ნოემბერი). საქონლის საგარეო ვაჭრობა საქართველოში. გვ. 7. URL:https://www.geostat.ge/media/49554/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95

%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E, მოპოვებული: 10.05.2023

7. Abuseridze, G. (2020). „Trade War: Georgia vs. Russia". Socrates RSU elektroniskais juridisko zinātnisko rakstu žurnāls 2020, Nr. 3 (18) URL: https://doi.org/10.25143/socr.18.2020.3.147-154

8. Abuseridze, G., & Grasis, J. (2022). Legal and Economic Consequences of Russia's Expansionary Policy. In Handbook of Research on Ethnic, Racial, and Religious Conflicts and Their Impact on State and Social Security (pp. 243-256). IGI Global.

9. Aroshidze, P., at al. (2019). Export problems of nationally produced goods in terms of deep and comprehensive free trade area with the EU. IOP Conference Series: Earth and Environmental Science, 2-5, DOI 10.1088/1755-1315/274/1/012142

10. Beridze L., (2022) The impact of the Russia-Ukraine war on the trade balance of the world and Georgia. Vol. 17, 2(24), p. 89–103. DOI: https://doi. org/10.52244/ep.2022.24.13

11. Bromberg, M., Herfindahl-Hirschman Index (HHI) Definition, Formula, and Example. Investipedia, URL:https://www.investopedia.com/terms/h/hhi.asp, available: 20.05.2023

2. Tsinaridze, R., & Tsetskhladze, L. (2020). The major vectors of Georgia's customs policy in the postcoronavirus rehabilitation process. Ecoforum Journal, 9(3). 1-8.

12. The Embassy of Ukraine in Georgia, trade with Georgia, URL: https://georgia.mfa.gov.ua/spivrobitnictvo/torgovelno-ekonomichne-spivrobitnictvo-mizh-ukrayinoyu-ta-gruziyeyu, available: 22.07.2023

13. International Trade Centre. (2023). International trade in goods statistics by product, URL:https://www.trademap.org/Country_SelProduct_TS.aspx?nvpm=1%7c%7c%7c%7c%7cTOTAL%7c%7c%7c2%7c1%7c1%7c2%7c2%7c1%7c2%7c1%7c%7c1, available: 20.05.2023

14. The State Statistics Service of Ukraine, Ukrain-Georgia trade balance, URL: www.ukrstat.gov.ua, available: 22.07.2023

„მწვანე ეკონომიკის“ ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონის მაჩვენებელზე

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.06

რეზიუმე

სტატიში განხილულია სიღარიბის დონის განსაზღვრისა და „მწვანე ეკონომიკის“ შესწავლის მიდგომები, გაანალიზებულია ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება სიღარიბის დონესა და მწვანე ეკონომიკის ფაქტორთა შორის ევროპის ქვეყნების მაგალითზე. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის შემუშავებულ იქნას ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების მოდელი. კერძოდ, გამოყენებულ იქნა კორელაციურ-რეგრესიული მოდელი, რის საფუძველზეც მაკროეკონომიკურ ფაქტორთა მსგავსად დგინდება „მწვანე ეკონომიკის“ ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონეზე. ევროპის ქვეყნების მონაცემების ემპირიული ანალიზი საშუალებას გვაძვლევს განისაზღვროს განახლებადი ენერგიის ხვედრით წილის და შრომის მწარმოებლურობის უარყოფითი ურთიერთდამოკიდებულება სიღარიბის რისკის დონეზე. რაც უდაოდ კიდევ დამატებითი არგუმენტია და ადასტურებს „მწვანე ეკონომიკის“ შემდგომი განვითარების აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, სიღარიბე, ბუნებრივი კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი.

ციტირებისთვის: გელაშვილი მ., „მწვანე ეკონომიკის“ ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონის მაჩვენებელზე, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No2, 2023 წ. გვ. 53-62.

მადონა გელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის, ეკონომიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0000-0002-4952-6420
madigelashvili0761@gmail.com

THE INFLUENCE OF “GREEN ECONOMY” FACTORS ON THE POVERTY LEVEL INDICATOR

Madona Gelashvili
Academic Doctor of Economy, Associated ProfessorSokhumi State University
https://orcid.org/0000-0002-4952-6420
madigelashvili0761@gmail.com

SUMMARY

The paper is aimed at studying approaches to measuring poverty and the green economy, and conducting an empirical analysis of the relationship between the poverty rate and the factors of the green economy for the countries of the European Union. The authors identify trends in the formation of a new model of environmentally sustainable development in these countries. An empirical correlation and regression model is developed, which describes, along with macroeconomic factors, the impact of green economy factors on the level of poverty risk in the EU countries. The assessment of the model specification based on panel data of the countries of the European Union shows a negative relationship between the share of renewable energy and labor productivity on the one hand and the level of poverty risk on the other hand. This indicates the need for further development of green economy in the EU countries countries.

Keywords: green economy, sustainable development, poverty, natural capital, human capital, green financing

For citation: Gelashvili M., The influence of “green economy” factors on the poverty level indicator, “Business and Legislation” magazine, No. 2, 2023. p. 53-52.

შესავალი

UNEP-ის, გაეროს, OECD-ის ანგარიშებში, უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერების ნაშრომებში სულ უფრო ხშირად არის საუბარი „მწვანე ეკონომიკაზე" და მის მნიშვნელობაზე. აუცილებლობაზე, რაც შეიძლება უფრო სწრაფად გაიზიარონ აღნიშნული ეკონომიკის პრინციპები ყველა ქვეყანამ, რადგან „მწვანე ეკონომიკის" მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ გარემოს დაცვითი რისკების შემცირებით, არამედ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით, კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების ზრდით, რაც ამავდროულად გულისხმობს ბუნების შენარჩუნებას, დაცვასა და გაუმჯობესებას, უნარჩენო წარმოებას, რესურსების რაციონალურ გამოყენებას, აღუდგენელი რესურსების აღდგენითი რესურსებით ჩანაცვლებას. მწვანე ეკონომიკა ახდენს ეკონომიკური ზრდის შენელების კომპენსაციას ეკონომიკური განვითარების ხარჯზე, რადგან ხდება ახალი სამომხმარებლო პროდუქციის ათვისება და არსებულის გაუმჯობესება. აღნიშნული განაპირობებს საზოგადოებრივი კომფორტის ზრდას და კეთილდღეობის ამაღლებას. ეკონომიკური განვითარების გარეშე შეუძლებელია მწვანე ეკონომიკის არსის, მნიშვნელობისა და თავისებურებების გაგება. სწორედ ინოვაციების დანერგვით არის შესაძლებელი განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის ტემპები ბუნებაში მიმდინარე კვლავწარმოების პროცესებთან. თუმცა ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა რეალურად ამ მოდელზე გადასვლამ უზრუნველყოს ადამიანების კეთილდღეობის ზრდა? ევროპის ქვეყნების მთავრობებმა უკვე ოთხი ათწლეულია დაიწყეს ზომების მიღება მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად. შემუშავებულ იქნა სპეციალური ეროვნული გეგმები ემისიების, ნახშირბადის გამოფრქვევის შემცირების, განახლებადი ენერგიის წყაროების ხვედრითი წილის გაზრდითა და „მწვანე" ტექნოლოგიების ფართო დანერგვით წარმოებაში.

ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს მწვანე ეკონომიკის აქტიური ფორმირება და ამ ფონზე ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი იქნება ამ საკითხების განხილვა სიღარიბის დონის ცვლილებებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე გამოიკვეთა საკვლევი თემის მიზანი: მწვანე ეკონომიკა და მოსახლეობის სიღარიბის დონე.

ზოგადად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომებში კეთილდღეობა განისაზღვრება, როგორც მოსახლეობის სოციალური, სულიერი და მატერიალური სარგებლით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ხოლო სიღარიბის ფენომენი ახასიათებს ადამიანებისთვის საჭირო ნებისმიერი სასიცოცხლო საჭიროების ნაკლებობას. აქედან გამომდინარე, უდაოა რომ შესაძლებელია სიღარიბის მაჩვენებლის გამოყენება როგორც კეთილდღეობის დონის ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორისა, რომელზეც შეიძლება გავლენა იქონიოს მწვანე ეკონომიკამ.

2030 წლისათვის, გაეროს მიერ მდგრადი განვითარების მთავარ მიზნად სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა დაისახა. თუმცა გასული, 2022 წლის მონაცემებით სიტუაცია თითქმის უცვლელია. 800 მილიონამდე მოსახლე, რაც ყოველი მე-10 ადამიანის საზომით შეიძლება განვსაზღვროთ, არის უკიდურეს სიღარიბეში. სამწუხაროდ, მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, წლიური მაჩვენებლის მიხედვით, მილიონობით ტონა სურსათის გაფუჭების გამო ყრიან (საშუალოდ, ერთ სულზე 95-100 კგ გადაყრილი სურსათი იანგარიშება), რასაც თავის მხრივ ზიანი მოაქვთ როგორც სამყაროსთვის, ასევე მასზე მცხოვრები ადამიანებისთვისაც.

ნაშრომში განვიხილავთ სიღარიბის ცნებას და მის განსაზღვრის მექანიზმს, ასევე მწვანე ეკონომიკის განსაზღვრებებსა და მაჩვენებლებს. გავაანალიზებთ მწვანე ეკონომიკის ფორმირების საკითხებს ევროპის ქვეყნებში, შევეცდებით განვსაზღვროთ იმ ძირითად მაჩვენებელთა ნუსხა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია „მწვანე ეკონომიკასა" და სიღარიბეს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის განხორციელება და ამისათვის გამოვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიულ მოდელს.

სიღარიბის კატეგორია და მისი გაზომვის მეთოდები

გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის (UNECE) სიღარიბეს განმარტავს, როგორც „ადამიანისთვის არჩევანისა და შესაძლებლობების ქონის ან რეალიზაციის შეუძლებლობას", ინკლუზიურობის ნაკლებობას, რაც გამოიხატება ოჯახისთვის საკვებითა და ტანსაცმლით, განათლებისა დ ჯანდაცვის მიღების შეზღუდულობით. სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება ადამიანის აბსოლუტური მოთხოვნილებების ან შედარებითი სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) თანახმად, არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული ცხოვრების დონე (სიღარიბის ზღვარი), რომლის დროსაც ადამიანმა შეიძლება თავი ღარიბად არც კი ჩათვალოს. სიღარიბის პრობლემა ყოველთვის იყო და რჩება ყველაზე რთულ გადასაწყვეტ პრობლემად. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ეპოქაში სიღარიბე ხასიათდებოდა სპეციფიკური ფორმებითა და გამოვლინებებით, რომლებიც სახელმწიფოს ისტორიითა და ტრადიციებით იყო განპირობებული. რთულია ამ პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური საშუალება მოიძებნოს, რომლის გამოყენებაც გლობალურ დონეზე იქნებოდა შესაძლებელი. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი სიღარიბის დასაძლევად მიმართულმა კონკრეტული ქვეყნების პროგრამებმა უნდა ითამაშოს, თუმცა ეროვნულ დონეზე გასატარებელი ღონისძიებების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალისხმევაცაა საჭირო, ვინაიდან ქვეყნების უმეტესობას აქვს მნიშვნელოვნად განსხვავებული მიდგომები სიღარიბის ინდიკატორების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შემოგვთავაზა გამორჩეული მახასიათებლები სხვადასხვა ქვეყნის სიღარიბის დონის შესადარებლად.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გორდონი

თვლის, რომ ღარიბთა კატეგორიას მიეკუთვნება მოსახლეობის ის ფენა, რომლის შემოსავალი არ აღწევს გარკვეულ მინიმალურ მნიშვნელობას, რის შედეგადაც მათი მოხმარება გარკვეულ მინიმალურ სტანდარტებზე დაბალია [Gordon L. A.,1994]. ეს სტანდარტები შეიძლება დაჯგუფდეს სამომხმარებლო საქონლის ერთობლიობაში და მათი ღირებულება გამოითვალოს აბსოლუტური მაჩვენებლების სახით.

სიღარიბის გაზომვის სხვადასხვა ღირებულებითი მიდგომა შემუშავებულია საერთაშორისო გაზომვისა და შედარებისთვის:

ა) საარსებო მინიმუმი: ინდიკატორი, რომელიც პირველად გამოიყენეს ცხოვრების პირობების აღსაწერად ცალკეულ ქვეყნებში და შემდგომ გამოყენებულ იქნა სიღარიბის დონის დასადგენად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, UNDP და სხვა;

ბ) ძირითადი საჭიროებების კონცეფცია: ამ საჭიროებებში შედის ორი ელემენტი: ოჯახის მინიმალური საჭიროებები და ძირითადი კომუნალური მომსახურება. ეს კონცეფცია არის საარსებო მინიმუმის კონცეფციის გაფართოებული ვერსია;

გ) ფარდობითი დეპრივაცია (სხვისი სურვილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა**):** შემუშავებულ იქნა სიღარიბის დონის გარკვეული სტანდარტები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ღარიბი ადამიანის იდენტიფიცირებისთვის. ეს შეიძლება გამოხატული იყოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოყენებული საზოგადოებრივი სიკეთეების ხელმისაწვდომობით ცალკეული მოქალაქეების შეზღუდვისას [Townsand P., 1979];

დ) სიმდიდრე: დაგროვილი სიმდიდრის დახმარებით მოსახლეობა უფრო ადვილად უძლებს ეკონომიკურ ვარდნას და კრიზისს. ამ ინდიკატორის გამოყენებით ღარიბთა კატეგორიიდან გამოირიცხება ის ადამიანები, რომელთა შემოსავლის ოფიციალური შრომითი წყაროებიდან მიღებული შემოსავალი დაბალია კაპიტალის გამოყენებისა და არაფორმალური შემოსავლების გამო.

ე) დროის ნაკლებობა: ახასიათებს ადამიანთა ტიპს, რომლებსაც აქვთ სამუშაო და საკმარისი შემოსავალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მხოლოდ სამუშაო პროცესში მაღალი ჩართულობის შედეგად. ეს კი მკვეთრად ზღუდავს მათ თავისუფალ დროს. როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებას, ასევე დასვენების შესაძლებლობას.

ვინაიდან სიღარიბის დონის გაზომვა რთულია, სიღარიბის შედარებისთვის გამოიყენება სპეციალური ინდექსები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.

ევროპული სტატისტიკური სააგენტოები მრავალგანზომილებიანი სიღარიბის დონის გასაზომად იყენებენ - სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკის მრავალგანზომილებიან ინდექსს (AROPE). იგი ითვალისწინებს სიღარიბის მაჩვენებელს შემოსავლების მიხედვით, სხვადასხვა სახის დეპრივაციას და ბაზარზე არ მონაწილეობას. აღნიშნული ინდექსი ასახავს არა მხოლოდ დაბალი შემოსავლების პრობლემას, არამედ დაბალი შემოსავლების ფონზე სოციალური გარიყულობიდან გამომდინარე უფრო ღრმა პრობლემებსაც. ამდენად, სიღარიბე შეიძლება განისაზღვროს არა მხოლოდ მოსახლეობის დაბალი შემოსავლებით, არამედ სხვა როგორც მატერიალური, ასევე სოციალური გაჭირვებითაც.

სიღარიბის გაზომვა საკმაოდ რთული და კომპლექსური ამოცანაა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკმაოდ ბევრ პირობითობას მოიცავს და ფართომასშტაბიანი კონსენსუსის შედეგია.

სიღარიბის შესწავლისას აუცილებელია ოპტიმალური მეთოდიკის შერჩევა. ზუსტი სურათის მისაღებად უნდა გაირკვეს თუ რომელ მოცემულობებზე უნდა მოხდეს ყურადღების კონცენტრაცია. კარგად გააზრებული მეთოდიკა ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული სიღარიბისადმი სოციალური პასუხისმგებლობით მიდგომას.

სიღარიბის სურათის დადგენისას მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული საშუალო თვიური ხელფასის დადგენა. მის დასადგენად საჭიროა გაცემული სახელფასო ფონდის გაყოფა ხელფასის მიმღებთა და გამოსათვლელი პერიოდის თვეთა რიცხვზე. ამასთან სახელფასო ფონდი მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით მიღებულ ყველა სახის შემოსავალს, მათ შორის შვებულების საზღაურსა და სოციალურ დახმარებებს. [ციმინტია კ., 2017]

სიღარიბის კვლევისას ასევე საყურადღებოა მინიმალური პენსიის საკითხიც, რადგან იგი წარმოადგენს იმ მინიმალურ თანხას, რომელიც სახელმწიფოს გარანტირებული აქვს საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისად.

სიღარიბეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომხმარებლო ფასების ინდექსიც. ეს ინდექსი ახასიათებს გარკვეული დროის განმავლობაში ფიქსირებულ სამომხმარებლო კალათას, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მიერ შეძენილი სასურსათო და არასასურსათო საქონლის, სხვადასხვა სახის მომსახურების ფასს. სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მიმდინარე დროს სამომხმარებლო კალათის ღირებულების მიმართებას საბაზისო პერიოდში (წინა წლის ან წინა თვის ფასებში) არსებულ ღირებულებასთან, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს მოსახლეობის შემოსავლების ცვლილების ზეგავლენას, მისი მოხმარების რაოდენობასა და სტრუქტურას.

სიღარიბის მაჩვენებლის გაზომვისას მნიშვნელოვანია ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების დაგროვების ინდექსი). ეს კოეფიციენტი აჩვენებს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების წონასწორობას. ჯინის კოეფიციენტი შესსძლებელია მერყეობდეს 0-სა და 1-ს შორის. რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი მით უფრო უთანასწოროდ არის განაწილებული შემოსავლები მოსახლეობაში. თეორიულად ექსტრემალური მნიშვნელობები შეესაბამებიან მდგომარეობას, თუ ჯინის კოეფიციენტი უდრის 1-ს, ნიშნავს, რომ ქვეყანაში ერთმა ადამიანმა მიიღო მთელი შემოსავალი, ხოლო თუ ჯინის კოეფიციენტი უდრის 0-ს, ეს აჩვე-

ნებს რომ ქვეყნის მთელ მოსახლეობას თანასწორი შემოსავალი მიუღია.

სიღარიბის განსაზღვრაში ასევე მნიშვნელოვანია შემოსავლების დიფერენციაციის კოეფიციენტი (ფონდების კოეფიციენტი). იგი აჩვენებს საზოგადოებაში არსებული სოციალური დიფერენციაციის ხარისხს და განისაზღვრება, როგორც მოსახლეობის ყველაზე დიდი შემოსავლების მქონე 10%-ის ფულად შემოსავლებსა და ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 10%-ის ფულად შემოსავლებს შორის არსებული განსხვავების მაჩვენებელი. ეს კოეფიციენტი აჩვენებს თუ რამდენია განსხვავება ყველაზე მდიდარი 10%-სა და ყველაზე ღარიბი 10%-ს შორის შემოსავლებში.

სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური პარტნიორობა ყველაზე ეფექტური საშუალებაა საზოგადოებაში არსებული დიდი სოციალური უსამართლობის სიღარიბის დასაძლევად. [ციმინტია კ., 2017].

მწვანე ეკონომიკა და მისი გაზომვა

ჯერ კიდევ არ არსებობს ტერმინ - „მწვანე ეკონომიკის“ საყოველთაოდ მიღებული განმარტება. გაეროს გარემოს დაცვითი პროგრამის ანუ UNEP-ის მიდგომის მიხედვით (გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა-UNEP), შემოსავლებისა და დასაქმების ზრდა მწვანე ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფილია სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებით, რომლებიც მიზნად ისახავს ნახშირბადის და სხვა მავნე ნივთიერებების გამოფრქვევებისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, გაზრდის ენერგოეფექტური და რესურსების დამზოგველი დარგების ეფექტიანობას [UNEP, 2011].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) იყენებს განსხვავებულ ტერმინს - „მწვანე“ ზრდა, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკის განვითარებას. ბუნებრივი რესურსების გამოყენება ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რომლთა საშუალებითაც შესაძლებელია გარემოზე ზიანის მიყენების შემცირება ან სრულად თავიდან აცილება. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია როგორც წყლის რესურსების მკვეთრი შემცირება, ასევე სხვა სახის რესურსების დეფიციტი ვერ ავიცილოთ, რაც საბოლოო ჯამში ჰაერის დაბინძურებას და კლიმატის ცვლილებას გამოიწვევს. ეს ყველაფერი კი გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის მკვეთრ შემცირებას [OECD, 2011].

მრავალი სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც განსაზღვრავენ მწვანე ეკონომიკას, აქცენტი კეთდება ცხოვრების სოციალური და ეკონომიკური სფეროების განვითარებაზე:

- განვითარებული ქვეყნებისათვის - კონკურენციასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე;
- განვითარებადი ქვეყნებისათვის - მდგრად განვითარებასა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაზე;
- BRICS-ის ქვეყნებისათვის კი - რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე. [Yakovlev I. A. და სხვ., 2017]

ამდენად, მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის მდგრადობაზე - ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე.

თვით მდგრადი განვითარების კონცეფცია შედგება საზოგადოების სამი თვალსაზრისისგან: ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი. ეს ტერმინი ბრუნვაში შემოვიდა 1987 წელს, ხოლო 1992 წლის რიო-დეჟანეიროს კონფერენციით აღნიშნულმა ტერმინმა მიიღო შემდეგი განსაზღვრა: მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანთა დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამასთან აღინიშნა, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება ისეთ გარემოზე, რომელიც ხელსაყრელია მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფოების როლიც, რომ ისინი მოვალენი არიან შეინარჩუნონ და გამოიყენონ გარემო და ბუნებრივი რესურსები ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის. მდგრადი განვითარების შესახებ არის სხვა ინტერპრეტაციაც. მაგალითად, „საზოგადოების მდგრად განვითარებაში იგულისხმება ისეთი განვითარება, რომლის დროსაც დადგინდება მოსახლეობის რიცხოვნობის მეცნიერულად დასაბუთებული ზღვარი, რის შესაბამისადაც შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა ადამიანების სიცოცხლისუნარიანობისა და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ისე, რომ დაცული იქნეს საცხოვრებელი გარემოს ბუნებრივი კვლავწარმოების პირობები.“ ორივე ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მდგრადი განვითარება უნდა დაეყრდნოს ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა მართვის (რეგულირების) პრინციპებს. ეს კი რთული პროცესია, რომელიც მოიცავს მეცნიერების (როგორც ასეთის და არა მხოლოდ ერთი დარგის), ეკონომიკის (რომელიც პლანეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სპეციფიკურ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში კი შიმშილისგან თავის დაღწევას) და ბუნების (სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა რესურსებით, პოტენციალით გამორჩევა და მნიშვნელოვანი შეზღუდვით ხასიათდება, მაგალითად ჰაერი, წყალი, ნიადაგი, წიაღისეული და სხვა), ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანპირობებულობის დონის ობიექტურად შეფასებას. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სწორად განსაზღვრას. იგულისხმება არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების შეხედულებებით საკუთარი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება, არამედ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებული მოქმედებაც აუცილებელი პარამეტრების დაცვის გათვალისწინებით. მაგალითად, გამოითქვა მოსაზრება, რომ მსოფლიოს ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ, რომ ერთნაირად დაიცავენ შემდეგ პირობებს: სამომხმარებლო რესურსების (სახეობების მიხედვით) რაოდენობა, პროდუქციის წარმოების მოცულობა, გარემოს დაბინძურების ნორმატივები, მოსახლეობის რაოდენობა.

რიოს კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ყველა სახელმწიფო და ყველა ხალხი

თანამშრომლობენ სიღარიბის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი ამოცანის - მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობის გადაწყვეტაში, იმ მიზნით, რომ შემცირდეს ცხოვრების დონეებს შორის განსხვავება და უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილდეს მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნილებები. ასეთი კეთილშობილური მიზნის მიღწევა საერთო ძალისხმევას მოითხოვს. ამასთან ლოგიკურად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მდგრადი განვითარების და ყველა ადამიანისათვის ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევისათვის სახელმწიფოები მოვალენი არიან შეზღუდონ და ლიკვიდაცია მოახდინონ წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელების და წაახალისონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა. მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, დემოგრაფიული, სულიერი პრობლემების გადაწყვეტას. ამ თვალსაზრისით სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მას უნდა შეეძლოს მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება და ამით ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ისე, რომ მომავალი თაობებისათვის საჭირო რესურსები არ ამოიწუროს. ასეთი სისტემა უნდა ემყარებოდეს მართვის თანამედროვე პრინციპებს (პროგნოზირებას, დაგეგმვას, მიზნობრივ პროგრამებს და ა. შ.), და არა სტიქიურ საბაზრო მექანიზმს. პოსტსოციალისტურ სივრცეში ფორმირებული საბაზრო მექანიზმების სტიქიური მოქმედებითა და ეკონომიკური პროცესების არაეფექტური რეგულირებით დააჩქარა ეკონომიკის სისტემური კრიზისი და ამით უფრო გაღრმავდა ეკოლოგიური პროცესები. შეიქმნა უნიკალური სიტუაცია: ერთი მხრივ, მზარდი ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია და მეორე მხრივ, მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს როლის გააქტიურებას, რათა მან შეასრულოს გარემოსა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტის ფუნქცია და რაც არსებითია ადამიანებზე ზრუნვა უნდა წარმოადგენდეს ცენტრალურ ამოცანას.

ამდენად, მდგრადი განვითარება ნიშნავს:

- ადამიანზე ზრუნვის ძალისხმევის გაღრმავებას;
- ყველა სახელმწიფოს და ყველა ხალხის თანამშრომლობას სიღარიბის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას;
- ცხოვრების დონის მიხედვით უთანასწორობის შემცირებისა და მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო ეფექტიან დაკმაყოფილებას;
- გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში ეკონომიკური განვითარების ცივილური, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული განვითარების ჩარჩოებში განხილვას [Gelashvili M., 2021].

ამიტომ, ბუნებრივია, ახლებურად დგება ეკონომიკური ზრდისა და მისი გაზომვის საკითხებიც. კერძოდ, აუცილებელია ვაღიაროთ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი ეკონომიკური ზრდასთან მიმართებაში, რაც თავისთავად იწვევს მათი გაზომვისა და შეფასების საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას. გაზომვა რაოდენობრივ შეფასებას გამოხატავს, ხოლო ეკონომიკური ზრდის გაზომვა ქვეყნის მასშტაბით წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობრივი, მოცულობითი და ნატურალური მახასიათებლების გამომხატველია, რაც დაფიქსირებულია კიდეც ეკონომიკურ ლიტერატურაში. შეფასება კი, რაოდენობრივ გაზომვასთან ერთად ეკონომიკური ზრდის სპეციფიკურ თვისებებს, ხარისხობრივ მხარეს გამოხატავს. ამიტომ გაზომვისა და შეფასების განხორციელებისათვის აუცილებელია ჯერ-ერთი, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური ზრდის ხარისხი და ეკონომიკური განვითარება; მეორე, განვსაზღვროთ ეკონომიკური ზრდის შეფასების ძირითადი პრინციპები, კრიტერიუმები, მაჩვენებელთა სისტემა. [გელაშვილი მ. 2022]

ნობელის პრემიის ლაურეატი სტიგლიცისა და სხვა მეცნიერთა აზრითაც დღეისათვის მშპ-ი სრულყოფილად ვერ ასახავს მოქალაქეების კეთილდღეობის დონეს, რადგან შეუძლებელია რესურსების ხარისხის განსაზღვრა და ფაქტობრივად ადგილი აქვს ილუზიურ ეკონომიკურ ზრდას, რადგან იგი მიიღწევა ბუნებრივი რესურსების დანაკარგების ხარჯზე [Stiglitz J. E. et al., 2010].

მწვანე ეკონომიკის განვითარების ახალი ინდიკატორების შემუშავება დღეისათვის აქტიურ ეტაპზეა. მაგალითად, ჩვეულებრივი მშპ-ის ნაცვლად, შემოთავაზებულია „მწვანე“ მშპ, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიურ შედეგებსაც, ან გარემოსდაცვით ინდექსს (EPI), რომელიც იძლევა ინფორმაციას მდგრადი განვითარების მდგომარეობის შესახებ მთელს მსოფლიოში, გარემოს მდგომარეობისა და რესურსების მართვის მონაცემებზე დაყრდნობით. კიდევ ერთი მაჩვენებელი - მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI) - გვიჩვენებს, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას ქვეყნებმა გრძელვადიანი განვითარების პერიოდში. ამ ინდექსზე დაყრდნობით არსებობს ინდიკატორების ოთხი ჯგუფი:

1. ლიდერობა და კლიმატის ცვლილება;
2. ეკონომიკის ცალკეული სექტორების ეფექტიანობა;
3. ინვესტიცია „მწვანე“ ტექნოლოგიებში;
4. გარემოს მდგომარეობა და ბუნებრივი კაპიტალი.

მწვანე ეკონომიკის გაზომვის სხვადასხვა მეთოდის გაანალიზების შედეგად აშკარაა, რომ ისინი მსგავსია და ეყრდნობა ინდიკატორთა სამ ძირითად ჯგუფს: ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურს. ეს მეთოდოლოგიები და ინდექსები იძლევა მწვანე ეკონომიკის გაზომვის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის მონაცემთა ფართო სპექტრის გამოყენებას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში 2020 წლის დასაქმების გლობალური ტენდენციების შესახებ, აღინიშნებოდა სამუშაო ადგილების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ღირსეული ანაზღაურების პრობლემათა აქტუალობა, ხოლო გლობალური პრობლემის - COVID-19-ის პანდემიამ მკვეთრად გააუარესა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა.

პანდემიამ ასევე შეანელა ეკონომიკური ზრდა და ბევრ ქვეყანაში, ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო თავი იჩინა არა მხოლოდ ეკონომიკურმა, არამედ სოციალურმა პრობლემებმა.

ამ ფონზე უმუშევრობის მოგვარების ერთ-ერთ გზად შეიძლება განვიხილოთ „მწვანე ეკონომიკა". სწორედ მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების ზრდას, ხოლო კლიმატის ნეგატიური ცვლილებები გაზრდის სოციალური დაცვის საჭიროებას.

IRENA-ას პროგნოზის მიხედვით, განახლებადი ენერგიის სექტორს შეუძლია 2050 წლისთვის ენერგეტიკაში სამუშაო ადგილების რაოდენობა 100 მილიონამდე გაზარდოს, რაც 40 მილიონით მეტია ვიდრე მიმდინარე პერიოდში. ეს შეიძლება გახდეს კიდევ ერთი ინსტრუმენტი სიღარიბისა და მოსახლეობის დაბალი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„მწვანე ეკონომიკა", როგორც სიღარიბის დაძლევის ყველაზე უნიკალური მოდელი და მისი განვითარების პერსპექტივები ამ ეტაპზე ორიენტირებულია ორ ძირითად მიმართულებაზე. ესენია: 1. ახალი ენერგიების ათვისება და 2. ნარჩენების უტილიზაცია.

ახალი ენერგიების ათვისება ენერგეტიკული სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის განვითარების სანიმუშო მოდელს წარმოადგენს იერუსალიმი თავისი მწვანე შენობებითა და ინფრასტრუქტურით. უმეტესი ნაწილი მზის ენერგიიდან გამომუშავდება, რაც მოსახლეობისათვის უდიდესი შეღავათია ფინანსური ნაკადის გადინების თვალსაზრისით.

ნარჩენების უტილიზაციის სანიმუშო მოდელს წარმოადგენს **შვეიცარია,** რომელიც ახდენს ნარჩენების იმპორტირებას საკუთარ ქვეყანაში, მათი გადამუშავებისა და ახალი სარგებლის მიღების მიზნით.

ორივე, ახალი ენერგეტიკული სფერო და ნარჩენების უტილიზაცია, დადებითად ზემოქმედებს გარემოზე, ადამიანზე და „ჩვენი საერთო მომავალი ცხოვრების" პრინციპებზე.

ასევე, „მწვანე ეკონომიკას" შეუძლია გავლენა მოახდინოს სიღარიბის დონეზე შრომის მწარმოებლურობის გაზრდით. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, სიღატაკისა და სიღარიბის დაძლევა შესაძლებელი გახდება მწარმოებლურობის მდგრადი ზრდის შედეგად. ხოლო „მდგრადობა" უზრუნველყოფილი იქნება ახალი ტექნოლოგიების დანერგვითა და კაპიტალში ინვესტიციების გაზრდით.

პორტერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მწვანე ინვესტიციას შეუძლია გაზარდოს ფირმის კონკურენტუნარიანობა [Porter M., 1991]. ამავდროულად, გაიზრდება მოგება მწარმოებლურობის გაზრდით, გაუმჯობესდება ფირმის იმიჯი და მოხდება ხარჯების მინიმიზაცია. კომპანიები „მწვანე" ტექნოლოგიების დახმარებით შეძლებენ შეამცირონ მატერიალური ხარჯები რესურსების ხელახალი გამოყენების გზით. ეს ასევე საშუალებას მისცემს ბიზნესს გააუმჯობესონ თავიანთი რეპუტაცია მდგრადი ტექნოლოგიების გავრცელების კონტექსტში[Barros M. V. და სხვ., 2021].

ასევე გასათვალისწინებელია საზოგადოების მიერ გაწეული სოციალური ხარჯები, რომელიც განპირობებულია "ყავისფერი" ეკონომიკის მოდელის არსებობით და რაც გამოიხატება თუნდაც ჯანმრთელობის პრობლემებით. მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში ცხოვრობს სხვადასხვა დაავადებებით, რაც გამოწვეულია გარემოს დაბინძურებით, და რამაც შეიძლება გაზარდოს სიკვდილიანობა, ან გაზარდოს ჯანდაცვის დამატებითი ხარჯები, მათ შორის ბიუჯეტის ხარჯები, ასევე შეზღუდვები გარკვეული ტიპის სამუშაოებზე, რასაც შემოსავლების შემცირებამდე მივყევართ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „მწვანე ეკონომიკას" შეუძლია გავლენა მოახდინოს სიღარიბეზე, ასევე წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის გადაჭრაში, მაგალითად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების გაზრდას. ჩვენი აზრით, ახალმა „მწვანე" ტექნოლოგიებმა და, ზოგადად, „მწვანე ეკონომიკის" სექტორის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს სიღარიბის შემცირება სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდის, პერსონალის განვითარების, ხელფასების ზრდისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირების გზით. ამავდროულად, მიზანშეწონილია გავაღრმავოთ მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევები ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებში და გავაანალიზოთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიები და მიდგომები.

მწვანე ეკონომიკისა და სიღარიბის დონის დამოკიდებულების მოდელირება

ბევრი ქვეყნის მთავრობა ჯერ კიდევ არ ატარებს აქტიურ პოლიტიკას მწვანე განვითარების უზრუნველსაყოფად და ამას განმარტავს იმით, რომ ეს გამოიწვევს წარმოების დანახარჯების ზრდას, ბიუჯეტის დამატებით დატვირთვას და რესურსებზე ფასების გაზრდას. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რამდენად გამართლებული იქნება აღნიშნული პოლიტიკის გატარებისას დამატებითი ხარჯები და რამდენად გამოიწვევს აღნიშნული პოლიტიკა ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, კერძოდ კი, სიღარიბის დონის შემცირებას.

2010 წელს ევროკომისიამ ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის მიიღო განვითარების ახალი სტრატეგია — „ევროპა 2020", რომელმაც უზრუნველეყო ევროკავშირის ქვეყნების მდგრადი ზრდა 2020 წლისთვის. ამ სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უმუშევრობისა და შესაბამისად სიღარიბის დონის შემცირება, რომელიც განპირობებული იყო CO_2-ის გამოყოფის შემცირებით, განახლებადი ელექტროენერგიის წილის და შესაბამისად ენერგოეფექტურობის გაზრდით.

აქედან გამომდინარე შესაძლებელი გახდა ევროკავშირის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის ფაქტორებსა და სიღარიბის დონეს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების დადგენა. აღნიშნული საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანი იყო დაგვედ-

გინა რამდენადაა შესაძლებელი მწვანე განვითარებამ იმოქმედოს ქვეყნის სიღარიბის დონის შემცირებაზე. ამისათვის შემუშავებულ იქნა კორელაციურ-რეგრესიული მოდელი, რომელსაც უნდა გამოევლინა სიღარიბის დონისა და მწვანე ეკონომიკის ფაქტორთა შორის კავშირი. აღნიშნული მოდელის ფორმირების ფარგლებში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი ჰიპოტეზები:

1. განახლებადი ენერგიის წილი ენერგიის მთლიან მოხმარებაში უკუკავშირშია მოსახლეობის სიღარიბის დონესთან; განახლებადი ენერგიის განვითარებამ მოსახლეობა უნდა უზრუნველყოს იაფი ელექტროენერგიით, რაც საშუალებას მისცემს შინამეურნეობებს შეამცირონ ელექტროენერგიაზე ხარჯები. შრომის ნაყოფიერების ზრდა უკავშირება უფრო სუფთა, მწვანე ტექნოლოგიებისა და იაფი ენერგიის გამოყენებას;

2. მავნე გაზების გამოყოფა დადებით კავშირშია მოსახლეობის სიღარიბის დონესთან; გამონაბოლქვი უარყოფითად მოქმედებს გარემო კლიმატზე და სამუშაო პირობებზე. აქედან გამომდინარე უნდა დადგინდეს კავშირი სიღარიბესა და გაზების გამონაბოლქვს შორის. უნდა შემოწმდეს, არის თუ არა კავშირი სიღარიბესა და გამონაბოლქვს შორის ეკონომიკური ზრდის და გაზრდილი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გამო;

3. შრომის ნაყოფიერება უარყოფით კავშირშია მოსახლეობის სიღარიბის დონესთან; შრომის წარმოებლურობის ზრდის შესაბამისად იზრდება შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობები, რაც განპირობებულია უფრო სუფთა, „მწვანე" ტექნოლოგიების გამოყენებით;

4. **ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დონეს შორის არის უარყოფითი ურთიერთკავშირი;** ტრადიციულად ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია სიღარიბის შემცირებასთან, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია შეიმჩნევა თუ არა ასეთი კავშირი მოსახლეობის ჯგუფებს შორის ეკონომიკური ზრდის შედეგების გადანაწილების კონტექსტში სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას;

5. **მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკუკავშირშია მოსახლეობის სიღარიბის დონესთან;** ცხოვრების ხარისხისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებით ადამიანებს შეუძლიათ მეტი იმუშაონ და მეტი გამოიმუშაონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, შესაბამისად გაზარდონ შემოსავლები;

6. ეკონომიკის სამეცნიერო სექტორის განვითარება უკუკავშირშია მოსახლეობის სიღარიბის დონესთან; სამეცნიერო სექტორის განვითარების კვალდაკვალ უნდა იქმნებოდეს ახალი ტექნოლოგიები, იზრდებოდეს შრომის მწარმოებლურობა და რესურსეფექტიანობა, მათ შორის ინოვაციური „მწვანე" ტექნოლოგიების განვითარება;

7. სახელმწიფო სექტორის სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებები უკუკავშირშია მოსახლეობის სიღარიბის დონესთან; სახელმწიფოს მხიდან დამატებითი სოციალური პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს სიღარიბის დონის შემცირებას, რაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის შედეგების გადანაწილებით მოსახლეობის (განსკუთრებით მოწყვლად) ჯგუფებს შორის;

8. ეკონომიკაში დასაქმებულთა წილი უკუკავშირშია სიღარიბის დონესთან; რაც უფრო მაღალია დასაქმების და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლების დონე, მით ნაკლებია ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა და ეს განპირობებულია მოსახლეობის ჩართულობის ზრდით ეკონომიკურ აქტივობაში.

აღნიშნული ჰიპოთეზების შესამოწმებლად ჩატარდა კორელაციულ-რეგრესიული ანალიზი GRETL აპლიკაციის პაკეტის გამოყენებით ეკონომეტრკიული მოდელის ასაგებად.

დამოკიდებული ცვლადი არის - „სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი"; ანუ მოსახლეობის ის ნაწილი (%), რომელთა შემოსავალი შეადგენს ქვეყანაში არსებული ეროვნული შემოსავლის 60%-ზე ნაკლებს სოციალური ტრანსფერტების გათვალისწინებით, ან განიცდის მატერიალურ სიდუხჭირეს.

ქვემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორები გამოყენებული იქნა როგორც განმარტებითი ცვლადები:

X1 - განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილი საბოლოო მოხმარებაში (მოხმარებული ელექტროენერგიის მთლიანი მოცულობის პროცენტი);

X2 - მავნე გაზების გამოყოფა (ტონა ერთ სულ მოსახლეზე);

X3 - გარემოს დაცვითი გადასახადის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (% მშპ-დან);

X4 - ადამიანური რესურსების წილი მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში (25-დან 64 წლამდე აქტიური მოსახლეობის %);

X5 - კვლევა-განვითარების მთლიანი დანახარჯების წილი (მშპ-ის %);

X6 - დასაქმების დონე (%);

X7 - მოსახლეობის წილი, რომელიც დადებითად აფასებს თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას (% გამოკითხულთაგან);

X8 - მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ევროებში);

X9 - შრომის მწარმოებლურობა (%-ში, 2010 წელთან შედარებით);

X10 — სახელმწიფო ხარჯები მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (მშპ-ის %);

X11 - რესურსების ეფექტიანობა, გამოითვლება როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის *კოეფიციენტი გაყოფილი შიდა მოხმარებაზე (ნედლეულის წლიური რაოდენობა, რომელიც მოპოვებულია ქვეყნის შიგნით, პლუს სრული ფიზიკური იმპორტი და მინუს სრული ფიზიკური ექსპორტი) - განსაზღვრულია 2000 წლის მონაცემებთან მიმართებაში.*

რეგრესიის მოდელში თითქმის ყველა ცვლადი მოყვანილ იყო ხვედრითი წილის გაანგარიშებით (როგორც შუალედურ ეტაპზე, ასევე საბოლოო მოდელშიც), რაც ნაწილობრივ ამცირებს ინფლაციური ტენდენციების შესაძლო გავლენას სიმულაციის შედეგებზე. გამოთვლების დროს ასევე განხილულ იქნა მოდელის ვარიანტები, რომლებიც იმავე ცვლადებზე იქნა აგებული ინდექსაციისა და ზრდადობის ფორმით.

მოდელში განხილულ იყო ევროპის 28 ქვეყნის 2005 წლიდან 2019 წლამდე პერიოდის მონაცემები. ქვეყნები შეირჩა მონაცემთა ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.

მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი ტოლი იყო 0,9372-ის. რაც გულისხმობს, რომ ცვლადის ვარიაციები, ანუ სიღარიბის რისკი 93,72%-ით განპირობებული იყო მოდელში შემავალი ფაქტორების გავლენით. მოდელის პარამეტრების მნიშვნელობის შემოწმებამ აჩვენა, რომ პარამეტრი „შრომის პროდუქტიულობა" მნიშვნელოვანია 1%-ის დონეზე, პარამეტრი „ელექტროენერგიის წილი განახლებადი ენერგიის წყაროებიდან საბოლოო მოხმარებაში" და „სახელმწიფო ხარჯები მოქალაქეთა სოციალური დაცვის შესახებ" მნიშვნელოვანია 5%-ის დონეზე. დანარჩენი ფაქტორები იყო უმნიშვნელო, ანუ მათ არ ქონდათ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა სიღარიბის რისკის დონეზე. მოდელის სხვადასხვა ვარიანტების გაანალიზებამ დაადგინა, რომ შეფასების საუკეთესო გზა არის ფიქსირებული ეფექტების მოდელი, რაც საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ ობიექტების განუზომელი ინდივიდუალური განსხვავებები.

• ამრიგად, კოეფიციენტი X1-ი უარყოფითი აღმოჩნდა, რაც დაშვებული იყო პირველი ჰიპოთეზით და რაც გულისხმობს, რომ „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილსა" და „სიღარიბის რისკს" შორის უარყოფითი დამოკიდებულებაა.

• მეორე ჰიპოტეზა არ დადასტურდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირის არ არსებობის გამო სიღარიბის რისკსა და მავნე გაზების გამოტყორცნის დონეს შორის. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ბევრი კომპანია, რომელიც თავის თანამშრომლებს უხდის საშუალო ხელფასის დონეზე ნაკლებს, საქმიანობის პროცესში არ ახდენენ მავნე გაზების გამოყოფას, მაგალითად, მომსახურეობის სფერო.

• კოეფიციენტი X9 უარყოფითი აღმოჩნდა, რაც მე-3 ჰიპოთეზაში იყო გათვალისწინებული (მაჩვენებლებს „შრომის პროდუქტიულობა" და „სიღარიბის რისკის დონე" შორის არის უარყოფითი კავშირი).

• მეოთხე ჰიპოტეზა არ დადასტურდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირის არ არსებობის გამო სიღარიბის რისკსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. რაც შეიძლება აიხსნას ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე ეკონომიკის ზრდის ნაკლებად ზეგავლენის გამო. ასე მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, წარმოებაში იზრდება კომპანიების შემოსავლები, მაგრამ ეს ვერ აისახება ადეკვატურად მთელი მოსახლეობის შემოსავლების დონეზე, რადგან მათი ნაწილი, რომელიც ღარიბთა კატეგორიას მიეკუთვნება, შესაძლებელია დასაქმებული იყოს იმ კომპანიებში, სადაც ჯერ კიდევ მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წილი, რომლის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში შეზღუდულია.

• არ დადასტურდა მეხუთე, მეექვსე და მერვე ჰიპოტეზაც, ვინაიდან მოდელში გამოყენებული ინდიკატორები აღმოჩნდა სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანი. ეს ნიშნავს, რომ ინდიკატორები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კვლევისა და განვითარების ხარჯები და დასაქმების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ არის დაკავშირებული ან ვერ აისახება სიღარიბის დონის ცვლილებაზე. ევროკავშირის ქვეყნებში.

• არ დადასტურდა მეხუთე ჰიპოტეზა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულების არ არსებობის გამო სიღარიბის რისკის დონესა და ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის, რაც შეიძლება ავხსნათ ადამიანთა სუბიექტური დამოკიდებულებით საკუთარ ჯანმრთელობასთ მიმართებაში.

• არ დადასტურდა მეექვსე ჰიპოტეზა სიღარიბის რისკის დონესა და სამეცნიერო სექტორის განვითარებაზე დახარჯულ ხარჯებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირის არ არსებობის გამო. რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიურ სფეროებში საკმაოდ მაღალი დონის სამეცნიერო შედეგების გამოყენებით, და სადაც ფაქტობრივად მაღალანაზღაურებადი მუშაკები არიან დასაქმებულნი.

• დადებითი აღმოჩნდა კოეფიციენტი X10, რაც მე-7 ჰიპოთეზაში არ იყო გათვალისწინებული. რადგან სიღარიბის რისკის დონესა და სახელმწიფოს მხრიდან გაწეული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არ აღმოჩნდა უარყოფითი. ჩვენი აზრით აღნიშნული შედეგი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური დაცვის ხარჯები ევროკავშირის ქვეყნებში იზრდება სიღარიბის დონის ზრდის შესაბამისად და ამიტომ, საკმაოდ შესუსტებულია აღნიშნული ფაქტორის ზეგავლენის ხარისხი.

• არ დადასტურდა მერვე ჰიპოტეზა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირის არ არსებობის გამო სიღარიბის რისკსა და დასაქმების მაჩვენებელს შორის. ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს იქიდან გამომდინარე, რომ მაღალანაზღაურებადი მუშაკების შემოსავლები იზრდება უფრო სწრაფი ტემპით ვიდრე დაბალანაზღაურებად მუშაკებისა.

შედეგების განხილვა

ამრიგად, არსებული მოდელის მიხედვით, მწვანე ეკონომიკის ინდიკატორი - განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილი, ყველაზე ეფექტური ფაქტორია სიღარიბის რისკთან მიმართებაში. შესაძლოა, ეს დამოკიდებულება აიხსნას ევროპის ქვეყნებში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის სიიაფით და ეკონომიკის ეტაპობრივი გადასვლით ამ სახის ელექტროენერგიის გამოყენებაზე, რაც მკვეთრად ამცირებს ელექტროენერგიის გადასახადს, ანუ ამცირებს მთელი მოსახლეობის ხარჯებს.

ასევე აღინიშნება უკუკავშირი სიღარიბის დონის რისკსა და შრომის მწარმოებლურობას შორის. შრომის მწარმოებლურობის ზრდა, იწვევს სიღარიბის დონის შემცირებას, ვინაიდან იმავე პერიოდში გაზრდილი წარმოების მოცულობა, შესაძლებელს ხდის გავზარდოთ ხელფასის დონე, ანუ გაიზრდება შემოსავლები. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის

გავლენაც, რადგან ის დადებითად მოქმედებს შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე, მაგალითად, „მწვანე ტექნოლოგიების“ დანერგვით - ამცირებს რესურსების გამოყენებას და ზრდის მათ ეფექტიან გამოყენებას. იძლევა წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენებით, გარემოს დაბინძურების შემცირებით ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობას. [Rutsky V. N., Osipenko M. V., 2020].

სიღარიბის რისკის დონესა და სახელმწიფოს მიერ გაწეულ სოციალურ ხარჯებს შორის აღინიშნება პირდაპირი კავშირი. სახელმწიფო დახმარების გაზრდის პირობებში, იგი ცდილობს ეს თანხა გადაანაწილოს მოსახლეობის მეტ წილზე, რათა უზრუნველყოს მთელი მოსახლეობის მაქსიმალური მხარდაჭერა. ეს კი იწვევს იმ ადამიანების რიცხოვნების ზრდას, ვინც კრიტერიუმებით ღარიბთა კატეგორიას შეიძლება დაემატოს. აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების გაწევის დროს შესაძლებელია განსხვავებული მექანიზმებისა და პოლიტიკის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ სიღარიბის დონის ზრდის რისკი.

აღნიშნულმა მოდელმა ცხადყო, რომ სიღარიბის დონის რისკების აღმოფხვრაში სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებს ნაკლები ზემოქმედების ეფექტი გააჩნია. ამიტომ, მიზანშეწონილია მოსახლეობის მიზნობრივი დახმარების მექანიზმების გამოყენება, მათ შორის ნატურითაც. ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, მოსახლეობის სამიზნე, მოწყვლადი ჯგუფების მიხედვით. ეს არის, მაგალითად, ზომები კომპენსაციის გაცემის შესახებ ელექტროენერგიის მომსახურებაზე და სხვა.

მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე 2030 წლისთვის ევროკავშირი ღარიბთა რაოდენობის განახევრებას გეგმავს. თანამედროვე პირობებში გაზზე ფასების ზრდა იწვევს საყოფაცხოვრებო გადასახადების გაძვირებას, რის შედეგადაც სიღარიბის ახალი ტიპი - ენერგეტიკული სიღარიბე გაჩნდა, რომელიც ხასიათდება იმით, რომ მოსახლეობის ასეთ სეგმენტებს არ აქვთ საშუალება გადაიხადონ გაძვირებული ელექტროენერგიის მომსახურება. გაძვირებული ელექტროენერგია ასევე ამცირებს მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას. განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის მიღება ამ პრობლემების გადაწყვეტას საგრძნობლად უწყობს ხელს, რადგან ერთდროულად ორი პრობლემის გადაჭრაა შესაძლებელი - ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

აღნიშნული საკითხების კვლევის გაგრძელება მიზანშეწონილია განვითარებადი ქვეყნების მაგალითზეც, სადაც მწვანე ეკონომიკის ფორმირების საკითხები გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობს და მიზანშეწონილია სიტუაციის უფრო დეტალური შესწავლა და სიღარიბის დონის რისკების კვლევა „მწვანე“ გამოწვევებთან მიმართებაში. „მწვანე ეკონომიკის' ფაქტორების კვლევა და სიღარიბის რისკებთან დამოკიდებულების იდენტიფიცირება.

დასკვნა

აღნიშნული კვლევის პროცესში განხილულ იქნა სიღარიბის კატეგორიასა და მწვანე ეკონომიკის ფაქტორებს შორის კავშირი. სიღარიბე - ეს საყოველთაო პრობლემაა, რომელიც აწუხებს ყველა ქვეყანას, მაგრამ რა თქმა უნდა განსხვავებული ფორმით. სიღარიბის დონის გაზომვა, ეს ის საკითხია რომელზეც ზრუნავს არა მარტო სახელმწიფო, არამედ აღნიშნული საკითხის კვლევაში ჩართულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, OECD. არსებობს სიღარიბის დონის განსაზღვრის განსხვავებული კვლევითი მიდგომებისა და გაზომვის მეთოდები და მეთოდოლოგიები. ასევე არსებობს სიღარიბის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, რომლებიც ითვალისწინებენ არა მხოლოდ შემოსავალების დონეს, არამედ სხვა მნიშვნელოვან საჭიროებებსაც.

ტერმინს - „მწვანე ეკონომიკა“, ჯერ კიდევ არ აქვს ზოგადად საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ზოგიერთი ორგანიზაცია იყენებენ ტერმინებს „მწვანე ზრდა“, „მდგრადი განვითარება“. მიუხედავად ამისა, პრინციპები ყველგან მსგავსი და გამოკვეთილია - უზრუნველყოს და მიაღწიოს მდგრადობას სამ სფეროში: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი. მწვანე ეკონომიკა შექმნილია გარემოზე მავნე ზემოქმედების აღმოსაფხვრელად (ან მინიმუმამდე დასაყვანად), და ამავდროულად მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის დონის გასაუმჯობესებლად.

გაანალიზდა არსებული თვალსაზრისი შესაძლო ურთიერთკავშირის შესახებ „მწვანე ეკონომიკასა“ და სიღარიბის დონეს შორის. მაგალითად, მავნე ნივთიერებების ატმოსფეროში გამოფრქვევის და ჰაერის დაბინძურების შედეგად შესაძლებელია მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნას, ხოლო „მწვანე“ ინვესტიციების ზრდა ხელს შეუწყოს შრომის პროდუქტიულობის ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. რაოდენობრივ ნაწილში გაანალიზებულ იქნა მოდელი ფიქსირებული ეფექტებით არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს ურთიერთკავშირს სიღარიბის დონის რისკსა და „მწვანე ეკონომიკის“ მთელ რიგ ფაქტორებს შორის. აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს, რომ განახლებადი ენერგიის ზრდა და შრომის მწარმოებლურობა ამცირებს სიღარიბის დონის რისკს.

მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც არგუმენტი შემდგომში განახლებადი ენერგიის განვითარებისა და „მწვანე ეკონომიკის“ ხელშეწყობის პოლიტიკისა და მისი დაფინანსების შესახებ, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ანალოგიური კვლევის ჩატარება სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაშიც, მაგალითად, მწვანე ეკონომიკის ფაქტორებსა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს შორის ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი მ., „მწვანე“ ეკონომიკა - მიზნები და უპირატესობები.“ ჟურნალი: „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, თბილისი 2022;

2. გელაშვილი მ., „მწვანე“ განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი 2022;

3. ციმინტია კ., „შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის პრობლემები საქართველოში“. ჟურ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“. 2017, №4, გვ. 12-14;

4. ციმინტია კ., „ სოციალური უსაფრთხოების ზღვრული ინდიკატორები და მათი უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში“. ჟურ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2017, №3. გვ. 49-51;

5. Barros M.V., Salvador R., do Prado G. F. et al. (2021). Circular economy as a driver to sustainable businesses, Cleaner Environmental System, vol. 2, art. 100006. Available at: https://doi.org/10.1016/j.cesys.2020.100006;

6. Gelashvili M., „State Regulation of Investment Activities in Georgia“, Nova Science Publishers. Georgian International Journal of Science and Technology, ISSN: 1939-5825 https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=125; USA 2013; v. 5-9;

7. Gelashvili M., „Human resources and its Development Tendencies in Georgia“. „Ekonomisti“ №1, 2018; p.55;

8. Gelashvili M., D. Burlachenko, „The strategy of growth of green economy in Georgia“. World Economy and International Economic relations International Scientific; Collection; Volume 4, CUL – 2021. p.11;

9. Gordon L.A. (1994), Four Types of Poverty in Modern Russia. Sotsiologicheskiy journal — Sociological Journal. no. 4, pp. 18–35 (In Russ.);

10. Rutskiy V.N., Osipenko M.V. (2020). Green Economy as a Labor Productivity Factor in the Manufacturing Industry of European Union Countries. Finansovyj žhurnal — Financial Journal, vol. 12, no. 4, pp. 69–84;

11. Towards Green Growth. A Summary for Policy Makers. Porfiriev B.N. (2012). Green Economy: Realities, Prospects and Limits of Growth. Ekonomika. Nalogi. Pravo — Economics. Taxes. Law, no. 5, pp. 34–42 (In Russ.);

12. Porter M. (1991). America's Green Strategy. Scientific American, vol. 264, no. 4, p. 168.

13. Stiglitz J.E., Sen A., Fitoussi J.-P. (2010). Mis-measuring Our Lives. Why GDP Doesn't Add Up: The report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress. New-York: The New Press. 212 p;

14. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. განვითარებული ქვეყნების მაგალითები (2010). http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf;

15. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://greeneconomics.org.uk;

16. საერთააშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ. http://www.inderscience.com/ijge; მწვანე ეკონომისტი. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.greeneconomist.org/;

17. OECD (2011). Towards Green Growth. A Summary for Policy Makers;

18. UNEP (2011). Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication.

აუდიტორის მიერ კლიენტის გარიგების დადებაზე დათანხმება

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.07

რეზიუმე

ნაშრომი ეხება აუდიტის პრაქტიკული საქმიანობის სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს - კლიენტის გარიგებაზე დათანხმებას.

არცთუ შორეულ წარსულში საქართველოში მოქმედი აუდიტორები (აუდიტორული ფირმები), რომელნიც არ წარმოადგენდნენ საერთაშორისო ქსელის კომპანიებს, ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ კლიენტის აყვანისთვის განსახორციელებელ იმ აუცილებელ პროცედურებს, რაც მოთხოვნილია შესაბამისი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით და კლიენტის აყვანა ხდებოდა დაუფიქრებლად - მთავარი იყო კლიენტი ეშოვათ; არ ხდებოდა კლიენტის საფუძვლიანი შესწავლა და ამის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ კლიენტთან გარიგებაში შესვლა; ან ხდებოდა მხოლოდ ბუღალტრული მონაცემების მიმოხილვა და არ ხდებოდა იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება კლიენტის შესახებ და რისკებზე მსჯელობა, რაც აუცილებელია აუდიტის გასაგრძელებლად ან გარიგებაზე უარის სათქმელად.

ავტორი გამოცდილებაზე დაყრდნობით ნაშრომში აღწერს თუ როგორი უნდა იყოს აუდიტის დასაწყებად და კლიენტის სწორად შერჩევისთვის აუდიტორის მიერ განსახორციელებელი პროცედურები და გამოთქვამს მათზე საყურადღებო მოსაზრებებს.

ზაზა ტრიპოლსკი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0001-7281-9854
E-mail: tripolskizaza@gmail.com

საკვანძო სიტყვები: აუდიტის მეთოდოლოგია, აუდიტორული გარიგება, კლიენტის გარიგებაზე დათანხმება.
ციტირებისთვის: ტრიპოლსკი ზ., აუდიტორის მიერ კლიენტის გარიგების დადებაზე დათანხმება, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No2, 2023 წ. გვ. 63-69.

THE AUDITOR'S APPROVAL OF THE CLIENT'S TRANSACTION

Zaza Tripolski,
of Business Administration of Sukhumi State University
Doctoral student of the faculty
https://orcid.org/0009-0001-7281-9854
E-mail: tripolskizaza@gmail.com

RESUME

The work deals with one of the important parts of the field of audit practice - the client's agreement to the deal.

In the not-so-distant past, auditors (auditing firms) operating in Georgia, who did not represent international network companies, paid less attention to the necessary procedures for hiring a client, which is required by the relevant international audit standards, and the client was hired recklessly - the main thing was to find a client; a thorough study of the client was not carried out and accordingly a decision was made as to whether it is possible to enter into a transaction with this or that client; Or there was only a review of the accounting data, and the important information about the client and the discussion of risks, which is necessary to continue the audit or refuse the deal, were not being sought.

The author, based on his experience, describes in the work what should be the procedures to be carried out by the auditor to start the audit and correctly select the client, and expresses important opinions about them.

key words: Audit methodology, audit engagement, client engagement agreement.

For citation: Tripolski Z., Auditor's acceptance of the client's transaction, "Business and Legislation" magazine, No. 2, 2023. p. 63-69.

ძირითადი ტექსტი

შესავალი

საქართველოში მოქმედ მცირე აუდიტორულ კომპანიათა დიდი ნაწილი აუდიტის ჩატარების დროს ვერ იცავს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. აქედან გამომდინარეობს დაბალი ხარისხი და მათ მიერ ჩატარებული აუდიტის მიმართ შენიშვნები. უმთავრესად, ეს განპირობებულია უახლოეს წარსულში აუდიტის ხარისხის დაცვაზე მოთხოვნის, სათანადო გამოცდილებისა და პრაქტიკის არქონით. სამწუხაროდ, ქართულ აუდიტორულ კომპანიებს პრობლემების დაძლევაში არავინ ეხმარებოდა. ნაკლები იყო მათთვის აუდიტის მეთოდოლოგიის დანერგვასა და სწავლებაში ხელშეწყობაც. მხოლოდ საერთაშორისო ქსელში შემავალი კომპანიები ღებულობდნენ სათაო ოფისიდან სათანადო ინსტრუქციებსა და მეთოდოლოგიურ მითითებებს.

მდგომარეობის გამოსწორებას ნაწილობრივ მოემსახურა HAT-მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს თარგმნა და მისი მოხმარების სწავლებაზე დაინტერესებულ პირთათვის დისტანციური სწავლებების ჩატარება. ასევე, პროფესიული ორგანიზაციების მომხმარებელთა ფართო წრისთვის საიტზე დაიდო HAT-აუდიტის სახელმძღანელოს ელექტრონული ვერსია.

სახელმძღვანელოს გამოქყვეყნებამ და სწავლების ორგანიზებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. თუმცა ეს იყო მხოლოდ პრობლემის მოგვარების ცდა. თავის მხრივ, HAT- მეთოდოლოგია მოცულობით დიდია, რთულია და არაა მორგებული საქართველოს რეალობაზე მცირე ფირმებისთვის. თუ ის ევროპულ ქვეყნებში განკუთვნილია მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმებისთვის, ჩვენთან მცირე და საშუალო კატეგორიის აუდიტორული ფირმების მასშტაბები შუდარებლად მცირეა უცხოურთან შედარებით. გამოწვევებიც აქ უფრო მწვავეა და მრავალწახნაგა.

მცირედი წინსვლის მიუხედავად, პრობლემა კვლავ ღიად დარჩა და ქართული მცირე აუდიტორული კომპანიები კლიენტთან გარიგებაში შესვლას პროცედურით მოთხოვნილი ბევრი მომენტის გვერდის ავლით ცდილობენ.

კლიენტის გარიგების დადებაზე დათანხმების მნიშვნელობა და პროცედურები

აუდიტორისთვის კლიენტის აყვანის პროცედურა, ანუ გარიგებაზე დათანხმება საწყისი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია აუდიტის სწორად და ეფექტურად წარმართვისთვის. თუ თავიდანვე სწორად არ შეირჩა კლიენტი და არ მოხდა მისი შესწავლა, შემდეგ აუდიტის განხორციელების პროცესი ვეღარ წარიმართება ეფექტიანად. პოტენციური კლიენტის მენეჯმენტთან შეხვედრის და ზოგადი საინფორმაციო ხასიათის გასაუბრების შემდეგ აუდიტორმა ყველა შესაძლო წყაროებითა და საშუალებით უნდა მოიძიოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ, დაინტერესდეს მისი რეპუტაციით, ნახოს რას წერენ მასზე მედიაში, ხომ არ არის სკანდალური კომპანია, ხომ არ აქვს რთული სასამართლო პროცესები (მიმდინარე სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება კლიენტის იურისტებისგან და მასზე ცალკე კეთდება წერილი იურისტებისთვის, რაც უფრო მომდევნო პროცედურების დროს ხორციელდება), ხომ არა აქვს კომპანიას რაიმე საეჭვო და არასასურველი ქმედება ჩადენილი.

კომპანიის შესასეხ ინფორმაციის მოძიება ინფორმაციის საჯარო წყაროებიდან და მესამე პირების საშუალებით აუცილებელია და ამისთვის აუდიტორმა დრო და ენერგია არ უნდა დაიშუროს.

ზოგადად, მაღალი რისკის მატარებელ კომპანიებს წარმოადგენენ ისეთი კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან აზარტული თამაშების ბიზნესით (კაზინო, სათამაშო ავტომატები, ტოტალიზატორები და ა.შ.). საყურადღებოა რუსეთის ფედერაციასთან, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან და სხვა საერთაშორისოდ სანქცირებულ სახელმწიფოებთან და მსგავსი რეპუტაციის ქვეყნებთან დაკავშირებული ბიზნესები, როცა საქართველოში მოქმედი კომპანიის დედა კომპანია ან დამფუძნებელი ფიზიკური პირი ამ ქვეყნების რეზიდენტია; მაღალი რისკის მატარებელია რუსეთის ფედერაციის ოლიგარქებთან, „მაგნეტსკის სიაში" მოხვედრილ პერსონებთან ან რუს პოლიტიკოსებთან რაიმე კავშირი, მითუმეტეს, თუ საქართველოში მოქმედი კომპანიის დამფუძნებელი ოლიგარქია, რუსი პოლიტიკოსია ან მათთან რაიმე სახით დაკავშირებული პირია; აგრეთვე მაღალი რისკის მატარებელია ქართველ პოლიტიკოსებთან და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთან დაკავშირებული ბიზნესები (როდესაც ასეთი პერსონა ან მისი ოჯახის წევრი თუ ნათესავი ფლობს ბიზნესის წილს ან ბიზნესი სხვაგვარად დაკავშირებულია ასეთ პერსონასთან). ასევე საყურადღებოა ისეთი ბიზნესები, რომლების სახელმწიფო ტენდერებს მარტივად და სისტემატიურად იგებენ, რაც მათთვის დიდი შემოსავლის გარანტირებული, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებზე დამოკიდებული და შესაბამისად დროებითი წყაროა. ეს იწვევს საფუძვლიან ეჭვს, ხომ არ დგას მათს უკან მათი ინტერესების დამცველი და ამის სანაცვლოდ მათგან ფინანსურად დაინტერესებული პერსონა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის, მისი ოჯახის წევრის ან ნათესავის სახით.

აუდიტორმა ასევე უნდა მიმოიხილოს სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია გაეროს უშიშროების საბჭოს კონსოლიდირებული სია, საერთაშორისო ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სია. ამ ვებ გვერდზე პერიოდულად ხდება ინფორმაციის განახლება.

აუდიტორს მხედველობის არედან არ უნდა გამორჩეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანო-

ნის მე-3 მუხლით განსაზღვრული ანგარიშვალდებული: **ფიზიკური პირი** (სერტიფიცირებული ბუღალტერი/აუდიტორი), რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას, კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად; **იურიდიული პირი,** რომლის პარტნიორი არის ან რომლის სახელითაც მოქმედებს ფიზიკური პირი (სერტიფიცირებული ბუღალტერი/აუდიტორი), კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

ამ მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებგვერდზე რეგისტრაცია და ელექტრონული აღრიცხვის ფორმის წარდგენის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ზემოაღნიშნულ ანგარიშვალდებულ პირებზე.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლში ამ კანონის მიზნებისთვის საზედამხედველო ორგანოდ მოხსენიებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS). ის ელფოსტის საშუალებით რეგულარულად უგზავნის აუდიტორებს (აუდიტორულ კომპანიებს) გადასახედად სიებს, რათა აუდიტორებმა დაიცვან კანონის მოთხოვნები და არ შევიდნენ გარიგებაში აღნიშნულ პირებთან.

მხოლოდ ზემოთაღწერილი ყველა ამგვარი რისკის მოძიების და კომპანიის შესახებ ინფორმაციის შესწავლის შემდეგ აუდიტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად გონივრულია და რამდენად უღირს მას ამგვარ კლიენტთან გარიგების დადება.

თუ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ მისთვის გარიგება მისაღებია, ამის მერე უნდა გადავიდეს შემდგომ სხვა პროცედურებზე.

აუდიტის გარიგებაზე დათანხმებას არეგულირებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 210. (ასს 210-„აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება")

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 210 - „აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება" განხილულ უნდა იქნეს ასს 200-თან - „დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად" ერთად.

აუდიტორის მიზანს წარმოადგენს ახალ აუდიტორულ გარიგებაზე დათანხმება ან ძველის გაგრძელება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთანხმებული იქნება მისი ჩატარების საფუძველი:

იმის დადგენით, არსებობს თუ არა აუდიტის წინაპირობები და იმის დადასტურებით, რომ აუდიტორული გარიგების პირობები ერთნაირად ესმით აუდიტორს და დამკვეთის ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.

აუდიტის გარიგებაზე დათანხმების წინაპირობები

იმისათვის, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა აუდიტის ჩატარების აუცილებელი წინაპირობები, აუდიტორმა უნდა:

ა) განსაზღვროს, მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოსაყენებელი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები; და

ბ) ხელმძღვანელობისგან მოიპოვოს იმის თანხმობა, რომ ისინი აღიარებენ და ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა:

(1) ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად, მათ შორის, სადაც შესაფერისია, მის სამართლიან წარდგენაზე;

(2) ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; და

(3) აუდიტორის უზრუნველყოფაზე:

ა. ყველა ისეთი ინფორმაციით, რომლის შესახებაც იცის ხელმძღვანელობამ, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის შესაფერისია, კერძოდ, ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა მასალა;

ბ. ისეთი დამატებითი ინფორმაციით, რომელიც აუდიტის მიზნებისთვის შეიძლება აუდიტორმა ხელმძღვანელობისგან მოითხოვოს; და

გ. სამეურნეო სუბიექტში ისეთ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტით, ვისგანაც აუდიტორი აუცილებლად მიიჩნევს აუდიტორული მტკიცებულების მიღებას.

ეთიკის მოთხოვნების დაცვა

გარიგების პარტნიორმა უნდა დაადგინოს აუდიტის გარიგებისთვის შესასრულებლად ფირმას და გარიგების გუნდის წევრები შეძლებენ თუ არა ეთიკის კოდექსის შესაბამისი მოთხოვნების დაცვას.

მასშტაბის შეზღუდვა

იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები შეთავაზებული აუდიტორული გარიგების პირობებში აუდიტორის სამუშაოზე დააწესებენ რაიმე ისეთ შეზღუდვას, რაც, აუდიტორის აზრით, გამოიწვევს აუდიტორის მხრიდან ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე უარს, აუდიტორი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმოს ასეთ შეზღუდულ გარიგებას, როგორც აუდიტორულ გარიგებას, თუკი ასეთი რამ მოთხოვნილი არ იქნება კანონმდებლობით.

კომუნიკაცია წინამორბედ აუდიტორთან

გარიგების პარტნიორს წინამორბედ აუდიტორთან გასაუბრებისთვის ესაჭიროება დამკვეთის ნებართვა, უმჯობესია წერილობით.

თუ გარიგების პარტნიორი ვერ შეძლებს წინამორბედ აუდიტორთან დაკავშირებას, მან სხვა გონივრულ ზომებს უნდა მიმართოს ინფორმაციის მოსაპოვებლად ნებისმიერი შესაძლო საფრთხის შესახებ.

აუცილებელია, რომ ოფიციალურად წერილი გაეგზავნოს წინამორბედ აუდიტორს.

წინამორბედ აუდიტორს მიმართავენ თხოვნით, რომ მან მოაწოდოს სამუშაო ცხრილები, რათა დარწმუნდნენ საწყისი ნაშთების სისწორეში. თუ წინამორბედმა აუდიტორმა უარი განაცხადა ამის შესახებ, ახალ აუდიტორს მოუწევს საწყისი ნაშთების ხელახალი გადათვლა და

პროცედურების ჩატარება საწყისი ნაშთების საიმედოობის დადგენის მიზნით.

წინამორბედ აუდიტორს ასევე მოეთხოვება ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, აუდიტის პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის ადგილი ქონდა თუ არა რაიმე ხელისშემშლელ მიზეზს დამკვეთი კომპანიის მენეჯმენტისგან, რატომ აღარ გააგრძელა აუდიტორმა მათთან მუშაობა და მოხდა თუ არა დამკვეთისგან მომსახურების თანხის გადახდა დროულად და სრულად.

რესურსი

გარიგების პარტნიორმა უნდა დაადგინოს, რომ გარიგების გუნდისთვის გამოყოფილი ან ხელმისაწვდომია საკმარისი და ადეკვატური რესურსები გარიგების დროულად შესასრულებლად, აუდიტის გარიგების ხასიათისა და გარემოებების, ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების და ასევე ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას გარიგების შესრულების პროცესში.

გარიგების პარტნიორმა უნდა დაადგინოს, რომ გარიგების გუნდსა და აუდიტორის ნებისმიერ ექსპერტს, რომელიც არ არის გარიგების გუნდის წევრი, ერთობლივად აქვთ მოცემული აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო.

გარიგების ხარისხის მიმომხილველის საჭიროება

აუდიტორმა ასევე უნდა დაადგინოს, დაჭირდება თუ არა მას სამუშაოს შესასრულებლად გარიგების ხარისხის მიმომხილველი. ამისთვის უნდა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

არის თუ არა კომპანია სდპ (საზოგადოებრივი დაინტერესების პირი);

მიდრეკილია თუ არა პოტენციული კლიენტი სასამართლო დავებისადმი;

კომპანია ემზადება თუ არა ფასიანი ქაღალდების საჯაროდ განთავსებისთვის;

განიცდის თუ არა კომპანია მნიშვნელოვან ფინანსურ სიძნელეებს და არის თუ არა მნიშვნელოვანი კითხვები მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;

ხომ არ ხდება კომპანიის აქციონერების ცვლილება და ჭირდებათ თუ არა ანგარიშგება გაყიდვის ფასის დასადგენად;

კომპანია ამჟამად არის თუ არა მარეგულირებლის მიერ დასანქცირებული ან უახლოეს პერიოდში თუ შესაძლებელია რომ იქნას მარეგულირებლის მიერ დასანქცირებული;

კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტისას ჩვენ არ ვაკეთებთ მნიშვნელოვანი კომპონენტების აუდიტს;

მნიშვნელოვანი კლიენტია, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი ფირმის მთლიანი შემოსავლების 10%-ს აჭარბებს;

გარიგების შესრულება მოითხოვს მნიშვნელოვან დაშვებებს და არის კომპლექსური მიდგომები საჭირო;

სხვა ფაქტორები.

ყოველივე ამ საკითხების გარკვევის შედეგად აუდიტორული ფირმა განსჯის, საჭიროა თუ არა ჩაერთოს გარიგების ხარისხის მიმომხილველი აუდიტის წარმართვის პროცესში.

ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეები

(ა) ანგარების საფრთხე;

(ბ) თვითშეფასების საფრთხე - საფრთხე იმისა, რომ პროფესიონალი ბუღალტერი სათანადოდ არ შეაფასებს ადრინდელი განსჯის/გადაწყვეტილების, ან სამუშაოს ან მომსახურების შედეგებს, რომელიც თვითონ, ან იმ ფირმის ან დამქირავებელი ორგანიზაციის სხვა თანამშრომელმა შეასრულა, სადაც მუშაობს და მას დაეყრდნობა მიმდინარე საქმიანობის პროცესში განსჯის/გადაწყვეტილების მიღების დროს;

(გ) ადვოკატირების საფრთხე;

(დ) ფამილიარული ურთიერთობის საფრთხე;

(ე) შანტაჟის საფრთხე.

ფინანსური ინტერესი

პირდაპირი ფინანსური ინტერესი ან არსებითი არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი აუდიტის დამკვეთთან მიმართებით არ უნდა ჰქონდეს:

(ა) ფირმას ან ქსელის ფირმას;

(ბ) აუდიტის გუნდის წევრს ან მისი ოჯახის წევრს;

(გ) იმ ოფისის სხვა პარტნიორს, სადაც გარიგების პარტნიორი მუშაობს მოცემულ აუდიტთან დაკავშირებით, ან მისი ოჯახის წევრს; ან

(დ) სხვა პარტნიორს ან ხელმძღვანელ მუშაკს, რომელიც აუდიტის დამკვეთისთვის არამარწმუნებელ მომსახურებას ასრულებს ან ზემოაღნიშნული პირების ოჯახის წევრს, თუკი მოცემულ მომსახურებაში ამ პირთა მონაწილეობა მინიმალური არ არის.

ფირმას ან ქსელის ფირმას, ან აუდიტის გუნდის წევრს, ან ამ პირის არც ერთ ოჯახის წევრს არ უნდა ჰქონდეს ფინანსური ინტერესი ისეთ სუბიექტთან მიმართებით, რომლის მიმართ აუდიტის დამკვეთსაც გააჩნია ფინანსური ინტერესი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

ფინანსური ინტერესები არსებითი არ არის ფირმის, ქსელის ფირმის, აუდიტის გუნდის წევრის, მისი ჯახის წევრისა და აუდიტის დამკვეთისთვის; ან

აუდიტის დამკვეთს არ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ამ სუბიექტზე.

ნათესაური და პირადი ურთიერთობები

ნათესაურმა და პირადმა ურთიერთობებმა აუდიტის გუნდის წევრსა და აუდიტის დამკვეთის დირექტორს, თანამდებობის პირს ან ზოგიერთ თანამშრომელს შორის (მათი ფუნქციებიდან გამომდინარე), შესაძლოა ანგარების, ფამილიარული ურთიერთობის ან შანტაჟის საფრთხე შექმნას.

აუდიტის დამკვეთთან მუშაობა

აუდიტის გუნდში არ უნდა იყოს პირი, რომელიც აუდიტორული დასკვნით მოცული პერიოდის განმავლობაში:

(ა) იყო აუდიტის დამკვეთის დირექტორი ან თანამდებობის პირი; ან

(ბ) აუდიტის დამკვეთთან სხვა ისეთ პოზიციაზე მუშაობდა, რომ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა დამკვეთის იმ ბუღალტრული ჩანაწერების ან ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომლის შესა-

ხებაც ფირმამ უნდა გამოთქვას მოსაზრება.

აუდიტის გუნდის წევრების მიერ მუშაობის დაწყება დამკვეთთან

აუდიტის გუნდის წევრები ვალდებულები არიან რომ მოახდინონ გარიგების პარტნიორის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს აუდიტის დამკვეთთან დასაქმების შესახებ.

თუ აუდიტის გუნდის წევრი მონაწილეობს აუდიტის ჩატარებაში და იცის, რომ მომავალში გარკვეულ დროს აუდიტის დამკვეთს ნამდვილად დაუკავშირდება სამსახურებრივად ან ვარაუდობს, რომ შესაძლოა დაუკავშირდეს, შეიქმნება ანგარების საფრთხე.

საჩუქრები და სტუმარმასპინძლობა

ფირმამ ან მარწმუნებელი გარიგების გუნდის წევრმა მარწმუნებელი გარიგების დამკვეთისგან არ უნდა მიიღოს საჩუქარი და არანაირი ფორმით გამოხატული სტუმარმასპინძლობა, თუ მათი ღირებულება არ არის ტრივიალური და უმნიშვნელო.

ფირმის პერსონალის ხანგრძლივი კავშირი აუდიტის დამკვეთთან (მათ შორის პარტნიორის როტაცია)

თუ რომელიმე პირი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მონაწილეობს ამა თუ იმ აუდიტში, შესაძლოა შეიქმნას ფამილიარული ურთიერთობისა და ანგარების საფრთხეები.

არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა აუდიტის დამკვეთისთვის

აუდიტორული ფირმა შესაძლოა აუდიტის დამკვეთებს ფართო სპექტრის არამარწმუნებელ მომსახურებას სთავაზობდნენ, თავიანთი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად. აუდიტის დამკვეთებისთვის არამარწმუნებელი მომსახურების გაწევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვასა და დამოუკიდებლობას.

დამოუკიდებლობა

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერს მოეთხოვება, რომ დამოუკიდებელი იყოს მარწმუნებელი გარიგების შესრულების დროს. ცნება დამოუკიდებლობა მოიცავს:

(ა) **აზროვნების დამოუკიდებლობას** - გონების ისეთი მდგომარეობა, როდესაც დასკვნის გამოტანა შესაძლებელია ისე, რომ პირი არ განიცდიდეს ზეგავლენას, რის გამოც პროფესიული განსჯისას კომპრომისზე წავიდოდა და, ამგვარად, მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს პატიოსნად, ობიექტურად და პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით;

(ბ) **გარეგნულ დამოუკიდებლობას** – ისეთი ფაქტებისა და სიტუაციების თავიდან აცილება, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარე, სავარაუდოდ, დაასკვნიდა, რომ ფირმის, ანდა აუდიტის ან სხვა მარწმუნებელი გარიგების გუნდის წევრის პატიოსნება, ობიექტურობა, ან პროფესიული სკეპტიციზმი შელახულია.

დამოუკიდებლობა კლიენტის დაკავშირებულ სუბიექტებთან მიმართებაში

აუდიტის დამკვეთი, რომელიც საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტია, მოიცავს ყველა დაკავშირებულ სუბიექტს.

ყველა სხვა ტიპის აუდიტის დამკვეთისთვის აუდიტის დამკვეთის ცნება მოიცავს მხოლოდ იმ დაკავშირებულ სუბიექტებს, რომლებსაც დამკვეთი აკონტროლებს პირდაპირ ან არაპირდაპირ.

აუდიტის გუნდმა უნდა განიხილოს ეს დაკავშირებული სუბიექტებიც, როდესაც განსაზღვრავს და აფასებს დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილ საფრთხეებს და გაატარებს შესაფერის დამცავ ზომებს.

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დამოუკიდებლობა სავალდებულოა

ეთიკის კოდექსის თანახმად დამოუკიდებლობა შენარჩუნებული უნდა იყოს:

(ა) გარიგების პერიოდის განმავლობაშიც; და

(ბ) ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდის განმავლობაშიც.

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება

ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოვლენის, შეფასებისა და მათზე რეაგირების დროს ყველა პროფესიონალი ბუღალტერმა უნდა:

(ა) იმოქმედოს მაძიებელი გონებით;

(ბ) მიმართოს პროფესიულ განსჯას; და

(გ) გამოიყენოს გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი.

მაძიებელი გონებით მოქმედება ცნობილი ფაქტებისა და გარემოებების სწორად გააზრების წინაპირობაა, რაც აუცილებელია კონცეპტუალური მიდგომის სათანადო გამოყენებისთვის. მაძიებელი გონებით მოქმედება გულისხმობს:

(ა) მოპოვებული ინფორმაციის წყაროს, მისი რელევანტურობისა და საკმარისობის განხილვას კონკრეტული პროფესიული საქმიანობის ხასიათის, მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინებით; და

(ბ) შემდგომი გამოკვლევის ან სხვა ქმედებების საჭიროების მიმართ მზადყოფნას.

გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი არის განხილვა, რომელსაც პროფესიონალი ბუღალტერი ატარებს იმის დასადგენად, მოცემულ გარემოებებში იმავე დასკვნებს გამოიტანდა თუ არა სავარაუდოდ სხვა მხარე. ამგვარი განხილვა ტარდება გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის პოზიციიდან, რომელიც აწონდაწონის ყველა შესაფერის ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც დასკვნების გამოტანის მომენტისთვის ცნობილია ან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ცნობილი უნდა იყოს ბუღალტრისთვის. აუცილებელი არ არის, რომ გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარე ბუღალტერი იყოს, თუმცა მას უნდა გააჩნდეს შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტრის დასკვნების გასაგებად და მათი მართებულობის ობიექტურად შესაფასებლად.

ბოლოს ფორმდება **გარიგების წერილი.**

აუდიტორული გარიგების შეთანხმებული პირობები აუცილებლად უნდა აისახოს აუდიტორული გარიგების წერილში ან სხვა მიზანშეწონილი ფორმის

წერილობით შეთანხმებაში და მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანსა და მასშტაბს;

ბ) აუდიტორის პასუხისმგებლობას;

გ) ხელმძღვანელობის პასუხისმგენლობას;

დ) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების იდენტიფიკაციას; და

ე) ნებისმიერი დასკვნის/ანგარიშის სავარაუდო ფორმისა და შინაარსის აღწერას, რომელიც უნდა გასცეს აუდიტორმა; და

ვ) განცხადებას იმის თაობაზე, რომ გარკვეულ გარემოებებში, დასკვნა/ანგარიში შეიძლება განსხვავდებოდეს მისი სავარაუდო ფორმისა და შინაარსისგან.

იმისათვის, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის საჭირო წინა პირობები, აუდიტორი ვალდებულია განსაზღვროს, მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოსაყენებელი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები.

წინასწარ ჩასატარებელ პროცედურებს მიეკუთვნება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების შეფასება, აუდიტის ჯგუფის კომპეტენტურობის შეფასება, დაგეგმილი და ფაქტობრივად დახარჯული საათები და ეთიკური შეფასებები.

აუდიტორმა ისე უნდა დაგეგმოს და წარმართოს აუდიტი, რომ ფინანსური ანგარიშგების შესახებ მიიღოს **დასაბუთებული რწმუნება.**

დასაბუთებული რწმუნება – (მარწმუნებელი გარიგებების, მათ შორის აუდიტისა და ხარისხის კონტროლის კონტექსტში) **რწმუნების მაღალი, მაგრამ არა აბსოლუტური დონე.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარიგებაზე დათანხმების ან გარიგების გაგრძელების პროცესში აუდიტორი გამოითხოვს რა შესაბამის ინფორმაციას კლიენტისგან, ადგენს შემდეგი სახის კითხვარს:

1) კლიენტის პროფილი

ახალი კლიენტია?

ჩვენ ვიცნოთ ამ კლიენტს წარსული გამოცდილებიდან, ან ჩვენი კოლეგებიდან?

თუ წინა აუდიტი ჩვენს მიერ არის ჩატარებული, გვქონდა თუ არა მასშტაბის შეზღუდვა?

ხომ არ ფიქრობთ რომ წელს კლიენტის მიერ იქნება მასტაბის შეზღუდვა აუდიტის ჩატარების პროცესში?

დავაიდენტიფიცირეთ თუ არა კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე; აქციონერები; ხელმძღვანელობა და დაკავშირებული მხარეები? თუ კი შეავსეთ გვერდი "კომპანიის სტრუქტურა".

დავრწმუნდით თუ არა კომპანიის აქციონერების, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეებისა და მენეჯმენტის პატიოსნებაში?

კომპანიის აქციონერები, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები და მენეჯმენტის წარმომადგენლები არიან თუ არა პოლიტიკურად აქტიური პირები?

კომპანიის აქციონერები, საბოლოო ბენეფიციალი მესაკუთრეები და მენეჯმენტის წარმომადგენლები არიან თუ არა ფულის გატეთრებაში ეჭვმიტანილი პირები, ან ხომ არ არსებობს რაიმე გარემობა რომელიც მიუთითებს მათ ჩართულობას საეჭვო ტრანსაქციებში?

გადაამოწმეთ თუ არა კლიენტის აქციონერები, საბოლოო ბენეფიციალი მესაკუთრეები და მენეჯმენტი ტერორისტის ხელშემწყობ ფიზიკური/იურიდიული პირების რეესტრში (https://www.fms.gov.ge/geo/page/list-of-persons-supporting-terrorism).

2) რა სამუშაოა ჩასატარებელი

რა არის აუდიტის ხასიათი და მასშტაბი? (გამოყენებული სტანდარტები)

ბუღალტრული აღრიცხვის რომელი საფუძვლები იქნება გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას?

კლიენტის მიერ როგორ მოხდება აუდიტორის დასკვნისა და ფინანსური ანგარიშგების გამოყენება? ვინ იქნებიან აუდიტორის დასკვნის მომხმარებლები?

აუდიტის ჩატარებისთვის გვაქვს თუ არა საკმარისი დრო? (რა დედლაინები გვაქვს)

3) ინფორმაცია წინამორბედ აუდიტორტან დაკავშირებით

კომპანიას ყავდა თუ არა წინამორბედი აუდიტორი? თუ კი:

დაუკავშირდით თუ არა წინამორბედ აუდიტორს?

რაიმე უთანხმოებას ხომ არ ჰქონია ადგილი წინამორბედ აუდიტორსა და მენეჯმენტს შორის?

კომპანის ხომ არ გააჩნია წინა წლების აუდიტორული/ბუღალტრული მომსახურების გადაუხდელი საფასური?

წინამორბედი აუდიტორის მოსაზრებით არსებობს თუ არა ეჭვები მენეჯმენტის პარტიოსნებასთან დაკავშირებით?

მოიპოვეთ თუ არა ინფორმაცია აუდიტორების შეცვლის მიზეზის შესახებ?

წინამორბედი აუდიტორებისთვის აადგილი ხომ არ ჰქონია მაშტაბის შეზღუდვას?

წინამორბედი აუდიტორისგან მოიპოვეთ თუ არა ნებართვა მათი სამუშაო დოკუმენტების გადახედვის შესახებ?

4) დამოუკიდებლობა

შეუძლია ფირმას და გარიგების შემსრულებელ ჯგუფს ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვა?

შევსებულია თუა რა ფირმის დამოუკიდებლობის კითხვარი „ფირმის დამოუკიდებლობა"?

გარიგების გუნდის მიერ დადასტურებულია დამოუკიდებლობა კლიენტის მიმართ „გარიგებაში ჩართული პერსონალი დამოუკიდებლობა"?

გარიგებაზე დათანხმებით ხომ არ დავარღვევთ ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სტანდარტებს და შიდა რეგულაციებს?

გარიგებაზე დათანხმებით ხომ არ დავარღვევთ კანონმდებლობის მოთხოვნებს?

5) გააჩნია ფირმას საჭირო კომპეტენცია, რესურსები და დრო?

ჰყავს ფირმას აუცილებელი კომპეტენციისა და

შესაძლებლობების (უნარების მქონე) საკმარისი პერსონალი?

საკმარისია დროითი რესურსი აუდიტის ხარისხიანად დასრულებისთვის?

ფირმის პოლიტიკის შესაბამისად, მოცემული გარიგებისთვის მოითხოვება თუ არა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩართვა? (შესავსებია კითხვარი „გარიგების ხარისხის მიმომხილველის (Engagement Quality Reviewer - EQR) საჭიროების განსაზღვრა").

თუ მოცემული გარიგებისთვის მოითხოვება ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარება, ჰყავს ფირმას კვალიფიციური პირები მიმოხილვის ჩასატარებლად?

კლიენტის ბიზნეს ოპერაციების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად დაგვჭირდება თუ არა აუდიტორის ექსპერტის ჩართვა გარიგებაში?

თუ გვჭირდება ექსპერტების ჩართვა გარიგებაში, გვყავს თუ არა შესაბამისი ექსპერტები?

6) მასშტაბის შეზღუდვა

ფიქრობთ რომ მასშტაბის შეზღუდვას ადგილია არ ექნება.

ხომ არ ვარაუდობთ რომ აუდიტის დასრულებისას მოგვიწევს დასკვნის მოდიფიცირება და აუდიტის მოსაზრების გაცემაზე უარის თქმა.

7) წინა წლის ანაგრიშგების და აუდიტორის დასკვნის მიმოხილვა

წინა წლის ფინასნური ანგარიშგებისა და აუდიტოსი დასკვნის მიმოხილვისას გამოვლინდა თუ არა მნშვნელოვანი რისკები?

8) რისთვის იქნება გამოყენებული ჩვენი დასკვნა

კომპანი აპირებს დალისტვას და სჭირდება აუდიტორის დასკვნა.

სასამართლო დავისთვის სჭირდება ჩვენი დასკვა.

კომანიის გაყიდვა არის დაგეგმილი და მყიდველისთვის.

9) აუდიტის წინაპირობები

არის კლიენტის ხელმძღვანელობასთან აუდიტის წინაპორბების შეთანხმებული.

10) გარიგების რისკის შეფასება

შემდეგი მოვლენები არსებობს თუ არა და რაიმე რისკებს წარმოშობს?

1. კომპანიას ჰყავს დომინანტი დამფუძნებელი;
2. კომპანიას დარგის კანონმდებლობა აქვს დარღვეული;
3. კომპანიას გადახდისუნარიანობის პრობლემები აქვს;
4. კომპანიისადმი მედიის დიდი ინტერესი არსებობს;
5. კომპანიის ინდუსტრიის მდგომარეობა ბაზარზე;
6. ბუღალტრული ბაზის არარსებობა ან ნაკლოვანებები;
7. კომპანიში არსებობს მენეჯმენტის სუსტი კონტროლი;
8. სხვა;

11) გარიგება უნდა შეფასდეს:

მაღალ რისკიანად, საშუალო რისკიანად ან დაბალ რისკიანად.

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული პროცედურების დაცვა აუდიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევისა და ხარისხის უზრუნველყოფის ყველაზე შედეგიანი წინაპირობაა. მათი ასეთი დეტალური აღწერა ემსახურება ქართული მცირე აუდიტორული ფირმებისთვის გამოცდილების გაზიარებას, პრაქტიკული უნარების გამომუშავების ხელშეწყობას, რათა გაიაზრონ და დაიცვან აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით დაწესებული მოთხოვნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://saras.gov.ge/ka/Home/IsaList;
2. https://www.iaasb.org/;
3. https://leaccountant.com/the-accountant/auditing-standards-summaries/isa/;
4. https://www.fms.gov.ge/geo/page/list-of-persons-supporting-terrorism;
5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=9;
6. Tripolski, Z. (2022). The Importance of The Place and Role of Professional Organizations in The Process of Auditing Activity Regulation in Georgia. International Journal of Innovative Technologies in Economy. 40(4), pp. 1-9. DOI:10.31435/rsglobal_ijite/30122022/7928 https://rsglobal.pl/index.php/ijite/article/view/2439

აღზრდის სტილის გავლენა მოზარდის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.08

აბსტრაქტი

იდენტობისა და თვითშეფასების ფორმირების პროცესში ოჯახური გარემო და აღზრდის სტილი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ოჯახებში სადაც მშობლები თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს კარგად უმკლავდებიან, შვილებს უსაფრთხო, მშვიდ და მეგობრულ გარემოს უქმნიან. ჯანსაღ ოჯახურ გარემოში მოზარდი თავს მშვიდად და დაცულად გრძნობს. აცნობიერებს, რომ მშობელი მას იღებს ისეთს როგორიც არის. გარდა ამისა, მშობლები ეხმარებიან მოზარდის დამოუკიდებელ და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

მშობლის მხრიდან გამოყენებული აღზრდის სტილი არის მეთოდი რომლის გამოყენებითაც მშობელი ზრდის შვილს. მშობლის დამოკიდებულება დიდად განსაზღვრავს ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას. ის გავლენას ახდენს ბავშვის კოგნიტურ, სოციალურ და კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე. აღზრდის სტილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სოციალიზაციისა და პიროვნებად ფორმირების პროცესში.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მოზარდის წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბება, მშობლის მხრიდან გამოყენებულ აღზრდის მეთოდზე დიდწილად არის დამოკიდებული. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოზარდს ცხოვრების მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვან სოციალურ გარემოში უწევს ყოფნა, მათ შორის ოჯახი პირველია სადაც ზემოთ აღნიშნული უნარები უპირველესად მშობლების გარემოცვაში ყალიბდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ანალიტიკური კვლევა მიზნად ისახავს მოზარდთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე მშობელთა მხრიდან გამოვლენილი აღზრდის სტილის და მეთოდების გავლენების შესწავლას.

საკვანძო სიტყვები: მოზარდობა, ოჯახი, აღზრდის სტილი პიროვნული განვითარება.

ციტირებისთვის: ჭარხალაშვილი თ., აღზრდის სტილის გავლენა მოზარდის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2023, გვ.70-74.



თინათინ ჭარხალაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასისტენტ პროფესორი
https://orcid.org/ 0009-0002-3067-2118
E-mail: charkhalashvilitinano12@gtu.ge

THE INFLUENCE OF PARENTING STYLE ON THE PSYCHO-SOCIAL DEVELOPMENT OF ADOLESCENTS

Tinatin Charkhalashvili
Doctor of Social Sciences
Technical University of Georgia, Assistant Professor
https://orcid.org/ 0009-0002-3067-2118
E-mail: charkhalashvilitinano12@gtu.ge

ABSTRACT

Along with the formation of identity and self-esteem in adolescence, the family environment and parenting style used by parents play a critical role. In families where parents cope well with their functions, they create a safe, calm and friendly environment for their children. In a healthy family environment, the child feels calm and safe. Realizes that the parent accepts him/her as he/she is. In addition, parents help to develop a teenager into an independent and full-fledged person.

The parenting style is the method a parent uses to raise their child. A parent's attitude greatly determines a child's mental and physical health. It affects the development of the child's cognitive, social and communication skills. Parenting style is of crucial importance in the process of socialization and personality formation of a child.

It can be said with certainty that the development of a teenager into a successful person largely depends on the parenting method used by the parents. Despite the fact that a teenager has to be in several important social environments during his/her life, among them the family is the first where the above-mentioned skills are formed primarily in the environment of parents.

Based on the above, the analytical research aims to study the influence of parenting styles and methods on the psycho-social development of adolescents.

Key words: Adolescence, Family, Parenting style, Personal development.

For citation: Charkhalashvili T., The influence of parenting style on the psycho-social development of a teenager, "Business and Legislation" magazine, No. 2, 2023, p. 70-74.

ძირითადი ტექსტი

მოზარდის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი

ადამიანის ცხოვრება სამ ძირითად ეპოქად იყოფა. პირველი და უმნიშვნელოვანესი ეპოქა ბავშვობას და მოზარდობას უკავშირდება, რაც თავის მხრივ არსებით გარდაქმნებთან არის დაკავშირებული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განვითარების აღმავალ პროცესებს განასახიერებს. განვითარების თვალსაზრისით, ცვლილებები სამი მიმართულებით ხორციელდება. ესენია: ფიზიკური, ფსიქიკური და პიროვნული.

პიროვნული განვითარება მოზარდის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა განსაკუთრებულ აქტუალიზაციას გულისხმობს. მოზარდობის ასაკში, მოზარდი საკუთარ თავს უკვე პიროვნებად აღიქვამს და უპირველეს მნიშვნელობას სწორედ არჩევანის დამოუკიდებლობას ანიჭებს. ამ პროცესს თან ახლავს გარდამავალი ასაკის კრიზისი, რომელსაც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მოცემული მოსაზრების თანახმად, ჯიუტობასაც უწოდებენ, რადგან მოზარდისათვის მთავარია თავის ნებაზე ქცევა, რითაც საკუთარ "მე"-ს დამოუკიდებელ პიროვნებად აღიქვამს.

ასაკობრივი განვითარების ყველა საფეხურზე აღზრდის სტილს და ოჯახურ გარემოს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ამ პერიოდში მშობლები აწყდებიან, რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ მოზარდობის ასაკში ბავშვობა ნაწილობრივ დასრულდა დამიუხედავად ამისა, აქვთ მცდელობა მოზარდი დაუბრუნდეს პასიური მოსმენისა და მორჩილების რეჟიმს. ხშირად როცა ეს არ გამოდის, აღმზრდელები ძირითადად სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავენ, მაშინ როცა შესაძლებელია კარგად მოფიქრებულ რჩევა დარიგებებს გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ტაქტიან აღმზრდელს შეუძლია სოციალურად მისაღები ქცევა ისე მოახვიოს თავს მოზარდს, რომ მან სრული პიროვნული დამოუკიდებლობა განიცადოს. ასევე არასწორი აღმზრდელობის მიზეზია ის, რომ მოზარდი არ თანამშრომლობს აღმზრდელთან, პირიქით ის მიდის აღმზრდელის წინააღმდეგ.

გარდატეხის ასაკში მოზარდი განიცდის მრავალ ცვლილება. თვითშეფასებისას მოზარდი ყურადღებას არა სასწავლო საქმიანობაზე, არამედ ფიზიკურ მახასიათებლებსა და ურთიერთობაზე ამახვილებს, მათ შორის თანატოლებთან. თვითშეფასების განვითარებიდან გამომდინარე, მოზარდის თვითშეფასება უფრო ადეკვატური ხდება. მოზარდს შეუძლია გააცნობიეროს როგორც საკუთარი დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები. თვითშეფასებაში აისახება არა მხოლოდ ფიზიკური ნიშნები, არამედ ზნეობრივი მახასიათებლები და უნარები. მცირდება უფროსების გავლენა ბავშვის თვითშეფასებაზე და იზრდება რეფერენტული ჯგუფის გავლენა. არაადეკვატურმა თვითშეფასებამ შეიძლება უბიძგოს მოზარდს დელინკვენტური ქცევისკენ. ეს პროცესი ცხადჰყოფს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სოციალურ გარემოს სადაც ხდება მოზარდის პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება.

მოზარდობის ასაკში პიროვნების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში. განვითარების ამ პერიოდში მოზარდისათვის ახალწარმონაქმნია პიროვნული თვითგამორკვევისადმი ფსიქოლოგიური მზაობა. მოზარდობის სპეციფიკურ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს მისი არაერთგვაროვანი სოციალური მდგომარეობა, რადგან მათ აწუხებთ ისეთი საკითხი როგორიცაა, უფროსებისაგან ავტონომიის უფლება, ურთიერთდამოკიდებულებანი და აღმზრდელებთან ურთიერთობანი. გარდა ამისა, მათ წინაშე მთელი სიმწვავით დგება ცხოვრებისეული თვითგამორკვევის ამოცანები. ასეთი თავისებური სოციალური სიტუაცია აპირობებს პიროვნების განვითარების თავისებურებას მოზარდობის ასაკში. სწორედ ამ ახალი სოციალური სიტუაციის საფუძველზე ხდება მოზარდის პიროვნების მოტივაციური სფეროს ცვლილებები, რომლებიც თავის მხრივ, სხვა თვისებების შეცვლის მიზეზი და საფუძველი ხდება.

სოციუმის გავლენა მოზარდის განვითარებაზე

გარდამავალ ასაკში ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების კვალდაკვალ მოზარდთან სხვადასხვა ფორმის ცვლილება ხდება, რასაც მოზარდის მხრიდან მოჰყვება, როგორც ფიზიკური და გონებრივი, ასევე სქესობრივი მომწიფების გაცნობიერების და დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი გადადის ახალ ცხოვრებისეულ საფეხურზე. შესაბამისად, მისთვის საკმარისი არ არის ის

ურთერთობები და დამოკიდებულებები, რაც მის მიმართ შეიძლება სოციუმს გააჩნდეს. ისინი უფროსებისაგან ითხოვენ თავიანთი პიროვნების აღიარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მშობლების მხრიდან აღიარების მოპოვება არც თუ მარტივი საქმეა, მიზეზი მრავალია, მათ შორის, უფროსებს ძირითადად უჭირთ ამ მოცემულობის მიღება, გააზრება და მოზარდების დამოკიდებულების აღიარება, რადგან თვლიან, რომ მოზარდობის ასაკში ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან. ამ დროს შვილები უარს ამბობენ მშობლებთან ახლო ურთიერთობაზე და მხარდაჭერას გარე სოციუმში ეძებენ, სადაც კომუნიკაციას ბევრად მარტივად ამყარებენ, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ ასეთ გარემოში მათი დამოუკიდებლობა მეტად აღიარებულია. მოზარდი თვლის, რომ ის უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა და ითხოვს უფროსების მსგავს უფლებებს. წინააღმდეგობის შემთხვევაში, მოზარდები ცდილობენ მიმართონ პროტესტის სხვადასხვა ფორმას.

იმ შემთხვევაში როცა, აღმზრდელები უარს ამბობენ შვილების შეხედულებების გაზიარებაზე, შვილები თავს არიდებენ მათთან მჭიდრო ურთიერთობას და ინდივიდუალურად ცდილობენ საკუთარი მიზნებისა და სურვილების განხორციელებას. ხშირ შემთხვევაში მშობლები აღიარებენ რომ მოზარდთათვის აუცილებელია ურთიერთობის შეცვლა, თუმცა შვილებისათვის ზრუნვისა და სიფრთხილის მიზეზით დამოუკიდებლად ქმედების მიცემის უფლება მაინც ძალიან უჭირთ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ დამოკიდებულებას არც თუ სასურველი შედგები მოჰყვება. აქ ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი იკვეთება, კერძოდ, მშობლებიც თავის მხრივ განიცდიან საკუთარი ასაკის მატების აღიარებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც გარკვეულწილად ურთიერთობებს ართულებს.

ასაკობრივი ფსიქოლოგიის გამორჩეულ სპეციალისტებს, მათ შრის **ლევ ვიგოტსკის** მიაჩნდა, რომ უფროსებთან ურთიერთობით იქმნება „უახლოესი განვითარების ზონა“, სადაც მისი აზრით, უფროსებთან თანამშრომლობის ნიადაგზე ინდივიდი თავისი რეალური შესაძლებლობების გამოვლენას ახდენს. **კარლ როჯერსი** კი თვლიდა, რომ ბავშვისადმი უპირობო პოზიტიური ინტერესი მშობლის მხრიდან, მიუხედავად ბავშვის ჩადენილი ქმედებებისა, სრულყოფილად უწყობს ხელს ბავშვის პიროვნულ განვითარებას. მშობლის მხრიდან შექება, მოწონება და გარშემომყოფთა სიყვარული ბავშვის პოზიტიური ინტერესის მოთხოვნას უკმაყოფილებს.

ოჯახური ურთიერთობების გავლენა მოზარდის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე

ოჯახი პირველი ინსტიტუტია, რომელიც ბავშვის სოციალიზაციას უწყობს ხელს. მოზარდის პიროვნულ განვითარებაში უდიდეს როლს ოჯახი თამაშობს. ბავშვებს, რომლებსაც აკლიათ მშობლის სიყვარული, ყურადღება და ზრუნვა მომავალში თავდაუჯერებლები, პასიურები ან პირიქით, აგრესიული, გულგრილი და სასტიკები არიან.

უმნიშვნელოვანესია ყურადღება მიექცეს ოჯახში ურთიერთდამოკიდებულების აღზრდის სტილს, ბავშვის როლს ოჯახში და დამოკიდებულებას მის მიმართ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფ. რაისმა ბავშვის წარმატებული განვითარებისათვის ოჯახის შვიდი მახასიათებელი გამოყო:

(ა) შვილის მიმართ მზრუნველობის და ყურადღების გამოხატვა ხელს უწყობს მოზარდის წარმატებულ სოციალიზაციას, ემპათიის, კეთილგანწყობის, კარგი აკადემიური მიღწევების, თვითშეფასების და ზნეობრივად მაღალი დონის განვითარებას.

საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც მშობლის მხრიდან უყურადღებობა და გვერდში დგომის დანაკლისი იგრძნობა, ბავშვი ყველა სფეროში წარუმატებლობას განიცდის, მათ შორის სწავლაშიც, რაც მის თვითშეფასებას აქვეითებს და ასოციალურ ქმედებას და აგრესიას იწვევს.

(ბ) მშობლის უნარი მოუსმინოს, გაუგოს და თანადგომა გამოხატოს შვილისადმი, მოზარდს ეხმარება ემპათიის უნარის ჩამოყალიბებაში, ხოლო ემოციური კონტაქტის არარსებობა მშობელთა და შვილთა ურთიერთობაში გულგრილობას იწვევს. შვილისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კიდევ უფრო სანდოს და ჰარმონიულს ხდის მასთან ურთიერთობას.

(გ) სიყვარული, კომფორტი და პოზიტიური ატმოსფერო ოჯახში დადებითად აისახება შვილის და მშობლის ემოციურ სიახლოვეზე. ასეთ ოჯახში ურთიერთგაგება და ემპათია სუფევს. ნეგატიური ატმოსფეროს შემთხვევაში ბავშვი გულცივი, ჩაკეტილი და მტრულად განწყობილია.

(დ) შვილისადმი ნდობა-უნდობლობა შვილის მიმართ განპირობებულია მშობლის შიშებით და შფოთვით. მშობელს უყალიბდება გრძნობა, რომ შვილი ვერ შეძლებს საკუთარი თავის შველას და დაცვას. რას უფრო ნაკლებად არის მშობელი თავდაჯერებული, მით უფრო მეტი შიში და განცდა აქვს შვილთან დაკავშირებით.

(ე) შვილისადმი, როგორც ზრდასრული და დამოუკიდებელი პიროვნებისადმი დამოკიდებულების განცდის გაღვივება მშობლის მხრიდან, უაღრესად მნიშვნელოვანია. დამოუკიდებლობა უშუალოდ დაკავშირებულია ინდივიდუალიზაციასთან, ხოლო ინდივიდუალიზმი ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდობის ასაკში.

(ვ) მშობლების ავტორიტარიზმი უარყოფითად მოქმედებს შვილებზე. მნიშვნელოვანია, რომ მშობელი მომთმენი, გამგები და დამთმობი იყოს. შეძლოს შვილის მოსმენა და მისი შეხედულების გაზიარება.

ავტორიტარული მშობლები ხშირად არარეალურ იმედებს ამყარებენ თავიანთ შვილებზე, რაც ხშირად არ შეესაბამება შვილის ასაკს. მშობლების ასეთი მიდგომა აქვეითებს შვილების თვითშეფასებას და აბრკოლებს მათ პიროვნულ განვითარებას, რაც ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს.

(ზ) მშობლების საკუთარი მაგალითი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან როგორც წესი, ყველა მშობელს არ ძალუძს მისცეს კარგი მაგალითი საკუთარ შვილს. შესაბამისად, შვილების გარკვეულ ნაწილს არ სურს მიბაძოს

მშობელს და მათი პრინციპებით იხელმძღვანელოს. მოზარდებს, რომლებიც საკუთარ მშობლებს პატივს სცემენ, ამაყობენ მათით, იზიარებენ მათ ცხოვრებისეულ შეხედულებებს, ბევრად თავდაჯერებულად გრძნობენ თავს სოციუმში.

ა. ე. ლიჩკოს მტკიცებით არასწორმა აღზრდამ შესაძლოა პიროვნული აშლილობება გამოიწვიოს. მან არასწორი აღზრდის შემდეგი სახეობები გამოყო:

(ა) **ჰიპომზრუნველობა** - აღზრდის ასეთ სტილს ახასიათებს მზრუნველობის, კონტროლის და ყურადღების ნაკლებობა. მშობლები აიგნორებენ შვილის ინტერესებს, საქმიანობას და სულიერ ცხოვრებას. ჰიპოპროტექციის უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანა იწვევს ბავშვის უგულებელყოფას და მიტოვებას.

(ბ) **დომინანტური ჰიპერმზრუნველობა** - ხასიათდება მაქსიმალური მზრუნველობით და მოზარდის ყოველი ნაბიჯის კონტროლში წვრილმანებში. ასეთი ქცევა დროთა განმავლობაში გარდაიქმნება აკრძალვების სისტემაში და საგულდაგულო თვალთვალში. ასეთ პირობებში ბავშვი მოკლებულია საკუთარი გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. ბავშვს არ აჩვევენ დამოუკიდებლობას და პატარა ასაკიდანვე მასში ითრგუნება პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძნობა. ასაკთან ერთად ასეთ მოზარდებში მძაფრდება ისეთი ასთენიური თვისებები, როგორიც არის გადაწყვეტილების მიღების უუნარობა, დამოუკიდებლობის გრძნობის არ არსებობა, თავდაუჯერებლობა და საკუთარი თავდაცვის უუნარობა.

(გ) **მოჩვენებითი ჰიპერმზრუნველობა** - ამ შემთხვევაში ბავშვი ოჯახის კერპად გვევლინება. ასეთ ოჯახში მშობლები ყოველთვის აკონტროლებენ შვილს და ცდილობენ დაიცვან მცირედი პრობლემებისა და უსიამოვნებისაგან. მშობლების ასეთი დამოკიდებულება ასტიმულირებს ეგოცენტრულ სურვილებს ბავშვში, იყოს მუდამ ყურადღების ცენტრში და იოლად მიიღოს სასურველი. ასეთ აღზრდას მივყავართ ისტეროიდულ აქცენტუაციამდე.

(დ) **ემოციური გარიყვა** - აღზრდის ასეთი ტიპის შედეგად ბავშვს ეუფლება განცდა, რომ ის ზედმეტია მშობლების ცხოვრებაში. ფარული ემოციური გარიყვისას ბავშვი მშობლებისთვის წარმოადგენს ზედმეტ ტვირთს. მაგრამ სიტუაციას ართულებს ის, რომ ისინი არ არიან მზად ამის აღიარებისათვის. გარიყვის განსაკუთრებული სავალალო შედეგები ახასიათებს ლაბილურ, სენზიტიურ და ასთენონებროტულ აქცენტუაციებს.

(ე) **სასტიკი ურთიერთდამოკიდებულების** სიტუაციას ხშირად ახლავს ემოციური გარიყვა. ასეთი აღზრდის სტილის დროს განსაკუთრებით მწვავდება ეპილეპტოიდური აქცენტუაცია.

(ვ) **მომატებული მორალური პასუხისმგებლობა** - ასეთ ოჯახებში მშობლები დიდ იმედებს ამყარებენ საკუთარ შვილებზე, მათ მიღწევებზე, უნარებზე და ნიჭზე. ხშირად ბავშვს ისეთ მოთხოვნებს უყენებენ, რომელიც არ შეესაბამება მის ასაკს და რეალურ შესაძლებლობებს. ასეთი აღზრდის სტილისას ძლიერდება ფსიქასთენიური და სენზიტიური აქცენტუაციები.

(ზ) **აღზრდა ავადმყოფობის კულტი ატმოსფეროში** - ასეთ ოჯახში ბავშვის ავადმყოფობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს და მთელი ოჯახის ყურადღება მიმართულია მასზე. აღზრდის ასეთი სტილი ნეგატიური პიროვნული ნაკვთების განვითარებას იწვევს, როგორიც არის ინფანტილიზაცია, საკუთარ ჯანმრთელობაზე ეგოისტური ფიქსაცია, ყალიბდება სირთულეებზე ისტერიულად რეაგირების უნარი.

(თ) **წინააღმდეგობრივი აღზრდა** - ამ შემთხვევაში ოჯახის წევრები მიმართავენ აღზრდის განსხვავებულ და შეუთავსებად ხერხებს, მოზარდისადმი განსხვავებული მოთხოვნების წაყენებით. აღსანიშნავია, რომ ასეთ ოჯახებში ყველა წევრი ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ღიად კამათობენ ერთმანეთში.

დასკვნა

პიროვნება, ჯგუფი, საზოგადოება - ეს სისტემურად და შინაარსეულად ურთიერთდაკავშირებული, სოციალური რეალობის ამსახველი მოვლენებია. შესაბამისად, ადამიანის როგორც პიროვნების განხილვა იმ სოციალური გარემოს გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რომლის ორგანულ ნაწილსაც პიროვნება წარმოადგენს. სოციალური ჯგუფის ცნებაში გარკვეული მიზნების მისაღწევად გაერთიანებული, ერთმანეთზე დამოკიდებული და ურთიერთობაში მყოფი ორი ან მეტი ადამიანი უნდა ვიგულისხმოთ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფი არის ოჯახი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მშობლებისა და შვილების ურთიერთობა და სოციალური გარემო სადაც მოზარდის აღზრდის პროცესი მიმდინარეობს, და ის თუ როგორ უწყობს ხელს ოჯახური გარემო და აღზრდის სტილი მოზარდს როგორც პიროვნულ განვითარებაში, ასევე კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებაში.

მოზარდის ემოციურ ცხოვრებაში, განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომლებიც შინაარსეულ ხასიათს ატარებენ. ვოლიტური, ბიოლოგიური და ინტელექტუალური გარდაქმნების საფუძვლებზე, რომელთაც მოზარდობის პერიოდში აქვს ადგილი, მოზარდში სრულიად ახალი, ყოველმხრივ უცხო გრძნობები და ემოციები ჩნდებიან. შესაბამისად მშობლებმა გარდამავალი ასაკის ყველა თავისებურება უნდა გაითვალისწინონ, რომ შემდგომ შვილების ემოციური აღზრდის სწორად წარმართვა შეძლონ. მოზარდს უნდა მიეცეს დამოუკიდებლობა მისი ასაკისათვის შესაბამის და სოციალურად მისაღებ ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, (სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია) თბ. 1947 გვ. 30-34;

2. ჩარკვიანი დ., ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, 2004 წ., გვ. 56-60;

3. ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1974, გვ. 324;

4. მაღრაძე მ. ფსიქიკური, განვითარების (ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხები) თბ. 1998, გვ. 30, 39;

5. გოგიჩაიშვილი თ., განვითარების ფსიქოლოგია, თბ. 2005, გვ 107;

6. იმედაძე ი. სახელმძღვანელო ფსიქოლოგიაში, (ონტოგენეზის ზოგადი საკითხები), თბ. 2004 გვ.109;

7. მელიქიშვილი ნ. ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები თბ. 2017;

8. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება, მე-7 გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ,თბ. 2010;

9. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, თსუ შრომები, ტ. 19, თბილისი, 1941;

10. გაფრინდაშვილი, რ., მეტრეველი, ლ., ალტერნატიული ეთიკა და ფსიქოლოგია, „ჩემი გამომცემლობა", თბილისი, 2021;

11. კახიანი ჯ, (2010) ბავშვის სამყარო, ფსიქოლოგიის რჩევები მშობლებს (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), შემეცნება, თბილისი;

12. ხერხეულიძე, მ. (2008). ბავშვის განვითარება და მისი ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები. გზა. „ახალი განათლება", 21-27 თებერვალი;

13. H. Steiner, L. Remsing Practice parameter for the assessment and treatment of children and adolescents with oppositional –definat .disorder. J. Am.Acad. Child and Adolesc. Psychiatry 2007;

14. Kun-Hu Chen, K.-L. L.-C. (2007). Adolescent Self-Identity and Mental Health: The Function of Identity Importance, Identity Firmness, and Identity Discrepancy. Chinese Journal of Psychology;

15. Calkins SD, Smith CL, Gill KL, Johnson MC. Maternal interactive style across contexts: Relations to emotional, behavioural, and physiological regulation during toddlerhood. Social Development;

16. Cole PM, Martin SE, Dennis TA. Emotion regulation as a scientific construct: Methodological challenges and directions for child development research. Child Development. 2004;

17. Eisenberg N, Gershoff ET, Fabes RA, Shepard SA, Cumberland AJ, Losoya SH, et al. Mother's emotional expressivity and children's behavior problems and social competence: Mediation through children's regulation. Developmental Psychology. 2001;

18. Kliewer W, Fearnow MD, Miller PA. Coping socialization in middle childhood: Tests of maternal and paternal influences. Child Development. 1996;

19. Sheeber L, Davis B, Hops H. Gender-specific vulnerability to depression in children of depressed mothers. In: Goodman SH, Gotlib IH, editors. Children of depressed parents: Mechanisms of risk and implications for treatment. Washington, DC: American Psychological Association; 2002;

20. Seligman M E P. Learned Optimism: How to Change Your Mind and Your Life. New York: Knopf, 1991.

ემოციური ინტელექტი და ლიდერობა

თინათინ ჭარხალაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასისტენტ პროფესორი
https://orcid.org/ 0009-0002-3067-2118
E-mail: charkhalashvilitinano12@gtu.ge

თამარ კაპანაძე
საჯარო მმართველობის დოქტორი
გრიგოლ რობაქიძის
სახელობის
უნივერსიტეტი
E-mail: kapanadzetamuna0@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.09

აბსტრაქტი

თანამედროვე საზოგადოებაში, სოციალურ ჯგუფებს ლიდრები მართავენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ლიდერი არის პიროვნება, რომელიც ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით ყველაზე მძლავრი უნარი გააჩნია მართოს კრიზისული სიტუაციზები და გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს. აღნიშნული სირთულეების მართვას სჭირდება გამორჩეული ლიდერი და არა უბრალოდ კარგი ლიდერი. რით განსხვავდება გამორჩეული ლიდერი კარგი ლიდერისაგან? ემოციური ინტელექტის მკვლევარი დანიელ გოლემანი მიიჩნევს, რომ ეს არ არის მხოლოდ IQ ან ტექნიკური უნარები. ეს ემოციური ინტელექტია: ხუთი უნარის ერთობლიობა, რომელიც საუკეთესო ლიდერებს თავის და სხვების მიერ სამუშაოს შესრულების მაქსიმალიზაციის საშუალებას აძლევს. როდესაც ერთი კომპანიის ზედა რგილის მენეჯერების ემოციური ინტელექტის (EI) შესაძლებლობების ჯამი კრიტიკულ ზღვარს აჭარბებს, მათი განყოფილებები დასახულ მიზნებს ყოველწლიურად 20%-ით გადაჭარბებით ასრულებენ.

ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტების თანახმად, ემოციური ინტელექტი არის ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვისა და რეგულირების უნარი. შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, ეს განმარტება აერთიანებს ყველა იმ მოდელის ძირითად კომპონენტებს, რომლებიც დღეს არსებობს. ემოციური ინტელექტის შემადგენელი უნარებია: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია, სოციალური უნარი. ემოციური ინტელექტის მკვლევარები ამტიკცებენ, რომ თითოეული ჩვენგანი ემოციური ინტელექტის გარკვეული უნარებით იბადება, ამ უნარების გაძლიერება კი, მუდმივი ვარჯიშისა და კოლეგების თუ მწვრთნელების მხრიდან მიღებული უკუკავშირის მეშვეობით არის შესაძლებელი.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ემოციური ინტელექტის მნიშვნელობაზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო უნარზე, რომელიც სჭირდება გამორჩეულ ლიდერს.

სტატიაზე მუშაობისას დამუშავებულია, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები - სამეცნიერო ნაშრომები, ცალკეული პუბლიკაციები. ჩვენ მიერ დამუშავებულმა ლიტერატურის ანალიზმა მოგვცა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა ხედვა საკითხისადმი.

საკვანძო სიტყვები: ლიდერობა, ემოციური ინტელექტი, სოციალური უნარები, მენეჯერი.

ციტირებისთვის: ჭარხალაშვილი თ., კაპანაძე თ., ემოციური ინტელექტი და ლიდერობა, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2023, გვ. 75-78.

EMOTIONAL INTELLIGENCE AND LEADERSHIP

Tinatin Charkhalashvili
Doctor of Social Sciences
Technical University of Georgia, Assistant Professor
https://orcid.org/ 0009-0002-3067-2118
E-mail: charkhalashvilitinano12@gtu.ge

Tamar Kapanadze
PhD in Public Administration
Grigol Robakidze
University
E-mail: kapanadzetamuna0@gmail.com

ABSTRACT

Social groups in modern society are governed by leaders. This confirms the fact that the leader is the person who, compared to other members of the group, has the strongest ability to manage crisis situations and cope with existing challenges. Managing these complexities requires an outstanding leader, not just a good leader**.** What is the difference between an outstanding leader and a good leader? Emotional intelligence researcher Daniel Goleman argues that it's not just about IQ or technical skills. It's emotional intelligence: a set of five skills that enable the best leaders to maximize the performance of themselves and others. When the sum of the emotional intelligence (EI) abilities of a company's top managers exceeds a critical threshold, their departments exceed their goals by 20% annually.

According to the most common definition, emotional intelligence is the ability to perceive, understand, express, manage and regulate emotions. It can be said that, in fact, this definition combines the main components of all the models that exist today. The components of emotional intelligence are: self-awareness, self-regulation, motivation, empathy, social skills. Emotional intelligence researchers argue that each of us is born with certain emotional intelligence skills, and these skills can be strengthened through constant practice and feedback from colleagues or coaches.

Accordingly, this paper focuses on the importance of emotional intelligence as one of the most important and necessary skills that an outstanding leader needs.

While working on the article, both Georgian and foreign sources - scientific papers, individual publications - were processed. The analysis of the literature processed by us allowed us to create a vision for the issue.

Key words: Leadership, Emotional intelligence, Social skills, Manager.

For citation: Charkhalashvili T., Kapanadze T., Emotional intelligence and leadership, "Business and Legislation" magazine, No. 2, 2023, p. 75-78.

შესავალი

მსჯელობა იმის შესახებ, ადამიანები ლიდერებად იბადებიან თუ მოგვიანებით ყალიბდებიან დიდი ხანია არსებობს. ასევე მსჯელობენ და კამათობენ ემოციური ინტელექტის შესახებ.

დენიელ გოლემანი მის სამეცნიერო ნაშრომში ემოციურ ინტელექტთან დაკავშირებულ ფენომენს შემდეგნაირად განმარტავს. ადამიანები იბადებიან, ვთქვათ ემპათიის გარკვეული დონით თუ ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად ხდებიან უფრო ემპათიურები? პასუხია - ორივე. მეცნიერული კვლევა დაზუსტებით გვაფიქრებისნებს, რომ ემოციურ ინტელექტს გენეტიკური კომპონენტი გააჩნია. ფსიქოლოგიასა და განვითარების სფეროში წარმოებული კვლევა აჩვენებს, რომ აღზრდასაც თავისი წვლილი შეაქვს ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ასევე კომუნიკაციური ემოციური ინტელექტის განვითარებაში. ალბათ რთულია ზუსტად განისაზღვროს თითოეულის წონა, მაგრამ კვლევა და პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ ემოციური ინტელექტის დასწავლა ნამდვილად შესაძლებელია.

ემცოიური ინტელექტის ძირითადად, თავის ტვინის ლიმბური სისტემის ნეიროტრანსმიტერებში იბადება. ეს ის სისტემაა, რომელიც გრძნობებს, იმპულსებსა და აღმძვრელებს მართავს. კვლევის მიხედვით, ლიმბური სისტემისთვის დასწავლის საუკეთესო საშუალებაა: მოტივაცია, უწყვეტი პრაქტიკა და უკუკავშირი. ახლა კი, სწავლის ეს ფორმა შევადაროთ იმას, რაც ნეოკორტექსში ხდება, რომელიც ანალიტიკურ და ტექნიკურ უნარებს განაგებს. ნეოკორტექსს ესმის ცნებები და ლოგიკა. ესთავის ტვინის ის ნაწილია, რომელიც ხვდება როგორ უნდა გამოვიყენოთ კომპიუტერი ან ვაწარმოოთ სატელეფონო გაყიდვები წიგნში წაკითხულის მიხედვით.

მნიშვნელოვანია დავაზსუტოთ ემოციური ინტელექტის შემადგენელი უნარები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უნარებია თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია, სოციალური უნარი. განიხილოთ თითოეული.

თვითცნობიერება - საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, აღმძვრელების, ღირებულებებისა და სხვებზე ზეგავლენის უნარი.

თვითცნობიერების ძირითადი მახასიათებლები - თავდაჯერებულობა, რეალისტური თვითშეფასება, საკუთარი თავისკენ მიმართული იუმორის გრძნობა, კონსტრუქციული კრიტიკის წყურვილი.

თვითრეგულაცია - დამანგრეველი, ხელისშემშლელი იმპულსებისა და გუნება- განწყობილების გაკონტროლება ან გადამისამართება.

თვითრეგულაციის ძირითადი მახასიათებლები -

საიმედოობა, ინტეგრირებულობა, კომფორტულობა გაურკვევლობისა და ცვლილებების პირობებში.

მოტივაცია - მიღწევით ტკბობა საკუთარი სიამოვნებისათვის.

მოტივაციის ძირითადი მახასითებლები - მუშაობისა და ახალი გამოწვევებისადმი სწრაფვა, გაუმჯობესებისკენ მიმართული უშრეტი ენერგია, ოპტიმიზმი მარცხის შემთხვევაში.

ემპათია - სხვა ადამიანების ემოციური მდგომარეობის გაგება.

ემპათიის ძირითადი მახასიათებლები ტალანტების მოზდივისა და შენარჩუნების უნარი, სხვების განვითარების უნარი, მგრძნობელობა კროსკულტურული განსხვავებებისადმი.

სოციალური უნარი - სხვებთან რაპორტის დამყარება მათი სასურველი მიმართულებით წარმართვის მიზნით.

სოციალური უნარის ძირითადი მახასიათებლები - ცვლილებების განხორციელების ცოდნა და გამოცდილება, ექსტენსიური კავშირები, გუნდების შეკრებისა და გაძღოლის ცოდნა და გამოცდილება.

ძირითადი ნაწილი

ზემოთ განხილული თითოეული უნარი უმნიშვნელოვანესია მენეჯერებისა და ლიდერებისათვის, გამოწვევების და სირთულეებიის დასაძლევად და რაც მთავარია ეფექტური მმართველობისათვის. განვიხილოთ თითოეული უნარის მნიშვნელობა, რომელიც ასე ძალიან სჭირდება გამორჩეულ ლიდერს.

დენიელ გოლემანი თითოეულ უნარს შემდეგნაირად განმარტავს: თვითცნობიერება არის პიროვნების მიერ საკუთარი ღირებულებებისა და მიზნების გაგების უნარი. მაღალი თვითცნობიერების მქონე ადამიანმა იცის, საით მიდის და რატომ მიდის. ასეთ შემთხვევაში პიროვნებამ იცის, როდის თქვა უარი და რაზე დათანხმდეს. მას შეუძლია მყისიერად უარი თქვას სამსახურზ, რომელიც ფინანსურად მომგებიანია და მიმზიდველად გამოიყურება, მაგრამ სრულიად არ შეესაბამება მის პრინციპებსა თუ გრძელვადიან გეგმებს. პიროვნება, რომელიც მოკლებულია თვითცნობიერებას ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისკენაა მიდრეკილი, რაც ღრმად ფესვგამდგარი ღირებულებების გამოღვიძებით მას ააფორიაქებს. სამსახურში გატარებული ორი წლის შემდეგ ადამიანმა შეიძლება თქვას, ''კარგ ფულს მთავაზობდნენ და ამიტომ დავთანხმდი, მაგრამ ეს სამსახური იმდენად უმნიშვნელოა ჩემთვის, რომ მუდმივად მოწყენილი ვარ.''თვითცნობიერი ადამიანების გადაწყვეტილბები განუყოფელია მათი ღირებულებებისაგან. შესაბამისად, სამსახური ენერგიით ავსებს მათ.

ჩვენს ემოციებს ბიოლოგიური იმპულსები აძრავენ. მათ ვერსად გავექცევით, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია მათ სამართავად. თვითრეგულაცია, რომელიც მუდამ მიმდინარე შინაგან საუბარს ჰგავს, ემოციური ინტელექტის კომპონენტია და საკუთარი გრძნობების ტყვეობიდან გვათავისუფლებს. წარმოვიდგინოთ მენეჯერი, რომლის გუნდამც წარუმატებელი ანგარიში წარუდგინა რექტორთა საბჭოს. რა შეიძლება ამ დროს გააკეთოს მენეჯერმა? იჩხუბოს, იღრიალოს, მაგიდაზე მუშტი დააბრახუნოს ან ავისმომასწავლებლად დადუმდეს. თუ ამ მენეჯრს შესწევს თვითრეგულაციის უნარი, ის ქცევის განსხვავებულ ფორმას აირჩევს. ფრთხილად შეარჩევს სიტყვებს, მიიღებს და აღიარებს გუნდის წარუმატებლობას და თავს შეიკავებს წინასწარი დასკვნების გამოტანისაგან.

მოტივაცია არის ნიშანი, რაც ყველა ლიდერს ახასიათებს. ლიდერებს მაღალი მოტივაციის უნარით საკუთარი და სხვების მოლოდინზე მეტის მიღწევის მოტივაცია ამოძრავებთ. ადამიანებს, ძირითადად მოტივაციას უჩენს ისეთი გარეგანი ფაქტორები, როგორიცაა მაღალი ხელფასი ან სტატუსი, რომელიც შთამბეჭდავ თანამდებობას ან პრესტიჟული კომპანიის გუნდის წევრობას/ ლიდერობას მოაქვს. ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, ლიდერობის პოტენციალის მქონე ადამიანებს მიღწევის დაუძლეველი სურვილი ამოძრავებთ და ეს არის მიღწევა მიღწევისათვის.

ემოციური ინტელექტის განზომილებებს შორის ემპათია ყველაზე ადვილად ამოცნობადია. თითოეულ ჩვენთაგანს ერთხელ მაინც გვიგრძვნია ახლობელი ადამიანის ემპათია.თუმცა ბიზნესში ემპათია იშვიათად არის დაჯილდოებული. თუმცა, ემპათია ლიდერისათვის ნიშნავს, სხვა ადამიანების, თანამშრომლების მიმართ მათი ემოციების საკუთარ ემოციებად აღქმა და გულის მოგების მცდელობა. ემპათია უფრო მეტად, გონივრული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლების გრძნობების სიღრმისეულად, სხვა ფატქორების გათვალისწინებით განხილვას ნიშნავს.

სოციალური უნარი, როგორც ემოციური ინტელექტის ერთ-ერთი კომპონენტი, არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხვედრით სჩანს. ეს მხოლოდ კეთილგანწყობას არ გულისხმობს. სოციალური უნარი მიზანმიმართული კეთილგანწყობაა: ეს ადამიანების თქვენთვის სასურველი მიმართულებით წარმართვის უნარია, განურჩევლად იმისა, ახალ მარკეტინგულ სტრატეგიაზეა საუბარი თუ ახალი პროდუქტის შექმნის ენთუზიაზმზე. სოციალური უნარის მქონე ლიდერი ეფექტურად მართავენ გუნდს და ეს მუშაობისას მათი ემპათიურობაა. ამავე დროს, ისინი დარწმუნების დიდსტატები არიან, ეს კი თვითცნობიერების, თვითრეგულაციისა და ემპათიის კომბინირების მანიფესტია. შესამჩნევი მოტივაცია ამგვარ ადამიანებს ბრწყინვალე თანამშრომლებად აქცევს. მუშაობისადმი მათი მგზნებარე დამოკიდებულება სხვა ადამიანებისთვისაც გადამდებია.

დასკვნა

წამყვანი კომპანიები სარგებლობენ პროფესიონალი ფსიქოლგების მომსახურებით, იმ მიზნით, რომ თანამშრომლებში განავითარონ კომპეტენცის მოდელები, დაეხმარონ პოტენციური ლიდერების გამოვლენაში, გაწვრთანასა და წინსვლის ხელშეწყობაში.

საინტერესოა, რომელი პიროვნული უნარები განაპირობებენ გამორჩეულ საქმიანობას და წარმატებას აღნიშნულ კომპანიებში. დენიელ გოლემანი ამ უნარებს სამ კატეგორიად აერთიანებს, ესენია: წმინდად

ტექნიკური უნარები, როგორიცაა ბუღალტერია და ბიზნესის დაგეგმვა, კოგნიური უნარები, მაგალითად ანალიტიკური მსჯელობა და ემოციური ინტელექტის ამსახველი კომპეტენციები, როგორიცაა სხვებთან ერთად მუშაობის უნარი და ეფექტურობა ცვლილების განხორციელებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ემოციური ინტელექტი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც უნდა ჰქონდეს ოცდამეერთე საუკუნის ლიდერს, უნდა აღინიშნოს ჩვენთვის კარგად ნაცნობი IQ და ტექნიკური უნარი, რომელიც ემოციურ ინტელექტთან ერთად თანაბრად მნიშვნელოვანი უნარია, როგორც ბიზნესში, ისე ყოველდღიურ საქმოანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. HBR's 10 Must Reads on Emotional Intelligence. 2011 Harvard Business School Publishing Corporation, Published by arrangement with Harvard Business Review Press;

2. Thorndike E. L. Intelligence and its uses // Harper's Magazine. 1920;

3. Hunt, N., and Evans. D. (2004) Predicting traumatic stress using emotional intelligence. Behavior Research and Therapy;

4. Goleman, D. (1998). Working with emotional intelligence. New York: Bantam Books;

5. Mayer J.D., Salovey P., Caruso D.R., Sitarenios G. Emotional intelligence as a standard intelligence // Emotion. 2001;

6. Caruso D.R., Mayer J.D., Salovey P. (2002). Relation of an ability measure of emotional intelligence to personality // Journal of Personality Assessment. 2002;

7. Goleman, D. (1998). Working with emotional intelligence. New York: Bantam Books

8. Caruso D.R., Mayer J.D., Salovey P. (2002). Relation of an ability measure of emotional intelligence to personality // Journal of Personality Assessment. 2002;

9. Mayer J.D., Caruso D.R., Salovey P. Emotional Intelligence meets traditional standards for an intelligence // Intelligence. 1999;

10. Bar-On, R. (2000). Emotional and social intelligence: Insights from the Emotion Quotient Inventory. In R. Bar-On & J. Parker (Ed's.), The Handbook of Emotional Intelligence. San Francisco: Jossey-Bass;

11. Goleman, D. (1998). Working with emotional intelligence. New York: Bantam Books;

12. Careerbulider Survey, Seventy-One Percent of Employers Say They Value Emotional Intelligence over IQ, According to CareerBuilder Survey, Press Room, 2011.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების გამოყენების გავლენა რეგიონის ეკონომიკასა და ეკოლოგიაზე

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.10

რეზიუმე

ნაშრომი ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების გამოყენების გავლენას რეგიონის ეკონომიკასა და ეკოლოგიაზე. მასში წარმოდგენილია ბუნებრივი რესურსების სახეები, მითი როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

ავტორი მტკივნეულად შენიშნავს, რომ ბუნებრივი რესურსების მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება, ბუნებაში უხეში ჩარევა, ადამიანების ვანდალური მოქმედებები კატასტროფულად აისახებოდა საცხოვრის გარემოსა და ეკოლოგიაზე.

ნაშრომში განვითარებულია აზრი ბუნებრივი რესურსების პარადოქსული კანონზომიერების შესახებ, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „რესურსის წყევლა."

ნაშრომში მოცემულია მოსაზრებები, რომლებიც ასახავენ ფაქტობრივ მდგომარეობასა და მათი გამოსწორების პერსპექტივას.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, წიაღისეული სიმდიდრე, მდგრადი ეკოლოგიური განვითარება.

ციტირებისთვის: ხომასურიძე დ., საჩხერის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების გამოყენების გავლენა რეგიონის ეკონომიკასა და ეკოლოგიაზე, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, No2, 2023 წ. გვ. 79-84.

დოდო ხომასურიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0004-8222-0572
E-mail: xomasuridze85@gmail.com

THE INFLUENCE OF THE USE OF NATURAL RESOURCES OF SACHKHERI MUNICIPALITY ON THE ECONOMY AND ECOLOGY OF THE REGION

Dodo Khomasuridze
Doctoral student of Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0004-8222-0572
E-mail: xomasuridze85@gmail.com

RESUME

The paper deals with the influence of the use of natural resources of Sachkheri municipality on the economy and ecology of the region. It presents the types of natural resources, their role in the economic growth and development of the country.

The author painfully notes that consumerism towards natural resources, gross interference in nature, and vandalism of people had a catastrophic impact on the living environment and ecology.

The paper develops an idea about the paradoxical regularity of natural resources, which is known in the economic literature as the "resource curse."

The paper contains opinions that reflect the actual situation and the perspective of their correction.

Key words: natural resources, mineral wealth, sustainable ecological development.

For citation: Khomasuridze D., Impact of the use of natural resources of Sachkheri Municipality on the economy and ecology of the region, Journal of Business and Legislation, No. 2, 2023. p. 79-84.

ძირითადი ტექსტი

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია. მისი ტერიტორიის ფართობი 6518,8 კვ.მ–ია და საქართველოს ტერიტორიის 9,4%-ს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 15,7%-ია.

რელიეფური მრავალფეროვნების გამო, იმერეთი პირობითად იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად, რომელიც აერთიანებს 12 მუნიციპალიტეტს: ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. რეგიონში შედის 11 ქალაქი, 3 დაბა და 529 სოფელი.

საჩხერის მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონის მრავალმხრივ გამორჩეული ერთეულია. მუნიციპალიტეტში შედის 51 სოფელი და ერთი ქალაქი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი საჩხერე.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 48 000 ადამიანს. აქედან, ქალაქად ცხოვრობს დაახლოებით 10 000 კაცი, სოფლად კი - 38 000 კაცი, ანუ მოსახლეობის 79%.

საჩხერის მუნიციპალიტეტი, ისევე, როგორც იმერეთის რეგიონი მთლიანად, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, თუმცა მისი ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოირჩევა განსაკუთრებული მიღწევებით და ის მისი რესურსული შესაძლებლობების ადექვატური არ არის.

რესურსების მრავალფეროვნებას ქმნის მიწის, წყლის, ტყის რესურსები და წიაღისეული სიმდიდრეები.

საჩხერის მუნიციპალიტეტს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 77 200 ჰა ფართობი უკავიაა რელიეფი აქ საშუალო და დაბალმთიანია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს დაახლოებით 17 380 ჰექტარი უჭირავს, რაც საერთო ფართობის 22.5%–ია, დაახლოებით 60 000 ჰა (78%) კი ტყეებითაა დაფარული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ყვირილა და მისი შენაკადები: ძირულა, დუმალა, ჯრუჭულა, ჩიხურა, ლაშურა, ფრონე. რაიონში მრავალი წყაროა, მათ შორის არის მუნერალური წყლებიც.

საჩხერე მდიდარია ისეთი წიაღისეულებით, როგორიცაა გოგირდოვანი წყლები, კვარცის სილები, გიშერი, ქვანახშირი, პემზა, მარმარილო.

აქ მოსახლეობის შემოსავლის ოთხი ძირითადი წყაროა: **სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მცირე მეწარმეობა და უცხოეთში ემიგრირებულთა მიერ ფულადი გზავნილები. აქედან,** საჩხერის მუნიციპალიტეტში, მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმწირისა, **სოფლის მეურნეობა** მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროა. **მემცენარეობაში** პრიორიტეტული კულტურებია: სიმინდი, ლობიო, ვაზი და ხე-ხილი. ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობა ძირითადად მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებას მისდევენ, მეცხვარეობა კი უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი. საჩხერის მუნიციპალიტეტში სათიბ-საძოვრები სასოფლო-სამეურნეო მიწების 42%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფს **მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა**. მისი განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ავეჯის წარმოება მუნიციპალიტეტის ტყის რესურსების ბაზაზე.

საჩხერის მუნიციპალიტეტში ტყეებს 50 000 ათასი ჰა ფართობი უჭირავს; აქედან, სუბ-ალპურ ტყეებს უკავია 32 000 ჰა, ჭალისპირა ტყეებს - 3 000 ჰა.

აქაურ ტყეებში გვხვდება ქართული მუხა, რცხილა, იფანი, ნეკერჩხალი, თელა, წიფელი, წაბლი, მურყანი, წყავი და სხვა. სუბალპურ ბუჩქნარებში გვხვდება დეკა, ღვია, მოცვი, მაღალბალახეულ საფარში - დიყი, დუცი, შროშანი, დეზურა და სხვა. ალპური მდელოს მცენარეულობა მხოლოდ დაღვერულის მთის კალთებზეა გავრცელებული. რაიონი დიდარია ფლორის მრავალფეროვნებითაც. აქ ბინადრობენ მთა-ტყისა და მთა-მდელოს ზონების ცხოველები: შველი, დათვი, ტურა, მგელი, მელა, ფოცხვერი, მაჩვი, კვერნა და სხვა. ფრინველთადან გვხვდება: როჭო, შურთხი, მთის არწივი, ქორი, მიმინო, შაშვი, კოდალა, გუგული, ჩხიკვი და სხვა.

ისტორიულად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა ქარსაცავი ზოლები, რომელთა ფართობიც 1990–იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვნად შემცირდა.

მუნიციპალიტეტში წარმოება საშუალო დონეზეა განვითარებული. ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს სამთო-მომპოვებელი ობიექტები, ასფალტო-ბეტონის ქარხნები, ხის სახერხი საწარმოები, კვების პროდუქტების მცირე საწარმოები და ა.შ.

საჩხერის მუნიციპალიტეტში ძირითადად მოქმედებენ მცირე და საშუალო კომპანიები. მცირე კომპანიები დაკავებული არიან იაფფასიანი სამშენებლო მასალების მოპოვებით, ხოლო საშუალო კომპანიები ახორციელებენ საბადოებიდან წიაღისეულის მოპოვებას. რამდენიმე სოფელში არალეგალურადაც ხდება კვარიციანი ქვიშის ამოღება მდინარის შელფიდან.

მუნიციპალიტეტს აქვს **ტურისტული პოტენციალიც,** რასაც ბუნების სილამაზე, **ბალნეო-კლიმატური კურორტი კვერეთი** და კულტურული ძეგლების სიმრავლე განაპირობებს. საჩხერის გაშლილი ვაკეები თუ მწვანეში ჩაფლული ქედები, ისტორიული ციხე-სიმაგრეები და უძველესი ტაძრები გულგრილს არავის ტოვებს.

ზოგადად, საქართველოს ეკონომიკაში ბუნებრივი რესურსების ექსპორტი წამყვან როლს არ თამაშობს და ეკონომიკურად ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ ქვეყნად ვერ ჩაითვლება, ბუნებრივი რესურსების ათვისების პოლიტიკასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური რისკები მაინც სათანადო ყურადღებას იმსახურებს. წიაღისეულის მოპოვებას, სამშენებლო, სერვი-

სის და სოფლის მეურნეობის სექტორებთან შედარებით, მთლიან შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ფორმირებაში მცირე წილი შეაქვს, თუმცა ექსპორტირებული საქონლის ერთი მეოთხედი ბუნებრივი წიაღისეულია. მაგრამ ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ იმერეთის რეგიონში ჭიათურისა და ტყიბულის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებაა. მომპოვებელი კომპანია კი უმსხვილესი დამსაქმებელია. ჭიათურასა და ტყიბულში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები უმთავრესად მოპოვებით ინდუსტრიას უკავშირდება. ცნობილია არაერთი ხმაურიანი და ტრაგიკული შემთხვევები, რაც მარგანეცისა და ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოებში განვითარდა.

ცნობილია აგრეთვე ეკოლოგიური ზიანიც, რომელიც ბუნებრივი რესურსების უკონტროლო ამოღებას სდევს თან. ამიტომ რესურსების ამოღების სწორი პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული რისკების რაციონალური მართვა ამ პრობლემების განრიდების აუცილებელი წინაპირობაა. ბუნებრივი რესურსების გამოყენების პოლიტიკა განსაზღვრავს, რამდენი და რა ტიპის სამუშაო ადგილი იქმნება მოპოვების ინდუსტრიაში, როგორ ნაწილდება მოპოვების შედეგად დაგროვებული დოვლათი და რამდენად უწყობს ხელს ბუნებრივი რესურსების ათვისება ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონების მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საჩხერის მუნიციპალიტეტში პრობლემა ასე მწვავედ არ დგას, როგორც ეს მეზობელ რაიონებშია, თუმცა წიაღისეულის მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულების გამო, ეკოლოგიურმა პრობლემებმა აქაც იჩინა თავი. გახშირდა წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, მდინარის ნაპირის ეროზია, გვალვა და მიწისძვრა.

მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ნიადაგის ეროზიასაც. ეროზირებულია სასოფლო-სამეურნეო მიწების 5%-მდე. 30-50%-ით იკლო პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობამაც. ცხადია, ასეთი გამოვლინებები, სხვა გარემოებებთან ერთად, ძირითადად, ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევ მიზეზებს უკავშირდება.

საჩხერის ტერიტორიულ ერთეულში არსებობს ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგო, მაგრამ მუნიციპალიტეტს არა აქვს სტიქიური მოვლენებისა და შედეგების აღრიცხვის მწყობრი სისტემა, რის გამოც, მათ არ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაცია მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ. ამიტომ რეალური სურათის ასახვა ჭირს.

მთელი ყურადღება გადატანილია სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაზე. მაგრამ საფუძვლიანად არ ხდება ამ უბედურებების გამომწვევი მიზეზების დადგენა, ანალიზი, პრევენციული ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. სტატისტიკური მონაცემები არც აქ არის სრულყოფილი და სარწმუნო.

საჩხერის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სივრცითი მოწყობის გენერალური გეგმა, სადაც მიწათსარგებლობის დაგეგმვისას, სხვა ფაქტორებთან ერთად ბუნებრივი საფრთხეებიც იქნებოდა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის სახნავი მიწების დაახლოებით 60% საჭიროებს რწყვას. რწყვა ვერ ხერხდება საირიგაციო სისტემების სიმცირისა და ცუდი მდგომარეობის გამო. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გამოიყენება რწყვის არხოვანი (ტრადიციული) მეთოდი. ბუნებრივი ნალექის შეგროვება რწყვისათვის არ ხდება.

მუნიციპალიტეტის საძოვრებისათვის ძოვების ნორმა დადგენილი არაა. მსხვილფეხა პირუტყვის ერთ სულზე 0.3 ჰა სათიბ-საძოვარი მოდის. როგორც ეს გაანგარიშება გვიჩვენებს, მესაქონლეები განიცდიან სათიბ–საძოვრის დეფიციტს. სათიბ-საძოვრების დეფიციტის ჭარბი ძოვება და გვალვებიც განაპირობებს.

მიუხედავად სათიბ-საძოვრების დეფიციტისა, სათიბ–საძოვრების შენარჩუნებისათვის მუნიციპალიტეტში არავითარი ღონისძიებები არ ტარდება, მათ შორის არ მიმართავენ ისეთ მარტივ ზომას, როგორიცაა ნაკვეთმონაცვლეობითი ძოვება.

სატყეო მეურნეობის მართვა–განკარგვა მუნიციპალიტეტს გამგეობის კომპეტენციაში არ შედის. ამიტომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას არ აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოახდინოს რეაგირება დარღვევებზე.

შენიშნულია, რომ ტყის ჭრის ტენდენცია უკანასკნელ წლებში გაიზარდა 30%-ით. ამასთან, 20% გაზრდილია უკანონო ჭრებიც, რასაც ენერგომატარებლების სიძვირით ხსნიან, თუმცა ასეთმა ტენდენციან ეკოლოგიაზეც ნეგატიურად იმოქმედა და ტყის განაკაფებში ადგილ-ადგილ მეწყრული მოვლენებიც განვითარდა. სოფ. კვერეთში, ჭალასა და ცხომარეთში ტყის განაკაფებში ჩამოწვა მეწყერი.

მუნიციპალიტეტის ტყეებში ბოლო ათწლეულში იყო ხანძრის შემთხვევები. რომლის შედეგადაც დაიწვა 100 ჰა ფართობი. ხანძრის მიზეზად ცხელი ამინდები და ადამიანთა დაუდევრობა სახელდება.

მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა წყლის მონიტორინგი არ ხდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მიწისქვეშა წყლების დონემ ბოლო ათწლეულში დაიკლო. მათი აზრით, წყაროებმა სხვა გამოსავალი ნახა მიწისძვრის შედეგად ქანებში გაჩენილ ბზარებში. მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, რადგან წყლების ხარისხის მონიტორინგი არ ტარდება.

მოსახლეობის განსაკუთრებული უკმაყოფილებისა და დაპირისპირების საგნად იქცა მუნიციპალიტეტის მდინარეების შელფიდან ქვიშა-ღორღის ამოღება. მოქალაქეთა პროტესტი კი იმითაა განპირობებული, რომ მდინარეებიდან ქვიშა-ღორღის ამოღების არსებული პრაქტიკა ანადგურებს საცხოვრებელ გარემოს, სასოფლო-სამეურნეო

მიწებს, კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურას.

მოსახლეობის პროტესტს აქვს საფუძველი და ძირითადად განპირობებულია შესაბამის უწყებაში პრობლემის გადაწყვეტის არაშესაფერისი პრაქტიკით.

როგორც გაირკვა, ქვიშა-ღორღის მოპოვების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ახდენს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო გეოსაინფორმაციო პაკეტზე დაყრდნობით.

მდინარეების ჭალა-კალაპოტებში ქვიშა-ღორღის მოპოვება გეოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია ჭარბ აკუმულაციურ უბნებზე, შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვით. ასეთი უბნებიდან ქვიშა-ღორღის ამოღება ხელს უწყობს მდინარეების ჰიდროდინამიკური სიტუაციის გაჯანსაღებას, კალაპოტის გამტარუნარიანობის გაზრდას და პრობლემების მინიმუმადე შემცირებას. რიგ შემთხვევაში ჭარბი აკუმულაციური უბნის არსებობისას აუცილებელია ინერტული მასალის ამოღება, რათა თავიდან იქნას აცილებული საშიში გეოლოგიური პროცესების, ღვარცოფების და ეროზიების განვითარება.

მიეკუთვნება თუ არა კონკრეტული ტერიტორია ჭარბ აკუმულაციურ უბანს, შესაძლებელია თუ არა მასზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება და თუ შესაძლებელია, რა მასშტაბით, ეს საკითხები უნდა იყოს ასახული გეოსაინფორმაციო პაკეტში.

გეოსაინფორმაციო პაკეტის კიდევ ერთ დანიშნულებას წარმოადგენს სალიცენზიო ფართობზე არსებული მდგომარეობის და რისკების შეფასება. აღნიშნული დოკუმენტით ხდება ობიექტის გეოლოგიური პოზიციის დახასიათება, წიაღით სარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულების თაობაზე ინფორმაციის ასახვა და სხვა ისეთი საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც გულისხმობს წიაღიეულის მოპოვებით გამოწვეული რისკების შეფასებას და მიმართულია გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არიდებისკენ. გეოსაინფორმაციო პაკეტი მზადდება წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე, ვიზუალური შეფასებით და გეოლოგიურ ფონდურ მასალებზე დაყრდნობით.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციები გაყოფილია ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, ესენია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაა ლიცენზიით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფუნქცია კი არის ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა. ფუნქციათა ამ განაწილებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობს დეპარტამენტი რეაგირებს მხოლოდ ლიცენზიის გარეშე წიაღის მოპოვებაზე და ლიცენზიის მფლობელის მიერ დადგენილი კოორდინატების გარეთ წიაღის მოპოვებაზე (ე.წ. კონტურსგარე მოპოვება), ხოლო ლიცენზიით განსაზღვრული მოცულობის გადაჭარბებასა და ქვიშის ამოღების სიღრმის (სიმძლავრის) დარღვევაზე რეაგირება შედის სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებებში.

საზედამხედველო ფუნქციათა ამგვარი განაწილება ართულებს ქვიშა-ღორღის მოპოვების კანონიერების მონიტორინგს და ქმნის სივრცეებს საკანონმდებლო ხარვეზებით ბოროტად სარგებლობისთვის. გარდა ამისა, უწყებრივი არაკოორდინაცია და მარეგულირებელ აქტებს შორის კომპეტენციათა შეუთანხმებლობა არანაკლებ ცუდად მოქმედებს ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნაზე და საჭიროა ასეთი შეუსაბამობების (განუკითხაობის) აღმოფხვრა.

დღეისათვის, ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გატარება.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნას. მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა გარემოსდაცვის კუთხით, რომლის წინაშეც დგას საჩხერის მუნიციპალიტეტი, არის არასწორი, არაეფექტიანი და მხოლოდ ბიზნესინტერესებზე მორგებული **სილის კარიერი**. ეს უკანასკნელი ფოკუსირებულია არა მთლიანად რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არამედ მხოლოდ სილის სწრაფ ათვისებაზე.

მცდარია შეხედულება, რომ საჩხერე ძალიან მდიდარია აღნიშნული რესურსებით, რომელიც მაქსიმალურადაა ასათვისებელი, კრისტალურ სილად გარდასაქმნილი და ექსპორტზე გასატანი. სინამდვილეში კი არაა დათვლილი სავანის და ბაჯითის კარიერების ეკოლოგიური და სოციალური საფასური და დასკვნების გამოტანა მხოლოდ მათ ტექნიკურ და ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

ბუნებრივი რესურსები შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ძირითადი კაპიტალი. რომელიც ეკონომიკური სისტემის ციკლთან უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული. გარემო, ერთი მხრივ გვაწვდის ეკონომიკური საქმიანობისთვის აუცილებელ რესურსებს და მეორე მხრივ, იგი ეკონომიკური პროცესების ნარჩენი

პროდუქტების მიმღებიცაა. ეკოსისტემის დაზიანების გზით, აღნიშნული ფუნქციის მოშლას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხარჯების გამოწვევა შეუძლია.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, თემაზე მუშაობამ მოგვცა შესაძლებლობა მოკვლეული მასალების ანალიზის შედეგად შევჯერდეთ შემდეგ გარემოებებზე:

საჩხერის მუნიციპალიტეტს, ისევე, როგორც წვეთს ოკეანის ყველა თვისება გააჩნია, ბუნებრივი რესურსების გამოყენების საქმეში მთლიანად იმერეთი რეგიონის ანალოგიურ პრობლემები ახასიათებს.

საჩხერის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, თუმცა მას ადექვატური გავლენა არ გააჩნია ეკონომიკის განვითარებაზე დაამ რესურსების რაციონალურად გამოყენება არ ხდება. ისევე, როგორც მთელს რეგიონში, ბუნებრივი რესურსების მომხმარებლური დამოკიდებულება, საჩხერეშიც ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს, რაც ლოკალურ ფარგლებს სცილდება. იგი პერმანენტულად დამანგრეველ გავლენას ახდენს მეზობელ რაიონებსა და მთლიანად რეგიონზე.

მუნიციპალიტეტში მაღალია მდინარეთა ნაპირების წარეცხვის რისკი და ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, გარკვეულწილად გაზრდილია ანთროპოგენული ზემოქმედების გამო. მათ შორის, მნიშვნელოვანია ტყის ჭრა და ინერტული მასალის მოპოვება; გაზრდილია გვალვიანობა, რაც ნაწილობრივ ტყის საფარის შემცირებით არის გამოწვეული; ადგილი აქვს ნიადაგის ეროზიასაც, რაც გარკვეულწილად გადაძოვებას უკავშირდება; ძირითადი პრობლემა მაინც ტყის უკანონო ჭრაა.

ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ და უნდა განახორციელონ წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, კომპანიების ინფორმირება ისეთი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ, როგორიცაა ირიგაციის, აგროქიმიკატების გამოყენების, ნაკელის მართვის და მეურნეობის გაძღოლის სხვა თანამედროვე მეთოდები, მცენარეების/ცხოველების მაღალპროდუქტიული სახეობების შეტანა, სოფლის მეურნეობის სამსახურის შექმნა, ნაპირების დამცავი ნაგებობების მშენებლობა, ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტებმა უნდა შეძლონ:

- ქარსაცავი ზოლების აღდგენა, რაც შეამცირებს ნიადაგის ეროზიის პოტენციალს და ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიცხეებისას;
- სატყეო მეურნეობასთან ერთად ტყის აღდგენა-განაშენიანების სტრატეგიის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ეროზიული პროცესების და ზედაპირული ჩამონადენს დარეგულირებას, შეამცირებს მდინარეთა ნაპირების წარეცხვას, ასევე ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას;
- მემცენარეობის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის სარწყავი სისტემის აღდგენა-გაფართოების სტრატეგიის მომზადება და ამ სტრატეგიის ფარგლებში მოკლევადიანი პროექტების შემუშავება-განხორციელება;
- სათიბ-საძოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას პირუტყვის ძოვების ნორმები კონკრეტული საძოვრებისთვის. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, დადგინდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს შემოყვანილი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე (რაც მათ წველადობაზეც აისახება);
- მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასება, რათა დადგინდეს თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური მოსალოდნელი კატასტროფების რისკების შესამცირებლად;
- მდინარეებიდან მოპოვებული ინერტული მასალის მოცულობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, მდინარის ნაპირების წარეცხვის ფაქტების და მაღალი რისკის უბნების დაფიქსირება, ამ ინფორმაციის წარდგენა ინერტული მასალის მოპოვებაზე ლიცენზიის გამცემ ორგანოში, რათა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს ინერტული მასალის არსებული რესურსი და დარეგულირდეს მოპოვების მოცულობა;
- სტრატეგიის შემუშავება, თუ როგორ შეიძლება მიწისძვრასთან დაკავშირებული რისკების შემცირება. ამ საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა შესწავლილი იქნას თუ რა სტანდარტით ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ნაგებობების დაპროექტება-მშენებლობა, შეფასდეს სუსტი მხარეები და დაიგეგმოს სტრატეგია, რომლიც თანდათანობით სეისმურად უფრო მედეგი იქნება;
- მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების და ნარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.

გარემოს დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა დღევანდელი მსოფლიოს დღის წესრიგში. თუმცა მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტი პირდაპირ კავშირშია როგორც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან, ისე სოციალურ სოლიდარობასთან. მდგრადი განვითარება არ ნიშნავს, რომ ადამიანმა უარი თქვას იმ სიკეთეებზე, რომლებიც მას ტექნოლოგიურმა თუ

ინდუსრიულმა პროგრესმა მიანიჭა. ის უბრალოდ უნდა ეცადოს, ეკონომიკური კეთილდღეობა ისე მოიპოვის, რომ რაც შეიძლება ნაკლდებად დააზიანოს გარემო და მეტად იზრუნოს საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე. მცირე საწარმოს შექმნა, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, გადამუშავებულის მასალის ხელმეორედ გამოყენება წარმოებაში - ეს ის მცირე ჩამონათვალია, რითაც ეკონომიკური განვითარება არც შეფერხდება, თუმცა არც მომავალი თაობების ინტერესებს დააზარალებს. დღესდღეობით მოსახლეობის დიდი ნაწილი პროდუქციის შეძენისას უპირატესობას ანიჭებს ისეთი ფირმის პროდუქტს, რომელიც ნაკლებს ზიანს აყენებს გარემოს, ასე რომ, ვფიქრობ, ფირმებმა თავიანთი პასუხისმგებლობით მაქსიმალურად უნდა შეამცირონ გარემოს დაბინძურება და უკიდურეს შემთხვევაში მთავრობებმაც შეიმუშაონ სპეციალური ზომები.

საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის მდგრადი განვითარების კონცეფცია უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1. მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი რესურსები ბუნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე;

2. ცოცხალი რესურსებით საგებლობისას არ მიადგეს ზიანი ბიო მრავალფეროვნებას და დასახული იქნას გზები მისი აღწარმოების და გამრავალფეროვნებისა;

3. უნდა მოიცავდეს რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სამომავლო რისკები;

4. არსებული რესურსების ბაზაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება;

5. ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ მთავარი პრიორიტებების გაამოყოფა და სრულყოფა;

6. ტრადიციული ენერგორესურსების ნაცვლად ენერგო განახლებადი რესურსებით ჩანაცვლება შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარების გზით. მდგრადი განვითარების ძირითადი მამოძრავებელ ძალად სწორედ განახლებადი ენერგეტიკა უნდა იქნეს მიჩნეული;

7. ბუნებრივი რესურსების კონსევაციის და გამოყენების ჰარმონიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცინცაძე გიორგი, ბუნებრივი რესურსები და შრომის ბაზარი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020 წ.;

2. მემარნიშვილი როდენ მყარი მინერალური რესურსების მართვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები, სადისერტაციო ნაშრომი, 2018 წ.;

3. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე, საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, USAID ხელშეწყობით შექმნილი პროგრამა, http://nala.ge/climatechange/uploads/BaselinePerMunicipality/42_sachkhere.pdf;

4. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებში, http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf;

5. ნებაძე თამარი, ბუნებრივი რესურსების გავლენა სამოქალაქო ომის დაწყებასა და მიმდინარეობაზე, სამაგისტრო ნაშრომი, 2021 წ;

6. ინტერნეტრესურსები:
https://nea.gov.ge;
https://eiec.gov.ge;
https://mepa.gov.ge;
http://www.br.geostat.ge;
http://www.br.geostat.ge.

გადამოწმებულია 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

სოციალური მედია მარკეტინგის როლი ტურიზმსა და სასტუმრო ინდუსტრიაში

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.02.11

ბექა სხირტლაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0009-9000-4235
E-mail: bekaskhirtladze10@gmail.com

ნინა კოფიანიდი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0005-9533-3784
E-mail:nkopianidi@gmail.com

ანოტაცია

საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია. ამასთანავე, სოციალური მედიის აქტივობისა და მოხმარების ზრდასთან ერთად, პროდუქტების წარმოდგენიდან მომხმარებელთა წახალისებამდე ბიზნესის მარკეტინგული ტაქტიკაც შეიცვალა. სოციალური მედია, ძალიან დიდ როლს ასრულებს ტურიზმის ბიზნესში, რამდენადაც სოციალური მედია არის ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყარო ტურისტებისთვის, რომლებიც ეძებენ კონკრეტულ ინფორმაციას დანიშნულების ადგილის, ძირითადი და დამატებითი მომსახურების, სხვადასხვა სერვისებისა თუ ფასების შესახებ. აღნიშნულ საკითხთან მიიმართებით, ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა, რომელიც ასახავს და განიხილავს სოციალური მედია მარკეტინგის როლს, თუ როგორ მუშაობს ის ტურიზმისა და სასტუმროების ინდუსტრიაში.

საქართველოში, სასტუმრო მომსახურების თანამედროვე ბაზარს, შეუძლია დააკმაყოფილოს ტურისტთა გარკვეული მოთხოვნილებები, რის საშუალებასაც არსებული რესურსები და განთავსების საშუალებათა მრავალფეროვნება იძლევა. ტურისტთა ნაწილში, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საოჯახო ტიპის სასტუმროები, რისი განვითარებისთვისაც საჭიროა რესურსების სწორი და მიზანმიმართული გამოყენება, მომსახურების ხარისხის სწორი მართვა და ინვესტირება ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სასტუმრო ინდუსტრია, სოციალური მედია, მარკეტინგი.

ციტირებისთვის: სხირტლაძე ბ., კოფიანიდი ნ., სოციალური მედიია მარკეტინგის როლი ტურიზმსა და სასტუმრო ინდუსტრიაში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა, № 2, 2023, გვ. 85-89.

THE IMPACT OF SOCIAL MEDIA IN TOURISM AND HOTEL INDUSTRY (THE CASE OF GEORGIA)

Beka Skhirtladze
Doctoral candidate of business administration department
of Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0009-9000-4235
Email: bekaskhirtladze10@gmail.com

Nina Kofianidi
Doctoral candidate of business administration department
of Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0005-9533-3784
E-mail:nkopianidi@gmail.com

ANNOTATION

In the modern world, where technologies are very popular, social media is one of the most important sources of information dissemination and it can be considered as the main driving force for companies to get closer (establish communication) to customers. Digital technologies have completely changed the form of communication between companies and consumers in the tourism sector. At the same time, the decision-making process of consumers has changed and their involvement in social media in the field of tourism is very high. Most people today plan their vacation with the help of travel apps, use a virtual guide and organize transportation directions.

The tourism market is quite diverse, there are many suppliers in the market that offer tourists a fairly wide choice of products and services, and consumers are faced with a dilemma, they are influenced by many factors, one of the factors that can play an important role in decision making.

Is the marketing activities planned by the company and properly selected advertising, which maximizes the strengths of the product or service and emphasizes its competitiveness. Among many other areas, social media plays an important role in the tourism industry, in particular, users of social networks have the opportunity to share opinions in the social space with millions of people about tourist destinations, tourism products or services.

Key words: Tourism, Hotel industry, Social media, Marketing.

For citation: Skhirtladze B., Kofianidi N., Role of Social Media Marketing in Tourism and Hotel Industry, Journal of Business and Legislation, No. 2, 2023. p. 85-89.

ძირითადი ტექსტი

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა და სერვისის გაუმჯობესება თბილისის საოჯახო სასტუმროების მაგალითზე.

კვლევის ამოცანები: მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული არსებული მდგომარეობის ანალიზი;
2. კვლევის ჩატარება ასერსებული პრობლემების გამოსავლენად;
3. სოციალური მედიისა და მარკეტინგის ზეგავლენა ტურიზმე ბიზნესში;
4. ხარისხის გაუმჯობესება გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინების საფუძველზე.

კვლევის ობიექტი: თბილისში არსებული საოჯახო ტიპის სასტუმროები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: ნაშრომის მიზნის მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად გამოყენებულია პირველადი და მეორადი კვლევები. მონაცემების შეგროვება მოხდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებით. მეორადი კვლევა ჩატარდა არსებული ლიტერატურის საფუძველზე, რის შედეგადაც მოხდა ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ნაშრომის კიდევ ერთ კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენდა ქართული და უცხოური წყაროები, აქ მოძიებული მონაცემების საფუძველზე მოხდა სასტუმრო ბიზნესის, როგორც სამეურნეო საქმიანობის თავისებურებების განხილვა, რაც საშუალებას იძლეოდა დადგენილიყო საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

სოციალური მედია მარკეტინგი და ტურიზმი

ტურიზმი არის ინფორმაციის ინტენსიური ინდუსტრია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ტექნოლოგიების ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგზაურობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განაწილებაზე და ხელმისაწვდომობაზე (Xiang and Gretzel, 2010).დღეს, სოციალური მედიის საშუალებით, მომხმარებელს აქვს მეტი ინფორმაციის წყარო, როგორიცაა ბლოგები, ტვიტები, რომლებიც შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, რაც პროდუქტის შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველის გონებაში (Subramani and Rajagopalan, 2003) და კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მომხმარებელს სჯერა ინფორმაციის. რომელიც მოდის პერსონალური წყაროებიდან და არა კომერციული წყაროებიდან (Hu and Wei, 2013).

ინტერნეტის, როგორც სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ეფექტური საკომუნიკაციო

არხის მთავარ სარგებელზე, ხაზგასმული იქნა შემდეგ ლიტერატურაში (Desai and Eric, 2015; Doolin et al, 2015; Schu-ckert et al, 2015). ის ფაქტი, რომ ონლაინ ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ბაზარი მომგებიანია, როგორც მომწოდებლებისთვის, ასევე მოგზაურებისთვის, შესაძლოა ერთ-ერთი საუკეთესო ახსნა იყოს მოგზაურობისა და ტურისტული ბაზრებზე ონლაინ ტრანზაქციების სწრაფი გაფართოებისთვის (Yacouel and Fleischer, 2012). ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის მკვეთრი ზრდა შეინიშნება როგორც მოგზაურთა რაოდენობის, ისე ტურისტული ხარჯების თვალსაზრისით (Sigala et al., 2012). ამ პერიოდის განმავლობაში ტურიზმის მომხმარებლები უფრო გააქტიურდნენ და შეშფოთებულნი არიან სოციალურ მედიაში გაზიარებული ინფორმაციის გამო, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესს (Bayram and Sahbaz, 2012). ნათელია, რომ კომენტარები სოციალურ მედიაში ნამდვილად ახდენს გავლენას ტურისტების აღქმაზე მნიშვნელოვან დონეზე (Lopez et al., 2011). სოციალური მედია ფართოდ იქნა მიღებული მოგზაურების მიერ მათი მოგზაურობის ისტორიებისა და გამოცდილების მოსაძიებლად, ორგანიზებისთვის, გაზიარებისა და ანოტაციისთვის სოციალური მედიის საშუალებით (Leung et al., 2013, Xiang and Gretzel, 2010). კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დასასვენებლად მოგზაურთა 85%-ზე მეტი იყენებს ინტერნეტს, როგორც დაგეგმვის წყაროს ბოლო წლებში (Leung et al., 2013).

Milano et al. (2011) განმარტავენ, რომ ტურიზმის მომხმარებლების მოგზაურობის გამოცდილების ფორმირება სოციალური მედიის პლატფორმებზე შედგება გამოცდილების სამი ეტაპისგან, როგორც მოგზაურობამდე, მოგზაურობაში და მოგზაურობის შემდგომ. ამ ეტაპებისთვის, სადღესასწაულო სერვისების შეძენამდე, მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს სოციალური მედია, დაუსვას კითხვები იმ მიმართულებების შესახებ, სადაც უნდა მივიდნენ და დარჩნენ, წაიკითხონ წინა მომხმარებლების კომენტარები. შესაბამისად, სოციალური მედია ხდება ძალიან ეფექტური კომუნიკაციისა და რეკომენდაციის ინსტრუმენტი ტურისტული მომხმარებლებისთვის.

არსებულ კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ სოციალური მედიის ძირითადი უპირატესობები და ზოგიერთი უნიკალური მახასიათებელი, როგორიცაა; დაბალი ღირებულება, მარტივი მონაწილეობა და უფასო წვდომა, გლობალური წვდომა, სიმარტივე და მოქნილობა, მეტი საჯაროობა, დიალოგი მონაწილეებს შორის, საზოგადოების/ჯგუფური წვდომა, მჭიდრო ურთიერთობა მომხმარებლებთან, მარტივი კავშირი, მომხმარებლისთვის მოსახერხებელი დიზაინი, განუზომლობა და მარადიულობა (Weinberg, 2009; Elley). and Tilley, 2009; Adams, 2011; Islek, 2012; Salcido, 2015; Jackson 2015; Banner 2017). ამ შეღავათებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, სოციალური მედია ახლა ხდება მრავალი ბიზნესისთვის მარკეტინგული მიქსის შეუცვლელი ნაწილი. ამ კონტექსტში, Tuten და Solomon (2015) ამტკიცებდნენ, რომ „მეხუთე P“ შეიძლება დაემატოს კლასიკურ მარკეტინგულ მიქსს, როგორც „მონაწილეობა“.

ინტერნეტის გამოყენება დიდი ხანია გავრცელებულია ტურიზმის ინდუსტრიაში და ინტერნეტზე დაფუძნებული ტექნოლოგიები გამოიყენება ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის მარკეტინგის ყველა ეტაპზე. შუამავლებმა და დირექტორებმა შეძლეს მჭიდრო ურთიერთობების დამყარება პოტენციურ მომხმარებლებთან ვებ გვერდების საშუალებით (Ekinci, 2004). ეს ინდუსტრია გარდაუვალია ახალი ბიზნეს გარემოს გავლენის ქვეშ, რომელიც შექმნილია ICT-ების გავრცელებით და, ამრიგად, ტურისტები ხდებიან მოგზაურობისა და ტურისტული გამოცდილების თანა-მარკეტერი, კო-დიზაინერები, კო-პროდიუსერები და თანამომხმარებლები (Sotiriadis and Zyl, 2013). ეს ახალი ტექნოლოგიები და სოციალური მედია ახლა საკვანძოა ტურისტული ინდუსტრიის ზრდისთვის, რომელიც ხასიათდება როგორც მაღალი ექსპერიმენტული თვისებებით, რაც მომხმარებელს უფრო უჭირს ატრიბუტების შეფასება შესყიდვამდე (Ban et al., 2015). ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ფირმების მიერ მოწოდებული სერვისების სპეციფიკური ბუნება იყო ნაყოფიერი რელიეფი მოგზაურებისა და ტურისტული ოპერაციების მიერ სოციალური მედიის სწრაფი გავრცელებისა და გამოყენებისთვის (Minazzi, 2015).

ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის პრაქტიკოსებმა უნდა განიხილონ, თუ როგორ აფასებენ მომხმარებლები ინფორმაციის შინაარსს და დაჯავშნის მახასიათებლებს სხვადასხვა ციფრული პლატფორმების საშუალებით (Murphy et al., 2016). ამტკიცებენ, რომ ტურისტული ფირმები სოციალურ მედიას იყენებენ თავიანთი საკუთრების მიმართ ინტერესის გაჩენის, აქციების დანერგვის, მედიის ყურადღების მიქცევის და მათი ბრენდების ცნობადობის, აღიარებისა და პოპულარიზაციის მიზნით (Eroz and Dogdubay, 2012). ვინაიდან ტურისტული ბიზნესის მიერ სოციალურ მედია პლატფორმებზე განთავსებული შეტყობინებები რეკლამისა და პოპულარიზაციის მთავარი საშუალებაა, სოციალურ მედიაში გაზიარებულმა ოდნავ ნეგატიურმა სიტყვამ ან ტვიტმა, პოსტმა და კომენტარმა შეიძლება ადვილად შელახოს ფირმის რეპუტაცია და იმიჯი (Kim and Ko, 2012). Curkan, 2013; Leung et al., 2017).

შედეგად, სოციალური მედიის ზრდამ შექმნა უფრო თანაბარი სათამაშო მოედანი, სადაც ტურისტულ ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა წამოიწყონ მარკეტინგული კამპანიები, რომლებიც მოიცავს დიდ მოსახლეობას (Mercadal, 2017). ანალოგიურად, ტურისტები მოთხოვნის მხარეს გეგმავენ ყველაფერს მოგზაურობის დეტალები, დაწყებული ფრენიდან და სასტუმროს დაჯავშნიდან დაწყებული მანქანის დაქირავებამდე ინტერნეტით (Wheeler, 2009). ეს ნიშნავს, რომ ტურისტული ინდუსტრიის ყველა ნაწილი და ელემენტი ღიაა სოციალური მედიის გამოსაყენებლად. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია უფრო მეტად არის დამოკიდებული სიტყვიერი მარკეტინგის შესახებ, ვიდრე ნებისმიერი

სხვა სექტორი, მისი არამატერიალური და მალფუჭებადი მომსახურების ბუნების გამო. ტურისტული მომხმარებლებისთვის ტურისტული პროდუქტის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების ერთადერთი გზა არის სერვისის მოსინჯვა (თუ შესაძლებელია) ან იმ პირისგან, რომელსაც აქვს სერვისის გამოცდილება. ამიტომ, მომხმარებლები უფრო მეტად ეყრდნობიან პერსონალურ წყაროებს, როგორიცაა „მეგობრების რეკომენდაციები", შესყიდვების გასაკეთებლად. სიტყვა „მეგობრები" სოციალურ მედიაში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც პარა-სოციალური ინტერაქცია (PSI), რომელიც აღნიშნავს პირისპირ ურთიერთობის ილუზიას მედიის, როგორც პლატფორმის გამოყენებით (Hu and Wei, 2013).

სასტუმრო ბიზნესი, როგორც სამეურნეო საქმიანობის არსი და თავისებურებანი

სასტუმრო წარმოადგენს მასპინძლობის ინდუსტრიის, როგორც განთავსების საშუალების ძრითად კლასიკურ ფორმას.

საოჯახო სასტუმრო, იგივე სასტუმრო სახლი, სტუმრის დროებითი საცხოვრებელი ადგილია, რომელიც სასტუმროსთან შედარებით მცირე რაოდენობის ოთახებით გამოირჩევა და განთავსებასთან ერთად გვთავაზობს კვებით სერვისს, თუმცა არ არის დაშვებული ალკოჰოლური სასმელების მიღება. საოჯახო სასტუმროების სერვისით სარგებლობა დიდ ხარჯაბთან არ არის დაკავშირებული, მისი შეფასება ხდება ერთიდან ოთხ ვარსკვლავამდე, სისუფთავის დონის, კვების ხარისხის, სტუმართმოყვარეობისა და მომსახურების ხარისხის საფუძველზე.

დღეს, სასტუმრო ბიზნესში საქმიანობა ითვალისწინებს სტუმრების განთავსებას, საკვებით მომარაგებას, შენობის გათბობას, შუქის და ენერგიის მომარაგებას, დასუფთავებას, კაპიტალის შენარჩუნებას, თანამშრომელთა ზედამხედველობას, მომსახურების მიმზიდველობის განვითარების უზრუნველყოფას და ა.შ.

აქედან გამომდინარე, სასტუმრო წარმოადგენს რთულ, სამეურნეო და ქონებრივ კომპლექსს, რომელიც აწარმოებს ძირითად ტურისტულ პროდუქტს.

მასპინძლობის ინდუსტრია პირდაპირ კავშირშია მომსახურების სფეროსთან და ის სხვადასხვა დაწესებულებები, რომელიც მასში შედის, მოითხოვს განსხვავებულ მენეჯმენტს და დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მასპინძლობის სფეროში, მმართველობით რგოლს ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, ამ ფუნქციებიდან, კლეიტონ ბეროვსი და სხვები გამოყოფენ შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომ მენეჯერებმა, უნდა:

1. სტუმარს თავი აგრძნობინონ კომფორტულად;
2. ყველაფერი კეთდებოდეს სტუმრისათვის;
3. მართვის პროცესი მიმართული იყოს, როგორც მომსახურების უზრუნველსაყოფად, ასევე მოგების მისაღებად.

სასტუმრო ბიზნესი საქნიანობას ეწევა მომსახურების ბაზარზე, რომელიც გულისხმობს მომხმარებლის მიღებსა და განთავსებას-გასამრჯელოს სანაცვლოდ. სასტუმრო განთავსების კოლექტიური საშუალებაა, რომელიც განსაზღვრული რაოდენობის ნომრებისაგან შედგება და მის საქმიანობას წარმოადგენს ჩამოსულთა მოკლე ვადით განთავსება მომსახურების ღირებულების გადახდის სანაცვლოდ.

სასტუმროს მომსახურების ბაზარი საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი მომხმარებელი ერთმანეთისაგან განსხვავდება მოტივაციის, გადახდისუნარიანობის, დემოგრაფიული და სხვ. ნიშნების მიხედვით. თანამედროვე სასტუმროტა ძალიან დიდი ნაწილი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუმართა მომსახურებას, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალასაც მასპინძლობის განსხვავებული პრინციპები წარმოადგენს.

თანამედროვე სასტუმროები, ბაზრის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, თავიანთ მომხმარებელს განთავსებისა და კვების გარდა სთავაზობენ სხვადასხვა სერვისებსა და დამატებით პროდუქტებს .

სასტუმრო პროდუქტი წარმოადგენს ორი ძირითადი და საკმაოდ განსხვავებული ფაქტორის კომბინაციას:

მატერიალურ–ტექნიკური ფაქტორი, რომელშიც იგულისხმება: უშუალოდ სასტუმრო შენობა, ნომერი, ინტერიერი, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა.

ადამიანური ფაქტორი, რომელიც გულისხმობს, თავაზიანობასა და სტუმართმოყვარეობას, მომსახურების პროფესიონალიზმის დონეს, სტუმართა პრობლემების მოგვარების სისწრაფეს და სხვ.

ამდენად, მომხმარებლის მიერ, მართვადი ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ორგანიზაციული სისტემის ფუნქციათა რეალიზაციას, რომელიც ვლინდება სასტუმროს ყველა ქვედანაყოფში, როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სტრუქტურაში, შესაბამისად, აუცილებელია თითოეული მათგანის სპეციფიკისა და ხარისხზე უშუალო გავლენის გათვალისწინება.

ხარისხის მართვის ზოგადი ფუნქციების რეალიზაციისადმი დიფერენცირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია განისაზღვროს სასტუმროს ქვედანაყოფების ისეთი სტრუქტურული ჯგუფები, რომლებიც შეესაბამება ფუნქციონალურ თავისებურებებსა და მათ როლს მომსახურების წარმოების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. დიდი, საშუალო და მცირე სასტუმროთა განსხვავებული სტრუქტურის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, გამოვყოთ ორი ასეთი ჯგუფი: ძირითადი სტრუქტურა და ინფრასტრუქტურა, განვსაზღვროთ მათი თავისებურებები.

დასკვნა

კვლევაზე მუშაობისას, გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც განუხრელად მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მედიის ტურიზმში ჩართვის და გამოყენების მეთოდოლოგიური წყაროების კონცეპტუალურიმა ანალიზმა, ცხადჰყო კონცეფციის კატეგორიზაცია და მიმართულებები. ტურიზმის სფეროში, ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციალურ ქსელებს, რომელთაც აქვთ

შეხედულებების გაზიარებისა და უკუკავშირის შესაძლებლობების ფუნქციური საშუალება. ამასთან, ყურადღებას იქცევს, რიგი საიტებისა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ტურისტულ ბიზნესში, მაგალითად, როგორიცაა დაჯავშნისა თუ შეფასების საიტები, რომლებიც გავლენას ახდენენ, როგორც მომხმარებლებზე, ისე ტურისტულ ობიექტებზე.

სოციალური მედია, ციფრული მარკეტინგის ნაწილს და მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომელსაც აქტიურად იყენებენ მსოფლიო ტურიზმში ჩართული ბიზნესები. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სოციალური მედიის მნიშვნელობამარკეტინგული მოდელები და საშუალებები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მარკეტოლოგიების მიერ ტურისტული მიმართულებით. დადგინდა, რომ სოციალურ მედია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე და მათ გადაწყვეტილებებზე, რადგან არსებული მომხმარებლები რეგისტრირებულნი არიან სეგმენტურად, რაც ბიზნეს უმარტივებს მათზე ზემოქმედების საშუალებას და სასურველი სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის შესაძლებლობას.

კვლევის ფარგლებში, ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ გამოკითხულ პირთა უმრავლესობისათვის, სოციალურ ქსელებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც ხშირ შემთხვევაში მათ გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე კ, სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები. თბ, 2007;

2. კლეიტონ ვ. ბეროვსი, ტომ პავერსი, დენის რეინოლდსი. შესავალი მასპინძლობის ინდუსტრიაში. ქართულენოვანი გამოცემა. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა 2012 წ.;

3. ლ. დოლიკაშვილი, „სასტუმროს მენეჯმენტი“. 2017. გვ18;

4. Adams, D.2015. The History of Social Media. http://www.winnerscience.com/wp -content/uploads/2012/06/factors--affecting -price.png, Access: April 20 -2015;

5. Ashley, C. & Tuten, T.2015. Creative Strategies in Social Media Marketing: An exploratory study of branded social content on consumer engagement, Psychology and Marketing, Vol. 32: 15-27;

6. Ban, O., Ancusa, V., Bogdan, V. & Tara, I.2015. Empirical social research to identify clusters of characteristics that underlie the online evaluation of accommodation services. Revista De Cercetare Si Interventie Sociala, (50) 293–308;

7. Banner, M.2017. „How social media has evolved over the past 12 Years“ http://www.convinceandconvert.com/social -media -strategy/how -social -media -has -evolved/ (Access: 10.11.2017);

8. Bayram, A. & Sahbaz, P.2012. Turizm İşletmelerinde Sosyal Medya Kullanımına Örnekler. 13. Ulusal Turizm Kongresi Bildiriler Kitabı, 06 -09 Aralık, Antalya: 353 -360;

9. Ekinci, H.2004. Isletmelerin halkla iliskilerinde internetin onemi. Pazarlama Dunyasi Dergisi, Yıl: 14 Sayi: 24;

10. Eroz, S. ve Dogdubay, M.2012. Turistik Urun Tercihinde Sosyal Medyanin Rolu ve Etik ilişkisi. Dokuz Eylul Universitesi, Iktisadi ve Idari Bilimler Fakultesi Dergisi. Cilt.27, 133 -157;

11. Gunelius, S.2011. 30 Minute Social Media Marketing, McGraw Hill, New York;

12. Islek, M.S.2012. Sosyal Medyanin Tuketici Davranislarina Etkileri: Turkiye'deki Sosyal Medya Kullanicilari Uzerine Bir Arastirma. Yuksek Lisans Tezi. Karamanoglu Mehmetbey Universitesi, Sosyal Bilimler Enstitusu, Karaman;

13. Kim, A. & Ko, E.2012. Do Social Media Marketing Activities Enhance Customer Equity? An Empirical Study of Luxury Fashion Brand. Journal of Business Research. 65 (10): 1481;

14. Leung, D., Law, R. Hoof, H.v. & Buhalis2013. Social Media in Tourism and Hospitality: A Literature Review, Journal of Travel & Tourism Marketing, Routledge, 30: 3–22;

15. Mahesh, V. S. (1993) "Human resource planning and development: micro and macro models for effective growth in tourism, " in T. Baum, ed., Human Resource Issues in International Tourism, Oxford: Butterworth-Heinemann;

16. Mercadal, T.2017. Social Media Marketing, Salem Press Encyclopedia, January;

17. Medlik, S. (2003) Dictionary of travel, tourism & hospitality, 3 edn, Oxford: Butterworth- Heinemann;

18. Milano, R., Baggio, R. & Piattelli, R.2011. The Effects of Online Social Media on Tourism Websites. 18th International Conference on Information, Technology and Travel & Tourism. 26 -28 January, Innsbruck, Austria;

19. Miletsky, J.2010. Principles of Internet Marketing. Cengage Learning, Boston;

20. Minazzi, R.2015. Social media marketing in tourism and hospitality. Springer International Publishing, Switzerland. Mkono, M. & Tribe, J.;

21. Murphy, H.C., Chen, M.M. & Cossutta, M.2016. An investigation of multiple devices and information sources used in the hotel booking process. Tourism Management, 52: 44 -51.

ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** უკვე 2020 წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში **Google Scholar,** აგრეთვე რამდენიმე სხვა ბაზაში (იხ. საიტის მთავარი გვერდი ojs.b-k.ge-ზე).

ჟურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და გააგრძელებს ამ ტრადიციას.

ჟურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომენდაციები.

ჟურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და გაწვდით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით.** მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა იყოს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალით** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **7 გვერდზე** ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს **20 გვერდს.** მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული და უცხოურ ენაზე ტექსტი - შრიფტით **sylfaen,** ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი **- Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;.

- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებუილი წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამონაკლისის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია - ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების საფასურია **150 (ასორმოცდაათი) ლარი.** ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია ჟურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის ჟურნალის არანაკლებ 2 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: **http:Ojs.b-k.ge; http://b-k.ge/.**

სტატიები გამოაგზავნეთ მისამართზე: yuripapaskua.b.k@gmail.com

ან მოგვაწოდეთ რედაქციაში ნაბეჭდი სახით, ელვერსიასთან ერთად.

ჟურნალის რედაქცია

ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS!

We think it is interesting for you to inform that the journal "Business and Legislation" has been published since December 2020 with an international scientific-analytical status and is indexed in the international search database **Google Scholar**, as well as in several other databases (see the main page of the site at ojs.b-k.ge).

Over the years, the journal has been a reliable partner for business circles, an experienced guide in the field of business, a kind guide in the labyrinths of legislative acts, a selfless servant for the academic field and will continue this tradition.

The journal is open to all interested parties. It is possible to publish articles in Georgian, English, German and Russian languages on topical issues of business administration and management, economic and social policy. Reviews of published monographs and manuals, as well as comments, clarifications, notes and recommendations for improvement on legislative acts are accepted.

Regarding the new status of the journal, we remind you of the rules for publishing a scientific article and provide you with additional requirements:

- The scientific article should be presented in **A4 format**. The volume, including the list of used literature and the abstract, should not be less than **7 pages** of typed text on the computer **with 1.5 spacing and 11 font size and should not exceed 20 pages.** It should outline the relevance of the research problem, research goals and objectives, research methodology, research results (newness), recommendations.

- The paper written in Georgian must be accompanied by abstracts in Georgian and English - up to 1000 marks each. For those written in a foreign language - main content on 2-3 pages in Georgian and abstract in the same foreign language.

- It is necessary to submit the article to the editors as a printed copy, together with the version (Georgian and foreign language text - **Asylfaen font**, and foreign language text - **Times New Roman**). Below the title of the article (on the right side) should be indicated the full name, surname, academic degree, position, telephone and e-mail address of the author (or authors).

- The article should show the use of important literature related to the research problem. The name of the literature should be placed at the end of the article in the form of a single list: a) the name of the book in the following order - surname and initials of the author (authors), name of the book, place of publication, publishing house, year; b) for a journal article - surname and initials of the author(s), title of the article, title of the journal, year, number of the journal. The source indicated in the bibliography should be used in the text of the article. When quoting from the work of this or that author, he should indicate the source by indicating the appropriate page in the following way [3, p. 41], where the first digit corresponds to the serial number of the quoted source in the list of used literature, and the second - to the page from which the quotation is given. The bibliographic description of each book (journal) in the bibliography should correspond to its title page.

- Basically, in the text, tables, graphs and charts should be placed in the place of their reference, if there is not enough space - maybe on the next page. Tables, graphs and charts should have a title and numbering.

The scientific article submitted for publication is reviewed by a specialist reviewer in the field (the identity of the reviewer will not be known to the author, nor will the reviewer be informed of the identity of the author/authors).

With a separate exception, publishing an article is paid - the fee for publishing an article in a journal is **150 (fifty) GEL.** The settlement report is indicated in the journal.

If these requirements are not met, the article will not be published and will not be returned to the author.

At least 2 issues of the journal are published per year, distributed electronically and available to any user at the address: **http: Ojs.b-k.ge; http://b-k.ge/.**

Send the articles to the address: yuripapaskua.b.k@gmail.com, or submit them to the editorial office in printed form, together with the version.

JOURNAL EDITORIAL

ბიზნესი და კანონმდებლობა

Business & Law

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

TEQNICAL EDITOR: LEVAN BOCHORISHVILI

რედაქციის მისამართი:
თბილისი, გლდანი, ნიკო კეცხოველის 24, ბ.61
ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27
www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Gldani, Niko Ketskhoveli 24, f.61.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:
სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG0000000850902700;
ს/კ 404956455.

BANK DETAILS:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455